ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია

ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით

თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ს/კ ლაბორატორია

თბილისი

2011

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

სარჩევი

შესავალი *[ე. ხინთიბიძე, მ. ელბაქიძე]* ---------- 3

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[ელგუჯა ხინთიბიძე, ნანა მრევლიშვილი] ---------- 12

ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[მარინე თხინვალელი] ---------- 115

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[გიორგი ლობჟანიძე] ---------- 134

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[ასმათ ჯაფარიძე] ---------- 161

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[მარინე ბეჟიტაძე, ირინა ჯავახაძე] ---------- 184

ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[ნელი საგინაშვილი] ---------- 286

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[მარიკა ოძელი] ---------- 353

ქართულ-ჩეხური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[მაკა ელბაქიძე] ---------- 380

ქართულ-სლოვაკური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია
[მაკა ელბაქიძე] ---------- 413

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შესავალი

ქართული ლიტერატურა ქართველთა კულტურული სამყაროს ერთი უმთავრესი სფეროა. ამ ლიტერატურას საუკუნოვანი ისტორია აქვს და მისი გენეზისი საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. ქართულმა ლიტერატურამ მოიტანა დღემდე ქართული სიტყვა თავისი აზრობრივი სიღრმით და გამომსახველობითი სისადავით, ქარცეცხლოვან საუკუნეებში გამოატარა ქართული ენა და ქართველ ხალხს შეუნარჩუნა ეროვნული მეობა. „ამ ლიტერატურამ, – წერს ერთი უცხოელი ქართველოლოგი, – მოახერხა აეღო საუკეთესო იმ დიდი ერებისა და იმპერიების კულტურული ცხოვრებიდან, რომლებიც საქართველოს და ქართველი ერის ასიმილირების გზით გაქრობას ცდილობდნენ, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ებრძოდა ქართული ეროვნული სული და ამ ბრძოლაში სასწაულებრივ გადარჩა.“ ქართული ლიტერატურის ერთი უმთავრესი მახასიათებელი სწორედ მისი ღიაობაა სხვადასხვა ცივილიზაციებსა და სხვადასხვა ეპოქების ლიტერატურულ პროცესებთან. უმთავრესად სწორედ ამან განაპირობა ქართული ლიტერატურის წიაღში სასულიერო და საერო ლიტერატურული პროცესების ერთმანეთის პარალელურად განვითარება და თანაც მსოფლიო უმაღლესი კულტურული სტანდარტების დონეზე. ამან განაპირობა, რომ ქართული ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალში რუსთველის *ვეფხისტყაოსანში* ერთმანეთს შეუერთდა ქრისტიანულ-თეოლოგიური კონცეფცია, სპარსული ეპიკური სტილი, არაბული პოეზიის ლირიკული განცდა, ბერძნული ანტიკური სიბრძნე და ყველაფერი ეს ქართული ფენომენის უნიკალურ ხასიათებად გამოიძერწა. ქართული ლიტერატურული პროცესის ეს საუკუნოვანი სვლა მსოფლიოს დიდ ლიტერატურებთან მჭიდრო კონტაქტებით ხასიათდებოდა და დღევანდელი ფილოლოგიური მეცნიერება სწორედ ამ კონტაქტების კვლევით და მათი თავისებურებების გაანალიზებით იწყებს ამ დიდი ლიტერატურის შესწავლას. დღეისათვის ამ ლიტერატურული კონტაქტების მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების სრულყოფილი ანალიზი აუცილებელია არა მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული მეცნიერული კურსის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, არამედ ჩვენი ქვეყნის ეროვნული და პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისითაც.

ქართულ–საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მეცნიერული კვლევა ჩვენში მხოლოდ XX საუკუნიდან იწყება. ეს კვლევა წარმატებულია უპირატესად ძველი ქართული ლიტერატურული პროცესის არსებითი პრობლემების ანალიზის ფონზე, რომელსაც ფრაგმენტულად მიჰყვება, აგრეთვე მეცნიერული ძიებანი ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის პერიოდებისა ძირითადად ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების კონტექსტში. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ცალკეულ საკითხებს სწავლობდნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, სათანადო განყოფილებები და ფრაგმენტულად ჩვენი ქვეყნის სხვა კულტურული და სასწავლო დაწესებულებები. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია, როგორც ერთიანი სამეცნიერო კურსი, ჩვენში ჯერჯერობით დაუმუშავებელია. ქართული ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ევროპული მეცნიერების პროცესში ინტეგრირება მოითხოვს კვლევის პრობლემატიკის სფეროში ჩამოყალიბებულ ქართველ და ევროპელ მეცნიერთა თვალსაზრისების ერთმანეთთან შეპირისპირებასა და მეცნიერულ ინტერპრეტირებას. პრობლემის სწორედ ამგვარ მეცნიერულ შესწავლას ეძღვნება წინამდებარე მონოგრაფია, რომლის მიზანია „ქართ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორიის“ მეცნიერული კურსისთვის სოლიდური საფუძვლის შექმნა. საკითხის ამ მიმართულებით დამუშავების პირველი ცდები თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ს/კ ლაბორატორიას უკავშირდება (2002 წ. ამ ლაბორატორიამ გამოსცა კრებული „ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი“). სწორედ ამ ლაბორატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამეცნიერო ჯგუფი, რომლის პროექტმა „ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია“, მოიპოვა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) გრანტი 2009-2010 წლებისათვის (A 32-09), რომლის ბაზაზე შეიქმნა წინამდებარე მონოგრაფია. ჩატარებული კვლევის მოცულობაში აღმოჩნდა ქართულ-საზღვარგარეთული საუკუნოვანი ლიტერატურული კონტაქტების უმთავრესი სფეროები. კერძოდ, ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული კონტაქტების სფეროდან – ქართულ-არაბული, ქართულ-სპარსული, ქართულ-თურქული; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან - ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები; დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ქართულ-გერმანული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-ჩეხური და ქართულ-სლოვაკური ლიტერატურული ურთიერთობები. მონოგრაფიის შექმნაში, რედაქტირებასა და კორექტურაში ჩართული იყო მთელი საგრანტო ჯგუფი. განსაკუთრებით ფასეულია თითოეული მონაკვეთის შემდეგ დართული ვრცელი სამეცნიერო ბიბლიოგრაფიები. დაინტერესებული სპეციალისტი შეძლებს წინამდებარე მონოგრაფიაში იპოვოს აქ წარმოდგენილი სფეროების მიმართულებით მითითება ძირითად სამეცნიერო ლიტერატურაზე. საკითხის მეცნიერული პროგრამირება და საბოლოო რედაქტირება მიმდინარეობდა ჩემს მიერ (პროფ. ე. ხინთიბიძე), კომპიუტერულ ოპერირებას ახდენდა დოქტორი ირინა ჯავახაძე. მონოგრაფიის ცალკეულ თავებზე მუშაობდნენ: ქართულ-ბიზანტიური – ელგუჯა ხინთიბიძე, ნანა მრევლიშვილი; ქართულ-არაბული – მარინე თხინვალელი; ქართულ-სპარსული – გიორგი ლობჟანიძე; ქართულ-თურქული – ასმათ ჯაფარიძე; ქართულ-რუსული – მარინე ბეჟიტაძე, ირინა ჯავახაძე; ქართულ-გერმანული – ნელი საგინაშვილი; ქართულ-ინგლისური – მარიკა ოძელი; ქართულ-ჩეხური – მაკა ელბაქიძე, ქართულ-სლოვაკური – მაკა ელბაქიძე.

ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის სფეროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი. ამ ღრმა და ხანგრძლივი ლიტერატურული პროცესის შესწავლის ისტორია წინამდებარე მონოგრაფიაში დალაგებულია ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევების მოკლე ანალიტიკური ანალიზით. გათვალისწინებულია თითქმის ყველა მეცნიერის წვლილი, რომლებმაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები გამოაქვეყნეს. ცნობილ მეცნიერთა მუშაობის ანალიზი შევსებულია იმ ძირითადი სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის მოკლე აღწერით, სადაც განსაკუთრებული ინიციატივით მიმდინარეობდა ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა. უფრო კონკრეტულად, დაწვრილებითაა მიმოხილული ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შემსწავლელ შემდეგ მეცნიერთა ნაშრომები: კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, მოსე გოგიბერიძის, ელენე მეტრეველის, ივანე ლოლაშვილის, რომან მიმინოშვილის, ვახტანგ ბააკაშვილის, ელგუჯა ხინთიბიძის, დამანა მელიქიშვილის, ლეილა დათიაშვილის, ნანა მრევლიშვილის, ვიქტორია ჯუღელის, ქეთევან ბეზარაშვილის, თამარ ოთხმეზურის, ედიშერ ჭელიძის, ლიანა კვირიკაშვილის, ვალერი ასათიანის, ალექსანდრე ალექსიძის, სოსო მახარაშვილის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ა!

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა და სხვა მკვლევართა მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობა. მონოგრაფიის ეს მონაკვეთი ძირითადად მომზადდა შემდეგ მასალაზე დაყრდნობით: ე. ხინთიბიძის ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ისტორიისათვის, თბ. 1982; ელენე მეტრეველი (1917-2003). ბიბლიოგრაფია (შემდგენელი გაგა შურღაია), თბ. 2007.; ნ. სოხაძის სტატია კრებულში „ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი“, I, თბ. 2001.; ანალიტიკურ-ბიბლიოგრაფიული სტატიები კრებულში „ბიზანტოლოგია საქართველოში“, თბ. 2007: თ. ოთხმეზურისა და ქ. ბეზარაშვილის, ნ. მახარაძისა და ნ. სულავასი.

ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობა სათავეს საუკუნეების სიღრმიდან იღებს. იგი უშუალოდ VII საუკუნეს, არაბული ხალიფატის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ექსპანსიის ხანას თუ არა, VIII საუკუნეს დანამდვილებით უკავშირდება. არაბულ-ქრისტიანული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა VIII-X საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში X საუკუნის მეორე ნახევრამდე, ქართული ლიტერატურისათვის მსოფლიო ქრისტიანულ მწერლობასთან ურთიერთობის ძირითადი მიმართულებაა. ამ პერიოდში არაბულის გზით შემოსულია ქართულ მწერლობაში ქრისტიანული მწერლობის პირველხარისხოვანი ძეგლები, რომელთა ერთი ნაწილი შემდგომ ქართულიდან ბერძნული მწერლობის მეშვეობით შუასაუკუნეების ევროპული მხატვრული ლიტერატურის შედევრად ქცეულა (მაგალითად, ქართული „ბალავარიანი“, ანუ ევროპული „ვარლაამი და იოასაფი“). მეორე ნაწილი კი ქართულ ენაზე შემონახულა და დღეს ბიზანტინისტიკისათვის ამ თხზულებათა დედნების თავდაპირველი სახის დადგენისათვის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობისაა. ასეთია სირიულ ენაზე დაწერილი თხზულება „ნისიმეს ცხოვრება“; იოანე მოსხის „სამოთხე“, რომელიც ბერძნული „ლიმონარის“ არაბულენოვანი ვერსიიდან „ალ-ბუსთანიდან“ იღებს სათავეს, „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და სხვა მრავალი.

არაბული საისტორიო წყაროები მნიშვნელოვან ცნობებს ინახავენ საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ („იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ”).

ამ ურთიერთობების მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია ქართველოლოგიის დიდი წარმომადგენლების სახელებთან: ნიკო მარი, პაულ პეეტერსი, კორნელი კეკელიძე, გიორგი წერეთელი, გ. გარიტი, ბ. უტიე და სხვა. დიდი მასწავლებლების საქმე წარმატებით გააგრძელეს ა. ლეკიაშვილმა, ნ. ფურცელაძემ, რ. გვარამიამ, ნ. წაქაძემ, ე. სიხარულიძემ, ა. სილაგაძემ, გ. ლობჟანიძემ, ლ. მახაურმა.

წინამდებარე მონოგრაფიაში პირველადაა მონოგრაფიულად შესწავლილი ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპი, რომელიც ხასიათდება არა მხოლოდ არაბულიდან ქართულ ენაზე ლიტერატურული ძეგლების თარგმნით, არამედ უპირატესად ქართულიდან არაბულად ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების გადატანით და პუბლიკაციით. უკანასკნელი ათწლეულების შენაძენია ქართულიდან თარგმნილი და არაბულ ქვეყნებში გამოქვეყნებული რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ (მთარგმნელი ნიზარ ხალილი), ნიკოლოზ ბარათაშვილის “ბედი ქართლისას”, (მთარგმნელი ნიზარ ხალილი), ილია ჭავჭავაძის “განდეგილის” (მთარგმნელი ნიზარ ხალილი), აკაკი წერეთლის “გამზრდელის” (მთარგმნელი ნიზარ ხალილი), ნოდარ დუმბაძის მოთხრობების, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, ოტია იოსელიანის, ერლომ ახვლედიანის მოთხრობების თარგმნა. უკანასკნელ ათწლეულებში ქართული მწერლობა გამდიდრდა არაბულიდან თარგმნილი ლექსებით, მთარგმ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თ. მარგველაშვილი, გ. ლობჟანიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ი. გრძელიძე, ნ. დოლიძე, ღადა ჯავიში და მ. თხინვალელი.

ამ თარგმანთა შორის საგანგებოდ უნდა გამოიყოს როგორც კლასიკური არაბული ლიტერატურა („ათას ერთი ღამე“, „ქილილა და დამანა“, „ყურანი“), ასევე მეოცე საუკუნის არაბი ავტორები: ალ-საბაჰი, ჯებრან ხალილ ჯებრანი, ალ-ოსმანი, ნაჯიფ მაჰფუზი, როდოპის მირამარი, მურიდ ალ-ბარღუთი.

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების მეცნიერული კვლევის ისტორია, როგორც ჩვენს სამეცნიეროლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან იწყება და ნიკო მარისა და ალექსანდრე ხახანაშვილის სახელებს უკავშირდება.

ნიკო მარმა მართლაც ჩაუყარა საფუძველი ქართულ მეცნიერულ ირანისტიკას, სპარსული ენის, მწერლობის, განსაკუთრებით კი ქართულ-სპარსული ენობრივი და ლიტერატურული კონტაქტების შესწავლას. მანამდე ვახტანგ მეექვსიდან მოკიდებული თეიმურაზ ბაგრატიონის, მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, მოსე ჯანაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და სხვა ქართველ მკვლევართა ნაშრომებში გვაქვს ცალკეული დაკვირვება ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე, სპარსულიდან თარგმნილი თხზულებების ზოგი ქართული ვერსიის გამოქვეყნების ცდა. მაგრამ სახელგანთქმული პეტერბურგის ორიენტალისტური სკოლის აღზრდილმა, მშობლიურ ქართული მწერლობის მცოდნე ნიკო მარმა სულ სხვა, ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ევროპის დონეზე“ აიყვანა ამ პრობლემათა კვლევა. სწორედ აკადემიკოს ნიკო მარის მიერ განისაზღვრა ამ მიმართულების ზოგადი ხასიათი და გამოიკვეთა პრობლემები, რომლებზე მუშაობაც შემდგომ მისმა ქართველმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით განაგრძეს. მათ შორის განუზომელია ივანე ჯავახიშვილის, იუსტინე აბულაძის, კორნელი კეკელიძის, დავით კობიძისა და ალექსანდრე ბარამიძის მიერ შეტანილი წვლილი ირანულ-ქართული ურთიერთობების კვლევის სფეროში.

ქართული ირანისტიკის მდიდარი სამეცნიერო ტრადიციები დღემდე გრძელდება. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა, ისევე, როგორც დარგის ბევრი მნიშვნელოვანი მაგისტრალური ხაზი, სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე ირანში სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებულნი ქართველ მეცნიერთა მიერ ირანისტიკაში შეტანილი წვლილისა და იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესახებ, რომლებიც ჩვენს მეცნიერებს ამ დარგში წარმატებით ჰქონდათ ნაკვლევი და გადაჭრილი. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს გახსნის დღიდან ბოლო ხანებამდე ჩვენს დიპლომატიურ მისიაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქარული კულტურისა და კერძოდ ქართველ ირანისტთა ნაშრომ-ნაღვაწის პოპულარიზაციას.

ირანში საქართველოს პირველი ელჩის პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის თაოსნობით 1996 წლიდან საქართველოს საელჩო პერიოდულად, ქართველ მწერალთა და მეცნიერთა დაბადების თარიღებთან ანდა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით აქვეყნებდა თემატურ გვერდებს, რომელიც მიზნად ისახავდა ირანელი მკითხველი საზოგადოების ინფორმირებას ჩვენს ისტორიასა და თანამედროვეობაზე, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ტენდენციებსა და მსოფლიო მეცნიერებაში დამკვიდრებული კლიშეების მართებულობის თაობაზე. საგაზეთო სტატიების გარდა, წარმატებით მუშაობდა საქართველო-ირანის სამეცნიერო კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემათა სერიით დასტამბული წიგნები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო შოთა რუსთაველ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პირველი სპარსული თარგმანი (მთარგმნელი ფარშიდ დელშადი), რომელიც 1999 წელს, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით, ცალკე, სოლიდურ ტომად დაიბეჭდა და ირანულ სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში დიდი გამოხმაურებაც გამოიწვია. ლაფსუსების, უზუსტობების, სტილისტური და აზრობრივი გადაცდენების მიუხედავად, ეს თარგმანი თუნდაც იმით არის მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რომ წარმოადგენს პირველ ცდას რუსთაველის გენიალური პოემის სპარსულ ენაზე ამეტყველებისა. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1998 წელს თეირანში საქართველოს საელჩოს თანადგომით „ვეფხისტყაოსნის“ სრული პროზაული თარგმანის გამოცემა, რომელიც ინგლისური, არაბული, ტაჯიკური და გარკვეულწილად რუსული თარგმანებიდან არის შესრულებული (მთარგმნელი იუსეფ ქაზემფური) და ენობრივი უბრალოებითა და სისადავით გამოირჩევა. იუსეფ ქაზემფურის ღვაწლი ქართულმა საზოგადოებრიობამ სათანადოდ დააფასა – თარგმანის გამოცემისთანავე მთარგმნელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა თურქეთთან საუკუნეებს ითვლის. ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის სულ რაღაც წინა საუკუნეში დაიწყო. მიჩნეულია, რომ ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება თურქეთში 1960 წლებიდან იწყება. და ქართულ ლიტერატურასთან კავშირი თავდაპირველად ევროპული ენების შუალედობით ხდება. 1969 წელს გერმანულიდან თურქულ ენაზე ითარგმნა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, რამაც თურქი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართული ლიტერატურის წარდგენა თურქი მკითხველისთვის თურქი ინტელექტუალის აჰმედ მელაშვილის სახელსა და მოღვაწეობას უკავშირდება. ამ წარმოშობით ქართველმა თურქმა მწერალმა და ჟურნალისტმა ქართული კულტურის და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ქართული ლიტერატურის ნიმუშებით და საქართველოზე ენციკლოპედიური წიგნის გამოცემით. ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ჟურნალმა „ჩვენებურებმა“, რომელიც ამ დანიშნულებას დღესაც ემსახურება. ამ ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოების მიერ დღესაც დიდი პროპაგანდა ეწევა ქართული კულტურის და საქართველოს ისტორიის საკითხების მართებულად გაშუქებას თურქულენოვანი მედიის საშუალებით. თურქულად ითარგმნება ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკური ნიმუშები (რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის), ასევე თანამედროვე ეპოქის ნაწარმოებები (ნოდარ დუმბაძის, ფრიდონ ხალვაშის და სხვა).

გარდა ჟურნალ „ჩვენებურებისა“, ქართული კულტურის პროპაგანდას დიდ სამსახურს უწევს ჟურნალი „ფიროსმანი“. ქართულ ენაზე იბეჭდება სახელმძღვანელოები, ანბანი და ანდაზები და სხვა პედაგოგიური დანიშნულების ლიტერატურა ქართული წარმოშობის თურქი ახალგაზრდებისათვის.

უკანასკნელი ათწლეულები გამოირჩევა თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის პუბლიკაციებით. ქართულ ენაზე მთარგმნელები არიან სერგი ჯიქია, ნოდარ ჯანაშია, გურამ ბათიაშვილი, ვენერა ჯანგიძე, იბრაიმ გორგაძე, გივი ლუარსაბაშვილი, ნანა გვარიშვილი, ვიქტორ ჩიკაიძე, მაკა შონია, იმირ მამედლი, ლია ჩლაიძე, ირინა გოცირიძე, ნინო შენგელია, მაკა კიკნაველიძე, ოსიკო გვარიშვილი, ქეთევან ტომარაძე, მზია გაგნიძე, თამარ ალფენიძე, ნიკო ბარამიძე, ლელა დადიანი, ნანა კაჭარავა, მირიან მახარაძე.

ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და განსაკუთრებული ინტენსივობით XX საუკუნეში გაგრძელდა. ეს სფერო იმდენად მრავალმხრივი და მრავალპლანიანია, მასალა

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მრავალფეროვანი, რომ შეუძლებელია ოდენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ამ ურთიერთობათა კვლევის ისტორიის წარმოჩენა. შესაბამისად, მონოგრაფიაში საკმაოდ სოლიდური მოცულობის მასალა თემატური პრინციპით არის დალაგებული (რუსულენოვანი რუსთველოლოგია; თქმულება დინარაზე; კერები; XIX საუკუნე), რაც საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად წარმოჩნდეს ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის არსებითი ასპექტები.

პირველი რუსული ნაშრომი საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე XIX საუკუნის დასაწყისში (1802 წელს) რუსეთში გამოვიდა. ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნში "Историческое изоброжение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии" მოხსენიებული იყო შოთა რუსთაველი, მოტანილი იყო "ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე სტროფის თარგმანი, მოკლედ იყო წარმოდგენილი საქართველოს ისტორია, კულტურა, ეკლესიის მდგომარეობა და განათლების დონე. თუმცა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების მეცნიერული კვლევა პეტერბურგისა (ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე) და მოსკოვის უნივერსიტეტებში (პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი) იწყება და შემდგომ საქართველოში გადმოინაცვლებს. ამ სფეროში საყურადღებო გამოკვლევები აქვთ გამოაქვეყნებული კორნელი კეკელიძეს, იგორ ბოგომოლოვს (XIX საუკუნის 30-იანი წლების რუსულენოვანი რუსთველოლოგია, XIX საუკუნის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობანი), ლევან მენაბდეს (რუსულენოვანი რუსთველოლოგია, ქართული კულტურის კერები რუსეთში), ტრიფონ რუხაძეს (ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია), თენგიზ ბუაჩიძეს და სხვ. აღორძინების ხანის რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს საგანგებო ნაშრომები უძღვნეს ნინო მახათაძემ, დავით ბრეგაძემ, გიორგი ტალიაშვილმა. რუსეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა რუსულ კულტურასთან მიმართების საკითხის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ალექსანდრე ბარამიძემ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია შრომები, რომლებიც XIX საუკუნის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას ეძღვნება (ლევან ასათიანი, ანა ნიკოლაძე, იგორ ბოგომოლოვი, ვანო შადური, დავით გამეზარდაშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, შალვა კაშმაძე, ი. ენიკოლოპოვი, კკონსტანტინე მეძველია, პავლე ღუდუშაური, ოთარ ბაქანიძე, გურამ შარაძე). ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ეს ურთიერთობები განსაკუთრებული ინტენსიურობით სწორედ ამ პერიოდში გამოირჩეოდა.

არაერთი ნაშრომი ეძღვნება XX საუკუნის ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც (საკმარისია დავასახელოთ თუნდაც იგორ ბოგომოლოვის, გურამ ასათიანის, გიორგი მარგველაშვილის, მანუჩარ ანთაძის, გივი გვენეტაძის, გრიგოლ კაკიაშვილის, დიმიტრი თუხარელის, ლალი ავალიანის და სხვათა კვლევები), თუმცა განსახილველი საკითხის მასშტაბურობის გამო წინამდებარე მონოგრაფიაში მიმოხილვა არსებითად XIX საუკუნის მიწურულის ამსახველი მასალით წყდება.

მონოგრაფიაში ცალკე ქვეთავი ეთმობა ქართულ–გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. უნდა ითქვას, რომ ქართული რეალიები და თემატიკა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ფიგურირებდა გერმანელ მემატიანეთა და ჟამთააღმწერელთა, დიპლომატთა და მოგზაურთა, მწერალთა და მეცნიერთა ნაშრომებში. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობათა კვლევამ სისტემური ხასიათი XX საუკუნეში მიიღო.

ნაშრომში ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია წარმოდგენილია, ერთი მხრივ, გერმანულენოვან მკვლევართა მიერ ქართული ლიტერატურის დამუშავებისა და ჩვენი ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილის წარმოჩენით, მეორე მხრივ კი ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებდნენ გერმანელი მწერლე

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თავიანთ შემოქმედებაში (ანდრეას გრიფიუსი, ადამ ოლეარიუსი, ვერნერ ჰაპელი). აქვეა მოტანილია ცნობები ქართველოლოგიის სფეროში გერმანელი ავტორების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. გადმოცემულია მათი დამოკიდებულება ჩვენი მწერლობის პრობლემატურ საკითხებზე, პერიოდებზე, მწერალთა შემოქმედებაზე. იმავდროულად, განზოგადებულია ქართველ მეცნიერთა და სიტყვის ოსტატთა შეხედულებანი გერმანულ მწერლობაზე, მის ცალკეულ წარმომადგენლებზე; გამოკვლევაში სათანადო ყურადღება ეთმობა ქართველ მკვლევართა მიერ გერმანული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებული შრომების ანალიზს. აქცენტი უმთავრესად გადატანილია ფაქტების აღნუსხვასა და გამოთქმული მოსაზრებების ანოტირებაზე.

განსახილველ თემაზე მუშაობისას გათვალისწინებულია ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში აქამდე დაბეჭდილი მეცნიერული თუ პოპულარული გამოკვლევები – შ. რევიშვილის, გ. ხავთასის, დ. ლაშქარაძის, ზ. ჭარხალაშვილის, ნ. კაკაბაძის, ო. ჯინორიას, ვ. კავთიაშვილის და სხვა ქართველ მკვლევართა ნაშრომები, მონოგრაფია – „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში” (თბ., 2003), რომელშიც წარმოდგენილია ქართულ–გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის ისტორია, ქართული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებული შრომებისა და ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმანების ბიბლიოგრაფია.

ქართულ-ბრიტანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება. თავდაპირველად ეს ურთიერთობა სტიქიურად ვითარდებოდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო სისტემური ხასიათი მიიღო. დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება ამ ურთიერთობების კვლევის დასაწყისიც. ასე რომ, ამ დროიდან მოკიდებული, ერთი მხრივ, მრავალფეროვან ხასიათს იძენს ქართულ-ბრიტანული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის ფაქტები, ხოლო მეორე მხრივ, მყარ საფუძველზე დგება მათი მეცნიერული შესწავლა.

ქართულ და ბრიტანულ კულტურასა და ლიტერატურას შორის ორმხრივი კავშირი არსებობს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ქართველი, ასევე ბრიტანელი მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატურათ-მცოდნენი, თეატრალური მოღვაწეები. ქართულ-ბრიტანული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ამსახველი მასალა არაერთ ნაშრომში არის გამოვლენილი და მონოგრაფიულად შესწავლილი. მათ შორის მნიშვნელოვანია ნ. ორლოვსკაიას, დ. ლაშქარაძის, გ. შარაძის, ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძის, დ. ბარეტის, დ. მ. ლენგის, მ. პოლიევქტოვის, ქ. ვივიანის, ნ. ყიასაშვილის, მ. ოძელის ნაშრომები; მონოგრაფია „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში” ე. ხინთიბიძის რედაქციით (თბ., 2003), რომელშიც წარმოდგენილია ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის ისტორია, ქართული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებული შრომებისა და ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმანების ბიბლიოგრაფია.

ქართულ-ბრიტანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის კვლევა, ისევე როგორც თვით ამ ურთიერთობის ამსახველი ფაქტები, რამდენიმე თემატურ მიმართულებად შეიძლება დაიყოს. ნაშრომში ეს მიმართულებები ქრონოლოგიური და თემატური პრინციპით არის განხილული და გამოყოფილია იმ მეცნიერთა ღვაწლი, რომლებმაც იკვლიეს ლიტერატურათმცოდნეობის ეს სფერო და ხელი შეუწყეს მის სამეცნიერო დარგად და სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბებას.

ქართული თემატიკა ინგლისურ მწერლობაში შესწავლილი აქვთ ნატალია ორლოვსკაიას, ინესა მერაბიშვილს, დუდა გაწერელიას, აკაკი გაწერელიას, ირაკლი კენჭოშვილს, ელგუჯა ხინთიბიძეს.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია უილიამ რიჩარდ მორფილის, უილიამ ედუარდ დევიდ ალენის, დევიდ მარშალ ლენგის, რობერტ სტივენსონის, დევიდ ბარეტის, დონალდ რეიფილდის ნაშრომები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი ინგლისური ქართველოლოგიის განვითარებას, ინგლისურენოვან სამყაროში ქართული კულტურისა და მწერლობის გაცნობას, პოპულარიზაციასა და ქართულ-ინგლისური კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინგლისურენოვანი რუსთველოლოგია. ინგლისურ ენაზე არსებობს რუსთველის პოემის ოთხი, ერთმანეთისგან განსხვავებული თარგმანი (მარჯორი უორდროპი, რობერტ სტივენსონი, ვენერა ურუშაძე, ქეთრინ ვივიენი), რომლებიც, ისევე როგორც ინგლისელ მეცნიერთა რუსთველოლოგიური ნააზრევი, სათანადოდაა შესწავლილი ნ. ანდრონიკაშვილის, ზ. გამსახურდიას, ს. გოგიბერიძის, მ. ოძელის მიერ.

მეორე მხრივ, საყურადღებოა ქართველ მკვლევართა ინტერესი ინგლისური ლიტერატურის მიმართ. ინგლისურ და ქართულ რომანტიზმს ტიპოლოგიურად იკვლევენ თ. ნუცუბიძე, ც. ბენაშვილი, ნ. კოპალეიშვილი, მ. გელაშვილი, მ. ოძელი.

XIX საუკუნის ინგლისური რეალიზმის შესწავლა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეშივე დაიწყო და ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. იმ პერიოდის ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები თარგმნიდნენ მცირე ზომის თხზულებებს, ან ნაწყვეტებს ინგლისური მწერლობიდან და აქვეყნებდნენ თავიანთ მოსაზრებებს XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაზე და ზოგჯერ შედარებით ასპექტშიც განიხილავდნენ მას ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში. ეს ტენდენცია, ანუ ინგლისური რეალიზმის კვლევა ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში XX საუკუნეშიც გაგრძელდა. ამ კვლევის შედეგები შესწავლილი და შეჯამებულია მ. ოძელის ნაშრომში "ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის" (თბ., 1998).

ქართულ-ჩეხური ლიტერატურული ურთიერთობები, ფაქტიურად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, გასული საუკუნის 40-იან წლებში იწყება (თუმცა ქართული ლიტერატურის პირველი ნიმუშები ჩეხურ ენაზე ჯერ კიდევ 1884 წელს გამოჩნდა) და უკავშირდება ჩეხი ქართველოლოგის იარომირ იედლიჩკას სახელს, რომელმაც ჩეხურად თარგმნა არა მარტო ქართველ მეცნიერთა ფუნდამენტური ნაშრომები, არამედ თავის მშობლიურ ენაზე აამეტყველა ქართველ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები და არაერთი საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ქართული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებს. იარომირ იედლიჩკას მთავარ დამსახურებად ის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ჩეხეთში ქართველოლოგიას და მანვე აღზარდა ბრწყინვალე ქართველოლოგები, რომლებიც მომავალშიც პოპულარიზაციას უწევდნენ ქართულ ლიტერატურას ევროპაში: ვაცლავ ჩერნი და ივო ვაცულინი. წინამდებარე მონოგრაფიაში მიმოხილულია დასახელებულ მეცნიერთა მოღვაწეობის ყველა სფერო ქართველოლოგიაში – მათ მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები, ნაშრომები ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე და, რაც მთავარია, მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი ჩეხ ლიტერატურის კრიტიკოსთა თუ მწერალთა კამილ ხრობაკის, გენრიხ მიტინის, ვლადიმერ ნოვოტნის და სხვ. კრიტიკული წერილები თუ სტატიები თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართველ მეცნიერთაგან ქართულ-ჩეხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს იკვლევდნენ გიული ლეჟავა, ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, სერგო თურნავა, ალექსანდრე კაკულია, შალვა გვინჩიძე, რომლებიც ქართულ პერიოდულ გამოცემებში სისტემატიურად აქვეყნებდნენ როგორც საინფორმაციო ხასიათის წერილებს ამ სფეროში მომხდარი სიახლეების შესახებ, ისე ჩეხ მეცნიერთა თუ კრიტიკოსთა რეცენზიებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებისა თუ ჩეხურად თარგმნილი ქართული თხზულებების შესახებ. ქართულ-ჩეხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს მიეძღვნა სათანადო თავი კრებულებში: "ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი", "ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი საბჭოთა პერიოდში" ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ნაშრომში "ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში", სერგო თურნავას წიგნში "საზღვარგარეთული ქართველოლოგია", ლევან მენაბდის რედაქტორობით გამოცემული ოთხტომეულის "რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში" მეორე ტომში.

ქართულ ლიტერატურას სლოვაკი, ისევე როგორც ჩეხი მკითხველი საზოგადოება მე-20 საუკუნის შუახანებში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გაეცნო. სწორედ ამ პერიოდიდან შეინიშნება სლოვაკი მწერლებისა თუ პოეტების მთარგმნელობითი საქმიანობის გააქტიურება, რაც სხვა ქვეყნების ლიტერატურებთან ერთად სლოვაკეთში ქართული მწერლობის პოპულარიზაციასაც გულისხმობს. მართალია, ჩეხი მთარგმნელებისგან განსხვავებით, სლოვაკები, ძირითადად, რუსული ენიდან თარგმნიდნენ ქართულ ლიტერატურას, მაგრამ ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა სათარგმნი მასალის შერჩევას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი სლოვაკი პოეტისა და მწერლის, ქართველოლოგ მილოშ კრნოს მოღვაწეობა, რომელმაც სლოვაკურად თარგმნა და გამოსცა შოთა რუსთველის "ვეფხისტყაოსანი", შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია, სახელწოდებით "მერანი".

გასული საუკუნის 70-იან-90-იან წლებში სლოვაკი მკითხველი განსაკუთრებულად დაინტერესდა ქართველ პროზაიკოსთა ახალი თაობის შემოქმედებით. სლოვაკურად ითარგმნა და სოლიდური ტირაჟით დაიბეჭდა თამაზ ჭილაძის "აჰა, მიიწურა ზამთარი" და "თეთრი კვამლი", ნოდარ დუმბაძის "მე ვხედავ მზეს", "თეთრი ბაირაღები" და "მარადისობის კანონი", ოთარ ჭილაძის "ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", "გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", "რკინის თეატრი", ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხია", გურამ ფანჯიკიძის "თვალი პატიოსანი", "აქტიური მზის წელიწადი" და "რექვიემი". ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პუბლიკაციას კრიტიკული სტატიებითა და რეცენზიებით გამოეხმაურნენ ცნობილი სლოვაკი კრიტიკოსები ივან სლიმაკი, ონდრეი მარუშიაკი, დუშან სლობოდნიკი, რუჟენა დვორჟაკოვა-ჟიარანოვა და სხვები.

ქართული ლიტერატურის თარგმნა და შესწავლა ჩეხეთსა და სლოვაკეთში შეფერხდა და ბოლოს საერთოდ შეწყდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. ამის მიზეზად, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მთელ პოსტ-საბჭოურ სივრცეში შეიქმნა.

ე. ხინთიბიძე, მ. ელბაქიძე

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია

ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის სფეროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების სფერო. შუასაუკუნეების საქართველოს ბიზანტიასთან მრავალსაუკუნოვანი კულტურული, რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური კონტაქტი ჰქონდა და ამ კონტაქტის შესწავლა ქართველოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგის სფეროებში უკვე დიდი ხანია ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ ლიტერატურული ურთიერთობის ცალკეული მომენტებით ჯერ კიდევ ათონელი ქართველები დაინტერესებულან XI საუკუნეში. დიდი ქართველი მოღვაწენი არა მარტო პრაქტიკულად ქმნიდნენ ახალ ფურცლებს ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობაში, არამედ ლიტერატურის ისტორიკოსის თვალით აკვირდებოდნენ ძველს. ერთი მხრივ, საკუთარი მთარგმნელობითი პრინციპების მიხედვით თავიდან თარგმნიდნენ საღვთისმეტყველო ტექსტებს, მეორე მხრივ კი იკვლევდნენ მათ მიერ შენიშნული განსხვავების მიზეზებს. წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლა განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა ეფრემ მცირემ, რომელიც არა მხოლოდ თარგმანის ორიგინალთან მიმართების საკითხებს იკვლევდა, არამედ ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის სხვა მრავალი პრობლემასაც. ასე რომ, ამ ლიტერატურულ ურთიერთობებს ქართულ სინამდვილეში მეცნიერულად ჯერ კიდევ XI საუკუნეში იკვლევდნენ.

განსაკუთრებით ინტენსიური სახე ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას XX საუკუნეში მიეცა. ამ პრობლემატიკის შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, შალვა ნუცუბიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, მოსე გოგიბერიძემ და სხვებმა. საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ამ მიმართულებით კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, მოსე გოგიბერიძის, ელენე მეტრეველის, ივანე. ლოლაშვილის, ელგუჯა ხინთიბიძის, რომან მიმინოშვილის, ვახტანგ ბააკაშვილის... გამოკვლევებზე, რამდენადაც მათმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ დარგის განვითარებაში.[1]

კორნელი კეკელიძე - განუზომელია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ღვაწლი ქართული ლიტერატურის ისტორიის, კერძოდ კი - ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კურსის ჩამოყალიბება. ამ კურსში მრავალსაუკუნოვანი ძველი ქართული ლიტერატურა თავისი განვითარების ყველა ასპექტითაა შესწავლილი.

კორნელი კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია წარმოადგენს ერთსა და იმავე დროს აღნუსხვას, სისტემაში მოყვანასა და მეცნიერულ განზოგადებას ძველი ქართული ლიტერატურის დღემდე მოღწეული ყველა ძეგლისა და ამ ლიტერატურის შესახებ დაცული ყველა პირველწყაროსი. ნაშრომი, ერთი მხრივ, ენციკლოპედიური ხასიათისაა და, ამასთან ერთად, ლიტერატურული პროცესის წარმომჩენი და განმაზოგადებელი.

მეცნიერმა მოახდინა ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია,[2] სისტემატიზაცია ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის ძეგლებისა.[3] შეისწავლა

---

[1] მასალა დამუშავებულია შემდეგი მონოგრაფიის მიხედვით: ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 47 - 90

[2] კ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია (სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა), თბ., 19[illegible]

[3] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ.,

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ათონის ლიტერატურული სკოლის კულტურულ-ისტორიული ასპექტები და იქ მოღვაწე ქართველთა დამსახურებანი ქართული კულტურის წინაშე,[1] ასევე, ქართული საისტორიო მწერლობის პრობლემები.[2]

ძველი ქართული სასულიერო პოეზიის სფეროში კ. კეკელიძე იკვლევს ლიტურგიკულ და ჰიმნოგრაფიულ ტერმინოლოგიას, ძველი ქართული ლექსის სახეობებს, ჰიმნოგრაფიულ კრებულებს, ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებას. საერო მწერლობაში - მისი ფორმირების საკითხებს, აყალიბებს ქართული საერო მწერლობის სასულიერო მწერლობასთან კავშირისა და მის წიაღში წარმოშობის თეორიას. ამ ახალი ტიპის მწერლობის ფორმირების არსებით ფაქტორად მიიჩნევს XI–XII საუკუნეების საქართველოს სოციალურ–პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას[3].

კორნელი კეკელიძე ქართველი ერის ლიტერატურულ აზროვნებას სამართლიანად უკავშირებდა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს, განიხილავდა ამ პერიოდის დიდ ლიტერატურებთან კონტაქტში და, პირველ რიგში, ბიზანტიურ მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობაში. კორნელი კეკელიძე ქართულ სასულიერო მწერლობას მოიაზრებდა, როგორც დიდი ბიზანტიური ლიტერატურის ერთ უმნიშვნელოვანეს და ორიგინალურ შტოს. სწორედ ამიტომაც მის მეცნიერულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. მან შეისწავლა, გამოავლინა და აღნუსხა ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი ბიზანტიური ლიტერატურის მთელი მემკვიდრეობა. ძალზე მნიშვნელოვანია კ. კეკელიძის გამოკვლევა „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში," რომელიც პირველად 1927 წელს გამოქვეყნდა და რომელიც 1930–32 წლებში ითარგმნა და გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე. ამ შრომაში წარმოდგენილია (ანბანზე თანრიგით) უცხო ავტორები, რომელთა თხზულებების ქართული თარგმანები დღემდეა შემონახული, დასახელებულია ამ თხზულებათა შემცველი ძველი ქართული ხელნაწერები და, ხშირ შემთხვევაში, მითითებულია ქართულ თარგმანთა ბერძნული დედნებიც, ეს გამოკვლევა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევართათვის დღესაც ერთადერთ საძიებლად რჩება. ამავე ტიპისაა კ. კეკელიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია," რომელიც ნაწილების სახით გამოქვეყნდა 1921 წელს - „კიმენური რედაქცია" და 1947 წელს – „მეტაფრასული რედაქცია". ამათგან პირველი ნაწილი 1955 წელს ითარგმნა გერმანულ ენაზე. კ. კეკელიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მისი მონუმენტური ორტომეული „კიმენი."[4]

საყურადღებოა კ. კეკელიძის კვლევა-ძიება ბიზანტიურ მწერლობაში ქართული ლიტერატურიდან შესულ წიგნებზე. მეთორმეტე საუკუნის დიდი ქართველი მწერლის, გიორგი მთაწმინდელის ცნობა, რომ ეფთვიმე მთაწმინდელმა „ბალავარი" და „აბუკურა" „და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძულად,"[5] ჩვენს მეცნიერებაში მრავალგზისი

---

[1] კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან; „ეტიუდები", II, თბ., 1945; ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956

[2] კეკელიძე კ., ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები; „უნივერსიტეტის მოამბე", III, 1923; ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია; „ეტიუდები", IV, თბ., 1957; „მოქცევაჲ ქართლისაჲს," შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენცია; „ეტიუდები", I, თბ., 1956, გვ. 63-83

[3] კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 3–17

[4] „კიმენი," ტ. I (კ. კეკელიძის გამოცემა), ტფ., 1918; „კიმენი," ტ. II (კ. კეკელიძის გამოცემა), თფ., 1946;

[5] გიორგი მთაწმინდელი, „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი," [illegible]შანი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შესწავლის საგანია. როგორც „ბალავარიანის“ ქართული ტექსტის წარმომავლობისა და ბერძნულ რედაქციასთან მიმართების, ისე „აბუკურას“ რაობის საკითხში თავისი სიტყვა თქვა აკად. კ. კეკელიძემ ნაშრომებში: „ბალავარიანის“ რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“ (1960); „რომანი „აბუკურა“ და მისი ორი რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში“ (1960).

ბიზანტიურ ლიტერატურაში ქართველ მოღვაწეთა წვლილის გასათვალისწინებლად დიდმნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კ. კეკელიძეს გამოვლენილი და შესწავლილი აქვს ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულება „წესი.... თუ ვითარ ჯერ არს ცხოვრებად ..... მარტოდმყოფისად.“[1]

კ. კეკელიძემ თავისი სიტყვა თქვა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში ქართველი ავტორების გამოვლენის თაობაზე. მან მეცნიერულად დაასაბუთა ევაგრე პონტოელის ეროვნული წარმოშობით ქართველობის თეორია.

კ. კეკელიძის ნაშრომები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობაზე ბიზანტინისტიკისათვის.

კ. კეკელიძემ გამოავლინა ქართული თარგმანები, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია:

ძალზე საინტერესოა ის მასალა, რომელსაც ბიზანტიის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ მწერლობას აძლევს ქართული თარგმანები. ამ დარგში მეცნიერება დაინტერესებულია იმ წიგნის ჩასახვისა და განვითარების ისტორიით, რომელსაც „ტიპიკონი“ ეწოდება. „ტიპიკონი“ თავდაპირველი სახით იერუსალიმში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი კვალი პირველი ათი საუკუნის მანძილზე არსებობს მხოლოდ ფრაგმენტული ცნობების სახით, რომელიც VI საუკუნის პილიგრიმს სილვია აქვიტანელს ეკუთვნის, ქართულად კი კ. კეკელიძემ გამოავლინა და გამოსცა ამ წიგნის ძველი ქართული ვერსია მეშვიდე საუკუნის რედაქციით. იგი გადმოთარგმნილია ქართულ ენაზე VIII საუკუნის შუა წლებში და სახელად ეწოდებოდა „იერუსალიმის განჩინება.“[2]

კ. კეკელიძის მითითებით, ძველ ქართულ მწერლობას შემოუნახავს ბიზანტინისტიკისათვის ორიოდე უცნობი პოლემიკური ძეგლიც: ევსტრატი ნიკიელის ანტიკათოლიკური თხზულება „მოსაჭსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიად მათი და რადსათჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრეს“[3] და ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „დღესასწაულთათჳს,“ რომელიც იმპერატორ იუსტინიანე დიდს (527–565) მიეწერება. ეს უკანასკნელი თხზულება კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა კიდეც.[4]

კ. კეკელიძემ გამოავლინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა უცნობი ავტორის კანონიკური ძეგლი, რომლის ბერძნული დედანიც დაკარგულია: „კანონი მეექუსე კართაგენსა შინა შეკრებულთა ორას ათშჯდმეტთა მამათად“ (იხ. ბიბლიოგრაფია).

კ. კეკელიძის მიერ გამოვლენილია ბევრი აგიოგრაფიული ძეგლი, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულად ითვლებოდა. ესენია: „ტიმოთე ანტიოქიელის ცხოვრება“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „იოანე ურჰაელის ცხოვრება“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „აგათანგელე დამასკელის ცხოვრება“ (იხ. ბიბლიოგრაფია), და „იოანე დამასკელის ცხოვრება“ (იხ. ბიბლიოგრაფია), ეს „ცხოვრებანი“ თავდაპირველად არაბულად დაუწერია მიქელ შავმთელს, მაგრამ უმალვე უთარგმნია ბერძნულად სამუელ ადანელს. ასევე ძალზე საინტერესოა „პეტრე კაპეტოლელის ცხოვრება,“ (იხ. ბიბლიოგრაფია), რომელიც ქართული ხელნაწერით იოანე დამასკელს მიეწერება. აქვე უნდა აღინიშნოს არაბული

---

[1] კეკელიძე კ., ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში; „ეტიუდები,“ III, თბ.,1955, გვ.1-11.
[2] «Иерусалимский канонар VII века» (издание К. С. Кекелидзе, Тиф., 1912
[3] კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 486.
[4] კეკელიძე კ. „კიმენი,“ ტ., II, გვ. 67–71

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ენიდან თარგმნილი „წამება წმიდისა რომანოზ ახლისა მოწამისა,“ (იხ. ბიბლიოგრაფია), რომლის ავტორია სტეფანე მანსური, დამასკელი, საბაწმინდელი. ქართულ ენაზე შემონახულია, აგრეთვე, სტეფანე იერაპოლელის აგიოგრაფიული თხზულება „მარტვილობა გულანდუხტ სპარსისა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), რომელიც ქართული რედაქციის მიგნებამდე დაკარგულად ითვლებოდა. ბიზანტინისტიკისათვის ბევრ უცნობ ძეგლს მიაგნო აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ კრებულში. ესენია: იოსებ სკევოფილაქსის აგიოგრაფიული თხზულება. იგი ქართულ რედაქციაში ასეა დასათაურებული: „იოსებ მონაზონისა ჭურჭელთმცველისაჲ - ცხორებისა მიმართ და საკჳრველებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნე, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარქმნილისათა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „ევსტოქიის მარტვილობის მეტაფრასული ტექსტი“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „დიოს კონსტანტინოპოლელის ცხოვრება“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „ასტიონისა და შვიდი იტალიელი მხედრის მარტვილობა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), რომლის სრული რედაქცია ბერძნულად არ შემონახულა; „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „ფილეთეოსის მარტვილობა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), რომლის ფრაგმენტები მხოლოდ და მხოლოდ კოპტურ ენაზეა დაცული. დაბოლოს, კ. კეკელიძემ აღმოაჩინა ქართულ თარგმანებში შემონახული და ბერძნულ ენაზე დაკარგულად მიჩნეული მეტაფრასული რედაქციის საკითხავების მთლიანი კორპუსი. კერძოდ, მთელი შვიდი თვის – თებერვალ-აგვისტოს – მეტაფრასული მასალა, რომელიც იოანე ქსიფილინოსს გაუმეტაფრასებია. ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა ქართულად უთარგმნიათ XII საუკუნეში, კ. კეკელიძის ვარაუდით, დემეტრე I–ის დროს პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის მოღვაწეებს. იოანე ქსიფილინოსის კრებულიდან, გარდა ზემოთ დასახელებული თხზულებებისა, კ. კეკელიძე საგანგებოდ შეჩერდა კიდევ რამდენიმე მათგანზე: ევტვიქიანოსის აღწერილი „თეოფილე ეკონომის ცხოვრებაზე“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „წამება ევფსვიქი კაპადოკიელისაზე“ (იხ. ბიბლიოგრაფია).

კ. კეკელიძეს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოვლენილი ჰყავს ისეთი ბიზანტიელი მწერლები, რომელთა ხსენებაც კი არა ჩანს ბერძნულ მწერლობაში. მაგალითად, მისტიკოსი მწერლები: სტეფანე მძოვარი, პიმენი, საჰაკი, რომელთა შრომები ძველ ქართულ მწერლობაში X საუკუნემდე უთარგმნიათ.[1] მნიშვნელოვანია ჰომილეტიკური თხზულებები რამდენიმე ბიზანტიელი ავტორისა, რომელთა სახელებსაც პირველად ქართული თარგმანით ეცნობა დღევანდელი ფილოლოგიური მეცნიერება. ესენია: ტიმოთე იერუსალიმელი, პეტრე იერუსალიმელი, ივლიანე ტაბიელი, თეოდულე და ალექსანდრე კვიპრიელი. მათი თხზულებები ქართულ ენაზე მერვე საუკუნემდე უთარგმნიათ.[2] დასახელებულ მწერალთა თხზულებათაგან პეტრე იერუსალიმელის ჰომილია „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა“ კ. კეკელიძის საგანგებო შესწავლის საგანი გახდა.[3]

ძველი ქართველი მოღვაწეების მიერ თარგმნილი ლიტერატურული ძეგლების უმრავლესობის ბერძნული დედნები დღეისათვის შენახულია. მაგრამ ქართული ვერსიები ბიზანტინისტიკისათვის მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. ქართული თარგმანების მნიშვნელობას უპირველესად ის უდევს საფუძვლად, რომ ქართული ვერსია ხშირად უფრო ძველია, ვიდრე ამ თხზულების დღემდე შემონახული ბერძნული ხელნაწერები. ესეც რომ არ იყოს, ქართული თარგმანი თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს დამოუკიდებელ რედაქციულ სახეს და,

---

[1] კეკელიძე კ., ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში; „ეტიუდები”, III, თბ., 1955, გვ. 1-11.
[2] იქვე, გვ. 1-11.
[3] კეკელიძე კ., პეტრე იერუსალიმელის ჰომილია; „ეტიუდი”, VI, გვ. 22(

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ამდენად, მისი გაუთვალისწინებლობა ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონეზე ყოვლად მიუტევებელია. ამ მხრივ საინტერესოა კ. კეკელიძის მიერ შესწავლილი ძეგლები: ათანასე კულიზმელის მარტვილობა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „მარტვილობა სერგისა და ბაქოზისი“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „გურიას სამონასა და აბიბოსის მარტვილობა,“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „ცხოვრება დიდვიმოსისა და თეოდორასი,“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „ქრისტინეს მარტვილობა“ (იხ. ბიბლიოგრაფია), „მარტვილობა ქრისტეფორე კინოკეფალისა“ (იხ. ბიბლიოგრაფია).

ძველი ქართული მწერლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ბიზანტინისტიკისათვის იმ თვალსაზრისით, რომ მასში შემონახულია ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები ბიზანტიელ ავტორებზე. ამ კუთხით ქართული ლიტერატურა ნაკლებად არის შესწავლილი. ყოველი ცალკეული დაკვირვება, რომელიც ამ მიმართულებით მოუხდენიათ ქართულ მწერლობაზე, მდიდარ მასალას იძლევა. ამგვარ დაკვირვებათაგან უპირველესად აღსანიშნავია ძველი ქართული მწერლობის ცნობები მაქსიმე აღმსარებელზე, ისინი გამოავლინა და შეისწავლა კ. კეკელიძემ (იხ. ბიბლიოგრაფია).

კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და გამოაქვეყნა XI საუკუნის ქართველი მწერლის ეფრემ მცირის ორიგინალური თხზულება „მოსახსენებელი მცირე სჳმეონისათვის ლოღოთეტისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“ (იხ. ბიბლიოგრაფია). კ. კეკელიძემ სწორედ ამ საკითხავის პირველ ნაწილზე დაყრდნობით შეავსო ახალი ცნობებით სვიმეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია. კერძოდ, ქართული წყაროებით საბოლოოდ დამტკიცდა, რომ სვიმეონმა სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 982 წელს და გაამეტაფრასა ხუთი თვის აგიოგრაფიული საკითხავები: სექტემბრის, ოქტომბის, ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის თვეთა წმინდანების ცხოვრება-მარტვილობა.

1912 წელს კ. კეკელიძემ გელათის ხელნაწერებში იპოვა ბერძნული ენიდან XIII საუკუნეში ქართულად თარგმნილი დოკუმენტი, რომელიც სრული სახით მიმოიხილავდა კიმენური საკითხავების გამეტაფრასების ისტორიას.[1] ამ დოკუმენტზე დაყრდნობით კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ სვიმეონ ლოღოთეტის მუშაობა იოანე ქსიფილინოსს გაუგრძელებია. კერძოდ, მას გაუმეტაფრასებია დანარჩენი შვიდი თვის მასალა: თებერვალი – აგვისტო. ლიტერატურულ მოღვაწეობას კი იგი 1081 წლის შემდეგ შესდგომია. ეს ცნობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიკოსთათვის და ამიტომაც მას თავის დროზე ერთგვარი სენსაციაც კი მოჰყვა დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებში. ყველაზე საყურადღებო კი მაინც ის გახდა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ მწერლობაში მთლიანი სახით აღმოჩნდა შენახული ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა და ეს მაშინ, როდესაც იგი ბერძნულ ენაზე აღარსად ჩანს.

1920 წელს მან გამოსცა ძველი ქართული თარგმანი – „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ,“[2] რომლის ავტორია IX საუკუნის ბიზანტიელი მწერალი, მიტროფანე სმირნელი ეპისკოპოსი. რამდენადაც ამ ტექსტის ბერძნული დედანი ვერ დაიძებნა, კ. კეკელიძემ იგი მიაკუთვნა იმ ძეგლების რიგს, რომელთა დედნებიც დაკარგულად ითვლება. ამ ძეგლის შესწავლის მაგალითზე შევეცდებით ვუჩვენოთ კ. კეკელიძის გამოკვლევების მნიშვნელობა ბიზანტინისტიკაში თანამედროვე ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

---

[1] Кекелидзе К., Иоанн Ксифилин, продолжитель Симеона Метафраста; „ეტიუდები”, V, თბ., 1957, გვ. 227-241.

[2] მიტროფანე სმირნელი, „თარგმანებაჲ ეკლესიასტესი მიტროფანე ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ,“ (ტექსტი ვრცელი გამოკვლევით, კომენტარებითა და ლექსიკონით [illegible] 1920

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

„ეკლესიასტეს თარგმანების“ ქართული ვერსიის, A 61 ხელნაწერის მიხედვით, ამ კომენტარების ავტორები არიან მიტროფანე სმირნელი და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი (*ღირსისა მამისა ჩვენისა მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისა და ულჯმპიოდორე დიაკონისა მიერ აღწერილი თარგმანებად ეკლესიასტისად* – ამგვარადაა დასათაურებული თხზულება ხელნაწერში). ავტორობის ეს ვერსია დიდხანს არ იწვევდა ეჭვს. 1996 წელს მკვლევარმა ე. ჭელიძემ ნაშრომში „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია,“ შენიშნა, „რომ „ეკლესიასტეს“ ის განმარტება, რომელიც ქართულ თარგმანებში მიტროფანე სმირნელს მიეწერება და, რომელიც მიტროფანეს შრომებში არ იძებნება... სინამდვილეში არის გრიგოლ აკრაკანტელის თხზულება, რომლის ბერძნული ტექსტი გამოცემულია PG. t. 96, 741-1179.“[1] 2005 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში ამ ძეგლთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარი ნ. მრევლიშვილი შენიშნავდა: „კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ ტექსტი უსათუოდ გრიგოლ აკრაკანტელს ეკუთვნის, რაკიდა PG-ს გამოცემაში აკრაკანტელის სახელით არის დაცული, მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია. ქართული თარგმანის სიძველისა და PG–ს არაკრიტიკული გამოცემების გათვალისწინება გვაფიქრებინებს იმასაც, რომ, შესაძლოა, ***ეკლესიასტეს განმარტებათა*** ეს ტექსტი სწორედ მიტროფანე სმირნელ მიტროპოლიტს ეკუთვნოდეს და სწორი ვერსია ძეგლის ავტორის შესახებ ქართულ ხელნაწერში იყოს შემონახული.“[2]

ამ ტექსტის ავტორის საკითხის გარკვევას შეეცადნენ ბელგიელი მეცნიერებიც.. ვიდრე ისინი **ეკლესიასტეს** ამ ეგზეგეტიკური თხზულების კრიტიკულ გამოცემას მოამზადებდნენ, საკმაოდ ხანგრძლივი შრომა გასწიეს ხელნაწერთა ურთიერთმიმართების, თხზულების ავტორის თუ სხვა საკითხების გასარკვევად. მათი დასკვნისა და ავტორობის საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სწორედ ქართული თარგმანი.

1970 წლის დასასრულს, როდესაც ბელგიელმა მეცნიერებმა, დომ დეკერმა, მორის ჟერარმა და აბატმა რიჩარდმა გადაწყვიტეს გამოეშვათ Corpus Christianorum-ის ბერძნული სერია, ისინი შეუდგნენ გამოსაქვეყნებლად საინტერესო ნაშრომების ძიებას. Corpus Christianorum-ის ბერძნული სერიის გამომცემელთა ჯგუფის, კერძოდ - მორის ჟერარის დავალებით აბატმა მიშელ ოსტანმა დაიწყო ვრცელი ანონიმური ტექსტის გამოსაცემად მომზადება.[3]

დაახლოებით ამავე პერიოდში ნიუ-იორკელი იეზუიტი მამა ჯ. ეტლინგერი მუშაობდა გრიგოლ აკრაკანტელის ავტორობით დაცული **ეკლესიასტეს კომენტარების** გამოცემაზე. მალე მკვლევარისთვის ცხადი გახდა, რომ ტექსტი არ ეკუთვნოდა გრიგოლ აკრაკანტელს. რადგან ავტორობის ამ ვერსიას მხოლოდ გვიანდელი, XVII საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერები უთითებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერის ასლი, რომელიც დღესდღეობით ნეაპოლშია დაცული, წარმოადგენდა ამ ტექსტის პირველი გამომცემლის, წმ. ა. მორსელის გამოცემის

---

[1] ე. ჭელიძე, „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია,“ 1996 წ., გვ. 388

[2] ნ. მრევლიშვილი, ეკლესიასტეს განმარტებათა გელათური თარგმანები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „ინტელექტი;“ თბ. 2005; გვ. 4-5

[3] მასალის მომზადებისას ვეყრდნობით ნ. მრევლიშვილის მოხსენებას *„ეკლესიასტეს* მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის განმარტებათა წყაროები და ავტორობის ვერსია,“ პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი," თბ. 2009 (თავის მხრივ, ნ. მრევლიშვილი ეყრდნობა მოხსენებას, რომელიც ჟაკ ნურემ წაიკითხა ბელგიაში გამართულ ბიზანტინისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე 2008 წლის 28 აპრილს; "7e JOURNÉE D'ÉTUDE de la SOCIÉTÉ BELGE D'ÉTUDES BYZANTINES;" Facultés de l'Université Notre Dame de la Paix, Namur, BELGIQUE - Jacques Noret: *Métrophane, évêque de Smyrne, un grand auteur [illegible] l'improviste.*).

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ერთადერთი წყაროს. ტექსტი პირველად 1791 წელს გამოიცა და შემდეგში ეს გამოცემა გამოიყენა მინიმ. კომენტარის სამი სხვა ხელნაწერიდან ერთი აცეფალურია, ავტორის სახელი არსად არის მითითებული, ხოლო ორი ავტორად გრიგოლ ნოსელს ასახელებს. ამ ხელნაწერების კვლევის საწყის ეტაპზევე ცხადი გახდა, რომ ტექსტი არ ეკუთვნოდა გრიგოლ ნოსელს, რადგან ის აკრიტიკებდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ციტირებულ მონაკვეთებს. ამგვარად, რომში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერის, რომელიც ნეაპოლის ხელნაწერის წყაროს წარმოადგენდა და, რომელიც პირველმა გამომცემელმა გამოიყენა, არშიაზე ავტორად მითითებული იყო გრიგოლ აკრაკანტელი. ნეაპოლის ხელნაწერში გამეორებული ავტორობის ეს ვერსია ჯერ მორცელიმ, შემდეგ მინიმ და შემდეგ მთელმა ლიტერატურულმა სამყარომ გაიზიარა.

ძიების შედეგად ბელგიელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საკვლევი ტექსტი, რომელიც საკმაოდ დიდია, მას IX-X საუკუნის დიდი ფორმატის ხელნაწერში 113 გვერდი, ხოლო Corpus Christianorum-ის გამოცემაში 358 გვერდი უჭირავს, არ ეკუთვნის გრიგოლ აკრაკანტელს. ავტორობის საკითხი ისევ ღიად რჩებოდა. ჟაკ ნურე მამა ეტლინგერთან ერთად იკვლევდა ტექსტის ენობრივ-ლექსიკური მხარეს, რომელიც რიგი ინდივიდუალური მახასითებლებით გამოირჩეოდა. ისინი ცდილობდნენ პარალელები დაეძებნათ ლექსიკონებსა და TLG online-ში... ამგვარი კვლევა-ძიების შედეგად მხოლოდ ის დაასკვნეს, რომ ამ ავტორის არანაირი სხვა ნაშრომი, მით უმეტეს – ეგზეგეტიკური, არ არის შემორჩენილი. ტექსტის დაწერის სავარაუდო დროდ ჩათვალეს 530 და 630 წლებს შორის მონაკვეთი (იმ მოტივით, რომ არანაირი მინიშნება მუსულმანებთან დაკავშირებით არ გვხვდებოდა), ხოლო დაწერის ადგილად მიიჩნიეს ალექსანდრიის რეგიონი. ეტლინგერისა და ნურეს ამგვარი გამოკვლევით 2007 წლის ოქტომბერში კრიტიკულად გამოიცა **ეკლესიასტეს კომენტარის** ეს ტექსტი, რომლის ავტორადაც ფსევდო-გრიგოლ აკრაკანტელთან ერთად ფსევდო-გრიგოლ ნოსელიც მოიხსენიება. ნურეცა და მამა ეტლინგერიც იმთავითვე ხვდებოდნენ, რომ დასკვნას არგუმენტირება და დამაჯერებლობა აკლდა, ამიტომ გამოკვლევის ბოლო ნაწილში ისინი ამბობდნენ, რომ სიხარულით მიიღებდნენ ყველა აზრს, რომელიც საკითხის საბოლოო გარკვევაში დაეხმარებოდათ.

საკითხში გარკვევა მათ თავადვე მოახერხეს ტექსტის გამოცემიდან დაახლოებით ერთ თვეში. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს კოპოზიტური წარმოების ტერმინს ponhroboulia (ცუდის, ბოროტების გაკეთების სურვილი), რომელიც საკვლევ ტექსტში ოთხგზის იყო გამოყენებული. მკვლევარმა პიტერ ვან დენმა სცადა ამ ტერმინის მოძიება სხვა ძეგლებში, გამოიყენა ახლად გამოცემული Lexikon sur Byzantinischen Grazitat და ნახა, რომ ეს სიტყვა, გარდა **ეკლესიასტეს კომენტარებისა**, გამოყენებული იყო, აგრეთვე, ანსმანის მიერ გამოცემულ ქადაგებებში და მთავარანგელოზის ხოტბაში, რომელიც მიტროფანე სმირნელს ეკუთვნის. კვლევამ ახალი მიმართულება მიიღო. მალე დარწმუნდნენ, რომ არა მხოლოდ ეს ტერმინი, რიგი ინდივიდუალური მახასიათებლებისა, რომლებიც **ეკლესიასტეს კომენტარის** ტექსტში ადრევე შენიშნეს, დასტურდებოდა ანსმანის მიერ გამოცემულ ქადაგებებშიც. მეცნიერებს ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ ფსევდო-გრიგოლ აკრაკანტელის კომენტარები ეკუთვნოდა IX–X საუკუნეების ანონიმ ავტორს. შეეცადნენ ამ საკითხთან მიტროფანე სმირნელი მიტროპოლიტის კავშირის გარკვევას. მაგრამ მიტროფანე უცნობი სახელი იყო. საკითხში გასარკვევად დაიხმარეს ჰ. გ. ბეკი,[1] რომელიც მიუთითებდა ამ ავტორის რამდენიმე ცნობილ ნაშრომსა და **ეკლესიასტეს**

[1] Beck, Hans-Georg Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Re

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კომენტარების ქართულ თარგმანს. საუბარია სწორედ იმ თარგმანზე, რომელიც დაცულია საქართველოში, ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში (A 61) და, რომლის მიტროფანესეული ნაწილი კ. კეკელიძემ 1920 წელს გამოაქვეყნა. ამდენად, კვანძი შეიკრა. მეცნიერთათვის საეჭვო აღარ იყო, რომ **ეკლესიასტეს კომენტარის** საკვლევი ტექსტის ავტორი სწორედ მიტროფანე სმირნელი იყო. ცხადია, ქართული ხელნაწერის ბერძნული დედანი, რომელმაც ავტორობის სწორი ვერსია შემოინახა, გაცილებით ძველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამ თხზულების დღეისათვის შემორჩენილი ბერძნული ხელნაწერები, ან ის ხელნაწერები, რომლებიც ბერძნულ გამოცემებს დაედო საფუძვლად. და, სავარაუდოა, რომ ქართული ვერსიის წყარო იმგვარივე სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურებით ხასიათდებოდა, როგორიც A 61 ხელნაწერში დაცულ ძეგლს აქვს (ეკლ. მუხლი → მიტროფანე → ოლიმპიოდორე).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კორნელი კეკელიძის მიერ დასმული და გადაწყვეტილი საკითხების მნიშვნელობა გასცდა ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის დარგს. ამ პრობლემატიკას სამართლიანად უჭირავს სათანადო ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უფრო მეტიც: შეუძლებელია ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის თანამედროვეობის დონის შესაბამისი მეცნიერული ისტორიის შექმნა, თუ იგი არ გაითვალისწინებს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობისა იმ მასალას, რომელიც დაამუშავა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ.

შალვა ნუცუბიძე - აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე ქართული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც ქართველოლოგიის საგანგებო დარგის მეცნიერული საფუძვლების შემქმნელია. მან ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორია სამართლიანად დააფუძნა ქართულ-ბიზანტიური კულტურული, ლიტერატურული და ფილოსოფიური ურთიერთობის ხანგრძლივ პროცესზე. მკვლევარმა ძირითადად სწორედ ძველი ქართული მწერლობის პრობლემატიკის შესწავლას დაუკავშირა თავისი „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომეული, რომელიც შენაძენია არა მხოლოდ ფილოსოფოსებისთვის, არამედ უპირატესად, ქართველოლოგიისათვის. ქართულ აზროვნებას შალვა ნუცუბიძე განიხილავს ბიზანტიურ, სირიულ, სომხურ, არაბულ და რუსულ კულტურებთან კავშირში.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში მკვლევარმა თავისი ადგილი განუკუთვნა ძველი ქართული აზროვნების ყოველ დიდ გამოვლინებას - ქართული მითოლოგიით დაწყებული და იოანე ბატონიშვილის „კალმასობით” დამთავრებული. შალვა ნუცუბიძის მეცნიერული კვლევა-ძიების ცენტრში დგას აღმოსავლური რენესანსის პრობლემა, რომელსაც იგი პირველად შეეხო 1937 წელს იოანე პეტრიწის შრომების II ტომზე ს. ყაუხჩიშვილთან თანაავტორობით დართულ გამოკვლევაში. ამ ნაშრომში გატარებული თვალსაზრისით XI საუკუნეში ბიზანტიის საეკლესიო აზროვნება რენესანსამდე მივიდა, რომელმაც, თავის მხრივ, შემდგომი განვითარება დასავლეთ ევროპის კულტურაში პოვა. თვით ბიზანტიის რენესანსი აღმოსავლეთის ხალხთა დასავლეთის კულტურასთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს კულტურული პროცესი ბიზანტიაში შეჩერდა. გაგრძელდა და გაღრმავდა იგი XII საუკუნის საქართველოში. ამ საუკუნის საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა პროგრესმა ქართული რენესანსი განაპირობა, რომელმაც თვალნათლივი გამოვლენა პოვა პეტრიწის ფილოსოფიასა და რუსთაველის შემოქმედებაში. ამიტომაც შალვა ნუცუბიძე ინტერესდება XII საუკუნის მთელი ქართული ლიტერატურის (როგორც საერო, ასევე – სასულიერო) კვლევით.

იოანე პეტრიწის და არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ აზროვნებას ეხება შალვა ნუცუბიძის ერთი საგანგებო გამოკვლევა: „იდეოლოგიურ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XII ს. საქართველოში.“[1] სტატიაში განხილულია არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ შეტანილი ერთი ტრაქტატი – „პირმშოსათვის.“ შალვა ნუცუბიძის მტკიცებით, ეს ტრაქტატი არსენ იყალთოელის ხელიდანაა გამოსული, რადგან ტრაქტატში ჩანს პაექრობა იოანე პეტრიწის დებულებებთან. მასზე დაყრდნობით შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა თვალსაზრისი ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადის „საერო ფილოსოფიისა“ და „თეოლოგიურ-ფილოსოფიურის“ არსებობის შესახებ.

საკითხების ამ მიმართულებით კვლევამ შალვა ნუცუბიძე აღმოსავლური რენესანსის იდეამდე მიიყვანა. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, რენესანსის თავისებურებანი, რომელმაც დასავლეთ ევროპაში იჩინა თავი, მხოლოდ დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ იყო: იგი აღმოსავლეთში ადრე დაიწყო და შემდეგ დასავლეთში განვითარდა.

ეს თვალსაზრისი, რომელიც პირველად მოხსენების სახით გამოითქვა 1940 წელს და დაიბეჭდა სათაურით: „Восточный Ренесанс и критика европоцентризма“, დაედო საფუძვლად შალვა ნუცუბიძის მონოგრაფიას „Руставели и восточный Ренесанс“ (1947 წ.). ამ ნაშრომში შემდეგი გაღრმავება პოვა აღმოსავლური რენესანსის თეორიამ. XI–XII საუკუნეების ქართული კულტურა, და კონკრეტულად რუსთველის აზროვნება, მკვლევარს ქართულ რენესანსად მიაჩნია, რომელიც საუკუნეებით უსწრებს ევროპულ რენესანსს. მკვლევარის მტკიცებით, დასავლური რენესანსის სათავე აღმოსავლური რენესანსია, რომლის მწვერვალი ქართული რენესანსი და, კერძოდ, რუსთველის შემოქმედებაა.

ქართული რენესანსის თეორია პირველმა გაიზიარა ი. ჯავახიშვილმა და შემდეგ თანდათანობით იგი პოპულარული გახადა ქართულ მეცნიერებაშიც და მხარდამჭერები პოვა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაშიც (ნ. ი. კონრადი, ვ. მ. ჟირმუნსკი, ვ. კ. ჩალოიანი, ალ. ტოლსტოი).

ქართული რენესანსის თეორიის ჩამოყალიბებაში შალვა ნუცუბიძისათვის ძირითადი არგუმენტი არის რუსთველის შემოქმედება, რომლის შესწავლის საქმეს იგი ემსახურებოდა ათეული წლების მანძილზე. შალვა ნუცუბიძის მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიდან რუსთველზე, რომლებიც ეხება „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ცალკეულ დეტალებს, ასევე ზოგად საკითხებს, შემაჯამებლური ხასიათისაა მონოგრაფია – „Творчество Руставели“ (1958 წ.) მკვლევარი იცავს თეორიას, რომლის მიხედვითაც რუსთველის ფილოსოფიური წყარო ნეოპლატონიზმია. მის წინამორბედ მეცნიერთაგან საკითხის ამგვარად დასმით შ. ნუცუბიძე ყველაზე ახლოს ნიკო მარის პოზიციასთან დგას, მაგრამ ნუცუბიძემ საკითხის გადაწყვეტაში არსებითი კორექტივი შეიტანა: 1. თუ აქამდე ნეოპლატონიზმის გავლენაზე მსჯელობდნენ პოემის ცალკეული ეპიზოდების თუ დებულებების მიხედვით, შალვა ნუცუბიძემ ნეოპლატონიზმში დაინახა რუსთველის მსოფლმხედველობის, როგორც მთლიანი სისტემის, საყრდენი. 2. თუ აქამდე პარალელს ავლებდნენ რუსთველის პოემის ცალკეულ დებულებებსა და ზოგადად წარმოდგენილ ნეოპლატონურ ფილოსოფიას შორის, შალვა ნუცუბიძემ რუსთველის მსოფლმხედველობის საყრდენად **ქართული ნეოპლატონიზმი** გამოაცხადა.

ქართულ ნეოპლატონიზმს შალვა ნუცუბიძე ხედავს ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უდიდესი წარმომადგენლის, ფსევდო დიონისე არეოპაგელის ანუ, მისი აზრით, პეტრე იბერიელის აზროვნებაში. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ანტიკურ ხანას განეკუთვნება. XI–XII საუკუნეების ქართული კულტურა და ფილოსოფია სწორედ იმიტომაა ქართული რენესანსი, რომ მასში აღორძინდა ქართული ანტიკურობა – პეტრე იბერიელის ნეოპლატონიზმი და ეს

[1] შ. ნუცუბიძე, იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XI… შრომები”, ტ. VII, 1937

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

აღორძინება ფილოსოფიაში განხორციელდა ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის და, განსაკუთრებით, რუსთველის შემოქმედებაში.

ქართულ მეცნიერებაში პირველად შალვა ნუცუბიძემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ რუსთველს პოემაში დამოწმებული ჰყავს დიონისე არეოპაგელი. პოეტი მსჯელობს სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობის შესახებ, იცავს სიკეთის სუბსტანციალობის თეზისს და ამ დებულების ავტორად ასახელებს „ბრძენ დივოსს.“ შალვა ნუცუბიძის სამართლიანი დასკვნით, პოემის ამ სტროფში გატარებული თვალსაზრისი სავსებით ემთხვევა ფსევდო დიონისე არეოპაგელის მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად თეზისს და ამიტომაც რუსთველის „ბრძენი დივნოსი“ ფსევდო დიონისე არეოპაგელია.

შალვა ნუცუბიძის კონცეფციით როგორც დასავლურ, ასევე ქართულ რენესანსს ერთი ფილოსოფიური წყარო უდევს საფუძვლად – არეოპაგიტიკა და, რაც მთავარია, ეს წყარო ქართული აზროვნებაა. შალვა ნუცუბიძის თვალსაზრისით არეოპაგიტული მოძღვრების ავტორი დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი V საუკუნის მოღვაწე ფსევდო დიონისე არეოპაგელი ქართველი უფლისწული პეტრე იბერიელია.

1942 წელს ნაშრომში „Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита“ ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის საკითხის დასმით[1] შალვა ნუცუბიძემ ახალი სიტყვა თქვა როგორც ქართველოლოგიის და ბიზანტინისტიკის, ასევე შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით.

პეტრე იბერიელის და ფსევდო დიონისე არეოპაგელის იგივეობის აღიარებამდე დამოუკიდებელი გზით მივიდა ბელგიელი აკადემიკოსი, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი ერნესტ ჰონიგმანი. მან 1952 წელს გამოსცა მონოგრაფია: „პეტრე იბერიელი და ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებანი,“ რომლის რუსული თარგმანი 1955 წელს გამოაქვეყნა შ. ნუცუბიძემ.[2]

ნუცუბიძე–ჰონიგმანის თეორია თავდაპირველად გაიზიარეს როგორც უცხოელმა, ასევე ქართველმა მეცნიერებმა (ფ. დელგერი, ვ. გრიუმელი, ე. ივანკა, ხ. ვარდი), ასევე ქართველმა და საბჭოთა მეცნიერებმაც (ს. ყაუხჩიშვილი, ლ. მელიქსეთ–ბეგი, ვლ. ორლოვი, ნ. სიდოროვა, ვ. ჩალოიანი, შ. ხიდაშელი, ს. ენუქაშვილი). ცნობილმა ფრანგმა ბიზანტინისტმა ფ. გრიუმელმა ჰონიგმანის მიგნებას „განსაკუთრებული აღმოჩენა უწოდა“ შალვა ნუცუბიძის ამ ჰიპოტეზას დაეთანხმა ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნების ცნობილი სპეციალისტი ა. ლოსევი.[3] ძველი ლიტერატურის და ფილოსოფიის ისტორიკოსთა ერთი ნაწილი კი თავიდანვე უარყოფითად შეხვდა ამ ჰიპოტეზას (ი. ჰაუსჰერი, კიპრინი, ჰ. ენგბერდინგი, კ. კეკელიძე, ს. დანელია).

შალვა ნუცუბიძე თავის მრავალრიცხოვან პოლემიკურ სტატიებში ეკამათებოდა ამ თეორიის მოწინააღმდეგეებს და თავის თვალსაზრისს ახალი საბუთებით ამყარებდა.

მოგვიანებით დამოკიდებულება ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის მიმართ ნაწილობრივ შეიცვალა, რაც განაპირობა ჰ. ენგბერდინგის გამოკვლევამ,[4] რომელიც პრობლემას აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიათა განხეთქილების ფონზე განიხილავდა. მკვლევარმა აღმოსავლეთის ეკლესიას მონოფიზიტებთან შეთქმოლება დასწამა, რამდენადაც ამ თეორიით არეოპაგიტული კორპუსის შექმნა მიეწერება მონოფიზიტ მოღვაწეს, პეტრე იბერიელს. საკითხი იმდენად მწვავედ დადგა, რომ ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიამ დასავლეთის მეცნიერთა

[1] Нуцубидзе Ш., Таина Псевдо-Дионисия Ареопагита, „ენიმკის მოამბე,“ ტ. XIV, 1942
[2] Хонигман Э., Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита; “Труды ТГУ”, т. 59, 1955
[3] Лосев А., Эстетика Возрождения, М., 1978, გვ. 23
[4] Garit G., Le version georgienne du ,,Pre spirituel;'' 232, 1964

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შორის თითქმის ყველა მომხრე დაკარგა. ამ უკანასკნელ თვალსაზრისს და დასავლეთ ევროპის მეცნიერთა ახალ შრომებს აკრიტიკებს და პასუხს სცემს შ. ნუცუბიძის ნარკვევი: „Петр Ивер и античное философское наследие“ (Тб., 1963).

შალვა ნუცუბიძემ რამდენიმე წერილი მიუძღვნა ბეთლემში (იერუსალიმის მახლობლად) აღმოჩენილი ქართული მონასტრის წარწერებს,[1] რადგან ვარაუდობდა, რომ ამ წარწერებში მოხსენიებული მურვანი პეტრე იბერია და, რომ ამ მონასტრის მშენებლობა მის მოღვაწეობას უნდა უკავშირებოდეს. საკითხის საგანგებო შესწავლამ ეს ვარაუდი დაადასტურა და დააზუსტა.[2]

შალვა ნუცუბიძე, გარდა არეოპაგიტული კორპუსი ავტორობისა, პეტრე იბერიელის მიაწერს ე. წ. „მიზეზთა წიგნის“ ავტორობასაც.[3] ამ წიგნმა XI–XII საუკუნეებიდან მოყოლებული უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ აზროვნებაზე. თავდაპირველად მის ავტორად არისტოტელეს, მემდეგ პროკლე დიადოხოსს თვლიდნენ. შალვა ნუცუბიძე კი ვარაუდობს, რომ „მიზეზთა წიგნი“ შექმნა პეტრე იბერიელმა. მისი აზრით, „მიზეზთა წიგნი“ პეტრე იბერიელმა ქართულ ენაზე დაწერა.

შალვა ნუცუბიძის მონოგრაფიაში „К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“ (Тб., 1956) განხილულია „ბალავარიანის“ ავტორობის საკითხი. მკვლევარი დეტალურად აკრიტიკებს ფრ. დელგერის არგუმენტებს, იძლევა „ბალავარიანის“ ბერძნული და ქართული ტექსტის შედარებით ანალიზს და ასაბუთებს ეფთვიმე ათონელის ავტორობას. მაგრამ ყველაფერი ეს შალვა ნუცუბიძის გამოკვლევის ერთი მხარეა. მონოგრაფიის მეორე ნაწილი ეხება, ამ რომანის თავდაპირველი რედაქციის ავტორის საკითხს, რომელიც, შალვა ნუცუბიძის აზრით, VII საუკუნის ბიზანტიელი ნოველისტი იოანე მოსხი უნდა იყოს. შალვა ნუცუბიძის თვალსაზრისით, იოანე მოსხის ხელიდან გამოსულია „ბალავარიანის“ ქართული (კერძოდ – მოკლე, თბილისური) რედაქცია, რამდენადაც, შალვა ნუცუბიძის აზრით, იოანე მოსხი ეროვნებით ქართველი მწერალია, რომელიც წერდა ბერძნულადაც და ქართულადაც.

იოანეს ზედწოდება *მოსხი* ორგვარად შეიძლება განიმარტოს. იგი ნიშნავს ან ნორჩს – ყლორტს, ნორჩ ცხოველს, ხბოს, ან ეროვნებით მესხს. შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა თვალსაზრისი, რომ იგი მესხი, ანუ ეროვნებით ქართველი უნდა ყოფილიყო და მიიჩნია ორენოვან მწერლად.[4] ეს მოსაზრება გაიზიარა სიმონ ყაუხჩიშვილმა.[5] მკვლევრები, გარდა იოანე მოსხის ზედწოდებისა და „ბალავარიანის“ ავტორობის შესახებ ზემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისისა, ეყრდნობიან კიდევ შემდეგ გარემოებას: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე მოსხი ავტორია ძალზე პოპულარული ნოველების კრებულის – „ლიმონარიისა.“ ეს კრებული შედარებით სრული სახით ჩვენამდე მოღწეულია ბერძნულ, ქართულ, ლათინურ და ძველ რუსულ ენებზე; ცალკეული ნოველების სახით არაბულ ენაზედაც. ლათინური და ძველი რუსული ვერსიები აშკარად ბერძნული დედნიდანაა თარგმნილი. ქართულ ენაზე „ლიმონარი“ ანუ ქართული სახელწოდებით „სამოთხე,“ დაცული სამი ხელნაწერით, რომელთაგან უძველესი თარიღდება 925 წლით. X საუკუნისაა ამ თხზულების ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული ხელნაწერებიც. ქართული და ბერძნული რედაქციების

---

[1] ნუცუბიძე შ., პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები; „მნათობი”, I, 1959; ნუცუბიძე შ., ქართული წარწერები იერუსალიმში; „კომუნისტი,” 1959, 4.I; ნუცუბიძე შ., იერუსალიმის ახალი გათხრების ზოგიერთი საკითხი; „დროშა,“ 2, 1959

[2] წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960

[3] ნუცუბიძე შ., „მიზეზთა წიგნის” ავტორია პეტრე იბერი; „მნათობი,” 7, 1959; Нуцубидзе ш., Петр Ивер и античное философское наследие, Тб., 1963

[4] იქვე, გვ. 94–142; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ.217–220, 290–312

[5] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973; გ[illegible] მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი; „ცისკარი,” 2, 1958.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ერთმანეთთან შედარება შ. ნუცუბიძესა და ს. ყაუხჩიშვილს აფიქრებინებს, რომ ქართული არ არის თარგმნილი ბერძნულიდან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნოველათა ერთ ნაწილს, რომელიც ქართულში აშკარად ბერძნულიდანაა თარგმნილი და, სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, გვიან ჩართული, ქართული, მკვლევართა ფიქრით, სავსებით დამოუკიდებელი რედაქციაა. ამაზე დაყრდნობით შალვა ნუცუბიძე ასკვნის, რომ „ლიმონარიის“ ბერძნული და ქართული რედაქციები დაწერა იოანე მოსხმა ერთი ბერძნულ და მეორე ქართულ ენებზე.

ამრიგად, შალვა ნუცუბიძის ჰიპოტეზები, თეორიები და გამოკვლევები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობისა და ძველ საქართველოში ფილოსოფიური აზრის განვითარების ძირითად პრობლემატიკას მოიცავენ. მკვლევარის მიერ დასმული პრობლემების დამუშავებას ქართველ მეცნიერთა მთელმა თაობებმა მოჰკიდეს ხელი. შალვა ნუცუბიძის გამოკვლევებმა ქართულ მეცნიერებაში კრიტიკული გამოხმაურებაც მრავალგზის გამოიწვიეს და ბევრი მომხრე და გამგრძელებელიც გამოუჩნდა მეცნიერის თითოეულ თეორიას თუ ჰიპოტეზას. დღეისათვის ამ თეორიებისა და ჰიპოთეზებისაგან ბევრი მათგანი არაა გაზიარებული, მაგრამ შ. ნუცუბიძის მიერ დასმული საკითხების შემდგომი კვლევით ავიდა ქართველოლოგიური მეცნიერება ახალ, თანამედროვე სიმაღლეზე.

სიმონ ყაუხჩიშვილი - დიდია აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის წვლილი ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევაში. მისი მეცნიერული მოღვაწეობის ჰორიზონტი ძალზე ფართოა. მისი ავტორობით გამოვიდა „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეული.[1] იგია სერიის „გეორგიკა“ (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ) რვატომეულის გამომცემელი. სიმონ ყაუხჩიშვილმა შეისწავლა, მეცნიერულად დაამუშავა და გამოსცა ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი.. სიმონ ყაუხჩიშვილის გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინეს ძველი ბერძნული ლიტერატურის, ბიზანტიის ლიტერატურისა და ისტორიის, ძველი საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ენისა და ლიტერატურის ბევრ ურთულეს საკითხს. მისი ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ფართო მიმოხილვა შესრულებულია ა. ურუშაძის და გ. მჭედლიძის სპეციალურ გამოკვლევებში[2]

ამჯერად ჩვენ შევჩერდებით სიმონ ყაუხჩიშვილის უდიდეს დამსახურებაზე ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ცალკეული პრობლემების მეცნიერული დამუშავების კუთხით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმონ ყაუხჩიშვილის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია;“ „გეორგიკის“ რვატომეულში შეტანილი ბიზანტიელი ავტორების თარგმანები მთარგმნელის კომენტარებით. გამოცემები ძველი ლიტერატურის ძეგლებისა: „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ,“ „იოანე პეტრიწის შრომები;“ ცალკეული გამოკვლევები ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე: „შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი;“ „კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის;“ „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი;“ „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ;“ „პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ;“ „ლიბანიოსი და ბაკური;“ „მიქაელ ფსელოსის ერთი „განმარტებაჲ;“ მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის;“ „ისტორიანი და აზმანი

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1946; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1949; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, (ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია) თბ., 1963

[2] ა. ურუშაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, თბ., 1975; გ. მჭედლიძე, ქართლის [illegible] თბ., 1975

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შარავანდედთანი“ და „იოანე პეტრიწი;“ „ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები;“ „ბიზანტიური რომანი მეექვსე საუკუნისა „ღალატიონი და ეპისტიმია;“ „ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის საკითხები;“ „ქართლის ცხოვრება“ და „მსოფლიო ისტორია;“ „გელათის აკადემია;“ „საბერძნეთის უძველესი მოსახლეობისა და ბერძნული ენის შექმნის საკითხი;“ „პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი – V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები;“ „ახალი წიგნი პეტრიწონის შესახებ;“ „ახალი ვარიანტი ქართული რომანისა „სიბრძნე ბალავარისა;“ „ახალი მასალები ძველი ქართული პოეზიის ისტორიისათვის;;“ „გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერიელი და მისი პორტრეტი;“ „გიორგი მერჩულეს“ გარშემო“ (პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ გამო); „მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი;“ „შ. რუსთაველი და ჯვრის მონასტერი;“ „არეოპაგიტული წიგნების გარშემო პეტრე იბერიელი და დიონისე არეოპაგელი;“ „ჯვრის მონასტრის ხელნაწერები;“ „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ;“ „მეარისტოტელურა;“ „წარსულის დიდი ფურცლები“ (ე. ხინთიბიძის მონოგრაფიაზე „ბიზანტიურ ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“).[1]

ქართულ-ბერძნული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემათაგან პირველია წინაბერძნული მოსახლეობის ეთნოგენეზისის საკითხი. ბერძნული ენის, ისტორიისა და კულტურის მკვლევართა წრეში წამოყენებულია მოსაზრება, რომ ინდოევროპული მოდგმის ბერძნებს, რომლებიც დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე ბალკანეთის ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, ამ ადგილას დახვდათ არაინდოევროპული მოსახლეობა და მათ მიერ შექმნილი მაღალი კულტურა. სიმონ ყაუხჩიშვილის ნაშრომებში[2] გატარებულია აზრი, რომ ამ წინაბერძნულ მოსახლეობას და ქართველურ ტომებს მცირე აზიის სახით საერთო კულტურული საფუძველი აკვანი ჰქონდათ. ამ პრობლემის განვითარებას ვხედავთ სიმონ ყაუხჩიშვილის შეხედულებაში უძველეს ბერძნულ და ქართულ მითოსზე. მკვლევარი ფიქრობს, რომ არ შეიძლება პრომეთესა და ამირანის ერთმანეთისაგან დაშორება და, რომ ეს თქმულება მონათესავე ხალხების შექმნილია. კერძოდ, მისი აზრით, პრომეთეს დაპირისპირება ზევსთან ესაა ურთიერთბრძოლა ორი კულტურისა – წინაბერძნული და ახალი ბერძნული კულტურებისა.[3] ამავე პრობლემას უკავშირებს ს. ყაუხჩიშვილი აქილევსის საკითხს. „ილიადას“ მთავარი გმირი აქილევსი არაბერძნული მოსახლეობიდან ერთ-ერთი ტომის მეფეა. კერძოდ, „ხომალდთა კატალოგი“ მას იხსენიებს „პელაზგურ არგოსში.“ მაშასადამე, იგი თესალიიდანაა, რომელსაც ჰოროდოტე პელასგების ქვეყნად მიიჩნევს. ამ გზითაც ბერძნული ეპოსი ქართველთა წინაპარ მცირეაზიელ ხალხებსა და ძველ ბერძნულ მოსახლეობას შორის ძველ კონტაქტებზე მეტყველებს.[4] ამავე არეალშია ჩართული სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ჰომეროსის პოემების მეტრული საზომის – დაქტილური ჰეგზამეტრის საკითხიც. დაქტილური ჰეგზამეტრი არაა მიჩნეული ბერძნულ და საზოგადოდ ინდოევროპული წარმოშობის სალექსო ზომად. სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, დაქტილური პეგზამეტრის საწყისებიც უძველეს ქართულ ლექსთწყობაში უნდა ვეძიოთ.

სიმონ ყაუხჩიშვილი იკვლევს ქართულ სამყაროსთან ბერძნულის კონტაქტებს ელინისტური პერიოდის ბერძნულ ლიტერატურაშიც. სწორედ ეს განაპირობებს იმ გარემოებას, რომ „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე

---

[1] ს. ყაუხჩიშვილის შრომების ჩამონათვალი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით იხ. ბიბლიოგრაფიაში.

[2] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1950, გვ. 18

[3] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1950; ყაუხჩიშვილი ს., რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964

[4] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1950.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ტომში დეტალურადაა დამუშავებული აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ მისი უხვი „კოლხური“ პასაჟებით და სტრაბონის „გეოგრაფია“ საყურადღებო ცნობებით ძველ ქართველ ტომებზე.[1]

მეცნიერი თანმიმდევრულად იკვლევს *არეოპაგიტული კორპუსის* ავტორობის საკითხს. ამ პრობლემისადმი ინტერესი მკვლევარს 1939 წლიდან გამოუმჟღავნებია. ამ პრობლემას ს. ყაუხჩიშვილმა სამი საინტერესო ნარკვევი უძღვნა: „არეოპაგიტიკა,“ „პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი – V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები,“ „არეოპაგიტული წიგნების პრობლემა.“ ფსევდო დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის დასასაბუთებლად სიმონ ყაუხჩიშვილმა ერთი საინტერესო ცნობა მოიტანა: ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებებს ერთ სირიულ ხელნაწერში (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, №284) დართული აქვს სპეციალური შენიშვნა, რომელშიც მოთავსებულია ცნობები პეტრე იბერიელზე. მკვლევარი ასკვნის: საფიქრებელია ამ სირიული ნუსხის გადამწერმა იცოდეს, რომ არეოპაგიტული ნაწერების ავტორი პეტრე იბერიელია.[2]

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების შემდეგი დიდი პრობლემა, რომელიც შემოდის სიმონ ყაუხჩიშვილის კვლევის სფეროში, არის ბიზანტიური რომანის „ვარლამ და იოასაფის“ გენეზისის საკითხი. მკვლევარი თანმიმდევრულად იცავს ქართველ ფილოლოგთა თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ბერძნული „ვარლამ და იოსაფის“ ავტორია X–XI საუკუნეების მიჯნის დიდი ქართველი მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი. ამ თეზისის დასასაბუთებლად იგი შემდეგ არგუმენტებს მოიხმობს: 1. „უძველესი ბერძნული ხელნაწერი (XI საუკუნის შუაწლების წინა ხანებისა), რომელიც ეკუთვნის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკას ვენეციაში, „ბალავარის“ ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელად ექვთიმე იბერიელს ასახელებს (ამასვე იმეორებს XIV საუკუნეში გადაწერილი ერთი ხელნაწერიც პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა).“[3] 2. „არსებობს ლათინური თარგმანი „ბალავარისა,“ რომელიც შესრულებულია ბერძნული ტექსტიდან XI საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო წლებში..... ლათინური თარგმანიც სათაურში იხსენებს ბერძნულ ენაზე მთარგმნელად „წმინდა კაცს, ექვთიმეს.“[4] 3. ეფთვიმე იბერიელს „ბალავარის“ მთარგმნელად ქართული ენიდან ბერძნულად თვლის ეფთვიმეს ბიოგრაფი გიორგი მთაწმინდელი.[5] სიმონ ყაუხჩიშვილი ეფთვიმეს მიერ ქართულიდან გადაკეთებულად მიიჩნევს „ბალავარიანის“ მოკლე ქართულ რედაქციას, რომელსაც „სიბრძნე ბალავარისა“ ეწოდება. რამდენადაც ამ მოკლე ქართულ ვერსიასთან შეფარდებით ბერძნული „ვარლაამ და იოასაფი,“ როგორც სიმ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ერთი-სამად მეტია, მკვლევარის მითითებით, ეს ჩანართები სხვადასხვა საღვთისმეტყველო წიგნებიდან მოხმობილი ფრაგმენტებია.

სიმ. ყაუხჩიშვილი გულდასმით იკვლევს „ვარლამ და იოასაფის“ ბერძნულ ხელნაწერთა ლემას.[6]. იგი ბელგიელი მეცნიერის, პ. დევოს მსგავსად ბერძნულ ხელნაწერთა ლემის უძველეს სახედ მიიჩნევს იმ ტიპის ლემას, რომელშიც არის მითითება როგორც ამ ამბის მომტან იოანეზე, ასევე მის მთარგმნელ ეფთვიმეზე; ხოლო ლემის მეორე სახეობა (მხოლოდ იოანეზე მითითება) შემდგომ გადაკეთებად მიაჩნია.

სიმ. ყაუხჩიშვილის აზრით, „ბალავარიანის“ ქართულ ენაზე მოღწეული ორი რედაქციიდან (მოკლე და ვრცელი) პირველადია მოკლე ვარიანტი, ხოლო

---

[1] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1949
[2] ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 116
[3] იქვე, გვ. 207
[4] იქვე, გვ. 207
[5] იქვე, გვ. 208
[6] იქვე, გვ. 224–230

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ვრცელი მასზეა დამოკიდებული. ამ მოკლე ვარიანტის ანუ „სიბრძნე ბალავარისას“ შექმნის სავარაუდებელ ეპოქად სიმ. ყაუხჩიშვილი VII–X საუკუნეებს მიიჩნევს.[1]

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, სიმონ ყაუხჩიშვილი შალვა ნუცუბიძესთან ერთად ავტორია ჰიპოთეზისა იმის თაობაზე, რომ VII საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი ნოველისტი, იოანე მოსხი ეროვნული წარმოშობით ქართველია და წერდა ბერძნულ და ქართულ ენებზე. სიმ. ყაუხჩიშვილი დეტალურად მსჯელობს იოანე მოსხის „ლიმონარის“ ანუ „სამოთხის“ ქართულ რედაქციაზე[2] იგი ასკვნის: „ა) ქართული ნოველების ერთი ძირითადი წყება ორიგინალური ქართულია ბ) დროდადრო ბერძნული ნოველების კრებული („ლიმონარი”) ივსებოდა და ქართული ნოველების კრებულს ან ემატებოდა ახალი ნოველები, ბერძნული შევსებული კრებულიდან ნათარგმნი, ან ძველი ქართული ნოველების გადასინჯვა ხდებოდა. ამით აიხსნება ის, რომ ქართულ ტექსტში გვხვდება ისეთი შემთხვევები, რომლებიც მოწმობენ ქართული ტექსტის ორიგინალურობას, და გვხვდება ბერძნიზმების გავლენაც.“[3]

სიმ. ყაუხჩიშვილის კვლევის საგანია ე. წ. ბიზანტიური რენესანსის მწერალთა შემოქმედება. კერძოდ, მწერალი დაწვრილებით ჩერდება მიქელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს უკავშირებს ამ სკოლას.[4] სიმ. ყაუხჩიშვილმა ქართულ ხელნაწერებში გამოავლინა და გამოსცა მიქაელ ფსელოსის ორი თხზულების თარგმანი „პირმშოსათვის“ და „დღესასწაულთა განმარტება.“[5] მან ყურადღება მიაქცია იოანე იტალოსის ერთ წერილს აფხაზი გრამატიკოსისადმი და ნიკო მარის კვალდაკვალ ჩათვალა, რომ ეს აფხაზი გრამატიკოსი იოანე პეტრიწი უნდა იყოს. ეს ვარაუდი დაასაბუთა სიმ. ყაუხჩიშვილის მოწაფემ ნ. კეჭაღმაძემ.[6]

ქართულ–ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი მასალაა სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ თარგმნილი და კომენტირებული „გეორგიკის“ რვატომეული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

სიმ. ყაუხჩიშვილი არის მთარგმნელი და განმმარტებელი ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიკოსების – გელასი კესარიელის, რუფინუსის, თეოდორიტე კვირიელის, სოკრატე სქოლასტიკოსის, ერემია სოზომენეს ცნობებისა იბერიის გაქრისტიანებაზე.[7] მან „გეორგიკის“ მეორე ტომში შეიტანა ძალზე მნიშვნელოვანი მასალა პეტრე იბერიელის ბიოგრაფიისათვის: იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრების“ ერთი ნაწილის თარგმანი რ. რააბეს გერმანული პუბლიკაციიდან და იოანე რუფუსისავე „პლეროფორიების“ ნაწყვეტების თარგმანი ფ. ნაუს ფრანგული გამოცემიდან.[8] „გეორგიკის“ მერვე ტომში 1970 წელს მან გამოაქვეყნა დოკუმენტური მასალა – „ათონის ივერთა მონასტრის აქტები (ხრისობულები, სიგელ-გუჯრები, პრაქტიკონები).“ ეს პუბლიკაცია ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის მკვლევართათვის უაღრესად ფასეულია.

„გეორგიკის“ მეხუთე ტომში შეტანილია ბიზანტიური კანონიკური ლიტერატურის ერთი უბრწყინვალესი ძეგლი ქართული თარგმანითურთ – XI საუკუნის ეროვნებით ქართველი ბიზანტიელი მხედართმთავრის, პეტრიწონის

---

[1] იქვე, გვ. 230-236
[2] იქვე, გვ. 236–246
[3] იქვე, გვ. 244
[4] იქვე, გვ. 250–263
[5] იქვე, გვ. 258; 23, გვ. 241–263
[6] კეჭაღმაძე ნ., იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ. 1970, გვ. 123–148
[7] „გეორგიკა”, I (ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი დ
[8] „გეორგიკა,” II (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა), თბ., 1965,

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართული მონასტრის მაშენებლის, გრიგორ ბაკურიანისძის „პეტრიწინის წესდება.“ გრიგორ ბაკურიანისძეს თავისი მონასტრისათვის 1084 წელს დაუწერია **ტიპიკონი** ანუ წესდება, რომელიც შეუდგენია კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის **ტიპიკონის** მიხედვით. **ტიპიკონი** თავდაპირველად დაიწერა ორ ენაზე – ბერძნულსა და ქართულზე. ბერძნულზე იმიტომ, რომ იგი იყო ოფიციალური სახელმწიფო ენა და საბუთს სიმტკიცე მხოლოდ ამ ენაზე ექნებოდა. ამიტომაც სწორედ ბერძნული რედაქციაა ხელმოწერილი და ბეჭედდასმული გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ. ბერძნული ტექსტი ორ ცალად დაწერილია. ერთი ცალი კონსტანტინოპოლში გაგზავნილა არქივში შესანახად; მეორე, ალბათ, მონასტერში ინახებოდა. ქართულ ენაზე ტექსტის დაწერა იმითაა დასაბუთებული, რომ მონასტრის მკვიდრნი ქართველები არიან და სხვა ენა არ იციან. სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, ქართული და ბერძნული რედაქციების მიმართების შესწავლის დღევანდელ დონეზე არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, „თუ რომელი რედაქციაა პირველდედანი, მაგრამ აპრიორი შეუძლებელია არ დავუშვათ, რომ ჯერ დაიწერა ერთი მათგანი.“[1] *პეტრიწონის წესდების* შესახებ ცნობა 1887 წელს დაბეჭდა პ. ბეზობრაზოვმა, შემდეგ – 1888 წელს ამ *წესდების* ტექსტის ახალბერძნული თარგმანი მოგვცა გიორგი მუსეოსმა, ხოლო წესდების ძველბერძნული ტექსტი 1904 წელს გამოაქვეყნა ლუი პეტიმ. 1954 წელს მ. თარხნიშვილმა გამოსცა პეტრიწონის წესდების ძველქართული რედაქცია. მანვე მიუთითა, რომ კუნძულ ქიოსზე მოიპოვება ქართული რედაქციის სხვა ნუსხა. მართლაც, კუნძული ქიოსის კორაის სახელობის ბიბლიოთეკის №1598 ხელნაწერში აღმოჩნდა პეტრიწონის წესდების როგორც ქართული, ასევე ბერძნული რედაქცია. სწორედ ეს უკანასკნელი ქართული თარგმანითა და სპეციალური გამოკვლევით გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა. ამ გარემოებას ძალზე მნიშვნელოვანი დაზუსტებები შეაქვს ლუი პეტის პუბლიკაციაში.[2] განსხვავებით განსხვავებით წინა გამოცემისაგან, იგი ეყრდნობა არა გვიანდელ, არამედ XII–XIII საუკუნის ნუსხას და შემკულია ფილოლოგიური აპარატით (გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებელი). იმავე ხელნაწერში მოთავსებული ქართული რედაქცია ამ წესდებისა გამოსცა აკაკი შანიძემ 1971 წელს.[3]

ამრიგად აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მრავალრიცხოვანმა და მრავალმხრივმა გამოკვლევებმა ახალი ეტაპი შექმნეს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევაში.

მოსე გოგიბერიძე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსია. იგი ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსიც იყო. უპირატესად მეთორმეტე საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ-ლიტერატურული აზრის განვითარებას იკვლევდა. ამ მხრივ მისი ინტერესის სფეროში შევიდა კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურული აზროვნება და მისი მიმართება როგორც ანტიკურ ბერძნულ, ასევე ბიზანტიურ ლიტერატურასა და ფილოსოფიასთან. მოსე გოგიბერიძის გამოკვლევები ამ სფეროში 1937–1947 წლებით თარიღდება. ისინი ერთ კრებულად შეკრიბა და წინასიტყვაობით, შენიშვნებით, ავტორის ბიოგრაფიისა და ნაწერების სიის დართვით გამოაქვეყნა იოსებ მეგრელიძემ[4] (ქვემოთ გვერდები მითითებულია ამ გამოცემის მიხედვით). მოსე გოგიბერიძის გამოუქვეყნებელი შრომებიდან ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით საგულისხმოა „რუსთაველი და ჰომეროსი,“ 1947 წელს დაწერილი 105 გვერდიანი სტატია, რომელიც დღეისათვის დაკარგულია.

---

[1] „გეორგიკა,“ V (ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა), თბ., 1963, გვ. 273

[2] ლოლაშვილი ი., მიქელ ფსელოსის ფილოსოფიურ–ეგზეგეტიკური ტრაქტატი „პირმშოსათვის,“ „ძველი ქართული მწერლობის საკითხები,“ II, თბ., 1964

[3] შანიძე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, [illegible] 1971

[4] მ. გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ., 1961

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მოსე გოგიბერიძის ინტერესის სფეროში ძველი ქართული მწერლობიდან XI–XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნება დგას. იგი XII საუკუნემდელი ქართული ლიტერატურის განვითარებაში ორ ისტორიულ გზას ხედავს. ქართული კულტურის პირველ გზას იგი ქრისტიანულ ბერძნულს უწოდებს; ხოლო მეორეს - საერო მწერლობის გზას, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა. მკვლევარის აზრით, ჩვენი კულტურის ამ ორმა გზამ ქართული აზროვნების განვითარება ორ მწვერვალამდე – იოანე პეტრიწამდე და შოთა რუსთველამდე მიიყვანა.

ქართული კულტურის პირველი გზიდან მკვლევარმა სპეციალურად შეისწავლა იოანე პეტრიწის ფილოსოფია. პეტრიწის დიდი წინამორბედებიდან მოსე გოგიბერიძემ მოკლედ მიმოიხილა მხოლოდ ეფრემ მცირის მსოფლმხედველობა. მკვლევრის დასკვნით, ეფრემ მცირე არის „ორთოდოქსალურ-ქრისტიანული თეოლოგიისა და სქოლასტიკის ადრინდელი ეტაპის წარმომადგენელი. მისი ფილოსოფია ქრისტიანულია. ე. ი. კაპადოკიელი მამებიდან გამომდინარე, და მერვე საუკუნის ბოლოს საბოლოოდ გაფორმებული იოანე დამასკელის მიერ.“ (გვ. 143).

იოანე პეტრიწი კი მოსე გოგიბერიძის თვალსაზრისით, ქართული ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ ეტაპს ქმნის, უკვე უპირისპირდება პირველ თაობას. იგი განვითარებული სქოლასტიკის წარმომადგენელია. მართალია, იოანე პეტრიწიც „ქრისტიანობის იდეოლოგია, დამცველი ყველა მისი დოგმატური ატრიბუტისა და ტრადიციისა“ (გვ. 145), მაგრამ, მკვლევრის დასკვნით, მისი სიახლე აზროვნების ისტორიაში ის არის, რომ „იგი ქრისტიანული სქოლასტიკის ისტორიაში დამწყებია იმ ახალი მიმართულებისა, რომელმაც გადაწყვიტა ფილოსოფია პოზიტიურად გამოეყენებინა, რომელიც ფიქრობდა, რომ რელიგია „გონების არგუმენტებითა“ და „თეორიით“ დასაბუთდებოდა. მას პლატონის, არისტოტელეს ფილოსოფიისა და „პლატონური ფილოსოფოსების“ დახმარებით ქრიასტიანობა უნდა გონიერი და დასაჯერებელი გახადოს და, რასაკვირველია, არ გრძნობს, რომ მომავალში არისტოტელე ქრისტეს დაჩრდილავს და ადამიანს სარწმუნოების სამართლიანობაში დააეჭვებს“ (გვ. 146).

მოსე გოგიბერიძე ცალკე გამოყოფს პეტრიწის განათლებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წყაროების საკითხს. შენიშნულია, რომ პეტრიწი ღრმად იცნობს და ეყრდნობა ანტიკურ ფილოსოფიასა და პოეზიას; ყველა გამოჩენილ ნეოპლატონიკოსს; სირიისა და საბერძნეთის ყველა გამოჩენილ ღვთისმეტყველს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ მისთვის არ უნდა იყოს უცნობი არც არაბული ფილოსოფია. მოსე გოგიბერიძე თვლის, რომ ეს ფილოსოფიური განათლება იოანე პეტრიწს მიღებული უნდა ჰქონდეს მანაგანის აკადემიაში იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით. მკვლევარი იოანე პეტრიწს მიიჩნევს სწორედ იმ ტიპის აზროვნების გამგრძელებლად, რომელიც მიქელ ფსელოსმა და იოანე იტალოსმა წამოიწყეს.

მოსე გოგიბერიძის თვალსაზრისით, იოანე პეტრიწს სქოლასტიკური აზროვნება მიჰყავს იმ გზით, რა გზითაც წავიდა იგი დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ დასავლეთ ევროპაში. მისი ძირითადი მიზანია, ქრისტიანული დოგმატიკა დაასაბუთოს ფილოსოფიურად. იგი ყველაზე ფართოდ ეყრდნობა პლატონის, არისტოტელეს და ნეოპლატონელთა (როგორც მისი ქრისტიანული წარმომადგენლის – ნემესიოს ემესელის, ასევე წარმართი ნეოპლატონიკოსის – პროკლე დიადოხოსის) ფილოსოფიურ მემკვიდრეობას. პეტრიწი უშუალოდ ბერძნულ დედნებში უნდა იცნობდეს როგორც პლატონის დიალოგებს (ყოველ შემთხვევაში, „პარმენიდეს” და „ტიმეოსს” უთუოდ), ასევე არისტოტელეს თხზულებებს. ნეოპლატონიკოსებს კი იგი ქართულად სიტყვა-სიტყვით თარგმნის და განმარტავს. ღმერთის არსებობის დასაბუთების ს

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ღვთაების ექსტაზის საშუალებით ხატვის ნეოპლატონურ თეორიას. პეტრიწის ლოგიკა და ბუნებისმეტყველება კი თავიდან ბოლომდე არისტოტელეზეა დამყარებული. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, – წერს მოსე გოგიბერიძე, - რომ XII საუკუნის პირველ ნახევარში არც ერთ დასავლეთელ სქოლასტიკოსს არისტოტელე იმ მოცულობით არ სცოდნია, როგორც ეს პეტრიწთან გვაქვს მოცემული, თვით პეტრე აბელარსაც კი“ (გვ. 163). ნემესიოს ემესელის და პროკლე დიადოხოსის თარგმანითაც იოანე პეტრიწი თავისი ეპოქის მოწინავე აზროვნების სათავეში დგას.

მკვლევარი ავითარებს აზრს, რომ იოანე პეტრიწის ფილოსოფია არის ბიზანტიაში, კერძოდ მანგანის აკადემიაში დაწყებული სქოლასტიკის გაგრძელება და დამთავრება.

პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური აზროვნება ძირითადად პროკლე დიადოხოსის დასახელებული თხზულების ქართულ თარგმანზე დართულ წინასიტყვაობას, კომენტარებსა და ბოლოსიტყვაობაში იშლება. XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის მიზანი იყო „ღმრთისმეტყველებაჲ ნივთისაგან მიუხებელი წამოეყენა“ ე. ი. გოგიბერიძის ინტერპრეტაციით, „შექმნა თეოლოგია ამაღლებული ყოველივე ნივთიერისაგან და ქვეყნიერისაგან“ (გვ. 170). რადგანაც სარწმუნოებას ამის გაკეთება საკუთარი ძალით არ შეუძლია, პეტრიწი მიმართავს ფილოსოფიას და უპირატესად ეყრდნობა პლატონს, არისტოტელეს და პროკლეს. მაგრამ, მკვლევარის შენიშვნით, „მთლიანად არც ერთ ამათგანს პეტრიწი არ ღებულობს, თითოეულისაგან იგი იმას იყენებს, რაც მისი საკუთარი მსოფლმხედველობისათვისაა საჭირო“ (გვ. 171). იგი მთელი თავისი შემოქმედებით ადასტურებს, რომ ფილოსოფიის გმობა უაზრობაა. ფილოსოფიას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სარწმუნოებას. შეუძლია ლოგიკური გზით ნათელყოს იგი, რაც რელიგიაში მხოლოდ რწმენაზეა დამყარებული. მოსე გოგიბერიძის დაკვირვებით, პროკლეს პეტრიწი იყენებს სამი ძირითადი ასპექტით: „1) ერთისა და მისგან გამომდინარე სიმრავლის დიალექტიკურობის დადგენისათვის. 2) სიკეთისა და ბოროტის სუბსტანციონალური დუალიზმის დაძლევისათვის და სიკეთის მონიზმის დადგენისათვის..... 3) ღვთის მტერ და მგმობელ ფილოსოფოსთა, ე. ი. ეპიკურელთა..... განადგურებისათვის“ (გვ. 172). არისტოტელეზე პეტრიწი აფუძნებს 1) ე. წ. „მდაბიურ ცოდნას,“ ანუ დღევანდელი გაგებით მეცნიერებას: ცისა და მიწის ნივთთა წარმოშობისა და ხრწნის ფილოსოფიას; 2) ლოგიკას: „პეტრიწმა იცის, რომ არისტოტელეს ლოგიკის გარეშე „უღონო არს რისავე გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყვიერისაჲ”, რადგან თვით ღმერთს არ შეუძლია ლოგიკას ეწინააღმდეგოს, ვინაიდან თვითონ არის ლოგოსი” (გვ. 172); 3) არისტოტელეს მეცნიერება ღვთისმეტყველებამდე მიდის და იმას ადასტურებს, რომ „ერთი არს მეუფე ყოველთა.“ „რაც შეეხება პლატონს....., – წერს მკვლევარი, – „ღვთაებრივი“ პლატონის მიერ იგი უფრო აღფრთოვანებულია, ვიდრე დარწმუნებული, პლატონი მას უფრო ხიბლავს, ვიდრე ასწავლის. პლატონს იგი ადიდებს, როგორც პირველ სათავეს იმ სიბრძნისა, რომელიც პავლე მოციქულში გამოცხადდა” (გვ. 173). მოსე გოგიბერიძის დასკვნით, ის მსოფლმხედველობა, რომლის წარმოსადგენადაც პეტრიწს ანტიკური ფილოსოფია გამოუყენებია არის მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობა: „პეტრიწთან მოცემულია განვითარებული სქოლასტიკის თვალსაზრისი; ამ თვალსაზრისის გამომუშავება ქართული თეოლოგიური და საეკლესიო აზროვნების დამთავრება იყო, მისი განვითარების იმ წერტილთან მიყვანა, როცა განვითარების პროცესში მყოფი თითოეული მოვლენა თავისთავთან უცხო გახდება და თავის საწინააღმდეგოში გადავა” (გვ. 175).

პეტრიწის მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპით ყველაფერი საფუძვლად გამოცხადებულია **ერთი**. ეს პრინციპი სარწმუნოებამ აღმოაჩინა. ფილოსოფოსთაგან ყველაზე მეტად ერთის [illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პეტრიწის დაკვირვებით, არისტოტელეც ლაპარაკობს „ხედვით ცოდნაზე, ე. წ. წმინდა თეორიზე, ანუ აზროვნების აზროვნებაზე.... ეს სავსებით ისეთივე გზაა სიბრძნისა, რაც პლატონის დიალოგებიდან პროკლემ „განაცხადა“ (გვ. 178).

პროკლესა და არისტოტელეს დიალექტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით პეტრიწი იწყებს შემეცნების წყაროების გამოკვლევას და წარმოადგენს ორიგინალურ თეორიას, შემეცნების ორ ნაკადს – სულსა და გონებას შორის განსხვავებაზე. აქვე პეტრიწი გვთავაზობს ღმერთის არსებობის რაციონალური ხერხით დამტკიცების ორიგინალურ ცდას: „ადამიანს შემეცნების ორი წყარო აქვს, სული და გონება. შემეცნების მიზანია ნამდვილ მყოფ არსებათა შემეცნება; ეს მიზანი სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში სახიერდება. ობიექტი, პეტრიწის აზრით, უფრო მაღლა დგას გონებაზე, ამ შემთხვევაში გონება სუბიექტია; მაგრამ ნამდვილ-მყოფ არსებაზე მაღლა უსაზღვროობა დგას, ხოლო, როცა უსაზღვროობა იქნება სუბიექტი, მისი ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ანუ ღმერთი. ასეთი დიალექტიკის გზით მაღლდება პეტრიწი ღმერთამდე.

მოსე გოგიბერიძის დაკვირვებით, პეტრიწის სქოლასტიკის ორიგინალური ხაზი ყველაზე მეტად გამოჩნდა *ერთის*, როგორც *დასაბამის* დადგენის საკითხში. „იგი ეთანხმება ბერძენს იმაში, რომ ყოველივე სიმრავლე ერთისაგან უნდა ამოდიოდეს, ამიტომ ხედავს იგი ბერძნებში ქრისტიანობის წინაპრებს; მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ამოსვლა? აქ იწყება გამიჯვნა“ (გვ. 196). ამ შემთხვევაში პეტრიწი არ მიჰყვება ღმერთის არსებობის რაციონალური გზით დასაბუთების არისტოტელესეულ მეტაფიზიკას. ეს გზა მიუღებელი იყო როგორც ნეოპლატონიზმისათვის, ასევე ფსევდო დიონისე არეოპაგელისაგან გამომდინარე ქრისტიანული თეოლოგიისათვის. პეტრიწი არ მიჰყვება არც ღმერთის რაობის განსაზღვრების პროკლეს თეორიას: ნეგაციას - ღმერთის განმარტებას იმით, თუ რა არ არის ღმერთი. პეტრიწის საბოლოო დასკვნით ერთი არის „ის, რომელსაც ნათელი შეაქვს ყოველსავე სინათლეში, რომელიც კეთილობით აკეთილებს ყოველივეს“ (გვ. 200); ხოლო, „ის, რაც იქმნა ერთის მიერ, არის ხატებაჲ ერთისა“ (გვ. 201).

მოსე გოგიბერიძე არ იზიარებს შ. ნუცუბიძის მოსაზრებებს პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ. მისი დასკვნით, პეტრიწი არ იწყებს ქართული რენესანსის ეპოქას; პეტრიწი არ არის ქართული წარმართობის აპოლოგეტი; პეტრიწი არ არის თანმიმდევრული ნეოპლატონიკოსი. ნეოპლატონიზმი პეტრიწის ფილოსოფიის მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

პეტრიწი სქოლასტიკოსი და ქრისტიანობის ფილოსოფოსია. მხოლოდ იგი წარმომადგენელია იმ განვითარებული სქოლასტიკისა, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიის დასაბუთებისათვის იყენებს მთელი ანტიკური კულტურასა და აზროვნებას. პეტრიწის აზროვნების სიდიადე იმითაა განპირობებული, რომ იგი იკვლევს მისი თანამედროვე ეპოქის იმ საკითხებს, „რომლებიც იმდროინდელი მოწინავე კაცობრიობის კვლევისა და ძიების საგანს შეადგენდა. იგი შეეცადა განახლების სინათლე შეეტანა ქრისტიანობაში“ (გვ. 215). მისი მსოფლმხედველობის კვლევის მეთოდი იყო არისტოტელურ-ნეოპლატონური წარმოშობის დიალექტიკა; ხოლო თვითონ მსოფლმხედველობა – იდეალიზმი. „იოანე პეტრიწმა ერთი და ერთ-ნახევარი საუკუნით დაასწრო დასავლეთს, ეპოქის აზროვნება იმავე მიმართულებით წაეყვანა, რა მიმართულებითაც იგი შემდეგ დასავლეთში განვითარდა“ (გვ. 215) – ესაა პეტრიწის ფილოსოფიის მნიშვნელობა შუა საუკუნეების აზროვნების განვითარების ისტორიაში. ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში კი „იოანე პეტრიწი სრულმქმნელი და დამამთავრებელია ქართული კულტურის იმ ისტორიული გზის, რომელიც ქრისტიანობიდან მოდიოდა“ (გვ. 203). მან „ნიადაგი მოამზადა ქართული კულტურის იმ დიდი აღორძინებისათვის, რომელიც ასი წლის შემდეგ რუსთაველმა განახორციელა“ (გვ. 215).

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რუსთველის მსოფლმხედველობას მოსე გოგიბერიძემ პეტრიწის ფილოსოფიაზე მუშაობის დაწყებამდე მიუძღვნა ორი საგაზეთო წერილი: „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი“ (იხ. ბიბლიოგრაფია) და „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები (იხ. ბიბლიოგრაფია), რომლებიც პოლემიკური ხასიათისაა. მკვლევრის აზრით, არ შეიძლება რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძვლად ნეოპლატონიზმის მიჩნევა. მკვლევარი უარყოფს პოეტის დამოკიდებულებას მისი ეპოქის მძლავრ ფილოსოფიურ მოძრაობასთან – ქრისტიანულ სქოლასტიკასთან. მაგრამ რუსთველის ეპოქის მეორე დიდ ფილოსოფიურ მოძრაობასთან – არაბულ ფილოსოფიასთან რუსთველის კავშირი სარწმუნოდ ესახება. მოსე გოგიბერიძე ფიქრობს, რომ რუსთაველი ერთგვარად დამოკიდებული უნდა იყოს არაბულ არისტოტელიზმზე.

ნაშრომში „უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“ (იხ. ბიბლიოგრაფია) არის ცდა ახლებურად იქნეს გადაწყვეტილი რუსთველის ღმერთის პრობლემა. მკვლევარს ამოსავალ პოზიციად მიაჩნია შემდეგი დებულება: „რუსთაველს არც ქრისტიანული ღმერთისათვის უცია თაყვანი და არც მაჰმადიანურისათვის, მაგრამ რუსთაველი არც ათეისტი ყოფილა და არც წარმართი. მის შემოქმედებაში ოფიციალური ღმერთი არ არის, ღმერთზე კი საერთოდ ძალიან ბევრი ლაპარაკია“ (გვ. 28). რა ფილოსოფიურ-რელიგიურ წარმოდგენებზე დაყრდნობით უნდა შექმნილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის ცნება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ერთი მხრივ, მკვლევარი აკრიტიკებს რუსთველის მაჰმადიანობის, მანიქეიზმის, ნეოპლატონიკოსობის, სოლარიზმისა და პაგანიზმის თეორიებს; მეორე მხრივ კი, ცდილობს პოზიტიური აზრის ფორმირებას პოემის უზენაეს არსებაზე. მკვლევრის თვალსაზრისით, რუსთველი კარგად იცნობს ქრისტიანულ ორთოდოქსიას, ქართულ სასულიერო მწერლობას, მაგრამ იგი მაინც არ არის ორთოდოქსი ქრისტიანი, რამდენადაც „ყოველი ქრისტიანული აზრისა და შემოქმედების იმდროინდელი გვირგვინი – ღმერთი სამპიროვანი და ერთარსებიანი, ქრისტიანული მესიანიზმი, ღმერთი კაცად ქცეული და სხვა – არსად არ გვხვდება რუსთაველთან“ (გვ. 29). ნათელია, რომ რუსთაველის ამოსავალი ქრისტიანობაა, მაგრამ ქრისტიანობა არ არის რუსთაველის მსოფლმხედველობის ნავსაყუდელი“ (გვ. 38). მკვლევარი ასკვნის: „რუსთაველის ღმერთი რენესანსის ეპოქის ღმერთია“ (გვ. 58). მოსე გოგიბერიძის თვალსაზრისით, „ღმერთის ცნებაში ასეთი რევოლუციის მოხდენისათვის რუსთაველის განკარგულებაშიც თითქმის იგივე წყაროები იყო, რაც რენესანსის ეპოქას მოეპოვებოდა. ეს იყო ე. წ. მაღალ სქოლასტიკაში გაერთიანებული არისტოტელურ–ნეოპლატონური ინტერპრეტაცია სარწმუნოების დოგმისა, ამავე დროს, გაცნობა არისტოტელესთან უშუალოდ, ერთი მხრივ, და არაბული ფილოსოფია, მეორე მხრივ. მოსე გოგიბერიძის გამოკვლევებმა იოანე პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ XX საუკუნის პირველ ნახევარში ახალი მიმართულება მისცა XII საუკუნის დიდი ქართველი თეოლოგის შემოქმედების კვლევას, რაც ჩვენს თანამედროვე ქართველოლოგიაში ახალ სიმაღლემდე ავიდა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის მიმართულება, რომელიც მ. გოგიბერიძემ რუსთაველის მსოფლმხედველობის შესწავლას მისცა.

ელენე მეტრეველი – ძალზე მნიშვნელოვანი და ფასეულია ელენე მეტრეველის წვლილი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაში.[1] ახალგაზრდა მკვლევარმა მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როდესაც მარი ბროსეს, იოსებ ყიფშიძის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძისა და სხვა დიდ მეცნიერთა მიერ ახლად საფუძველჩაყრილი

1 აკადემიკოს ელენე მეტრეველის შესახებ მასალა მოვამზადეთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: ელენე მეტრეველი (1917-2003), ბიობიბლიოგრაფია; შეადგინა გაგა [illegible] „არტანუჯი,“ თბ., 2007

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართველოლოგიის წინაშე მთელი სიმწვავით იდგა ქართული წერილობითი ძეგლების მოკვლევა-მოძიებისა და მათი სისტემური შესწავლის ამოცანა. ამიტომაც ელენე მეტრეველი იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურული ძეგლების მოძიებას, მათ მეცნიერულ შესწავლას და ანალიზს.

თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებში ფართოდ განსწავლულობამ და უშუალოდ პირველწყაროებზე მრავალწლოვანმა მუშაობამ მას საშუალება მისცა, გამოევლინა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ზუსტად განესაზღვრა მათი ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის საქართველოს საზღვრებს გარეთ - ათონისა და სინას მთებზე, სირიასა და პალესტინაში - არსებული ქართული ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, იქ დაცულ ხელნაწერთა შესწავლისა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული კულტურების ურთიერთგამდიდრების საქმეში მათი მნიშვნელობის წარმოჩენაზე.

გამოკვლევაში „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში“ (იხ. ბიბლიოგრაფია) ელენე მეტრეველმა დამაჯერებლად განსაზღვრა შავი მთის ქართულ მონასტერთა კულტურული ორიენტაცია და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ორი კოდექსის ანდერძთა შესწავლის საფუძველზე დაადგინა ძელი ცხოვლის ეკლესიის მაშენებელთა და იქ მოღვაწეთა ვინაობა.

მეორე ისტორიულ-კულტურული არეალი, რომელსაც ელენე მეტრეველი იკვლევდა, არის ათონის მთაზე მდებარე ქართველთა მონასტერი. მართალია, სირია-პალესტინის ქართული კერებისაგან განსხვავებით, ამ სავანეს დაარსების დღიდანვე ჰყავდა მემატიანეები, და, ამდენად, მისი ისტორია შედარებით უკეთ იყო შესწავლილი, მაგრამ გამოჩენილი მეცნიერის სისტემური არქეოგრაფიული კვლევა ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. გამოკვლევაში „საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი“ გაანალიზებულია ჯვრის მონასტრის ერთი ჰაგიოგრაფიული კრებული, რომელიც შავი მთის, ათონის ივირონისა და ჯვრის მონასტრის ქართველმა მოღვაწეებმა შეადგინეს, ნაჩვენებია, თუ როგორ შეთანხმებულად და გეგმაზომიერად იღვწოდნენ საზღვარგარეთის სავანეებში ქართველი მწიგნობრები იმისთვის, რათა მათი კულტურა იმდროინდელი მსოფლიო სტანდარტების სიმაღლეზე ასულიყო. სტატიაში „ათონის ერთი აღაპის გაგებისათვის“ (იხ. ბიბლიოგრაფია) ბასილწმიდის მონასტრის ბერის, ფანტინეს აღაპის ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია ივერთა მონასტრის ისტორიისა და ათონური სამართლის ერთი კონკრეტული საკითხი. XI ს.-ის ქართული წყაროების მიხედვით იოასაფის საგალობლისა და მისი მოსახსენებლის ისტორიის წმინდა ფილოლოგიურ საკითხებს ეძღვნება გამოკვლევა „Du nouveau sur L`Himne de Ioasaph“ (Le Muséon. 1987).

1982 წელს თბილისში ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „Le rôle de l'Athos dans l'histoire de la culture géorgienne“ ელენე მეტრეველმა შეაფასა ამ ქართული სავანის მნიშვნელობა ქართული და, საზოგადოდ, აღმოსავლური ქრისტიანული კულტურისათვის. ივირონის მონასტრის სპეციფიკური საკითხებია განხილული მეცნიერის მრავალ ნაშრომში. მოხსენებაში „ათონის ქართველთა მონასტრის (ივირონის) წინამძღვრის დადგენის წესები“ (იხ. ბიბლიოგრაფია), რომლის სრული ვერსია დაიბეჭდა ჯერ ფრანგულ („Les normes pour l'installation d'un supérieur au monastère des Ibères au Mont Athos (XI-XII siècles“), შემდეგ კი ქართულ (ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XII სს.)“) ენებზე, მკვლევარმა ნათელი მოჰფინა 981-983 წწ.-ში იოანე-თორნიკეს მიერ ათონზე ჩორდვანელთა სახლის საგვარეულო მონასტრად

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

სავანეში წინამძღვრის დადგენის ქტიტორულ წესს, რომელიც ჩორდვანელთა განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და სავანის თვითმყოფადობას იცავდა.ივირონის მონასტრის ისტორიის მიმოხილვის ფონზე მკვლევარმა თანმიმდევრულად აჩვენა, მონასტერში თავდაპირველად მენავეებად და ხელოსნებად, ხოლო შემდეგ კრებულის წევრებად შეღწეულმა ბერძნებმა მრავალსაუკუნოვანი გააფთრებული ბრძოლის შედეგად როგორ შეზღუდეს მონასტერში ქართველთა უფლებები და საბოლოოდ როგორ დაეპატრონნენ მას.

გამოკვლევაში „Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах“ ივირონის სააღაპე წიგნის რამდენიმე აღაპის დათარიღებისა და ანალიზის საფუძველზე მეცნიერმა თვალნათლივ წარმოაჩინა ძმების - აბაზ და გრიგოლ ბაკურიანების, კურაპალატ სუმბათ-საბა ბაკურიანისა და მისი მეუღლის კალე-მარიამის, აგრეთვე, გიორგი მაგისტროსისა და პეტრიწონის ქართველთა მონასტრის საძმოს ძალისხმევა XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დახმარება აღმოეჩინათ ეკონომიკურად და პოლიტიკურად შეჭირვებული ივირონისათვის. გამოკვლევაში „იოვანე და ექვთიმე ათონელებისათვის მიძღვნილი სამახსოვრო წიგნები“ ლიტერატურული პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე ეტაპობრივად არის გაშუქებული ის დიდი ფილოლოგიურ-კულტურული მუშაობა, რომელიც იოვანე ქართველისა და მისი ძის, ექვთიმე მთაწმინდელის თანამოღვაწეებმა გასწიეს იმისათვის, რათა შთამომავლობისათვის პირუთვნელად წარმოეჩინათ მამა-შვილის ზნეობრივი სახე, მათი ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და სამეფოს კულტურულ-ზნეობრივ ამაღლებაში.

ქართველი მეცნიერის დიდმა საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ 1976 წელს ივირონის ბერძნულენოვანი აქტების გამოცემისა და კომენტირებისათვის იგი სათანამშრომლოდ მიიწვიეს პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის შემსწავლელმა ცენტრმა. უკვე გამოცემულია დოკუმენტების ოთხი ტომი, რომლები მოიცავენ ამ მონასტრის ისტორიას დაარსებიდან (983 წლიდან) XVI საუკუნის დასაწყისამდე, რომლებშიც ელენე მეტრეველმა გაშიფრა და კომეტარები დაურთო ამ საბუთების უამრავ ქართულ ხელნაწერს. ათონის ივერთა მონასტრის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტების მართებული ინტერპრეტაციით, მან გაარკვია ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული კერის ისტორიის მრავალი პრობლემა.

მეცნიერის მრავალწლოვანი მუშაობის ბრწყინვალე დაგვირგვინებაა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია. „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ (თბ. 1996). მონოგრაფიაში სისტემურად არის შესწავლილი ათონის სალიტერატურო სკოლა, მის ქართველ მწიგნობართა, მათ შორის ნაკლებად ან საერთოდ უცნობ მოღვაწეთა საქმიანობა და დასახულია ამ მიმართულებით შემდგომი კვლევის ფართო პერსპექტივა. „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“ (თბ. 1998). მონოგრაფიაში გამოქვეყნებული და სკურპულოზურად გაანალიზებულია ივირონის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი აღაპთა კრებული, დათარიღებულია მასში დაცული ისტორული რეალიები, რითაც ნათელი ეფინება დღემდე უცნობ მრავალ საკითხს.

განუზომელია საზღვარგარეთ არსებული ძველი ქართული კულტურული სავანეებისადმი მიძღვნილი გამოკვლევების მნიშვნელობა არამხოლოდ საკუთრივ ქართული კულტურის, არამედ, საზოგადოდ, ბიზანტიური და ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისათვის. ელენე მეტრეველის საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობით გამოკვლევებში უწინარესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სასულიერო ლიტერატურის შესწავლას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადრე ბიზანტიური პერიოდის ჰიმნოგრაფიაზე ითქმის. მეცნიერი იკვლევდა ბერძნულ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ რედაქციებს. ნაშრომებში „ბერძნული ძლისპირების უძველესი ქართული თარგმანები," „ძლისპირთა ქართული კრებულები და მათი მნიშვნელობა ბერძნული „ირმოლოგიონის" შესწავლისათვის," გარკვეულია ბერძნულ ძლისპირთა ქართული თარგმანების ისტორია, კულტურული გარემო, „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი" განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი სტრუქტურული და შინაარსობრივი სპეციფიკა ბერძნულ და სლავურ ირმოლოგიონებთან მიმართებით, აგრეთვე, ორი სხვადასხვა OdO და KaO ტიპების ბერძნული ირმოლოგიონების ჩამოყალიბების ქრონოლოგიური მიჯნები, გამოვლენილია კანონთა ძლისპირების ბერძნული დედნების თავდაპირველი სახის აღდგენის, VIII-IX საუკუნეებში ბერძნული სიტყვების ტრანსკრიფციების საკითხის შესწავლისა და ძლისპირთა ქართულ თარგმანთა რედაქციების გამოკვეთის სამომავლო პერსპექტივები. ეს მრავალწლოვანი კვლევა-ძიება დაგვირგვინდა მეცნიერის საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომით „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი (ორი ძველი რედაქცია X-XI (თბ., 1971) საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით)," რომლებშიც დადგენილია საკვლევი ძეგლის ტიპების კრიტიკული ტექსტი და ფორმირების ეტაპები, შესწავლილია მისი მიმართება ბერძნულ ორიგინალთან და ანალოგიურ ძველ სლავურ კრებულებთან, გაშუქებულია ბიზანტიური და ქართული პოეზიის სათავეები. ნაშრომის რუსულ ენაზე შესრულებული ვრცელი რეზიუმე 1975 წლს ფრანგულად თარგმნა ბერნარ უტიემ.

ქართული სალიტერატურო წყაროების მიხედვით ბერძნული ირმოლოგიონის ისტორიის სრულყოფილი წარმოჩენა გახდა, საერთოდ, ქართული ლიტერატურული წყაროების კომპლექსური შესწავლის პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისათვის ჰიმნოგრაფიული ძეგლების ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობის წარმოჩენას, განსაკუთრებით მის უძველეს პერიოდში, მეორე მხრივ, ქართული კულტურის ისტორიასა და საკუთრივ ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის როლისა და ადგილის განსაზღვრას.

უძველესი იერუსალიმური ჰიმნოგრაფიის მიზანმიმართული კვლევა დაგვირგვინდა ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივის (ელ. მეტრეველის, ს. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი) მიერ 1980 წელს X საუკუნის ხელნაწერის მიხედვით „უძველესი იადგარის" გამოცემით, რომელიც VII-IX საუკუნეების იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში მთელი ლიტურგიკული წლის განმავლობაში გამოყენებული პოეტური ტექსტების ძველი ქართული თარგმანებია. ქართული კულტურის ამ უნიკალური ლიტერატურული ძეგლის გამოცემამ, ერთი მხრივ, შეავსო უძველესი პერიოდის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და ლიტურგიკული წლის ისტორიაში არსებული დიდი ხარვეზი, მეორე მხრივ, მისმა სწორმა, მრავალ-მხრივმა და საფუძვლიანმა მეცნიერულმა ანალიზმა სრულიად ახალი საფეხური შექმნა ქართული სულიერი კულტურის შესწავლაში. ასეთი დიდი ღირსების გამო წიგნი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. ნაშრომი, რომლის ფრანგული რეზიუმე გადაიბეჭდა ჟურნალში „ბედი ქართლისა," მეცნიერთა ფართო წრეებისათვის ცნობილი გახდა ერთი წლის შემდეგ, 1981 წლის ოქტომბერს ვენაში გამართულ ბიზანტინისტთა XVI საერთაშორისო კონგრესზე, სადაც ელენე მეტრეველი „უძველესი იადგრის" გამომცემელთა სახელით სპეციალური მოხსენებით წარსდგა.

ელენე მეტრეველს ეკუთვნის, აგრეთვე, ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს ეფრემ მცირის მიერ S 1276 ხელნაწერზე გაწეული მუშაობის თავისებურებათა ანალიზს – „ეფრემ მცირის ავტოგრაფი" (იხ. ბიბლიოგრაფია).

მეცნიერი წლების განმავლობაში უშუალოდ წარმართავდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფის მუშაობას, რომელ

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების შესწავლას. ჯგუფი XX საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა. ამ პროექტის შედეგები აისახება ელენე მეტრეველის უშუალო ხემძღვანელობით და მონაწილეობით მომზადებულ გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ ჰომილიათა შვიდტომეულში, რომელსაც დამატებით ტომებად ერთვის ამ თარგმანთა ისტორიისა და ლიტერატურული თავისებურებებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია ინგლისურ ენაზე. გრიგოლის თხზულებების თარგმანთა ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული ლექსიკონი, აგრეთვე, არალიტურგიკულ ჰომილიათა და მათი კომენტარების გრიგოლ ოშკელისეული, დავით ტბელისეული, ექვთიმე ათონელისეული და ეფრემ მცირისეული თარგმანები. დღემდე გამოცემულია ჰომილიათა პირველი ხუთი ტომი ფრანგული შესავლით, ზოგიერთ ტექსტს ერთვის ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირისეული პარალელური ქართული თარგმანები კომენტარებითურთ ფრანგულ ენაზე და ბერძნულ ორიგინალთან დამოკიდებულების ამსახველი ლიტერატურული მასალა.

დიდი ქართველი მეცნიერების წამოწყებული საქმე გააგრძელეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს მათმა მოწაფეებმა, რომელთა შორისაც არიან პროფესორები: ე. ხინთიბიძე, ივ. ლოლაშვილი, რ. მიმინოშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები ვ. ბააკაშვილი, ლ. დათიაშვილი და სხვები.[1]

ივანე ლოლაშვილი - ძველი ქართული მწერლობისა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ცალკეულ პრობლემებს ნაყოფიერად იკვლევდა პროფ. ივანე ლოლაშვილი. იგი მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიის ავტორია. ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის შემოქმედების ცალკეული საკითხები, ძველი ქართული ფილოსოფიური ტრაქტატები, ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ თხზულებათა შესწავლა,- აი საკითხები, რომლებსაც სწავლობდა პროფ. ივ. ლოლაშვილი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში: გარდა ამისა, ივანე ლოლაშვილი მუშაობდა ათონურ ხელნაწერთა მიკროფილმების შესწავლაზე და გამოავლინა მრავალი ახალი ძეგლი. იგი გამოსცემდა ძველი ქართული (შესაბამისად - ბიზანტიური) ლიტერატურის ძეგლებს, რომლებსაც უპირატესად ფილოსოფიური ხასიათი ჰქონდათ.

დიდი დრო და ენერგია შეალია პროფ. ი ლოლაშვილმა არეპაგიტიკის პრობლემების კვლევას. ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება შემდეგი წიგნები: „არეოპაგიტიკის პრობლემები“ (1972), „ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში“ (1973), არეოპაგიტული კრებული (დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში) (1983), „ცხოვრება პეტრე იბერისა“ (1988); აგრეთვე, ცალკეული სტატიები, მაგ., „ეფრემ მცირის „წინაბჭე“ (არეოპაგიტული წიგნების ქართული თარგმანისთვის) „ლიტერატურული საქართველო,“ 1970, 28 აგვისტო №2; „ორი ძველქართული ცნობა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის ვინაობასა და მსოფლმხედველობაზე,“ არეოპაგიტული ძიებანი (1986).

მონოგრაფია „არეოპაგიტიკის პრობლემები“ წარმოადგენს ვრცელ ფილოლოგიურ გამოკვლევას, რომელშიც განხილულია ბიზანტინისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობის საკითხი.

---

[1] მასალა მომზადებულია ნ. სოხაძის ნაშრომის *ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარნი* კრებულიდან - *ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერ*[illegible] კრებული I, თბ. 2001; გვ. 3-52

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პროფ. ი. ლოლაშვილს წიგნის პირველ თავში საგანგებოდ აქვს შესწავლილი ძველი ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშები, არეოპაგიტულ წიგნთა ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანი, საგალობლები, სვინაქსარული ტექსტები, მოსახსენებლები, ისტორიული-ბიბლიოგრაფიული ცნობები, ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა და მათი კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე გაკეთებული აქვს ასეთი დასკვნები: ქართველებისათვის დიონისე არეოპაგელი ცნობილი გახდა ადრეფეოდალიზმის ხანაში (IX–X საუკუნეებში). ამ დროს უკვე არსებულა აპოკრიფული „ცხოვრება დიონისე ეპისკოპოსისა“ და „ებისტოლე დიონოსიოდსი,“ მიწერილი ტიმოთეს მოწაფის მიმართ; დიონისე საქართველოში დიდად ცნობილ ავტორად იქცა XI საუკუნიდან, როდესაც ქართულად ითარგმნა „დიონისეს წამების“ მეტაფრასული და სვინაქსარული საკითხავები, ჰიმნები და არეოპაგიტული კორპუსი; ადრეფეოდალიზმის ხანაში არეოპაგიტულ წიგნთა ქართული თარგმანი (არც სრული, არც ნაწილობრივი და არც კომენტირებული) არ არსებობდა; არეოპაგიტული წიგნები ქართულად გადმოიღო გამოკრებილი კომენტარებით 1090-იან წლებში ეფრემ მცირემ. მანვე დაწერა ნარკვევი დიონისე არეოპაგელის ვინაობასა და მის თხზულებათა იდეური მნიშვნელობის შესახებ, რომელიც შესავლად წაუმძღვარა თავის მიერ თარგმნილ ტექსტებს. ეფრემს თარგმანში დიდი დახმარება გაუწია იოანე პეტრიწმა – „საღმრთო ფილოსოფოსმა და ჰორციელად დრამატიკოსმა.“ ეს ქართული კორპუსი მსოფლიო ფილოლოგიის უძვირფასესი განძია; დიონისე არეოპაგელის მოძღვრებამ დიდი გამოძახილი პოვა ორიგინალურ ქართულ სასულიერო და საერო მხატვრულ მწერლობაში (იოანე პეტრიწის, ჩახრუხაძის, რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ანტონ ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონისა და სხვა ქართველი ავტორების თხზულებებში); უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე ქართველებმა იცოდნენ დიონისეს ვინაობაზე მხოლოდ ტრადიციული გადმოცემა, ე. ი. ის, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი ყოფილა არეოპაგის მოძღვარი, პავლე მოციქულისა და იერეთეოსის მოწაფე, რომელიც „საქმე მოციქულთას“ მიხედვით ცხოვრობდა პირველ საუკუნეში. მოსაზრება, თითქოს XI–XII საუკუნეების საქართველოში უკვე კარგად იცოდნენ „ფსევდო-დიონისეს საიდუმლოება,“ რომ არეოპაგიტული წიგნები დაწერილია არა დიონისეს, არამედ სხვა პირის მიერ, ამ წიგნში განხილული ქართული წყაროებით არ დასტურდება (გვ. 74–75).

მეორე თავს ეწოდება „პეტრე იბერიელი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები.“ მასში განხილულია „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ასურული და ქართული რედაქციები, მათი ურთიერთობა და გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, საეკლესიო ისტორიკოსის ზაქარია რიტორისა და პეტრე იბერიელის მოწაფის, ზაქარია ქართველის ვინაობა და თხზულებანი, ამ ავტორთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები.

კვლევა-ძიების შედეგები ამგვარადაა შეჯამებული:

ედუარდ შვარცის მოსაზრება – ასურული „პეტრეს ცხოვრების“ ავტორია იოანე რუფუსი – მიუღებელია. იოანე რუფუსი სხვა პირია და „ანონიმი“ – სხვა პირი.

„პეტრეს ცხოვრების“ ასურული რედაქცია ეკუთვნის ზაქარია ქართველს – V საუკუნის საზღვარგარეთელ მოღვაწეს, პეტრეს მოწაფეს, თანამოსენაკესა და მხლებელს. თხზულებანი დაუწერია მას პეტრეს გარდაცვალების შემდეგ 500 წლის ახლოს. მასვე აღუწერია „ესაია ასკეტის ცხოვრება და მოქალაქობა.“

პეტრესა და ესაიას სათნოებანი (ცხოვრების ეპიზოდები) აღუწერია აგრეთვე ზაქარია რიტორს (სქოლასტიკოსს), „საეკლესიო ისტორისა“ და „სევეროს ანტიოქელის ცხოვრების“ ავტორს. ეს ზაქარია არავის არ უქცევია ზაქარია ქართველად: ორივენი თავიანთი ბიოგრაფიებითა და თხზულებებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი რეალურად არსე

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მაგრამ ზაქარია ქართველი მაიუმის მონასტრის მონაზონია, ზაქარია რიტორი კი – ერისკაცი (მოგვიანებით – მიტილენის ეპისკოპოსი).

ზაქარია ქართველის „პეტრეს ცხოვრება“ მოგვიანებით გაუსწორებია ვიღაც რედაქტორს. მას შეუცვლია ტექსტის ის ადგილები, რომლებშიც დაცული ყოფილა ცნობები თხზულების ავტორის ვინაობაზე. რ. რააბეს მიერ გამოცემულია რედაქტირებული ტექსტი.

ქართული „პეტრეს ცხოვრება“ მომდინარეობს ზაქარია ქართველის თხზულებიდან. იგი ქართულად გადმოუკეთებია XIII საუკუნეში მაკარი მესხს. ქართულში შენახულია შესავლისა და დასასრულის გარეშე დედნის ზოგადი შინაარსი, არქიტექტონიკა და ეპიზოდთა თხრობის თანმიმდევრობა. გადმომკეთებელს ტექსტი ზოგან შეუმოკლებია, ზოგან გაუვრცია და რიგი ადგილებიც ქრისტიანული მართლმადიდებლური თვალსაზრისით „გაუჩალხავს“ (მონოფიზიტი პეტრე უქცევია დიოფიზიტად). ქართული რედაქციის დედანს დართული ჰქონია „პეტრეს ცხოვრების“ ავტორის ზაქარიას ანდერძი, რომელიც მაკარი მესხს ქართულად უთარგმნია და მისთვის საკუთარი ანდერძი მიუყოლებია.

„პეტრეს ცხოვრების“ მაკარისეული რედაქცია დაკარგულია. მისი თავბოლონაკლული და ფურცლებდაშლილი ტექსტი აღუდგენია პავლე დეკანოზს, რომელსაც მოუწესრიგებია თხრობის თანმიმდევრობა, წაუმძღვარებია შესავალი, დაურთავს (პეტრეს დაკრძალვის ისტორია) და ანდერძი.

„პეტრეს ცხოვრების“ ქართულმა რედაქციამ დიდი გამოძახილი პოვა ძველ ქართულ მწერლობაში: მის საფუძველზე დაიწერა „პეტრეს ცხოვრების“ მოკლე რედაქცია, სვინაქსარული საკითხავები, საგალობლები, მცირე მოსახსენებლები და დაიხატა პეტრეს პორტრეტები და სიუჟეტური ფერადი მინიატურები. ამ მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ძველ საქართველოში პეტრეს არავინ დევნიდა, პირიქით, იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, უწოდეს მას „ქართველთა ერის ვარსკვლავი“ და „სამკაული და სიქადული“ ქართველთა.

არც ასურული და არც ქართული წყაროებით არ დასტურდება, რომ პეტრე იბერიელი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, თუმცა, ცნობილია, რომ იგი იყო ფილოსოფიურად განსწავლული მოღვაწე, სამონასტრო მშენებლობის დიდი ორგანიზატორი და ქრისტიანული მოძღვრების მგზნებარე მქადაგებელი (გვ. 175–176).

1973 წელს გამოსულ მონოგრაფიაში მიმოხილულია ის დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შექმნილია ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემის გარშემო ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში.

1983 წელს გამოდის „არეოპაგიტული კრებული,“ ავტორი აქვეყნებს იმ მასალებს, რომელთა შესწავლამაც მიიყვანა ნუცუბიძე–ჰონიგმანის ჰიპოტეზის უარყოფამდე. ისინი ამოკრებილია ძველი ქართული ხელნაწერებიდან. პირველი ნაწილი ეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ვინაობასა და მის მსოფლმხედველობას, მეორე – პეტრე იბერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ყველა ტექსტი გამოქვეყნებულია პირველწყაროს მიხედვით.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ძველ ქართულ მწერლობაში დიდად ცნობილი ავტორია. მასზე დაცული არა მარტო ჰაგიოგრაფიული საკითხავები, მცირე მოსახსენებლები, საგალობლები, სახოტბო და პოლემიკური ლექსები, არამედ მისი სახელით ცნობილი თეოლოგიური ტრაქტები და ეპისტოლეებიც, რომელთაც ერთვის მაქსიმე აღმსარებლის, გერმანე პატრიარქისა და ეფრემ მცირის კომენტარები. ამას გარდა, ძველ თარგმნილ ტექსტებში ვხვდებით ციტატებს, გამოთქმებსა და მოსაზრებებს, რომელთა ავტორად აღიარებულია ფსევდო-დიონისე. ამგვარი მასალიდან ხსენებულ წიგნში შეტანილია მხოლოდ ის, რომლებშიც გამოვლენილია ფსევდო-დიონისეს რელი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პოზიცია. პეტრე იბერიელის შესახებ არსებული მასალებიდან აქ ყველა სისრულითაა წარმოდგენილი.

1986 წელს კრებულში „არეოპაგიტული ძიებანი“ ი. ლოლაშვილი აქვეყნებს ნარკვევს „ორი ძველქართული ცნობა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორის ვინაობასა და მსოფლმხედველობაზე“ (გვ. 57–68). იგი ავსებს „არეოპაგიტულ კრებულში“ გამოქვეყნებულ მასალებს. განხილულია მეტაფრასული თხზულება „მიცვალება ღვთისმშობლისა“ და არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი,“ რომლებშიც მოხსენიებულია „დიდი დიონისე არეოპაგელი,“ „მოწაფე პავლეჲსი.“ ავტორის აზრით, მოხმობილი მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფსევდო–დიონისეს შესახებ იცოდნენ ის, რაც ცნობილი იყო მაშინდელ ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში. ი. ლოლაშვილი ფიქრობს, რომ ქართული მასალები არ უჭერენ მხარს ფსევდო–დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის ნუცუბიძე–ჰონიგმანის ჰიპოთეზას.

1988 წელს პროფ. ი. ლოლაშვილი აქვეყნებს „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ასურული ტექსტის თარგმანს, შესრულებულს რიხარდ რააბეს გერმანული თარგმანიდან. ამ ტექსტის ნაწილი ნათარგმნი ჰქონდა სიმონ ყაუხჩიშვილს. ივ. ლოლაშვილი თარგმნის ტექსტს სრულად.

თარგმანს წინ უძღვის გამოკვლევა „პეტრე იბერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა (გვ. 9–57) და „პეტრე იბერის ცხოვრების“ ტექსტის საკითხები“ (გვ. 48–76).

ყურადღება ეთმობა მეცნიერებაში დღემდე სადავო ისეთ საკითხს, როგორებიცაა პეტრეს დაკრძალვის ადგილი და მისი რელიგიური აღმსარებლობა. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომების მიმოხილვის შემდეგ მკვლევარი თავის მოსაზრებასაც გამოთქვამს და ასაბუთებს, რომ პეტრე სარწმუნოებრივი აღმსარებლობით იყო მონოფიზიტი. ამას ერთხმად იუწყებიან მისი თანამედროვე ბიოგრაფები.

რაც შეეხება დაკრძალვის ადგილს, ივ. ლოლაშვილი თვლის: ვ. კორბოს მიერ გათხრილ და გახსნილ საფლავებში, რომლებიც აღმოჩნდა იერუსალიმის ქართველთა მონასტერში, ვინ ესვენნეს, ჯერ კიდევ დაუდგენელია. დღემდე არსებული სანდო წყაროს – „პეტრეს ცხოვრების“ ასურული რედაქციის თანახმად პეტრე იბერი და იოანე ლაზი განისვენებენ მაიუმის მონასტერში.

გამოკვლევის მეორე ნაწილში მეცნიერული პოლემიკის გარეშე გამოთქმულია ავტორის მოსაზრებანი. „პეტრეს ცხოვრების“ ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები (თხზულების ავტორის ვინაობა, დაწერის თარიღი და ასურულ ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართება) მკვლევარს განხილული აქვს „არეოპაგიტიკის პრობლემები.“

პროფ. ი. ლოლაშვილის აზრით, ასურულ-ქართულ რედაქციათა შედარების შემდეგ ირკვევა, რომ ასურული ტექსტისა და ქართული რედაქციის დედნის ავტორი, რომელიც თავს ზაქარიად და პეტრეს მოწაფედ მოიხსენიებს, ერთი და იგივე პირია.

ქართულ-ასურული რედაქციები ემთხვევიან ერთმანეთს ეპიზოდთა თანმიმდევრობით, მაგრამ მათ შორის სხვაობაცაა, რაც ეპიზოდთა შემადგენელ მოტივებში ვლინდება (65). ტექსტების შედარების შემდეგ ავტორი დაასკვნის: „მაკარი მთარგმნელს ხელთ სჭერია „ანონიმის“ ასურული თხზულება და გადმოუქართულებია იგი „შემატება-კლების“ მეთოდით, რაც უდავოდ დასტურდება ორივე ტექსტს შორის არსებული მსგავსებით, რომელსაც წარმოაჩენს მათი ეპიზოდების თანმიმდევრობა. მაშასადამე, ის მწერალი, რომელიც თხზულების მეორე ნაწილს მოგვითხრობს პირველი პირით, არის „პეტრეს ცხოვრების“ იმ ასურული არქეტიპის ავტორი, რომელიც ხელთ ჰქონია ქართველ მთარგმნელს. ეს პირი კი, როგორც აღნიშნულია მაკარისეული რედაქციის ანდერძებში, არის ზაქარია ქართველი“ (გვ. 71

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

1964 წელს კრებულში „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“ (II, გვ. 71–91) ივ. ლოლაშვილი აქვეყნებს მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკურ ტრაქტატს „პირმშოდსათვის,“, რომელსაც წინ უძღვის გამოკვლევა.

დასახელებული ტრაქტატი მოთავსებულია არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებულში, რომელსაც „დოგმატიკონი“ ეწოდება. მკვლევარნი ტრაქტატის ავტორად ასახელებენ სამ ფილოსოფოსს – მიქაელ ფსელოსს (კ. კეკელიძე), იოანე პეტრიწს (კ. კეკელიძე) და არსენ იყალთოელს (შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი).

კვლევის შედეგად ავტორი დაადგენს, რომ „ეს ძეგლი თავიდანვე ყოფილა შეტანილი „დოგმატიკონის“ არსენისეულ რედაქციაში. ამიტომ იგი არავითარ შემთხვევაში ჩანართს არ წარმოადგენს. ისიც არსენის შრომაა ისევე, როგორც შესწავლილ ნუსხებში მოთავსებული ყველა სხვა თხზულების თარგმანი.

შემდეგ მკვლევარი არკვევს მეორე საკითხს – „პირმშოდსათვის“ არსენ იყალთოელისათვის ორიგინალური შრომაა თუ ნათარგმნი?

შ. ნუცუბიძისა და შ. ხიდაშელის საპირისპიროდ, ივ. ლოლაშვილი თვლის, რომ ეს ნაწარმოები თარგმნილია ბერძნულიდან.

მისი დასკვნა ასეთია: ტრაქტატი „პირმშოდსათვის“ დაწერილია მიქაელ ფსელოსის მიერ, როგორც ამას მოწმობს S 1463–ე და გელათის 23–ე ხელნაწერების ცნობა. ბერძნულიდან ქართულად გადმოუთარგმნია არსენ იყალთოელს. ალბათ, მაშინ, როდესაც ის მანგანის აკადემიაში მოღვაწეობდა და შემდეგ შეუტანია ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებათა კრებულში, რომელიც ცნობილია „დოგმატიკონის“ სახელწოდებით (გვ. 79).

ივ. ლოლაშვილის შრომათა კრებულში „მრავალკარედი“ (1984) შეტანილია გამოკვლევა „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელ და მოკლე რედაქციათა ურთიერთობისათვის“ (გვ. 51–63). ეს ტექსტი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერებისა და ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულია თხზულებების ოთხი ძველი რედაქცია: ვრცელი, რომელიც დაუცავს „ათონის კრებულს,“ მოკლე – გადაწერილი X–XIII საუკუნეებში; მეტაფრასული და სვინაქსარული. მკვლევარი არკვევს ამ რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხს და ასაბუთებს ვრცელი რედაქციის პირველადობას. შემდეგ იგი იძიებს, თუ როდის დაიწერა „ილარიონის ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქცია და ვინ არის მისი ავტორი. პროფ. ი. ლოლაშვილი ეყრდნობა თხზულების ბოლოს დართულ ანდერძს და მიდის დასკვნამდე, რომ იგი დაწერილია ბასილი პროტოასიკრიტის მიერ IX საუკუნის 80–იან წლებში, ბასილი მეფის სიცოცხლეშივე, 886 წლის 29 აგვისტომდე.

1983 წელს კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“ დაიბეჭდა ივანე ლოლაშვილის ნაშრომი „ეფთვიმე ზიდაბენის ‚დარღვევა ბოგომილთა წვალებისა“ და მისი ქართული რედაქცია.“ გამოქვეყნებულია კრიტიკულად დადგენილი ტექსტიც. სტატიაში საუბარია ხსენებული ტრაქტატის წარმოშობის შესახებ, შესწავლილია ძველი ქართული თარგმანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული რედაქცია წარმოადგენს ამავე ავტორის „დოგმატური პანოპლიის“ 27–ე თავის პირველი ნაწილის თავისუფალ თარგმანს და შესრულებულია არა XII საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში, არამედ XIII საუკუნის შუა წლებში ტაო-კლარჯეთში.

რომან მიმინოშვილი - ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების პრობლემებზე წარმატებით მუშაობდა პროფ. რ. მიმინოშვილი. პროფ. რ. მიმინოშვილის მეცნიერული კვლევის სფერ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ადგილი უჭირავს ბერძნული რომანის „ვარლაამ და იოასაფის“ ავტორობის პრობლემას. იგი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე, რაც ამაგრებს და ახალი არგუმენტებით ავსებს ეფთვიმე იბერის ავტორობის ვერსიას.

„ვაარლამ და იოასაფის“ მკვლევრების მიერ (ფ. დელგერი) შენიშნული იყო, რომ რომანის ბერძნული ვერსიის ძირითად ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს იოანე დამასკელის „გარდამოცემა“. რ. მიმინოშვილმა დაადგინა, რომ „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნული ვერსია თავის წყაროდ იყენებს არა იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, არამედ ამ თხზულებათა კომპენდიუმს - „წინამძღუარს“ ეფთვიმე იბერისა. იოანე დამასკელის მოძღვრებას როგორც ეფთვიმე, ისე „ვაარლამ და იოასაფის“ ავტორი უყურებენ „წინამძღუარის“ პრიზმიდან. „წინამძღუარი“ არის წყარო ბერძნული რომანის იმ ადგილებისა, რომლებიც არ გვხვდება ქართულ რედაქციებში. „ბალავარიანის“ ბერძნული და ქართული რედაქციების ტექსტუალურმა შედარებამ, ბერძნული ტექსტის შეცდომებმა, რომელნიც ქართულ ხელნაწერთა ქარაგმების არასწორი ამოკითხვით იყო გამოწვეული, მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის არსებობს გენეტიკური კავშირი. იგი, ლექსიკურ თანხვედრებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფრაზეოლოგიურ დამთხვევებს. განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ მთარგმნელი, რომელიც თავისუფლად ეპყრობა ორიგინალს, ცვლის სიტყვებს, ზოგჯერ სხვადასხვა ფრაზის აზრსაც, მიუხედავად ყველაფრისა, იმეორებს ქართული დედნის სინტაქსურ წყობას და წინადადებათა სტილს.

პროფ. რ. მიმინოშვილი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებასაც, რომ „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ვერსიის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ბიბლიური წიგნები. გარდა ამისა, თხზულებაში ლაპარაკია რწმენის სიმბოლოებზე, მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითად დოგმებზე; განსაკუთრებული სიმწვავით არის დასმული საკითხი დიოფიზიტური მოძღვრების შესახებ (და არა ხატმებრძოლეობის შესახებ, რომელიც აქტუალური იყო დამასკელის ეპოქაში). მკვლევარი შესაძლებლად თვლის ეს ფაქტი მიიჩნიოს იმ ბრძოლის გამოძახილად, რომელმაც ახალი ძალით იფეთქა XI საუკუნეში და შეძრა საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა გონება.

პროფ. რ. მიმინოშვილი ეფთვიმეს ავტორობის სასარგებლოდ მეტყველ სამ საბუთს (1. ბერძნულ ნუსხათა ლემები; 2. ლათინური ხელნაწერის ლემა; 3. გიორგი მთაწმინდელის ცნობა) უმატებს მეოთხე, ფილოლოგიურ საბუთს და მას ამგვარად აყალიბებს: „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნული ვერსია ემთხვევა „სიბრძნე ბალაჰვარისას“ ქართულ რედაქციებს ნარატიულ ნაწილში როგორც ლექსიკური, ისე ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით. განსხვავდება მათგან საღვთისმეტყველო ნაწილში, მაგრამ ბიბლიური პასაჟების გამოკლებით თანხვდება ექვთიმე ათონელის „წინამძღუარს“ და იღებს მისგან აგრეთვე ანტიმონოფიზიტურ პათოსს” (გვ. 145). ეს იმას ნიშნავს, - განმარტავს მკვლევარი, - რომ ეფთვიმე ათონელმა, როცა „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნულ ვერსიას ქმნიდა, საფუძვლად აიღო ქართული მოთხრობა, განავრცო იგი ბიბლიური პასაჟებით და ციტატებიით თავისივე „წინამძღუარიდან.“ რ. მიმინოშვილის აზრით, ამ საბუთების უარყოფა შეუძლებელია.

ვახტანგ ბააკაშვილი - ანტიკური ლიტერატურისა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ბააკაშვილი.

1965 წელს კრებულში „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“ (V–XIII სს.) დაიბეჭდა ვ. ბააკაშვილის წერილი „ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის“ ექვთიმესეული თარგმანი (გვ. 48–68). ავტორს მიზნად დაუსახავს ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებით

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მეცნიერებაში პროფ. ვასილევსკისა და აკად. კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეფთვიმეს თარგმანი მომდინარეობს ეპიფანე მონაზვნის თხზულებიდან.

დიდი საეკლესიო მამის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი თითქმის მთლიანად თარგმნილია ქართულ ენაზე. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვნით ამ თხზულებათა თარგმნაში ეფთვიმე ათონელს, ეფრემ მცირეს და დავით ტბელს.

ეფრემისა და ეფთვიმეს ხსენებული თარგმანები შესწავლილი აქვს ვ. ბააკაშვილს წერილში „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ.“[1]

მკვლევრის აზრით, ეფთვიმე ათონელის თარგმანებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ პოლემიკური სიტყვების გადმოღებისას მთარგმნელი უაღრესად ზუსტად, თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ორიგინალს. რაც შეეხება ჰომილეტიკური თხზულებების თარგმნას, აქ მკაფიოდ იჩენს თავს ეფთვიმე ათონელისათვის დამახასიათებელი კლება-შემატების მეთოდი.

1977 წელს კრებულში „ძველი ქართული ლიტერატურა“ (XI–XVIII სს.) დაბეჭდილია ვ. ბააკაშვილის სტატია „ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის მიმართება და ძირითადი თავისებურებანი.“

ავტორი საუბრობს ბიზანტიური მეტაფრასტიკის წარმოშობის მიზეზებზე, გამოყოფს ორ ეტაპს მეტაფრასტიკის განვითარებაში და ახასიათებს თითოეულ მათგანს მიზნებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გამოყოფით.

განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება მეტაფრასტიკის მეორე ეტაპზე, რომელიც იოანე ქსიფილინოსის სახელს უკავშირდება და ხასიათდება შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით: თხზულებისათვის შესავლის წამძღვარება; მიდრეკილება სასწაულების აღწერისადმი; პარალელები სხვა წმინდანების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან; ძველი თხზულების ფაქტობრივი მასალით შევსება.

ამის შემდეგ მკვლევარი მიმოიხილავს საქართველოში მეტაფრასტიკის ჩასახვის მიზეზებს, დამახასიათებელ ნიშნებს, თავისებურებებს და ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებს უდარებს ბერძნული მეტაფრასტიკის ნიმუშებს. ვ. ბააკაშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქართული მეტაფრასული ჰაგიოგრაფია მეტ-ნაკლებად იმეორებს ბიზანტიური მეტაფრასტიკის თავისებურებებს, ახასიათებს ყველა ზემოთჩამოთვლილი თვისება, აგრეთვე მოქმედების არის გავრცობა და ძირითადი თემიდან გადახვევები.

ელგუჯა ხინთიბიძე ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარია. მას საყურადღებო გამოკვლევები აქვს რუსთველოლოგიასა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში. იგი ავტორია 200-მდე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომისა, რომელთაგან 16 მონოგრაფიაა. მათ შორის ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეძღვნება შვიდი მონოგრაფია. ესენია: „ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები,“ თბ. 1968 (ქართულ ენაზე); „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი,“ თბ. 1969 (ქართულ ენაზე); „ვარლამ და იოსაფის“ ბერძნულ და ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის,“ პარიზი, 1976 (ინგლისურ ენაზე); „Афонская грузинская литературная школа,“ ТБ., 1982 (რუსულ ენაზე); „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის,“ თბ., 1982 (ქართულ ენაზე), „Грузино-византийские литературные

[1] ვ. ბააკაშვილი, „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ [illegible] „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, I

created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

взаимоотношения," ТБ, 1989 (რუსულ ენაზე), „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული კონტაქტები," ამსტერდამი, 1996 წ. (ინგლისურ ენაზე).

პროფ. ე. ხინთიბიძეს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ქართველ, რუს და უცხოელ ბიზანტინისტთა უმნიშვნელოვანესი შრომები, ყველა ის ძირითადი პრობლემა, რომელიც აქტუალურია დღეს ბიზანტინისტიკისათვის და მათი ურთიერთშეჯერების, მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული და შექმნილი აქვს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ამგვარი სახით არ არსებულა ქართულ მეცნიერებაში.

პროფ. ე. ხინთიბიძის სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგებს, თეორიებსა და ჰიპოთეზებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ რამდენიმე, რომლებიც წარმოადგენენ ახალ სიტყვას ბიზანტინისტიკაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბასილი კაბადოკიელის „ასკეტიკონის" ქართულ რედაქციათა როლის გამოვლენა ამ ძეგლის ბერძნული ორიგინალის უძველეს რედაქციათა აღდგენის საქმეში. ასეთ მნიშვნელოვან საკითხთა რიგშია ბასილი კაბადოკიელის და გრიგოლ ნოსელის სადაურობის პრობლემა (ჰიპოთეზა); ქართული აგიოგრაფიული მწერლობის პირველი ნიმუშის „შუშანიკის წამების" მიმართება ბიზანტიური აგიოგრაფიის ადრეულ ძეგლებთან; XI–XII საუკუნეთა ცნობილი ქართველი მწერლების, ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწის მთარგმნელობითი, სამეცნიერო და ფილოსოფიური მოღვაწეობის ცალკეულ პრობლემათა შესწავლა; ქართული მასალების გათვალისწინებით ბიზანტიური რომანის, „ვარლაამ და იოასაფის" შექმნასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და ახალი ორიგინალური არგუმენტების გამოვლენა ეფთვიმე ათონელის ავტორობის სასარგებლოდ; პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციის დამამტკიცებელი ახალი არგუმენტების წამოყენება და სხვა.

დაწვრილებით შევჩერდებით რამდენიმე საკითხზე.

პროფ. ე. ხინთიბიძის პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში გამოქვეყნდა 1968 წელს. ეს იყო მონოგრაფია „ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები."

ბასილი კაბადოკიელის „ასკეტიკონი" ანუ „სამოღვაწეო წიგნი" შუა საუკუნეების ერთ-ერთი პოპულარული ძეგლია. ჩვენამდე მოღწეულია ამ წიგნის 150–ზე მეტი ხელნაწერი. ტექსტის პირველსახის აღსადგენად ბიზანტინოლოგიაში გამოყენებულია ყველა ბერძნული რედაქცია და თითქმის ყველა თარგმანი. ამ თვალსაზრისით ძველ ქართულ თარგმანებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ. დასახელებულ ნაშრომში გარკვეულია შემდეგი საკითხები: რას წარმოადგენს ბასილი კაბადოკიელის სამოღვაწეო წიგნი; ერთი ნაწარმოებია იგი თუ ცალკეული სტატიების კრებული; რა თხზულებებია მასში შესული; არის თუ არა ბერძნულ მწერლობაში ასეთი კრებული თუ ქართველი მთარგმნელის მიერაა შეკრებილი; როგორია ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ დედანთან? ხომ არ არსებობს ამ წიგნის კიდევ სხვა რედაქციები ქართულ მწერლობაში? რა ადგილი უკავია ქართულ ვერსიებს ბერძნული ხელნაწერების რიგში? როდის და ვის მიერაა შესრულებული ამ ძეგლის ქართული თარგმანები და რა მიმართებაშია ისინი ერთმანეთთან?

ბასილის „სამოღვაწეო წიგნის" ქართულ რედაქციებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ასევე ბიზანტიური ფილოლოგიისათვის. ბასილ დიდის „ასკეტიკონის" დღეისათვის შემონახული ოთხი რედაქციით ძველ ქართულ ლიტერატურას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო საქრისტიანო მწერლობაში.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ისევე ბიზანტიური ფილოლოგიისათვის აქვს ეფრემის თარგმნილ და სინას მთაზე დაცულ ასკეტურ კრებულებს. ეფრემ მცირეს დაწვრილებით შეუსწავლია ბასილის ასკეტური მემკვიდრეობის საკითხი. მას ხელთ ჰქონია რამდენიმე ბერძნული დედანი და მათი ფილოლოგიური შესწავლის შემდეგ საკუთარი რედაქცია ჩამოუყალიბებია. ფაქტია, რომ ეფრემი მის მიერ რედაქტირებული „ასკეტიკონით“ თავისი თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე დგას. ეფრემ მცირეს დაწვრილებით შეუსწავლია ბასილის ასკეტიკური მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები და „ასკეტიკონის“ საკუთარი რედაქციისათვის დაურთავს უაღრესად საინტერესო სქოლიოები.

სინას მთაზე დაცული ბასილის ასკეტური კრებული ქართული ლიტერატურული ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მოვლენაა. ამ კრებულის არსებობა ადასტურებს იმას, რომ ქართველები ბასილის ლიტერატურული მემკვიდრეობით და კერძოდ მისი ასკეტური ნაწერებით ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდშიც ყოფილან დაინტერესებულნი და ბერძნულიდან ქართულ ენაზე მათ სათარგმნელად უაღრესად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებიათ. „ასკეტიკონის“ ამ უძველეს ქართულ რედაქციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ფილოლოგიისათვის ბასილი კაპადოკიელის ასკეტური ნაწერების პირვანდელი რედაქციის დასადგენად.

ე. ხინთიბიძემ შეისწავლა ბასილის ასკეტურ ნაწარმოებთა შემცველი ცნობილი ქართული ნუსხები და იმავე დროს გამოავლინა „სამოღვაწეო წიგნის“ უცნობი მნიშვნელოვანი ხელნაწერებიც. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ახლებურად იქნა დაყენებული და გადაწყვეტილი ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი. მაგალითად, პროკოფი მთარგმნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი, რომლებსაც კ. კეკელიძემ თავის „ძველი ქართული ლიტერატურის“ I გამოცემაში სპეციალური თავი მიუძღვნა.

ეფრემ მცირეს „სამოღვაწეო წიგნის“ ბოლოს გაუკეთებია მინაწერი, რომ ბასილ დიდის ეს ნაწარმოები ძველადვე ყოფილა ქართულად თარგმნილი ვინმე პროკოფის მიერ. კ. კეკელიძე პროკოფის თვლიდა XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწედ, რადგან, ეფრემის თარგმანის გარდა, ცნობილი იყო მხოლოდ ერთი რედაქცია ბასილის „სამოღვაწეო წიგნისა.“ პროფ. ე. ხინთიბიძემ გამოავლინა „სამოღვაწეო წიგნის“ დღემდე უცნობი რედაქცია (სინას მთის №35 ხელნაწერში) და დაადგინა, რომ პროკოფი ყოფილა სწორედ ამ უცნობი რედაქციის მთარგმნელი, ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის მოღვაწე (არა უგვიანეს X საუკუნისა), და არა XI საუკუნის II ნახევრისა, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.

ამ წიგნში ე. ხინთიბიძეს დღის სინათლეზე გამოაქვს ეფრემ მცირის დიდი დამსახურება „ასკეტიკონის“ ავტორის დადგენის საქმეში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ეფრემი არა მარტო დიდი მთარგმნელი, არამედ დიდი ფილოლოგიც იყო.

შემდეგ ე. ხინთიბიძე ეკამათება კ. კეკელიძეს, რომელმაც პირველმა გამოავლინა „ასკეტიკონის“ ორი ქართული რედაქცია, მაგრამ იგი თვლიდა, რომ ამ ნაწარმოების ერთი ნაწილი „ითიკის“ სახელწოდებით, თარგმნა ეფთვიმე ათონელმა, ეფრემმა კი დანარჩენი „ითიკის“ გამოკლებით. ამ საკითხს ნათელი მოჰფინა ეფრემის ერთ-ერთმა კომენტარმა, რომელმაც საშუალება მისცა მკვლევარს ამგვარი დასკვნების გაკეთებისა:

ეფთვიმე ათონელმა თარგმნა ბასილი კაბადოკიელის ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური შინაარსის კრებული, რომელიც ქართულ მწერლობაში „ითიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ „ითიკას“ არაფერი აქვს საერთო ბასილი კაპადოკიელის „მორალურ წესებთან,“ რომელსაც ბერძნუ

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ეფრემ მცირემ ქართულად თარგმნა ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონი,“ რომელშიაც, ისევე, როგორც შესაბამის ბერძნულ კრებულებში, შეტანილია ბასილის „მორალური წესები.“

ეფრემ მცირე, როგორც მწერლობის ისტორიკოსი, ერთ-ერთ კომენტარში არკვევს ამ ბუნდოვან საკითხს.

1969 წელს გამოდის ე. ხინთიბიძის წიგნი „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი,“ რომელიც წარმოადგენს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ძირითად პრობლემათა, ამ კვლევის უმთავრეს მონაპოვართა თავმოყრისა და გათვალისწინების ცდას. მთელ რიგ შემთხვევებში იგი ემყარება ავტორის ორიგინალურ დაკვირვებებს, აგრეთვე ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლებსა და მათ ქართულ თარგმანთა შემცველ ხელნაწერებზე მუშაობის შედეგებს. ნაშრომში წარმოდგენილია ბიზანტიურ-ქართული პრობლემატიკის ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდიკა, ამ კვლევის ამოცანები ქართული ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე. დასახელებულ წიგნში ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ძირითადი პრობლემები განხილულია სამ ასპექტში:

ქართული ელემენტის, ქართული კულტურის როლი ბიზანტიური ლიტერატურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში;

ბიზანტიური ლიტერატურის შემოქმედებითი ათვისება ქართველების მიერ;

ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა ბიზანტინოლოგიისთვის.

მიმოხილული ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მდიდარი პრობლემატიკიდან საგანგებოდ არის შესწავლილი სამი დიდი კაპადოკიელის საკითხი, ეფრემ მცირის მეცნიერულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული პრობლემატიკის კვლევის მეთოდები და ამოცანები.

1962 წელს დაიბეჭდა ე. ხინთიბიძის წერილი „ბასილი დიდის სადაურობისათვის,“[1] რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ბასილი დიდი ეროვნებით ქართველი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ქართველად იქნა მიჩნეული მისი ძმაც – სასულიერო მწერლობის მეორე დიდი წარმომადგენელი - გრიგოლ ნოსელი. 1965 წელს ე. ხინთიბიძის თეორია გაიზიარა პროფ. გ. გოზალიშვილმა და თავის მხრივ წამოაყენა მოსაზრება, რომ ასევე ქართული წარმოშობის უნდა იყოს გრიგოლ ნაზიანზელი.[2] ამგვარად ჩამოყალიბდა ჰიპოტეზა სამი დიდი კაპადოკიელის სადაურობის შესახებ.

ე. ხინთიბიძე ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს და მისი არგუმენტები ამგვარია:

პონტოს მოსახლეობა ძირითადად სამი სხვადასხვა ეროვნებისაგან შედგებოდა: ბერძნების, ქართველური ტომებისა და სომხებისაგან. იმ პერიოდში პონტოს დიოცეზის აღმოსავლური ნაწილის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად ქართველური ტომები იყვნენ. მათი არისტოკრატიული ნაწილი და მათთან ერთად ჩრდილოეთიდან ჩამოსული კოლხები და იბერიელები ჩაბმული იყვნენ კაპადოკიის კესარიისა და პონტოს ნეოკესარიის კულტურულ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, ბასილ დიდი, რომელიც წარმოშობით ყოფილა პონტოდან, შეიძლება ბერძენი, ან ქართველი, ან სომეხი ყოფილიყო.

შემდეგ ე. ხინთიბიძე იმოწმებს პირველწყაროებს - თვით ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიაზელის, ამფილოქე იკონიელის და სხვათა თხზულებებს და

[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოება მეცნ. განყ. „[illegible]

[2] გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსული

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

გამორიცხვის წესით მიდის დასკვნამდე, რომ ბასილი დიდი არ იყო არც ბერძენი და არც სომეხი.

გრიგოლ ნიზიანზელი „ბასილ დიდის ეპიტაფიაში," ბასილის მამის წინაპრების სამკვიდროდ აცხადებს ადგილს, რომელიც „არავის ძუძლთაგანისასა უდარეს-ჰყოფს მის თსთა საკრველებათა, რომელთაგან აღსავსე ყოველნი აღმწერელობანი და სიტჯსმოქმედებანი," ე. ი. კოლხეთს. ამგვარ განმარტებას ამაგრებს ეფრემ მცირის ერთ-ერთი კომენტარიც.

ბასილის ბიოგრაფიები მიუთითებენ, რომ ბასილი ეროვნებით კაპადოკიელი იყო, ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კი კაპადოკია ეთნიკური ტერმინია და კაპადოკიელი არის იგივე მესხი.

ამის შემდეგ მკვლევარი იძიებს, თუ რა ადგილი უჭირავს ბასილი კესარიელს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და თვლის თუ არა ქართული ტრადიცია ბასილი დიდს ახლობელ, მშობლიურ მოღვაწედ.

მრავალრიცხოვანი ფაქტების დამოწმებით ე. ხინთიბიძე ამტკიცებს, რომ ტრადიციაც მხარს უჭერს ბასილი კესარიელისა და მისი ძმის - გრიგოლ ნოსელის ქართული წარმოშობის ვერსიას. თუმცა, მკვლევარი ცალმხრივად არ აფასებს ამ დიდი მოღვაწეების ეროვნული წარმოშობის მნიშვნელობას და სამართლიანად თვლის, რომ ისინი არიან ბიზანტიელი მწერლები, აღიზარდნენ ბერძნულ კულტურულ გარემოში და წერდნენ ბერძნულ ენაზე (ამ საკითხზე სხვა აზრისაა პროფ. გ. გოზალიშვილი).

1982 წელს რუსულ ენაზე გამოდის ე. ხინთიბიძის წიგნი „Афоннская грузинская литературная школа," რომელიც ქართული კულტურის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებს მისაწვდომს ხდის არაქართველი მკითხველისათვის.

ამ მონოგრაფიაში მიმოხილულია ის დიდი ლიტერატურული საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ ათონის მთაზე ქართულ ლიტერატურულ სკოლაში ჩვენი დიდი წინაპრები – იოანე, ეფთვიმე, გიორგი ათონელები, გიორგი მცირე, სტეფანე ათონელი, თეოფილე ხუცესმონაზონი და სხვები. აგრეთვე შესწავლილია ის წვლილი, რომელიც ათონის ქართულმა ლიტერატურულმა სკოლამ შეიტანა შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში.

წიგნის პირველი ნაწილი ამგვარადაა დასათაურებული: „ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის." მასში მოთხრობილია ლეგენდა ათონის მთის შესახებ, ამ მთაზე მონასტრების დაარსებისა და ბერმონაზვნობის გავრცელების ისტორია, განსაზღვრულია ათონელ ქართველთა როლი და ადგილი დიდ ბიზანტიურ კულტურაში.

მკვლევარი ახასიათებს ქართული ლიტერატურის ე. წ. ეროვნულ პერიოდს, რომელიც წინ უძღოდა ათონის სალიტერატურო სკოლის ჩამოყალიბებას და გამოყოფს VIII–X საუკუნეების საქართველოს კულტურულ-იდეოლოგიური ცხოვრების სამ ძირითად მომენტს. ესენია:

სომხური მონოფიზიტური ქრისტოლოგიისაგან გამიჯვნა, ეროვნულ საფუძველზე დამყარება და კურსის აღება ბიზანტიურ აზროვნებაზე;

კულტურულ-იდეოლოგიური დაპირისპირება ბერძნებთან;

საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში ეროვნული ელემენტის შეჭრა.

ავტორი ათონის საუკუნოვან ქართულ ლიტერატურულ პროცესში რამდენიმე ტენდენციას გამოყოფს და თვლის, რომ მათგან არსებითია შემდეგი:

გაცნობიერება იმ გარემოებისა, რომ იმდროინდელი ქართული ლიტერატურა ერთგვარად ჩამორჩენილი იყო მოწინავე, კერძოდ, ბიზანტიურ მწერლობასთან შედარებით და, აქედან გამომდინარე, დაუცხრომელი მოღვაწეობა ეროვნული ლიტერატურის აღორძინებისათვის. XII საუკუნისთვის ამ დიდმა ღვაწლმა თავის მიზანს მიაღწია: ქართულ ენაზე გადმოვიდა თითქმის ყველაფერი ძირითადი და საუკეთესო, რაც

Copyright
nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ლიტერატურული და ფილოსოფიური აზრის ახალი რენესანსული აზროვნების გზით განვითარებისათვის.

შეტოლება და კულტურული დაპირისპირება დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან.

ეროვნული და კულტურული თავისთავადობის შეგნება, სურვილი ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანისა. ამის გამო ჩვენი წინაპრები ცდილობენ, ერთი მხრივ, გაემიჯნონ ბიზანტიურ ლიტერატურას, მეორე მხრივ, დაუახლოვდნენ ევროპულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ აზროვნებას.

პროფ. ე. ხინთიბიძე გამოჰყოფს ათონელი ქართველი მოღვაწეების მეთოდოლოგიურ თავისებურებებს:

1. ორიგინალური ლიტერატურისადმი ინტერესი შეცვალა მთარგმნელობითმა საქმიანობამ, რომელსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა. უმოკლეს ვადაში ითარგმნა უზარმაზარი ლიტერატურა. 2. თანდათანობით თავისუფალი თარგმნის მეთოდი შეცვალა ზუსტმა თარგმანმა. 3. ლიტერატურული პრინციპების ცვლამ გამოიწვია ქართული საეკლესიო პრაქტიკის შეცვლა.

ათონის ლიტერატურულ სკოლაში შემუშავებული შემოქმედებითი პრინციპები ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარების ფუძემდებლურ პრინციპებად იქცა და „ქართული ლიტერატურული აზრი სწორედ იმ გზით განვითარდა, რა გზითაც წაიყვანა იგი ათონის ქართულმა ლიტერატურულმა სკოლამ X საუკუნის დასასრულიდან“ (გვ. 140).

წიგნის მეორე ნაწილის სათაურია „ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა“ და ბიზანტიური ლიტერატურის შედევრი „ვარლაამი და იოასაფი,“ რომელშიც მიმოხილულია ამ საკითხთან დაკავშირებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა და მოხმობილია ახალი არგუმენტები ეფთვიმე ათონელის ავტორობის სასარგებლოდ. ამ საკითხზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. წიგნის ბოლოს ხაზგასმულია ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის საერთაშორისო მნიშვნელობა.

1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს ე. ხინთიბიძის ნაშრომს „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის.“ მასში, ერთი მხრივ, განზოგადებული და შეჯამებულია ძველი ქართული ლიტერატურული პროცესი, წარმოჩენილია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ძირითადი ასპექტები, დიდ ქართველ მთარგმნელთა შემოქმედება და ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართა მოღვაწეობა. მეორე მხრივ, ახლებურადაა დასმული და გაშუქებული ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ცალკეული პრობლემები.

განსაკუთრებით საინტერესოა ის თავები, რომლებიც ეხება ქართული ფსალმუნების ინტონაციურ თავისებურებებს (გვ. 127–155); აგრეთვე თავი - „შუშანიკის წამება“ და ბიზანტიური აგიოგრაფიის სათავეები“ (გვ. 155–163).

ამ უკანასკნელ თავში განხილულია ბიზანტიური ლიტერატურის საწყისი ეტაპი, ბიზანტიური აგიოგრაფიის უძველესი ნიმუშები, წარმოჩენილია მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი.

უძველეს ბიზანტიურ აგიოგრაფიულ ძეგლებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

ავტორები მხოლოდ ნაცნობზე წერენ, მათ ცხოვრებაზე საგანგებო დაკვირვებით, თანაც იმ წინასწარი განზრახვით, რომ აღწერონ ეს ცხოვრება (გვ. 160); კონკრეტული პასაჟების სიუხვე, ფაქტობრივი დაკვირვებანი, არა მთელი ცხოვრების თანმიმდევრული აღწერა, არამედ ტიპური ეპიზოდებისა ცხოვრებიდან (გვ. 161); ეს ძეგლები რთულია კომპოზიციუ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თხრობის სხვადასხვა ხერხი: ავტორისეული თხრობა, პირდაპირი ნათქვამი, სხვა თვითმხილველის მონათხრობი, მთავარი პერსონაჟის ეპისტოლენი (გვ. 161); მოგვითხრობენ გმირის ეროვნულ და სოციალურ წარმოშობაზე, მშობელთა რელიგიურ მრწამსზე და არ ერიდებიან სოციალურ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ დეტალებს.

ე. ხინთიბიძე „შუშანიკის წამებას“ უდარებს ძველ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს და დაასკვნის, რომ უძველესი, ვრცელი ქართული რედაქცია აშკარად ამუღავნებს IV–V საუკუნეების ბიზანტიური ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. „შუშანიკის წამების“ ვრცელი ქართული რედაქციის ტიპოლოგიური მსგავსება ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის IV–V საუკუნეების ძეგლებთან პრინციპულ მნიშვნელობას იძენს ამ პირველი ქართული ორიგინალური ძეგლის დათარიღებისას.

დასახელებულ წიგნში მონოგრაფიულადაა შესწავლილი „ვარლაამ და იოასაფის“ ავტორობის საკითხი (გვ. 262–372). ამავე საკითხს უფრო ვრცლად ეხება მკვლევარი წიგნში „Грузино–византийские литературные взаимоотношения;“ (Тб, 1989, გვ. 170–296).

ე. ხინთიბიძე მიმოიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებულ დიდძალ სამეცნიერო ლიტერატურას, გამოყოფს ეფთვიმეს ავტორობის დამადასტურებელ არგუმენტებს და, თავის მხრივ, ახალი არგუმენტებით ამაგრებს ათონელი მთარგმნელის ავტორობას.

ამ ტიპის არგუმენტთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა XI საუკუნის I ნახევრის სამი, სხვადასხვა ენაზე დაცული ცნობა: ა) ბერძნული ხელნაწერის ლემა; ბ) ლათინური ხელნაწერის ლემა და მთარგმნელის ანდერძი; გ) გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება.“ სამივე ამ ცნობაში ეფთვიმე მიჩნეულია ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელად.

პ. პეეტერსს და პ. დევოს ეფთვიმე ათონელის ავტორობის დამადასტურებელ ძირითად არგუმენტად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ეფთვიმე ათონელის ეპოქამდე არ არსებობს ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის” არც ხელნაწერები, არც დამოწმება სვინაქსარებში სახელებისა - ვარლამი და იოასაფის, და არც რაიმე ციტატი, რემინისცენცია, მინიშნება ამ თხზულებაზე.

პროფ. ე. ხინთიბიძე აქამდე ცნობილ არგუმენტებს უმატებს რამდენიმე ახალ არგუმენტს:

იგი დამოუკიდებელ არგუმენტად გამოჰყოფს ბერძნული „ვარლაამ და იოასაფის“ გამოჩენის ადგილს და დროს..[1] ამ თხზულებას უძველეს ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობა ათონის მთიდან მომდინარედ ითვლება, ათონის მთის ლავრათაგან კი ყველაზე მეტი ხელნაწერი ქართველთა სავანეს უკავშირდება. ათონის მთიდანვე იღებს სათავეს უძველესი ცნობები ამ თხზულების ეფთვიმე ათონელისადმი მიკუთვნების თაობაზე.

ე. ხინთიბიძეს მოჰყავს კიდევ ერთი არგუმენტი – მიიჩნევს ამ ძეგლს მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ნიმუშად.[2] ეს ძალზე მნიშვნელოვანი არგუმენტია, რადგან მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული სტილი ბიზანტიურ მწერლობაში X საუკუნის დასასრულიდან გაბატონდა და ცხადია, ამ სტილით ნაწარმოებს ვერ შექმნიდა იოანე დამასკელი VIII საუკუნეში (იხ. დასახელებულ წიგნში ქვეთავი „ბერძნული „ვარლაამ და იოასაფი“ – მეტაფრასული აგიოგრაფიული ძეგლი“).

და მაინც, ყველაზე მეტ მნიშვნელობას „ვარლაამ და იოასაფის” წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტაში ე. ხინთიბიძე ანიჭებს ბერძნული

---

[1] იხ. ქვეთავი „ათონის მთა – „ვარლაამ და იოასაფის” ბერძნული ვერსიის გამოჩენისა და გავრცელების ადგილი“ წიგნში „ქართულ–ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის”

[2] იხ. ე. ხინთიბიძე, ბერძნული „ვარლაამ და იოსაფი” – მეტაფრასუ
თსუ „შრომები”, №162, 1975, გვ. 125–136

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ტექსტის სხვა რედაქციებთან მიმართებას. განსაკუთრებით კი არაბულ არაქრისტიანულ და ქართულ რედაქციებთან. [1]

მისი დასკვნები ამგვარია: „ბალავარიანის“ ვრცელი ქართული რედაქცია წარმოადგენს არაბული არაქრისტიანული რედაქციის შემოკლებას და ქრისტიანულ გადამუშავებას. იგი არ არის დამოკიდებული ბერძნულ „ვარლაამ და იოასაფზე.“ ბერძნული რედაქცია შორდება არაბულს და ახლოს დგას ქართულთან. ქართული რედაქცია აშკარად გარდამავალი საფეხურია „ბალავარიანის“ აღმოსავლურ არაქრისტიანულ ფაბულასა და ბერძნულის ღრმად დოგმატიკურ „სულისმარგებელ მოთხრობას“ შორის. მოხმობილია რედაქციათა ურთიერთშედარების შედეგად გამოვლენილი არგუმენტები.

ე. ხინთიბიძე კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. „ვარლაამ და იოსაფის“ ქრისტოლოგია ეფუძნება ანტიმონოფიზიტურ, ანტიმონოთელიტურ ხატმბრძოლობის საწინააღმდეგო დოქტრინას, რაც ასეთი შეხამებით არაა ბუნებრივი იოანე დამასკელისათვის. განსხვავებით ბიზანტიურისაგან, ქართულ პოლემიკურ ლიტერატურას ყოველთვის ახასიათებდა სწორედ ანტიმონოფიზიტური, ანტიმონოთელიტური და ხატმბრძოლობის საწინააღმდეგო განწყობილებანი. ეფთვიმე ათონელის, როგორც პოლემიკოსის, ორთოდოქსული პოზიციაც სწორედ ამ შინაარსის მატარებელია. ბოლოს ე. ხინთიბიძე დაასკვნის: „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული ტექსტი ქართული „ბალავარიანის“ ვრცელი ვერსიის თარგმანისა და გავრცობის გზითაა შექმნილი და ამიტომაც მის ავტორად ეფთვიმე ათონელი უნდა ჩაითვალოს.[2]

2000 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე პროფ. ე. ხინთიბიძემ წარადგინა მოხსენება „Крещение Руси и шедевр грузинско-вызантйского литературного сотрудничество,“ რომელშიც წარმოადგინა ბიზანტინისტიკის წინაშე ახალი თვალსაზრისი „ვარლაამ და იოასაფაის“ შექმნის თაობაზე,[3] კერძოდ ეფთვიმე ათონელის მიერ ბიზანტიური ლიტერატურის ამ შედევრის შექმნა დაუკავშირა რუსეთის გაქრისტიანების ფაქტს და დათარიღებულია იგი X საუკუნის უკანასკნელი ათწლეულით. ეს თეორია მკვლევარს გამოქვეყნებული აქვს ინგლისურ ენაზე რომშიც.[4]

1991 წელს დაბეჭდილ სტატიაში „Новый аргумент об идентификации Петра Ивера с Псевдо-Дионисием Ареопагитом“ (იხ. ბიბლიოგრაფია)[5] პროფ. ე. ხინთიბიძე ეხება ბიზანტინისტიკის ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელი იდენტურობის პრობლემა. ავტორი თვლის, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაცია სათანადოდ არ არის არგუმენტირებული და ამ არგუმენტაციის გასამაგრებლად ყურადღებას მიაპყრობს აქამდე შეუმჩნეველ გარემოებას. შ. ნუცუბიძის მიერ აღნიშნული იყო, რომ პეტრე იბერის ბიოგრაფიაში საუბარია წმინდა მამის მისტიკურ წიაღსვლებზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იოანე რეფუსის მონათხრობს ქალაქ მედაბაში წმინდა პეტრეს ექსტაზში ჩავარდნის შესახებ. მაგრამ არ იყო შემჩნეული ის გარემოება, რომ პეტრე იბერის მისტიკური ძიებანი შეიძლება დამყარებოდა კაპადოკიელთა სწავლებას. საქმე ისაა, რომ ერთადერთი დიდი

---

[1] იქვე იხ. ქვეთავი „ვარლაამ და იოასაფის” ქართულ და ბერძნულ ვერსიათა მიმართებისათვის.“

[2] იქვე; გვ. 308

[3] Э. Хинтибидзе, „Крещение Руси и шедевр грузинско-вызантйского литературного сотрудничество,“ «Verbum,” выл.3, С-Петтервург, 2000, стр., 142-147

[4] E. Khintibidze, New-materials on the origin of “Barlaam end Ioasaph,” “Orientalia Christiana Periodica,” vol. 63, II, Roma, 1997, P. 491-501

[5] Хинтибидзе Э., „Новый аргумент об идентификации Петра Ивера с Псе[illegible]” Византиноведческие этюды, Тб., 1991 გვ. 139-145

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ღვთისმეტყველი, რომლის ასკეტურ-მისტიკურ მოძღვრებათა ერთგულებას უქადაგებდა თავის მოწაფეებს წმინდა პეტრე, იყო ბასილი კაპადოკიელი. პროფ. ე. ხინთიბიძე ეყრდნობა ი. რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრებას" და დაასკვნის, რომ ერთადერთი ქრისტიანული თეოლოგია, რომელიც გვხვდება არეოპაგიულ წიგნებში, ესაა დიდი კაპადოკიელი მამების მისტიკა. ერთადერთი ქრისტიანული მოძღვრება, რომლის ერთგულებასაც ქადაგებს პეტრე იბერი, ესაა ბასილი კაპადოკიელის ასკეტიკა და მისტიკა („ასკეტიკონი"). შესაძლოა პროფ. ე. ხინთიბიძის მიერ გამოვლენილმა არგუმენტმა არ შეასრულოს მთავარი როლი არეოპაგიტული კორპუსის ავტორის საიდუმლოს გადაწყვეტილებაში, მაგრამ მას უნდა მიქცეს სათანადო ყურადღება ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის თეორიის კრიტიკული განხილვისას.

პროფ. ე. ხინთიბიძემ გამოავლინა ჩვენი მეცნიერებისათვის აქამდე უცნობი უნიკალური ფაქტი ქართულ-ბიზანტიურ-ლათინური ლიტერატურული ურთიერთობებისა, კერძოდ, XI ს.-ის აგიოგრაფიული თხზულების „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" დიდი მონაკვეთი XIII საუკუნეში თარგმნილია ბერძნულ და ლათინურ ენებზე და შეტანილია XIII ს.-ის დიდ თეოლოგიურ კრებულში „რწმენის საუნჯე." ეს ნაშრომი დღეს უკვე გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ინგლისურ ენებზე.[1]

პროფ. ე. ხინთიბიძემ ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში XVI საუკუნის ბერძნულ ხელნაწერში (Harley 5623) აღმოაჩინა ორი ქართული დღეისათვის დაკარგული ხელნაწერის ფრაგმენტი. ერთი მათგანი უნდა იყოს *საწელიწდო სახარების* XI საუკუნის ათონური ხელნაწერიდან, ხოლო მეორე - გიორგი ათონელის *პარაკლიტონის* ავტოგრაფული ხელნაწერი.[2]

პროფ. ე. ხინთიბიძემ 1998 წელს ათონის მთაზე მოგზაურობისას ივირონის მონასტერში მიაგნო ქართული წიგნების, ხელნაწერების და ფრაგმენტების მანამდე უცნობ კოლექციას, რომელიც ივირონის ხელნაწერთა მაშინდელი მცველის ცნობით ბერძნულ ხელნაწერებში ყოფილა შერეული და იქედანაა გამოკრეფილი. ქართველმა მეცნიერმა ამ უცნობი კოლექციიდან აღწერა ეტრატზე შესრულებული იოანე ოქროპირის ერთი ჟამისწირვა, რომელიც მან დაახლ. XI საუკუნით დაათარიღა.[3]

პროფ. ე. ხინთიბიძის კვლევის შედეგებს იყენებენ და ეყრდნობიან უცხოელი მკვლევარები.[4] მისი კვლევის მეთოდები და დასკვნები პარალელს პოვებენ ევროპულ მეცნიერთა ახალ შრომებთან (მაგ., ე. ხინთიბიძის გამოკვლევა „ვარლაამ და იოასაფის" ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის" და ამავე წიგნის არაბული რედაქციის შესწავლა ფრანგი მეცნიერის დ. ჟიმარეს მიერ).

პროფ. ე. ხინთიბიძის მეცნიერული ავტორიტეტი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო არენაზე აღიარებას. მისი 40-მდე შრომა დაბეჭდილია უცხოეთში: პარიზში, იენაში, ათენში, მადრიდში, ვაშინგტონში, ჰელსინკში (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე). პროფ. ე. ხინთიბიძე მონაწილეობდა მრავალ საკავშირო და

---

[1] E. Khintibidze, En Example of Georian-Greek-Latin Literary relation ship in e 13-th – centuri Latin colleqcion: "Христианский восток," т., 9 (С-Петербург – Москва, 2002) p. 420-430

[2] ე. ხინთიბიძე, მეთერთმეტე საუკუნის უცნობ ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმში. – კრებული „საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები", თბ. 1998, გვ. 426-435; E. Khintibidze, Fragments of Two Unknown 11th century Georgian Manuscripts in a Greek Codex. – *Orientalia Christiana Periodica,* v, 64, fasc. II, Roma, 1998, p. 409-417.

[3] ე. ხინთიბიძე, უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნთსაცავში: მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი 2005, გვ. 190-195.

[4] იხ. მაგ., „ბასილი კაპადოკიელის 1600 წლისთავისადმი მიძღვნი[illegible] გამოცემული კანადაში 1981 წელს პ. ფედვიკის რედაქციით

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საერთაშორისო სიმპოზიუმში (მოსკოვი, პეტერბურგი, ერევანი, ბაქო, ლონდონი, ვაშინგტონი, მასსაჩუსეტი, ჰელსინკი, ტურკუ, ფლორენცია, ვენეცია, თელ-ავივი). იგი არის საერთაშორისო საზოგადოებების ნამდვილი წევრი - შუა საუკუნეების ფილოსოფიის კვლევის საზოგადოებისა და ბიზანტინისტიკის განმავითარებელი საზოგადოებისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფესორ **დ. მელიქიშვილის** წვლილი ქართველოლოგიური მეცნიერების ამ მიმართულების განვითარების საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონის I და II ტომი,* მასვე ეკუთვნის მონოგრაფია *ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან,*[1] რომელშიც ასახულია ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის სისტემური ფორმალურ-სემანტიკური ანალიზი ბერძნულ წყაროებთან მიმართებით. დ. მელიქიშვილი იკვლევდა იოანე პეტრიწის თეოლოგიურ მემკვიდრეობას და 1999 წელს ვრცელი გამოკვლევისა და ლექსიკონის დართვით წიგნად გამოიცა იოანე პეტრიწის *განმარტება პროკლე დიადოხოსის "ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა,"* ახალქართული ვერსია.[2] იგი არის ავტორი მრავალი სამეცნიერო სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებშიც საუბარია ქართულ-ბიზანტიური *ლიტერატურული ურთიერთობების განვითარების ძირითად ტენდენციებზე* (იხ. ბიბლიოგრაფია).

ლ. დათიაშვილი - მნიშვნელოვანია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ლ. დათიაშვილის წვლილი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით. მისი კვლევის საგანია ბიზანტიური და ქართული ლიტერატურისათვის საინტერესო მწერლის, თევდორე აბუკურას შემოქმედება, „მიქელ საბაწმინდელის ცხოვრება," ეფრემ ასურის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის შემოქმედების ცალკეული ნიმუშების შესწავლა.

1980 წელს დაიბეჭდა ლ. დათიაშვილის მიერ მომზადებული თევდორე აბუკურას „ტრაქტატები და დიალოგები" თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ. ეს ნაშრომი შეიცავს გამოჩენილი არაბი ქრისტიანი მწერლის თეოდორე აბუკურას (VIII–IX სს). დოგმატიკურ-პოლემიკურსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებსა და დიალოგებს. მათგან ზოგიერთი საერთოდ უცნობია როგორც თანამედროვე, ისე წინამავალი ბიზანტინისტებისათვის. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესასწავლადაც.

ტექსტებს ერთვის გამოკვლევა, რომელშიც საუბარია იოანე დამასკელის მიმდევარი მწერლის თეოდორე აბაკურას შემოქმედებაზე და მსოფლმხედველობაზე, მის ნაწარმოებთა არსენ იყალთოელისეულ თარგმანებზე, მთარგმნელის მიერ ტექსტის გავრცობის შემთხვევებზე. შედარებულია ბერძნული და ქართული ტექსტები და გამოვლენილია ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ბერძნული ორიგინალები არა ჩანს, არსებობს მხოლოდ ქართული თარგმანები.

ერთი ასეთი ნაწარმოები, რომელიც შესულია არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში," მინის გამოცემაში კი არაა, მკვლევარს შესწავლილი აქვს

---

[1] მელიქიშვილი დ., ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თსუ, კლასიკ. ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინ-ტი, საპატრიარქო, გელათის მეცნ. აკადემია. - თბ., 1999;

[2] განმარტება პროკლე დიადოხოსის "ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა" / თანამედრ. ქართ. ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნ. დაურთო დ [illegible] შალვა ხიდაშელი]; თსუ, საქ. საპატრიარქოსთან არსებ. გელათის მეც[illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ცალკე – „არსენ იყალთოელის თარგმანი თეოდორე აბუკურას ტრაქტატისა „საღმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსებისათვის.“[1]

არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი ეს ძეგლი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული (და ბიზანტიური) ლიტერატურისათვის. განსაკუთრებით ეს ითქმის მასში წამოყენებულ ფილოსოფიურ ტერმინებზე, რომელთა აღნუსხვა და სათანადო გაანალიზება მომავლის საქმეა.

„მიქელ საბაწმინდელის მარტვილობის“ რედაქციების სპეციალური შესწავლით ლ. დათიაშვილმა გაამაგრა პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომელმაც ეს ძეგლი ქართველი ავტორის ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნია. მკვლევრის აზრით, ამ ძეგლის ავტორი შესაძლებელია იყოს IX საუკუნის ქართველი მწერალი ბასილი საბაწმინდელი, ავტორი ჰიმნოგრაფიული ძეგლისა „მამისა საბაჲს დასდებელნი.“ ლ. დათიაშვილი თვლის, რომ „მიქელ საბაწმინდელის მარტვილობის“ ეპიზოდი გვიანდელი ჩანართია „თეოდორე ედესელის ცხოვრებაში.“ ეს ბერძნული ტექსტი კი მომდინარეობს „მიქელ საბაწმინდელის მარტვილობის“ ქართული რედაქციიდან და იგი ბერძნულად ეფთვიმე ათონელის მიერაა თარგმნილი. ლ. დათიაშვილი ასე ასაბუთებს: ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ბერძნული ტექსტი ძალიან ახლოს დგას ქართულ თხზულებასთან. ეს სიახლოვე იმდენად თვალსაჩინოა, რომ ბერძნული ტექსტის ქართულზე დამოკიდებულებას მიუთითებს; „მიქელ საბაწმინდელის მარტვილობის“ ამბავი „თეოდორე ედისელის ცხოვრებაში“ რომ აშკარად ჩანართია, იქიდანაც ჩანს, რომ მიქელის წამების თეოდორე ედესელის პიროვნებასთან დასაკავშირებლად ავტორს ზოგიერთი ანაქრონიზმი დაუშვია.[2]

ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ საინტერესო დაკვირვებას ვხვდებით ლ. დათიაშვილის წერილში „ეფრემ ასურის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები.“[3] ეფრემ ასურის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ „ეფთვიმე ათონელს ეფრემ ასურის ხუთი ასკეტური ძეგლი კი არ უთარგმნია, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ საკუთარი შეხედულებისამებრ დაუმუშავებია, შეუმცირებია და ისე გადმოუღია დასახელებული ავტორის ათი ნაშრომი, რომელის მხოლოდ ხუთი თხზულების სახელით მიუწოდებია ქართველი მკითხველისათვის“ (გვ. 13). გაანალიზებული თარგმანების შესწავლამ გამოავლინა, რომ ეფთვიმეს ხელეწიფებოდა არა მარტო კლება და მატება, არამედ შედარებით რთული ოპერაციებიც, როგორებიცაა ორი და სამი ძეგლის ისეთი სინთეზი, ისე ოსტატურად შეკავშირება, რომ მიღებული თარგმანი მექანიკური შეერთების შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ამას, რა თქმა უნდა, სათარგმნი მასალის ჟანრობრივი თავისებურებაც უწყობდა ხელს. მიზნის მისაღწევად შერჩეულ თხზულებებს ეფთვიმე ამოკლებდა, ამარტივებდა, ცდილობდა განეტვირთა ტექსტი დაახლოვებით ერთგვარი აზრების შემცველი ადგილებისაგან, რომ თავის თარგმანში მოეცა ორიგინალის ის ძირითადი ბირთვი, რომელიც მიზანშეწონილად მიაჩნდა ქართველი მკითხველის ინტერესებისათვის (გვ. 14).

ეფრემ მცირის ლიტერატურული შემოქმედების კვლევას ეძღვნება ლ. დათიაშვილის წერილი „ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ისტორიიდან.“[4] მასში მკვლევარი სწავლობს ასურის ორ პოტენციურ ძეგლს და მათ ეფრემ მცირისეულ თარგმანებს. ირკვევა, რომ ერთ-ერთი მათგანი ეფრემს უთარგმნია 12 მარცვლოვანი იამბიკური საზომით, მეორე კი - ნაწილობრივ

---

[1] კრ. „ძველი ქართული ლიტერატურა” (XI–XVIII სს.), თბ., 1977, გვ. 20-40

[2] იხ. ა) „აბუკურას“ ქართულ-ბერძნული რედაქციები; სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1968, გვ. 152-216,ბ) „აბუკურას” ორიგინალობის საკითხისათვის; „მაცნე”, 1967, №5, გვ. 169-194

[3] ,ფილოსოფიური ნარკვევები”, თბ., 1981, გვ. 3-15

[4] კრ. „ძველი ქართული მწერლობის მატიანე,” I, 1984, გვ. 40–49

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ლექსად, ნაწილობრივ პროზად. ეფრემ მცირემ ასურის ორი ასკეტური თხზულების პოეტური თარგმანით კიდევ ერთი ახალი სიტყვა თქვა თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნ. მრევლიშვილი** ასევე იკვლევს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. კერძოდ, გრიგოლ ნოსელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მან შეისწავლა გრიგოლ ნოსელის აგიოგრაფიული თხზულების „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ორი რედაქცია - ეფრემ მცირისეული და გიორგი მთაწმიდელისეული. გაარკვია როგორც ქართულ რედაქციათა ურთიერთდამოკიდებულების, ასევე მათი ბერძნულ დედანთან მიმართების საკითხი. ვრცელი და საფუძვლიანი კვლევისა და კითხვა-სხვაობების გათვალისწინების საფუძველზე დაასკვნა, რომ გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ ქართული თარგმანების წყაროს უნდა წარმოადგენდეს ბერძნულ ხელნაწერთა უცნობი ტიპი. ნაშრომი წიგნად გამოიცა 2001 წელს.[1]

ამავე მკვლევარს ეკუთვნის გრიგოლ ნეოკესარიელის „ეკლესიასტეს მეტაფრასის“ პუბლიკაცია. ავტორთა ჯგუფთან ერთად იგი მონაწილეობდა ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი I და II ტომის გამოცემაში. ამ გამოცემის სალექსიკონო მასალა ეფუძნება ძველ ქართულ თარგმანებსა და მათ ძველბერძნულ ორიგინალებს. ამჟამად მკვლევარი იკვლევს მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი დიაკონის ავტორობით შემონახული *ეკლესიასტეს განმარტებათა* ეგზეგეტიკური ძეგლის ქართულ ვერსიას, მის მიმართებას ბერძნულ ორიგინალთან, თხზულების სტრუქტურასთან, ლექსიკასთან და სხვადასხვა პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებსაც ნაშრომების სახით პერიოდულად აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებში (იხ. ბიბლიოგრაფია).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მკვლევარის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, **ვ. ჯუღელის** მეცნიერული კვლევა ამ მიმართულებით. მათ საფუძვლიანად შეისწავლა თეოდორიტე კვირელის თეოლოგიური მემკვიდრეობის ქართული თარგმანები და 2008 წელს გამოსცა მონოგრაფიის I ტომი. ავტორთა ჯგუფთან ერთად ვ. ჯეღელი მონაწილეობდა ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი I და II ტომის გამოცემაში. ამავე მკვლევარს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო სტატია, რომლებშიც გაშუქებულია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების რიგი საკითხები (იხ. ბიბლიოგრაფია).

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მეოცე საუკუნეში ქართულ სინამდვილეში იქმნება მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, რომლებშიც ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს ამ მიმართულებით. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის სრული დახასიათებისათვის უმჯობესად ვთვლით ამ ცენტრების საქმიანობა წარმოვადგინოთ მათში ჩატარებული კვლევითი მუშაობის ანგარიშების სახით. **ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი** - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა საქმიანობა აკად. კორნელი კეკელიძის მიერ წამოწყებული საქმის გაგრძელებაა. ქართული მწერლობის ძეგლები შეისწავლება იერუსალიმურ და კონსტანტინოპოლურ ლიტურგიკულ პრაქტიკასთან

[1] ნ. მრევლიშვილი, გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმ
რედაქციები, თბ., 2001

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მიმართებაში, ანუ წარმოაჩენს იმ გზას, რომელიც გაიარა ქრისტიანობამ საქართველოში დასაბამიდან დღემდე.[1]

უპირველესად უნდა აღინიშნოს ის დიდი სამუშაო, რომელიც ინსტიტუტის ძირითადი მიზანია მისი დაარსების დღიდან (1958 წლიდან) მოყოლებული. ეს არის ხელნაწერთა (9000 ერთეულზე მეტი) XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ფონდების მეცნიერული აღწერილობის პუბლიკაცია, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ევროპის წიგნსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგიზაცია.[2] როგორც ცნობილია, ამ კოლექციებში ბერძნულიდან ნათარგმნ ლიტერატურულ მასალას უდიდესი ადგილი უკავია.

ბიზანტიურ მწიგნობრულ კერებთან ურთიერთობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია უცხოეთის ქართული სამონასტრო ცენტრების ხელნაწერთა კოლექციები და მათში დაცული ლიტერატურული პროდუქციის აღნუსხვა: სინას, იერუსალიმის, ათონისა და სხვა ხელნაწერთა აღწერილობები, რომელთა მიკროფილმებიც დაცულია ინსტიტუტში. აღსანიშნავია, რომ სინური ქართული კოლექციის ჟერარ გარიტისეული აღწერილობა შეივსო ლიტურგიკული ხელნაწერების მაღალკვალიფიციური თემატური აღწერილობით, რომლის პრინციპებიც ინსტიტუტის კოლექტივმა შეიმუშავა.[3] იმავე პრინციპით ინსტიტუტში მზადდება იერუსალიმურ ხელნაწერთა აღწერილობა. გამოიცა ათონის/ივირონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ტომი.[4] მზადდება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

სხვადასხვაენოვან (ებრაულ, სომხურ, სლავურ, სპარსულ, თურქულ, არაბულ და სხვა.) ხელნაწერებთან ერთად ინსტიტუტში დაცულია 30-მდე ბერძნული ხელნაწერი, ხოლო აკად. გრიგოლ წერეთლის პირად არქივში- ბერძნული პაპირუსების მდიდარი კოლექცია, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გამოცემულია.

ინსტიტუტში მედიევისტიკის პრობლემატიკაში რამდენიმე მიმართულებაა გამოკვეთილი - ბიზანტიური მწერლობის ძეგლების ქართული თარგმანების კვლევა ლიტურგიკული პრაქტიკის მიხედვით (იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური); დარგების მიხედვით (ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა, ჰაგიოგრაფია, ასკეტიკა, დოგმატიკა-პოლემიკა დ ა.შ.); ბიზანტიელ ავტორთა თხზულებების ქართული თარგმანების კომპლექსური შესწავლა (თარგმანის ბერძნულ წყაროსთან მიმართების დადგენა, ბერძნულთან მიმართებით ქართული თარგმანების ტერმინოლოგიური კვლევა და მთარგმნელობითი მეთოდების შესწავლა, ტექსტოლოგიური და ენობრივი ანალიზი) და გამოსაცემად მომზადება; საეკლესიო ცენტრების და მთარგმნელობითი სკოლების ისტორიის შესწავლა ბიზანტიის ისტორიისა და

---

1 მასალა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კვლევითი საქმიანობის შესახებ მომზადებულია თ. ოთხმეზურისა და ქ. ბეზარაშვილი ნაშრომის - *ბიზანტინისტიკის საკითხების კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში* – მიხედვით კრებულიდან *ბიზანტინოლოგია საქართველოში*, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

2 ე. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 25 წლის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, მრავალთავი, XIV, თბ., 1987, 3-36 (იხ. იქვე ინსტიტუტის პუბლიკაციების სრული ბიბლიოგრაფია 1987 წლამდე)

3 G. Garitte, Catalogue des manuscits georgiens litteraires du mont Sinai (CSCO,, vol. 165. Subsidia,t.9), Louvain, 1965. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია, ე. მეტრეველის, ლ. ჯღამაიას, ც. ჭანკიევის, ლ. ხევსურიანის გამოცემა, I, II, III, თბ., 1978-1987.

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია. I, ე. მ[illegible] 1986.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კულტურის კონტექსტში, ინსტიტუტის ფონდებში დაცული ილუმინირებული ხელნაწერების შესწავლა თანადროული ბიზანტიური მასალის გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული ნათარგმნი ძეგლების რაოდენობა აღემატება ორიგინალურ ქართულ თხზულებათა რიცხვს და უმეტესად ბერძნულიდან არის გადმოტანილი. ნათარგმნი ძეგლების შესწავლის მეთოდიკა გამოიმუშავეს ცნობილმა მეცნიერებმა: ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ, ი. იმნაიშვილმა, ჟ. გარიტმა. ინსტიტუტის პირველმა დირექტორმა, პროფ. ი. აბულაძემ პირველ რიგში გამოსცა და შეისწავლა უძველესი თარიღიანი ხელნაწერებით მოღწეული და ქართულ მწერლობის პირველ პერიოდში, VIII-IX სს-ში, პალესტინაში შესრულებული ძეგლები: „ბალავარიანი," „მამათა სწავლანი," იოანე მოსხის „ლიმონარი" და ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნოსელის კლასიკური ეგზეგეტური შრომები (იხ. ბიბლიოგრაფია).

ამ მიმართულების გაგრძელებაა სინური მრავალთავის ჰაგიოგრაფიული საკითხავის პუბლიკაცია და „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი, გიორგი ალექსანდრიელისეული რედაქციის გამოცემა რ. გვარამიას მიერ.[1] ამავე მიზნით გამოიცა პატერიკების უძველესი თარგმანები (იხ. ბიბლიოგრაფია).

გამოიცა აგრეთვე ქართულად ნათარგმნი ბიზანტიური ქრონიკა-ალექსანდრე კვიპრელის „საკითხავი პოვნისათჳს პატიოსნისა და ცხოველმსყოფელისა ჯუარისა."[2]

ეროვნულ ცენტრში უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს ლიტურგიკული კრებულების კვლევა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია პალესტინური ჰიმნოგრაფიის ძეგლი, VII-IX სს. ქართული საეკლესიო პრაქტიკის ძირითადი სახელმძღვანელო (ეფუძნება უფრო ადრეულ ბერძნულ მასალას), ე. წ. უძველესი იადგარი, რომლის ბერძნული მოდელი არ მოღწეულა;[3] ძლისპირნის ირმოლოგიონის უძველესი რედაქციები (ე. მეტრეველი);[4] ნევმირებული ირმოლოგიონი XIს. ხელნაწერის მიხედვით (გ. კიკნაძე);[5] გამოსაცემად მზადდება იადგარის ახალი რედაქცია ლ. ხევსურიანის, ლ. ჯღამაიას და სხვ. მიერ (ეს არის X საუკუნის ფარგლებში შედგენილი კრებული, რომელიც მოიცავს საეკლესიო წელიწადის ყველა პერიოდის საგალობლებს; საგალობლები ძირითადად ბერძნულიდანაა თარგმნილი, დიდ ნაწილს არ ეძებნება ბერძნული დედანი);[6] მზადდება აგრეთვე იერუსალიმის ლექციონარის ახალი გამოცემა

---

[1] ამონიოსის „სინა-რაითის წმ. მამათა მოსრვის" არაბულ-ქართული ვერსიები (IX-XI, XIII-XVII სს. ხელნაწერების მიხედვით), რ. გვარამიას გამოცემა, თბ., 1973. „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წ. ხელნაწერების მიხედვით, რ. გვარამიას გამოცემა, თბ., 1986

[2] ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა (X-XIV სს. ხელნაწერების მიხედვით), თ. მგალობლიშვილის გამოცემა, თბ., 1965

[3] უძველესი იადგარი, ე. მეტრეველის, ც. ჭანკიევის, ლ. ხევსურიანის, გამოცემა, თბ., 1980. იტარგმნება ფრანგულად შარლ რენუს მიერ. გამოცემულია I ტომი

[4] ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით, ე. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1971

[5] ნევმირებული ძლისპირნი, ტექსტი გამოკვლევითურთ გამისცა გ. კიკნაძემ, თბ., 1982

[6] საგალობელთა ქართული თარგმანები და რედაქციები შესწავლილია პუბლიკაციების პარალელურად, მაგ., იოანე მინჩხის საგალობლების პუბლიკაციას ახლავს გამოკვლევა ამ ჰიმნოგრაფიის როლის შესახებ მარხვანის ქართული რედაქციის ჩამოყალიბების საქმეში, იხ. იოანე მინჩხის პოეზია, ლ. ხაჩიძის გამოცემა, თბ., 1987. იხ. აგრეთვე ლ. ხევსურიანი, გიორგი მთაწმიდლის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XXII, თბ., 2001, 75-83. შეისწავლება აგრეთვე ნატარგმნი საგალობლების მიმართება ბერძნულ ორიგინალებთან. იხ. ე. დურაშვილი, კოზმა იერუსალიმელ[illegible] ქართული თარგმანები (X ს. იადგარების მიხედვით), სადისერტაც

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით მ. დოლაქიძისა და ლ. ხევსურიანის მიერ.[1]

ძველი ქართული მრავალთავები – უძველესი პერიოდის ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებულები, რომლებიც თავიანთ უცხოენოვან მოდელებთან შედარებით ტექსტობრივად და შინაარსობრივად დაცილებულნი არიან და რომლებმაც განვითარების ხანგძლივი გზა გაიარეს V-X სს-ში (შემორჩენილია X ს. ხელნაწერებით). ამ კრებულმა ჩვენამდე რამდენიმე ნუსხით მოაღწია ამ მხრივ, ცნობილი ქართული მრავალთავების (ხანმეტი, სინური, უდაბნოს) უკვე არსებულ გამოცემებს დაემატა კლარჯული და ათონის მრავალთავების ინსტიტუტში მომზადებული გამოკვლევა და პუბლიკაციები (თ. მგალობლისვილის მიერ და გ. ნინუას ხელმძღვანელობით).[2] გამოკვლევა ათონის მრავალთავის შესახებ ცალკე გამოქვეყნდა.[3] ცალკე იქნა შესწავლილი მრავალთავებში მოთავსებული ერთ-ერთი ადრეული ავტორის, ეფრემ ასურის, თხზულებათა თარგმანები ლ. ახობაძის მიერ.[4]

ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციაა X ს.-ის სამეცნიერო-საგანმანათლებლო წიგნი, ე. წ. შატბერდის კრებული, რომელიც ბერძნული ეგზეგეტიკის (ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპრელის, იპოლიტე რომაელის, თეოდორიტე კვირელის შრომების) ადრეულ თარგმანებს მოიცავს.[5]

დღეისათვის უკვე გამოცემულია ათონელების მიერ თარგმნილი ეგზეგეტიკური თხზულებანი - ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი ბასილი კესარიელის „დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა“ (თ. ჭყონიას მიერ) და გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი „ქებათა ქების“ განმარტების კიმენური ტექსტი (გ. კიკნაძის მიერ).[6]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი ძეგლების გამოცემა: სჯულის კანონი (ე. გიუნაშვილის მიერ);[7] მაკარი მეგვიპტელისა და ბასილი დიდის ასკეტიკური თხზულებანი (გ. ნინუასა და ც. ქურციკიძის მიერ);[8] ასევე ბასილი დიდის თხზულებების ყველა ძველი ქართული თარგმანის მიმოხილვა – ათონამდელი, ათონისა თუ შემდგომი პერიოდის (ნ. ქაჯაიას მიერ). ამ გამოცემას თან ახლავს ბასილის რამდენიმე ლიტურგიკული ტექსტისა და ეპისტოლეების პუბლიკაცია.[9]

Dugashvili, Information about the Biography of Cosma of Jerusalem According to Written Sources and Scientific Researches, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, 2000, 131-134

[1] იერუსალიმის ლექციონერი პირველად გამოსცა კ. კეკელიძემ: Иерусалимский канонар VII в., Тифлис, 1912. შდრ. ლ. ხევსურიანი, მ. დოლაქიძე, კალის ლექციონარის დათარიღებისათვის, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, 64-80.

[2] კლარჯული მრავალთავი, თ. მგალობლიშვილის გამოცემა, თბ., 1991

[3] მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. ღამბაშიძე, მ. ჩხენკელი (გ. ნინუას ხელმძღვანელობით), ათონის მრავალთავი, თბ., 1999. თ. ჩუბინიძე, ჰომილიათა ქართული თარგმანის ზოგიერთი თავისებურების შესახებ (ათონის მრავალთავის რამდენიმე საკითხავის მიხედვით), „გულანი”, თბ., 1989, 39-55

[4] ლ. ახობაძე, ეფრემ ასურის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები მრავალთავებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1982. იხ. აგრეთვე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1982; შდრ; მაცნე, 2, 1981.

[5] შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის გამოცემა, თბ., 1979

[6] ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი X-XII სს. ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1965

[7] მცირე სჯულის კანონი, ე. გიუნაშვილის გამოცემა, თბ., 1972

[8] ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გ. ნინუას გამოცემა, თბ., 1982. ბასილი კესარიელის “სწავლათა” ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ც. ქურციკიძის გამოცემა, თბ., 1983

[9] ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1992. ნ. ქაჯაიას შრომები ბასილის თხზულებათა ქართული ვერსიების შესახ

Fedwick, Bibliotheca Basiliana Universalis (Corpus Christianorum), 8 vo

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

უნდა აღინიშნოს ე. ჭელიძის მიერ ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და კომენტარებით გამოცემული „პასუხი ექუსთა მათ დღეთაოჳს“[1]

ინტენსიურად მიმდინარეობს ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლების, როგორც კომენურის, ისე მეტაფრასულის, შესწავლა და გამოსაცემად მომზადება.[2] ცნობილია, რომ ქართული წყაროები შეიცავს უაღრესად საინტერესო ცნობებს სვიმეონ მეტაფრასტის ლიტერატურული საქმიანობის შესახებ. ამდენად, ქართული მეტაფრასული კრებულების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ბიზანტიური მეტაფრასული ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეში. დღეისათვის გამოცემულია სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავები ნ. გოგუაძის მიერ.[3] გამოსაცემად მომზადებულია ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების მეტაფრასული ძეგლები. დანარჩენ ტექსტებზე კი მიმდინარეობს მუშაობა (იხ. ბიბლიოგრაფია).

აღსანიშნავია უნიკალური კრებული „წინამძღვარი“ – მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სასწავლო-სამოძღვრო სახელმძღვანელო, რომელიც ეკუთვნის X-XI საუკუნის ცნობილ ათონელ მოღვაწეს, ეფთვიმე მთაწმინდელს (გამოსაცემად მოამზადეს თ. ჭყონიამ და ნ. ჩიკვატიამ), კრებული კომპილაციური ხასიათისაა. მასში შეტანილია ანასტასი სინელისა და იოანე დამასკელის თხზულებათა ქართული თარგმანები, მსოფლიო კრებების აქტები, ანატემები და ა.შ.[4]

გამოცემულია შავი მთისა და ქართული ელინოფილური სკოლების ლიტერატურული პროდუქციიდან ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“[5] ეფრემ მცირის მიერ გადმოღებული. დიონისე არეოპაგელის თხზულებების მაქსიმე აღმსარებლისა და სხვათა კომენტარები;[6] სამოციქულოს კირილე ალექსანდრიელისეული კომენტარები;[7] გამოიცა არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი კანონიკური ძეგლი – პატრიარქ ფოტიოსის 14-ტიტლოვანი ნომოკანონი (ე. გაბიძაშვილის საერთო რედაქციით).[8]

2000. იხ. აგრეთვე ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნაზიანზელის წერილები, ნ. ქაჯაიას გამოცემა, თბ., 2006

[1] წმ. გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთაოჳს, გიორგი ათონელის თარგმანი, ე. ჭელიძის გამოცემა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989, 194-219

[2] წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, ე. გაბიძაშვილის გამოცემა, თბ., 1991. ე. გაბიძაშვილი, უცნობი ბიზანტიელი ჰაგიოგრაფი ძველ ქართულ ნათარგმნ მწერლობაში (ნიკიფორე ურანოსის „თეოდორე ტირონის მეტაფრასული წამება“), საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობითი აკადემიის შრომები, I, თბ., 1997, 73-88. ე. გაბიძაშვილი, ახლად გამოვლენილი ნატრგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულება (საბინეს წამება), მწიგნობარი, თბ., 1998, 134-137. თ. ცანავა, „კალისტრატეს მარტვილობა“ ქართულ მწერლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1990. მ. მაჭავარიანი, წმ. დიმიტრის ციკლი („წამება“, „სასწაულები“, „შესხმა“) ქართულ მწერლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2006. ბაგრატ ტავრომენიელის ცხოვრება (აპოკრიფი), გ. ნინუას გამოცემა (გადაცემულია დასაბეჭდად)

[3] ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ნ. გოგუაძის გამოცემა, თბ., 1986

[4] ნ. ჩიკვატია, ეფთვიმე მთაწმიდლის “წინამძრუარი” და მისი წყაროები, სადისერტაციო ნაშრომი, 1997. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი, წინამძღუარი, ნ. ჩიკვატიას გამოცემა

[5] იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფავას გამოცემა, თბ., 1976. იოანე დამასკელი, გარდამოცემა, რ. მიმინოშვილის, მ. რაფავას, ე. ჭელიძის გამოცემა, თბ., 2000

[6] ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, ა. ჭუმბურიძის გამოცემა, თბ., 2001

[7] განმარტება სამოციქულოსი გამოკრებული იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, I, ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემა, თბ., 2000; II, თბ., 2006

[8] დიდი სჯულისკანონი, გ. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლ[illegible] თბ., 1975

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მიმდინარეობს, აგრეთვე, ცნობილი ბიზანტიელ ავტორთა-ანასტასი სინელის, იოანე დამასკელის, კირილე ალექსანდრიელის, თეოდორე აბუკურას, ნიკიტა სტითატის, მიქაელ ფსელოსის და სხვათა დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებების შემცველი კრებულის, „დოგმატიკონის“ (XI-XII სს; მთარგმნელი არსენ იყალთოელი) კვლევა. ამ კრებულის შესწავლამ ცხადყო, რომ, ხშირ შემთხვევაში, მასში შემონახულია ბიზანტიურ მწერლობაში ცნობილი რედაქციებისაგან განსხვავებული ტექსტები.[1] „დოგმატიკონის“ ტექსტების ერთი ნაწილი გასული საუკუნის 70-80-იან წლებშია გამოცემული. ბოლო ათი წლის მანძილზე გამოიცა იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ (იხ. დასახ. გამოცემები), აგრეთვე ანტინესტორიანული ტრაქტატები.[2]

გელათური სკოლის ანონიმი მთარგმნელების ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შესწავლილი და გამოცემულია ამონიოს ერმისისა[3] და იოსებ ფლავიოსის თხზულებები (მ. რაფავასა და ნ. მელიქიშვილის მიერ).[4] გამოვლენილია იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვაობის ბერძნული წყაროები,[5] იოანე სინელის „კლემაქსის“ ახალი, ანონიმური ქართული ვერსია,[6] ელინოფილური გრამატიკული ტრაქტატი.[7]

ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩასახვისა და განვითარების შესწავლას ბერძნულ საღვთისმეტყველო ტერმინებთან მიმართებით ეძღვნება ე. ჭელიძის ნაშრომი.[8] მასვე ეკუთვნის შრომები ბიზანტინისტიკის არსებითი საკითხის – არეოპაგიტიკის პრობლემის ახლებური გაშუქების შესახებ.[9] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ერთი ჯგუფი აწ გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერის, აკად. ე. მეტრეველის ხელმძღვანელობით, უკვე დიდი ხანია ჩართულია საერთაშორისო პროექტში, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია გრიგოლ ნაზიანზელის ბერძნული, აგრეთვე სხვაენოვანი ვერსიების გამოცემა. პროექტს ხელმძღვანელობს ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში არსებული გრიგოლ ნაზიანზელის შემსწავლელი ჯგუფის უფროსი, პროფ. ბ. კული. დღეისათვის სერიაში Corpus Christianorum (Series Graeca, Corpus Nazianzenum, Versio Iberica) გამოცემულია გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა და გრიგოლის თხზულებებზე შექმნილ კომენტართა ქართული თარგმანების ხუთი ტომი (1998, 2000, 2001, 2002,

---

[1] დ. შენგელია, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები, როგორც ერთ-ერთი წყარო „დოგმატიკონში“ დაცული თხზულებისა „გამოკრებანი წამებათანი,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2006.

[2] ა. ჩანტლაძე, ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონიდან,“ თბ., 1997.

[3] ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ნ. კეჭაღმაძისა და მ. რაფავას გამოცემა, თბ., 1983.

[4] იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, I, II, ნ. მელიქიშვილის გამოცემა, თბ., 1987, 1988.

[5] თ. ოხმეზური, ქ. ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე.წ. „ბოლოსიტყვაობის“ ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი, MNHMH. ა. ალექსიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2000, გვ. 207-239. ქ. ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე.წ. ბოლოსიტყვაობის ზოგიერთი ადგილის გაგებისათვის: „ულუმპიანთა ძლევანი“, METANOIA. ეძღვნება გრ. წერეთლის დაბადებიდან 130 წლისთავს, თბ., 2001, 58-59. ქ. ბეზარაშვილი, „იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვის ზოგიერთი ადგილის გაგებისათვის: „მეარისტოტელურა,“ ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 3, 2005, 17-43.

[6] ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1987, 129-154; 3, 1989, 142-163.

[7] მ. შანიძე, სიტყუჲ არორონათოჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.

[8] ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996.

[9] ე. ჭელიძე, წმ. დიონისე არეოპაგელი, ციური იერარქიის შესახებ, თარგმანი და წინასიტყვა, საღვთისმეტყველო კრებული, 3, 1987, 194-205. ე. ჭელიძე, ერთი წყარო წმ. დიონისე არეოპაგელის შესახებ, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანობის საკითხები (სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერ[illegible] 419-425.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

2004, 2006). ამ სამუშაოდან ქართულად მონოგრაფიის სახით ჯერჯერობით გამოქვეყნდა მხოლოდ მითოლოგიური კომენტარები (თ. ოთხმეზურის მიერ)[1] და ქ. ბეზარაშვილის გამოკვლევა გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილეტიკის შესახებ.[2] ამ გამოკვლევაში მიმოხილულია ქართული მწიგნობრული სკოლების (ათონისა და შავი მთის) მუშაობის ახალი ასპექტები და სპეციფიკა.

ადრე ბიზანტიელ მამათა (კაპადოკიელებისა და იოანე ოქროპირის) ჰომილეტიკური ნაშრომების ქართული თარგმანების სისტემატიზაცია და დეტალური ბიბლიოგრაფია მოცემულია ნ. მელიქიშვილის პუბლიკაციაში.[3] ამავე სახისაა მ. მაისურაძის შრომა, რომელიც წარმოადგენს ბიზანტიური ჰომილეტიკური თხზულებების (გრიგოლ ნეოკესარიელი, ათანასე ალექსანდრიელი, კირილე ალექსანდრიელი, კირილე იერუსალიმელი, მელეტი ანტიოქელი, ევსები ალექსანდრიელი, ეპიფანე კვიპრელი, ეფრემ ასური, სევერიანე გაბალოვნელი, ანასტასია სინელი, სოფრომ იერუსალიმელი, მაქსიმე აღმსარებელი, ანდრია იერუსალიმელი, გერმანე კონსტანტინოპოლელი, თეოდორე სტუდიელი, იოანე დამასკელი, ნიკიტა პაფლაღონიელი და სხვ.) ქართული თარგმანების სისტემატიზაციას.[4]

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი - ქართულ–ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის მიმართულებით წლების მანძილზე ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს **აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.**[5]

ამ განყოფილებაში მუშაობდა მეცნიერი ნათელა კეჭაღმაძე. იგი იკვლევდა იოანე პეტრიწის, იოანე იტალოსის, ამონიოს ერმისის ფილოსოფიურ მემკვიდრეობას. გრიგოლ წერეთლის მიერ ევროპის ბიბლიოთეკებში მოპოვებული ბერძნული ხელნაწერების მიხედვით მან განახორციელა იოანე იტალოსის თხზულებების მსოფლიოში პირველი სრული კრებულის პუბლიკაცია, მდიდარი სამეცნიერო აპარატით, ფილოსოფიურ ტერმინთა ბერძნულ-ქართულ-რუსულ ლექსიკონით.

მანვე შეისწავლა კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონი (№40. X-XI ს-ის ხელნაწერი), შეუდარა ქართულ თარგმანს, განიხილა პალეოგრაფიულად.[6]

მნიშვნელოვანია **ლიანა კვირიკაშვილის** სამეცნიერო პროდუქცია: საკანდიდატო დისერტაცია - „გიორგი მთავარმოწამის საგალობლები“ (1970წ.),

---

[1] ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ა. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თ. ოთხმეზურმა, თბ., 1989.

[2] ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., 2004.

[3] ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბ., 2000.

[4] მ. მაისურაძე, ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილეტიკური ლიტერატურის კატალოგი, თბ., 2006. იხ. აგრეთვე ნ. მელიქიშვილი, მ. მაისურაძე, მცირე ცნობები ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობის შესახებ (IV-XIX სს.), გელათი, 5, 2006, 41-53.

[5] მასალა მომზადებულია შემდეგი პუბლიკაციის მიხედვით: ნელი მახარაძე, ბიზანტიოლოგიის განყოფილების 46 წელი, კრებულიდან „ბიზანტინოლოგია საქართველოში”, თბ., 2007

[6] იხ. ამონიუს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭაღმაძემ და მაია რაფავამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ, მეცნიერება თბ., 1983; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები, რუკა ნათელა კეჭაღმაძის, მეცნიერება, თბ., 1961; Byzantinistik in Sowietgrusien, Bibliotheca classica Orientalis, #1, Berlin, 1962; იოანე იტალოსი, თხზულებანი, ბერძნული ტექსტი ვარიანტებითა და შენიშვნებით, გრიგოლ წერეთლის მასალების მიხედვით გამოსცა ნათელა კეჭაღმაძემ, თბ., 1966; Из истории общественной мысли Византии в X в. Византийский Временик, №15, М., 1959; იოანე იტალოსის შემოქმედებ
სხვა.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მონოგრაფია - „ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია (სინური და იერუსალიმური ხელნაწერების მიხედვით) (1983წ). მასვე ეკუთვნის კატალოგი „ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები ძველ ქართულ თთუენებში“ (1987). მისეული თარგმანებით მომზადდა და გამოიცა ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათიის ოთხწიგნეული. არის ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონისა ექვტომეულის პასუხისმგებელი რედაქტორი. საგულისხმოა მისი ნაშრომი იოანე მინჩხის საგალობლებისა თუ ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციის შესახებ. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი[1] (იხ. ბიბლიოგრაფია).

ბიზანტიური ლიტერატურის ბერძნულ-ქართული პრობლემებს მიეძღვნა **თამარ მესხის** მონოგრაფია „IXს-ის ბიზანტიელი პოეტი ქალის - კასიას ცხოვრება და შემოქმედება“ (1987) - საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც გამოქვეყნებულია კასიას თხზულებათა ძველი ქართული, ხოლო მისი ეპიგრამების ახალი ქართული თარგმანები.

დენიზა სუმბაძის ინიციატივით და ინსტიტუტის თანამშრომელთა აქტიური მხარდაჭერით უნივერსიტეტში შეიქმნა არეოპაგიტული პრობლემების კომპლექსურად შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი, რომლის ბაზაზეც მომზადდა დენიზა სუმბაძის შრომების პირველი კრებული. წარმოდგენილი ნარკვევები ეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნააზრევთან დაკავშირებულ თეოლოგიურ, ისტორიულ-ფილოსოფიურ, ენობრივ-სტილისტურ პრობლემებს, არეოპაგიტული კორპუსის ავტორობის სადაო თეორიას და სხვა. აქვე დაიწყო პუბლიკაცია პროკლე დიადოხოსის თხზულების „თეოლოგიური საფუძვლების“ ბერძნული ენიდან შესრულებული ახალი ქართული თარგმანისა-(მთარგმნელი დ. სუმბაძე), და იოანე პეტრიწის „განმარტების“ გადმოახალქართულებული ტექსტისა (შესრულებული დ. მელიქიშვილის მიერ).[2]

აღსანიშნავია **ჯულიეტა შოშიაშვილის** საკანდიდატო ნაშრომი „ბიზანტიური ეპისტოლოგრაფია და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის წერილები.“ მან ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა და გამოაქვეყნა წერილების ახალი ქართული თარგმანი. განიხილა დოგმატურ-რელიგიური თვალსაზრისით. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ბერძნული ენის თავისებურებებს მიეძღვნა **ნელი მახარაძის** რამდენიმე გამოკვლევაც. ჯ. შოშიაშვილი ავტორია აგრეთვე პროკოპი კესარიელის ცნობილი თხზულების - „შენობათა შესახებ“ - გამოკვლევისა და სრული ქართული თარგმანისა. მუშაობს ცოდნისა და რწმენის პრობლემებზე ბიზანტიურ ქრისტიანულ აზროვნებაში“ (იხ. ბიბლიოგრაფია). **ქეთევან ბრეგვაძემ** თარგმნა და გამოაქვეყნა„ არეოპაგელის ტრაქტატი „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის.“[3] პროკოპი კესარიელის ყველაზე გახმაურებული თხზულება „ანეგდოტა,“ ანუ „საიდუმლო ისტორია“ შეისწავლა, ახალ ქართულად თარგმნა, გამოკვლევითა და მეცნიერული აპარატით გამოსცა **ნინო ეფრემიძემ**.[4]

ალექსანდრე ალექსიძის მეცნიერული ინტერესების სფეროში ძირითადად ბიზანტიური რომანის პრობლემები შემოდიოდა, რომელთაც ის ფართო სპექტრით განიხილავდა დასავლურ სარაინდო რომანთან მიმართების, ბიზანტიური და ლათინური სამყაროს შეხვედრის, შუა საუკუნეების

---

[1] ლ. კვირიკაშვილი, ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები, საგალობლები გიორგი მთავარმოწამეზე, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1970

[2] იხ, კრებული „არეოპაგიტული ძიებანი,“ შემადგენელი დენიზა სუმბაძე, რედაქტორი გ. თევზაძე; თსუ, თბ., 1986.

[3] ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის, თარგმანი ძველი ბერძნული ენიდან და გამოკვლევა ქეთევან ბრეგვაძის, ჟურნალი „ზღვარი,“ №1 (3), თბ., 2003.

[4] პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, ბერძნული ენიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ, მეცნიერება, თბ., 1989; ნ. ე[illegible] და თორნიკე ერისთავის წარმომადგენლობის საკითხისათვის, ჯ[illegible]ანმ.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის კონტექსტში. მონოგრაფიამ „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII-XIVსს),“ საერთაშორისო ბიზანტინოლოგიური წრეების ყურადღება მიიპყრო. გამოვიდა რუსულ ენაზეც. პროფესორი ალ. ალექსიძე ინტენსიურად მუშაობდა, აგრეთვე, ხალხურენოვანი ლიტერატურის და პოსტბიზანტიური მწერლობის საკითხებზე. ეწეოდა საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი მრავალგზის იყო მიწვეული უცხოეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების ჩასატარებლად სტრაზბურგში, პუატიეში, კრეტაზე, თანამშრომლობდა მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედიის ფრანგულ გამომცემლობასთან.[1]

აღსანიშნავია **ოლღა ბერიძის** სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „იუსტინიანეს ეპოქის მწერალი პავლე სილენტიარიოსი“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევი). ამავე მკვლევარს გამოცემული აქვს ორი წიგნი, რომელთაგან ერთი ეძღვნება პოეტის ეპიგრამების გამოკვლევასა და ახალ ქართულ თარგმანს, ხოლო მეორე მწერლის ყველაზე ცნობილი და საინტერესო თხზულების - „აღწერა წმინდა სოფიას ტაძრისა“ - ანალიზს. მას შესრულებული აქვს ძეგლის სრული ქართული თარგმანიც, რომლის ერთი ნაწილიც გამოქვეყნებულია „ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათიაში“ (ტ. I). ოლ. ბერიძეს ეკუთვნის, აგრეთვე, ბიზანტიურ ლიტერატურაში ცნობილი ანონიმური ძეგლის ძველი ქართული თარგმანის - „აღშენებისათვის აია სოფიას ტაძრისა“ – პუბლიკაცია (იხ. ბიბლიოგრაფია).

ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობებით განისაზღვრებოდა უფროსი მეცნ. თანამშრომლის **თამარ ბააკაშვილის** სამუშაო თემატიკა. მან შეისწავლა და საკანდიდატო ხარისხი მოიპოვა ნაშრომით „გრიგოლ ნოსელის „ცხოვრებაჲ წმიდისა მაკრინაჲსა“ (ექვთიმე ათონელისეული თარგმანი),“ მუშაობდა ბასილი კაპადოკიელის სახოტბო და სამგლოვიარო სიტყვების პრობლემებზე (იხ. ბიბლიოგრაფია).

VII ს-ის ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის სოფრომ იერუსალიმელის „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში განიხილა **ნანა მირაშვილმა** და გამოსცა სათაურით „ცოდვა და ქრისტიანული ლეგენდა.“[2]

იოანე პეტრიწის ე. წ. „ბოლოსიტყვაობის“ წყაროებზე მუშაობდა **ზაირა ყოლბაია**, მასვე ეკუთვნის თარგმანებიც თეოფილაქტე სიმოკატას „მსოფლიო ისტორიის“ შესავალი (I ტომში), ნაწყვეტები ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „მოკლე ისტორიიდან“ და ნაწყვეტები გენესიოსის „მეფეთა ისტორიიდან“ (იხ. ბიბლიოგრაფია).

აღსანიშნავია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი მთარგმნელის, **ბაჩანა ბრეგვაძის** პუბლიკაციები - ნეტარი ავგუსტინე, შარლ დილის „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“ (თარგმანი), პლატონის დიალოგები, პლოტინი, სახარებათა ახალი ქართული თარგმანები, ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნთა თარგმანები და სხვა მრავალი(იხ. ბიბლიოგრაფია).

აღსანიშნავია ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის, **ანა ხარანაულის** ბიბლიოლოგიური ძიებანი. იგი ბერძნულ ხელნაწერებზე დაყრდნობით ასრულებს უმძიმეს სკრუპულოზურ სამუშაოს ქართული ბიბლიის წარმომავლობის და თარგმნის ტექნიკის დასადგენად, იკვლევს ქართული ბიბლიის გელათური ვერსიის მიმართებას სეპტუაგინტასთან და ხანმეტ

---

[1] ალ. ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო XIII-XIVსს., თსუ, თბ., 1976 (რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1979 წელს); ათონის ათასწლოვანი საბჭოთა საქართველო, თბ., 1982; Литература XI_XII ии. Культура Византии, т. II, Наука, М., 1989 და სხვა.

[2] ნ. მირაშვილი, ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული ქართული „თუენის“ თავად გალობანისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 198[illegible] ლეგენდა, თბ., 2005.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ფრაგმენტებთან. აქტიურად თანამშრომლობს გეტინგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტთან, გეტინგენის მეცნიერებათა აკადემიის სეპტუაგინტას ინსტიტუტთან, რომელიც ახორციელებს ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანის კრიტიკულ გამოცემას, და ქართულ მასალას აწვდის მას. სადოქტორო დისერტაციის თემა იყო – ხანმეტი ფრაგმენტები და ძველი აღთქმის ტექსტის ისტორიის საკითხები. ნაშრომთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია უცხოეთში (იხ. ბიბლიოგრაფია).

ნ. მახარაძე იკვლევს ბიზანტიური ბერძნული ენის თავისებურებებს ქართული ლიტერატურული მასალის გამოყენებით.[1]

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი – ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართა მნიშვნელოვანი კერაა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.[2] ინსტიტუტის პირველმა დირექტორმა, აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევა ინსტიტუტის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად აქცია.

კორნელი კეკელიძის მიერ საფუძველჩაყრილი ტრადიცია გაგრძელდა და ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ყველა თაობა წარმატებით იკვლევდა და ამჟამადაც იკვლევს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებს.

მეცნიერმა, **სოსო მახარაშვილმა** სინური ხელნაწერის მიხედვით მოამზადა და გამოსცა IV საუკუნის მოღვაწის ევაგრე პონტოელის ასკეტურ-მისტიკური თხზულება „თქმული ევაგრჱსი მონაზონთა მიმართ კრებულთა,“ რომელსაც ერთვის გამოკვლევა.[3] მანვე შეისწავლა წმინდა ეპიფანე კვიპრელის პოლემიკური თხზულების „ოთხმეოცდა წვალებათათვის“ თეოფილე ხუცესმონაზონისეული ქართული თარგმანი და მასთან დაკავშირებული ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო საკითხები. იგი არის ძველი ეკლესიის მწვალებლურ მიმდინარეობათა შესახებ ყველაზე სრულყოფილი თხზულება, მიმართული 80 ერესის წინააღმდეგ. ქართული თარგმანი იმითაა განსაკუთრებით ღირებული, რომ ეპიფანეს ზოგიერთი თხზულება, მათ შორის ზემოხსენებული პოლემიკური თხზულება, ქართულად დამოუკიდებელი, თავისებური რედაქციითაა შემონახული, რომლის ბერძნულ დედანს დაკარგულად მიიჩნევენ. ამიტომაა მნიშვნელოვანი ქართული თარგმანი როგორც ქართული, ისე ბიზანტიური საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის (იხ. ბიბლიოგრაფია).

მალხაზ კობიაშვილმა გამოაქვეყნა წმინდა გრიგოლ ნოსელის ჰომილეტიკური თხზულება „შესხმაჲ მელეტი ანტიოქელისაჲ.“[4]

გამოიცა **რომან მიმინოშვილისა** და **მაია რაფავას** მიერ დიდი ხნის წინ მომზადებული წმ. იოანე დამასკელის თხზულებათა „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გამოცემა.“

„სიბრძნე ბალაჰვარისას“ რედაქციების კვლევას მიუძღვნა თავისი რამდენიმე შრომა **რევაზ თვარაძემ**. მისი აზრით, თხზულების ვრცელი რედაქცია არ მომდინარეობს მოკლესგან, არც მოკლე რედაქცია – ვრცელისგან, ორივე მათგანი დამოუკიდებლად არის მიღებული აწ დაკარგული დედნიდან – პირველი

---

[1] ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემა ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა შუქზე (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2004

[2] მასალა მომზადდა შემდეგი პუბლიკაციის მიხედვით: ნ. სულავა, ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში; ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

[3] ს. მახარაშვილი, ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და მის თხზულებათა ქართული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის მატიანე, I, თბ., 1984, 3-39.

[4] მ. კობიაშვილი, გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ მელეტი ანტიო[illegible] მწერლობის მატიანე, II, თბ., 1985, 92-105.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართული ვერსიიდან, რომელიც, თავის მხრივ, ფალაურიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი.[1] რევაზ თვარაძემ შეისწავლა, აგრეთვე, არეოპაგიტულ მოძღვრებასთან შუა საუკუნეების ქართული კულტურის მიმართების საკითხები.[2]

ქართულ ეორტალოგიაში უაღრესად პოპულარულია წმინდა ბარბარე; სწორედ ამან განაპირობა ბერძნულიდან ჰაგიოგრაფიული თხზულების „წმინდა ბარბარეს წამების“ კიმენური და მეტაფრასული რედაქციების თარგმნა. **ეკატერინე ჩიკვაიძემ** თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადა „წმინდა ბარბარეს წამების“ მეტაფრასული რედაქციის ტექსტი, ხოლო გამოკვლევებში შესწავლილია ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერები, თხზულებასთან დაკავშირებული კოდიკოლოგიური, ფილოლოგიური, საღვთისმეტყველო, ტერმინოლოგიური და ენათმეცნიერული საკითხები. ნაშრომი წიგნად გამოიცა 2009 წელს.

მანანა გიგინეიშვილმა შეისწავლა ახალი აღთქმის აპოკრიფული ლიტერატურის ერთი მეტად საინტერესო ნიმუში – „ეპისტოლე ავგაროზ მეფისაჲ უფლისა ჩუენისა მიმართ იესუ ქრისტესა,“ რომელიც ქართულად ითარგმნა და რომელსაც უკავშირდება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების შექმნა ძველ ქართულ მწერლობაში.[3]

დეკანოზი გიორგი ზვიადაძე იკვლევდა წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულების – „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქეობისა“ – წმინდა ეფთვიმე ათონისეულ თარგმანს, რომელიც შეისწავლა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური და თეოლოგიური თვალსაზრისით.[4] დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ დეტალურად შეადარა ეფთვიმესეული თარგმანი ბერძნულ დედანს და დაასკვნა, რომ ეფთვიმე იყენებს მისთვის ჩვეულ შემატება-კლების, ანუ დინამიკური ექვივალენტის მთარგმნელობით მეთოდს.

ლელა ხაჩიძემ იკვლია ქართული ჰომნოგრაფიის ფილოლოგიური პრობლემები. მან საგანგებოდ შეისწავლა წმინდა იოანე დამასკელის „აღდგომის კანონის“ ძველი ქართული თარგმანები,[5] რასაც მნიშვნელობა აქვს ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიის კვლევაში.

მაია ბარნაველმა ყურადღება მიაქცია მათესა და მარკოზის სახარებებში დამოწმებულ ერთ ლექსიკურ ერთეულს – „მკალი,“ რომელიც მკვლევარის დაკვირვებით, არასწორადაა გააზრებული. მისი სწორი მნიშვნელობა შემონახულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ადრეულ ვერსიებში, სადაც იგი მცენარეულს აღნიშნავს.[6]

საგალობელთა პოეტიკისა და მუსიკალური ბუნების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა აკაკი გაწერელიას, ნინო ნაკუდაშვილისა და ნესტან სულავას შრომებში. **აკაკი გაწერელიამ** შეისწავლა ქართული კლასიკური საგალობლის ვერსიფიკაციის, პოეტიკის, პოეტური მეტყველების საკითხები, რომლებშიც თეორიულად არის განზოგადებული.[7] **ნინო**

---

[1] რ. თვარაძე, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ – ორი რედაქცია, მისსავე წიგნში: წიგნი და მკითხველი, თბ., 1971; რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.

[2] რ. თვარაძე, არეოპაგელი და რუსთაველი, „ცისკარი,“ 1971, №8. რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.

[3] მ. გიგინეიშვილი, აპოკრიფული მწერლობის ერთი ნიმუში ძველი ქართული მწერლობაში, კრ: ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII სს), თბ., 1977, 41-47.

[4] მამა გიორგი ზვიადაძე, წმინდა გრიგოლ ნოსელის ასკეტური შრომის ეფთვიმესეული თარგმანის მიმართება ორიგინალთან, საღვთისმეტყველო კრებული, 2004, №2.

[5] ლ. ხაჩიძე, წმ. იოანე დამასკელის „აღდგომის კანონის“ ძველი ქართული თარგმანები, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, I, თბ., 1999, 31-45.

[6] მ. ბარნაველი, სახარებისეული ერთი სიტყვის განმარტებისათვის, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 4, თბ., 2001, 12-17.

[7] ა. გაწერელია, ქართული ჰიმნოგრაფიისა და ვერსიფიკაციის საკით[illegible] თბ., 1981.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ნაკუდაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს პოეტური საზომი არა აქვს, მისი პოეტურობის საფუძველი იპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურაში, გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებშია საძიებელი.[1]

ქართულ ჰიმნოგრაფიაში უაღრესად მნიშვნელოვანია გალობის მრავალხმიანობის პრობლემა, რომელიც მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის განსახილველი საგანია. **ნესტან სულავამ** შეისწავლა ქართული გალობის საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ბიზანტიურს. ამას კი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პრობლემატიკის კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.[2]

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის ისტორიაში თვალნათლივ ჩანს რამდენიმე ბიზანტიელი ავტორი, რომლებიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო ინტენსივობითაა დამუშავებული.

გრიგოლ ნაზიანზელი - გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები – ჰომილიები, პოეზია, წერილები და მათზე დართული კომენტარები – კრიტიკულად სრულყოფილად გამოცემული დღემდე არ ყოფილა.[3] როგორც ცნობილია, გრიგოლის ტექსტების XIX ს-ის გამომცემლის, G.P. Migne-ის პუბლიკაცია სერიაში Patrologia Graeca (PG, t. 36-38) მხოლოდ ერთ ხელნაწერს ეფუძნება მცირერიცხოვანი ვარიანტული წაკითხვების ჩვენებით, თუმცა კრიტიკულ გამოცემათა სიმცირის გამო ახლაც დიდ სამსახურს უწევს ბიზანტინისტებს; Sources chretiennes-is (SCh) სერიით კი გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული რამდენიმე ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.[4]

გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომათა პუბლიკაციას თავისი ხანგძლივი ისტორია აქვს. ამ ავტორის თხზულებათა სრული კორპუსის (Opera omnia) გამოცემა XVI საუკუნიდან დაიწყეს მავრის საძმოს ბენედიქტელმა ბერებმა (პირველი პუბლიკაცია 1550 წლით დათარიღდება).

XX საუკუნის 70-იან დღის წესრიგში ამ ავტორის შემოქმედების კრიტიკულად გამოცემის საკითხი კვლავ დადგა. პროექტს სათავეში ჩაუდგა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის (UCL) ორიენტალისტიკის ფაკულტეტი ცნობილი ბელგიელი ბიზანტინისტისა და აღმოსავლეთმცოდნის, ძველი ქართული მწერლობის უბადლო მცოდნის, პროფ. ჟ. გარიტის ხელმძღვანელობით. ლუვენის სამუშაო ჯგუფმა გრიგოლის თხზულებათა ბერძნული ვერსიის გამოცემასთან ერთად მიზნად დაისახა მისი აღმოსავლური თარგმანების (კოპტური, სირიული, სომხური, არაბული, ქართული, სლავური, ეთიოპური) პუბლიკაციაც.

სტატიები გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა აღმოსავლურ ვერსიებზე სისტემატურად იბეჭდება ჟურნალში Le Museon (Revue d' Etudes Orientals); პერიოდულად სერიით Corpus Nazianzenum გამოდის გრიგოლის საერთაშორისო კვლევის ჯგუფის წევრთა (მათ შორის, ქართველთა) სტატიების

---

[1] ნ. ნაკუდაშვილი, ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა, თბ., 1996.

[2] ნ. სულავა, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის," ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბ., 2003, 31-52; ნ. სულავა, ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა, თბ., 2006.

[3] მასალა მომზადებულია ქეთევან ბეზარაშვილისა და თამარ ოთხმეზურის ნაშრომის - „გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებისა და მათი კომენტარების კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში" - მიხედვით კრებულიდან ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

[4] Or. i-3, ed. J. Bernardi, SCh 247, 1978; Or. 27-31, ed. P. Gallay, SCh 250, 1978; Or. 20-23, eds. J. Mossay, G. Lafontaine, SCh 270, 1980; Or. 24-26, eds. J. Mossay, G. Lafontaine, SCh 284, 1981; Or. 4-5, ed. J. Bernardi, SCh 309, 1983; Or. 32-37, eds. P. Gallay, C. Moreschini, , SCh 318, 1985; Or. 42-43, e[illegible] 6-12, ed. M. Sebasti, SCh 405, 1995.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კრებული, რომელშიც შეჯამებულია ხოლმე კვლევის გარკვეული ეტაპები;[1] ქართველ მეცნიერთა სტატიები იბეჭდება ასევე ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), „მრავალთავი“ (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული), „ლიტერატურული ძიებანი“ (ლიტერატურის ინსტიტუტი), თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაცისტიკის ინსტიტუტის სერიაში „ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიისა და ლათინისტიკაში“ და სხვა.

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა. როგორც ცნობილია, პროფ. ჟერარ გარიტი ძალიან კარგად იცნობდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფილოლოგიურ სკოლას. ჟ. გარიტის გარდაცვალების შემდეგ, 80-იან წლებში, მისმა ერთგულმა მოსწავლემ და საქმის გამგრძელებელმა, პროფ. ჟუსტინ მოსეიმ მიმართა ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრს. დაიგეგმა, რომ სწორედ ამ ცენტრში უნდა მომზადებულიყო გრიგოლის თხზულებათა ქართული ვერსიის პუბლიკაცია.

ასე შეიქმნა 80-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ჯგუფი, რომელიც შეუდგა ამ მეტად რთულ და შრომატევად საქმეს. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო აკად. ელენე მეტრეველი, რომლის უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ ეს პროექტი განხაკუთრებული წარმატებით განხორციელდა საქართველოში. ჯგუფში ჩაერთვნენ გამოცდილი პროფესიონალი მეცნიერები: თამარ ბრეგაძე, ციალა ქურციკიძე, მანანა დოლაქიძე, მაია რაფავა, ნინო მელიქიშვილი, თამარ ოთხმეზური ქეთევან ბეზარაშვილი, მზექალა შანიძე, თამარ მარგიანი, მაია მაჭავარიანი, ედიშერ ჭელიძე, თინა დოლიძე და მაგდა მჭედლიძე.

პირველი ქართული თარგმანები გრიგოლის „ქრისტეშობის“ და „ნათლისღების“ საკითხავებია, რომლებიც უძველეს მრავალთავებშია დაცული. გრიგოლის ორი ჰომილია ნათარგმნი აქვს X საუკუნეში გრიგოლ ოშკელს. მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის გრიგოლის ჰომილიათა ქართულად გადმოტანაში დავით ტბელს, X-XI სს-ის ცნობილ ქართველ მთარგმნელს. დაბოლოს, უმთავრესი როლი გრიგოლის თხზულებათა ქართულად თარგმნის საქმეში შეასრულეს ქართული მწერლობის ისეთმა ცნობილმა წარმომადგენლებმა, როგორებიც არიან ეფთვიმე ათონელი (XIს) და ეფრემ მცირე (XIIს). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გელათელ მწიგნობრებსაც უნდა ემუშავათ გრიგოლის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე (XII-XIIIსს). გრიგოლის შრომათა თარგმანები 200-მდე ქართულ ხელნაწერშია დაცული.

წლების მანძილზე გრიგოლის ნაზიანზელის ქართულ თარგმანების შემსწავლელმა ჯგუფმა შექმნა საკმაოდ სოლიდური სამეცნიერო პროდუქცია. 1983 წ. გამოქვეყნდა ე. მეტრეველისა და გ. ლაფონტენის ერთობლივი სტატია, რომელშიც სხვადასხვაენოვან თარგმანებთან ერთად ზოგადად მიმოხილულია გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანები.[2] 80-იან წლების ბოლოს თ. ბრეგაძემ ქართულად გამოსცა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერების აღწერილობის სრული ნუსხა, რომელიც

---

[1] Versiones Orientales, repetorium Ibericum et studia ad editiones curandas, ed. a B. Coulie cum proemio a G. Garitte et praefatione a J. Mossay (Corpus Christianorum. Series graeca, 20. Corpus Naizanzenum, 10, Brepols, Turnhout 1988. Studia Nazianzenica, I, edita a B. coulie (Corpus Christianorum. Series Graeca, 41. Corpus Nazianzenum, 80, Turnhout-Leuven, Brepols Publishers, University Press, 2000. მზადდება II ტომი გამოსაცემად.

[2] G. Lafontaine, H. Metreveli, Les versions copte, armenienne et georgienes. Etat des recherches, dans Il Simposium Nazianzenum (Louvain-la-Neuve, 25-28 aout 1981), actes edites par J. Mossay (Studien zur Geschichte und Kultur des Altertums,N.F., 2 Reiche:Forschungen zu Gregor von nazianz, 2) Paderborn Munich Vienna Zurich 1983, 63-73.

created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შემდეგ ფრანგულად შემოკლებული სახით დაიბეჭდა სერიაში Corpus Christianorum.[1]

ამავე პერიოდში **ქეთევან ბეზარაშვილმა** შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიისა და მისი კომენტარების ქართული თარგმანები. ეს ნაშრომი, რომელიც მომზადდა პროფ. ე. ხინთიბიძის ხელმძღვანელობით, მის საკანდიდატო დისერტაციას წარმოადგენდა.[2] ნაშრომში საბოლოოდ გაირკვა ქართულ ხელნაწერებში დაცული არაიდენტიფიცირებული ტექსტების რაობა და მათი თარგმნის პერიოდი. აღმოჩნდა, რომ გრიგოლის ლექსების ქართულ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბერძნული ტექსტის ისტორიის კვლევისათვის. ამიტომ სერიაში (Forschungen zu gregor von Nazianz) გრიგოლის ლექსების ხელნაწერი ტრადიციის (Die Handschriftlich Uberlieferung der Gedichte Gregors von Nazianz) ბოლო შეჯამებულ ტომში სხვაენოვან ვერსიებთან ერთად წარმოდგენილი იქნება ქართული ვერსიის მონაცემებიც (ქ. ბეზარაშვილი მ. ზიხერლთან თანაავტორობით).

თამარ ოთხმეზურმა გამოსცა გრიგოლის თხზულებათა ერთ-ერთი ადრეული, VI ს-ის ანონიმი კომენტატორის, ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარების ქართული ვერსია ც. ქურციკიძის რედაქციით. ეს ნაშრომი ასევე მის საკანდიდატო დისერტაციას წარმოადგენდა (აკად. ე. მეტრეველის ხელმძღვანელობით).[3] ამ შრომის გამოსვლის შემდეგ დაიბეჭდა მითოლოგიურ კომენტართა ბერძნული ტექსტის პირველი კრიტიკული გამოცემა.[4] შესაბამისად, წარმოიშვა ქართული ტექსტის ახალი გამოცემის საჭიროება. თ. ოთხმეზურის შრომა გადამუშავებული სახით, ქართული ტექსტების ბერძნულთან შედარების კრიტიკული აპარატით მოგვიანებით, 2002 წ. გამოქვეყნდა სერიაში Corpus Christianorum.[5] ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნ ქართულ ტექსტებს ერთვის ინგლისური თარგმანი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის ამ ნაშრომს უცხოენოვანი მკითხველისათვის. მანვე 2005 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც წარმოადგენს გრიგოლის ჰომილიათა გვიანდელი კომენტარების ქართული თარგმანების კვლევას.[6] გრიგოლის თხზულებათა ანონიმური, აგრეთვე მაქსიმე აღმსარებლის და ნიკიტა ჰერაკლიელის კომენტარები მან გამოსცა შესაბამისი ჰომელიების პუბლიკაციასთან ერთად (Corpus Christianorum: Versio Iberica, I, III, IV – იხ. ქვემოთ); ბასილი მინიმუსის კომენტარების ტექსტები გამოკვლევითურთ გათვალისწინებულია გამოსაქვეყნებლად ცალკე ტომის სახით იმავე სერიით.

1996 წ. **ედიშერ ჭელიძემ** დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შესახებ.[7] ძველი ქართული ნათარგმნი

---

[1] თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988. T. Bregadze, Repertoire des manuscrits de la version georgienne des Discours de Gregoire de Nazianze, dans Versiones Orientales, repertorium Ibericum et studia ad editiones curandas, ed. B Coulie (Corpus Christianorum. Series Graeca, 20. Corpus Nazianzenum, 1), Turnbout 1988, 19-126.

[2] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1989.

[3] ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ა. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თ. ოთხმეზურმა, თბ., 1989.

[4] J. Nimmo Smith, Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, colacionibus versionum a S. Brock, versionisque Armeniacae a B. Coulie additis (Corpus Christianorum. Series Graeca, 27. Corpus Naizanzenum, 20, Turnhout 1992.

[5] Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii nazianzeni commentarii, Versio Iberica, ed. a Th. Othkhmezouri (Corpus Christianorum, series Graeca, 50. Corpus Nazianzenum, 16),

[6] თ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2005.

[7] ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, ი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ტერმინების ანალიზის ფონზე ნაშრომი მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს კონკრეტულად გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანების, ხოლო ზოგადად ამ დიდი ქართველი მოღვაწის შემოქმედების პერიოდიზაციისათვის.

1999 წ. **მაია მაჭავარიანმა** ქ. ბეზარაშვილის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების შესახებ.[1] ტექსტების თარგმანების შესწავლა ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული მწერლობის ისტორიის უცნობი დეტალების გამოსავლენად. განისაზღვრა დავით ტბელის მოღვაწეობის დრო (X ს. ბოლო და XI ს. დასაწყისი) და ადგილი (სავარაუდოდ მისი კავშირი შავი მთის ელინოფილურ წრესთან).

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების განზოგადებული შესწავლის და მიმოხილვის ასპექტით შექმნილ მონოგრაფიებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს უკანასკნელ ათწლეულებში დაემატა საყურადღებო ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია პროფ. **ვალერი ასათიანის** „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“ (თბ., 1996 წ.) და „ბიზანტიური ცივილიზაცია“ (თბ., 2007 წ.)

ახალი ათასწლეულის დასაწყისში გამოქვეყნდა **ნინო მელიქიშვილის** ბიბლიოგრაფიული ხასიათის მნიშვნელოვანი ნაშრომი კაბადოკიელ მამათა ჰომილეტიკის შესახებ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში.[2] 2004 წელს გამოქვეყნდა ქ. ბეზარაშვილის ნაშრომი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანების შესახებ,[3] რაზედაც მან იმავე წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ნაშრომმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ქართული თარგმანების კვლევა საშუალებას იძლევა ქართული მწიგნობრული სკოლების კულტურული ორიენტაციისა და მთარგმნელობითი კონცეფციების ახალი მხარეების გამოსავლენად; ასევე ქართულ მწიგნობრულ ცენტრებში ასახული ბიზანტიაში მიმდინარე სააზროვნო პროცესების შესასწავლად.

2006 წ. **თამარ მარგიანმა** დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებისა შესხმის შესახებ (ეს ენკომია, რომლის ავტორია სოფრონ იერუსალიმელი, მხოლოდ ქართული ვერსიით არის ცნობილი).[4] ეს ნაშრომიც გათვალისწინებულია გამოსაქვეყნებლად დასახელებული სერიით.

რაც შეეხება უშუალოდ გრიგოლის ჰომილიების ტექსტების პუბლიკაციას, დღეისათვის მომზადებულია გრიგოლის 44 ჰომილიის ქართული თარგმანების ტექსტები, რომელთა ბეჭდვა დაწყებულია ბელგიაში 1998 წლიდან დასახელებული სერიით Corpus Christianorum (Brepols-ის გამოცემა).

მთლიანად გიორგის ლიტურგიკული ჰომილიების ქართული ტექსტების პუბლიკაცია ნავარაუდევია შვიდ ტომად.

ბასილი დიდი - არანაკლებ მნიშვნელოვანია დიდი ბიზანტიელი მოღვაწის, ადრებიზანტიური ეპოქის უდიდესი ავტორიტეტის, ბასილი დიდის საღვთისმეტყველო-თეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლა.

---

[1] მ. მაჭავარიანი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1999.

[2] ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხძულებები ქართულ ენაზე, თბ., 2000

[3] ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თრგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., 2004.

[4] თ. მარგიანი, გრიგოლ ნაზიანზელის “ცხოვრებისა” და “შესხმის” ძველი ქართული თარგმანები (გრიგოლ ხუცესისა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებების ნაშრომი, თბ., 2006.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დღეს ბიზანტინისტიკაში სადავოდ არავინ ხდის იმ თვალსაზრისს, რომ ღმრთისმეტყველების კაპადიკიურმა სკოლამ, რომლის მამამთავრადაც ბასილი დიდი ითვლება, სრულიად განსაკუთრებული და ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანა ქრისტიანული აზროვნების ისტორიაში.[1]

ქართულ მეცნიერებაში ბასილი დიდის თხზულებათა უძველეს თარგმანებად სხვადასხვა კრებულში მისი სახელით შეტანილი შემდეგი ჰომილიებია მიჩნეული: „მარხვისათვის," „წმიდათა ორმეოცთათვის, რომელნი სებასტიას ქალაქსა იწამნეს," „ქალწულებისათვის" (ორი), „დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად საკითხავი, თქუმული წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ კესარია-კაბადუკიელისაჲ ამისთჳს: „მამაო, უკუეთუ ჯერ არს თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე," „სინანულისათჳს და სიკუდილისა," „შურისათჳს და სახჱ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს" და ერთიც დაუსათაურებელი მოკლე ტექსტი. ამათგან „დიდ ხუთშაბათს ცისკრად საკითხავი" უდაბნოსა (IX-XI ს. მიჯნ.)[2] და კლარჯული მრავალთავებშია შეტანილი. კლარჯული მრავალთავი, მართალია, მე-10 საუკუნეშია გადაწერილი, მაგრამ, როგორც ამას **მ. ვან ესბროკი** და კრებულის გამომცემელი **თ. მგალობლიშვილი** ასკვნიან, მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი - ნათარგმნი ჰომოლეტიკა IV-IX საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.[3] ზემოთ დასახელებული ორი საკითხავი „სინანულისათჳს და სიკუდილისა" და „შურისათჳს და სახჱ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს," რომელთა ავტორიც, ქართული ტრადიციით, ბასილი დიდია (თხზულებათა ბერძნული დედნები არ ჩანს), ილია აბულაძის მიერ გამოცემულ „მამათა სწავლანშია" შესული.[4] თუმცა, თვითონ ძეგლი მე-10 საუკუნისაა, მაგრამ დასახელებული ჰომილიები გაცილებით ადრე უნდა იყოს ნათარგმნი. ბასილი დიდის თხზულებებიდან ქართულ ენაზე ერთ-ერთ უძველეს თარგმანს „ორმოცი სებასტიელი მოწამის" საკითხავი წარმოადგენს, რომელიც ასევე ქართული მწერლობის პირველ თარიღიან ძეგლში - 864 წლის სინურ მრავალთავშია შესული.[5] X საუკუნის 70-იან წლებში გადაწერილ შატბერდის კრებულში ბასილი დიდის სახელით შედის ტექსტი *ფიზიოლოგი*,[6] რომელსაც ქართულად „მჴეცთათვის სახის სიტყუაჲ" ეწოდება და რომელიც, როგორც ეს ნიკო მარმა დაასკვნა, ქართულად მერვე საუკუნის ბოლოს უნდა ეთარგმნათ, ოღონდ უშუალოდ ბერძნულიდან და არა სომხურიდან, როგორც ამის დამტკიცებას ნ. მარი ცდილობდა და კ. კეკელიძეც კრიტიკის გარეშე იმეორებდა. ასე რომ, როცა ექვთიმე მთაწმინდელი ბასილი დიდის თხზულებათა ქართულ ენაზე გადმოღებას ინტენსიურად შეუდგა, ქრისტიანული ღმრთისმეტყველების უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საქართველოში უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ და შესაფერის პატივსაც მიაგებდნენ. ჩვენს წინაპრებს ბასილი დიდის ხიტბა-შესხმანი არა მხოლოდ ბერძნულიდან უთარგმნიათ, არამედ მისი სადიდებელი საგალობლები თავადაც შეუთხზავთ. მიქაელ მოდრეკილის კრებულში, რომელიც მას 978-988 წლებში უნდა შეედგინა, ბასილისადმი მიძღვნილ სამ ქართულ საგალობელს ვხვდებით, რომელთაგან ერთს ავტორის სახელიც შემოუნახავს, სახელდობრ, იგი ტბეთის ეპისკოპოსი – იოანე მტბევარი ყოფილა. ამავე საგალობელში მას „თავი და დასაბამი ღმრთისმეტყველებისა"

---

[1] მასალა მომზადებულია გვანცა კოპლატაძის ნაშრომის - „წმინდა ბასილი დიდი ქართულ მწერლობაში" - მიხედვით, კრებულიდან ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

[2] უდაბნოს მრავალთავი, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 28, თბ., 1994.

[3] კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991.

[4] მამათა სწავლანი, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955

[5] სინური მრავალთავი, აკ. შანიძის საერთო რედაქციით, თბ., 1959.

[6] შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ეწოდება.[1] ორიგინალური ქართული საგალობლების შექმნა უცხო ეკლესიის წმინდანისათვის ხოტბის შესასხმელად, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში ამ წმინდანის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მეტყველებს.

ბასილი დიდის თხზულებათა ინტენსიური თარგმნა ექვთიმე ათონელის სახელს უკავშირდება. მან ქართულად გადმოიღო „ითიკის სახელით ცნობილი „თარგმანებაჲ ფსალმუნთა“ და „სწავლანი.“ „ითიკა“ ექვთიმეს თავის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში, კერძოდ, მე-10 საუკუნის 80-იან წლებში უთარგმნია. კრებულს, საქართველოში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ბასილი დიდის საღმრთისმეტყველო ნააზრევის ფასი უკვე კარგად იცოდნენ, მაშინვე საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოუწვევია. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მეფე დავით კურაპალატს მის გადმოსაწერად და საქართველოში ჩამოსატანად ბერი იორდანე გაუგზავნია. სწორედ მისი ჩამოტანილი ხელნაწერი გამოიყენეს დედნად საქართველოში შემდეგდროინდელი გადამწერების მიერ ტექსტის გადასამრავლებად. დავით კურაპალატის დაინტერესება „ეთიკით“ მისმა განსაკუთრებულმა ღირსებებმაც განაპირობა. მორალური ჰომილიები, რომელნიც ამავე დროს წრფელი ემოციურობისა და მაღალმხატვრულობის გამო მკითხველსა და მსმენელზე უჩვეულოდ ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ, ნამდვილად მიიქცევდა იმ მმართველის ყურადრებას, რომლის ერთი ძირითადი საზრუნავთაგანი საკუთარი ხალხის ზნეობის დახვეწა და მისი სულიერი ამაღლება იყო.

ქართული „ითიკის“ შედგენილობას ბასილი დიდის ასკეტურ თხზულებათა ერთ ნაწილთან საერთო მხოლოდ სათაური აქვს. რადგან იქ ასე დიდი კაპადოკიელი მამის მიერ შედგენილი „მორალური წესებია“ დასათაურებული (ტ. 31, 700-809) და არა ზნეობრივი ხასიათის ჰომილიები. ეს სიახლე ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობისა გამოვლენილია ე. ხინთიბიძის მიერ[2]. ქართული „ითიკა,“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი ნაწილისაგან შედგება: ესაა „თარგმანებაჲ ფსალმუნთა“ და „სწავლანი“ – ზნეობრივი ხასიათის საუბრები. „სწავლანი“ გამოცემას, რომელიც ციალა ქურციკიძეს ეკუთვნის, საფუძვლად დაედო სამი უძველესი ხელნაწერი: ორი ათონური და ერთიც იერუსალიმური, როგორც ძველი და ტექსტობრივად და ენობრივად ყველაზე დაცული.[3] არ შეიძლება არ აღვნიშნოთ „სწავლანის“ გამოცემის მაღალი მეცნიერული დონე. ჰომილიებისათვის წამძღვარებულ ვრცელ შესავალში გარკვეულია როგორც „სწავლანის“ შედგენილობა და მისი მიმართება „ითიკის“ კრებულებთან, ასევე ძეგლის ენისა და თარგმანის საკითხები; ტექსტს დართული აქვს, აგრეთვე, ვრცელი ლექსიკონი. სამწუხაროდ, ქართული „ითიკის“ შემადგენელი პირველი ნაწილი, ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „თარგმანებაჲ ფსალმუნთა“ გამოცემას ელის.

რაც შეეხება ბასილი დიდის სახელგანთქმულ თხზულებას „ექვსთა დღეთათვის,“ იგი ძველ ქართულ მწერლობაში რამდენჯერმე, ყოველ შემთხვევაში, ორჯერ მაინც უთარგმნიათ. ბიბლიის, სახელდობრ, მისი პირველი წიგნის „შესაქმის,“ განმარტებით IV-V საუკუნეების ცნობილი მოღვაწენი: იოვანე ოქროპირი და სევერიანე გაბალოვნელიც იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მათმა ნაშრომებმა ამ შემთხვევაში ისეთი აღიარება, როგორიც დიდი

---

[1] იქვე, 119.

[2] ე. ხინთიბიძე, ერთი კომენტარი ექვთიმე ათონელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ: ჟურ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 31: 1, თბ., 1963; ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები, თბ. 1968, გვ. 162 - 164 P.J. Fedwick, The Translations of the Works of Basil Befor 1400 : Basil of Caesarea: Christian,Humanist, Ascetic (ed.by P.J.Fedwick), Toronto (Canada),1981, p. 143.

[3] ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმა[illegible] გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, თბ., 1983.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კაპადოკიელების – ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის კომენტარებმა, ვერ მოიპოვეს. მათი ეგზეგეტიკური თხზულებანი სხვა ენებზე, და მათ შორის ქართულზე, რამდენჯერმე უთარგმნიათ, მაშინ, როცა სხვების ან სულ არ უთარგმნიათ, ან თუ უთარგმნიათ, მხოლოდ ერთხელ. კარგა ხანს მეოცე საუკუნის ქართული მეცნიერება „ექვსთა დღეთას“ მხოლოდ ერთ თარგმანს იცნობდა: ეს იყო გიორგი მთაწმინდელის მიერ დაახლოვებით XI საუკუნის 50-იან წლებში ნათარგმნი ტექსტი, რომელიც ასევე მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამოკვლევითა და სათანადო მეცნიერული აპარატით 1947 წელს მიხეილ კახაძემ გამოსცა. გიორგი მთაწმინდელის ანდერძის საფუძველზე, რომელიც მის თარგმანს ერთვის, თავის დროზე კორნელი კეკელიძემ დაასკვნა, რომ ბასილი კესარიელის თხზულება „ექუსთა დღეთაჲ“ ქართულად გიორგი მთაწმინდელამდეც ყოფილა თარგმნილი და ეს პირველი თარგმანი მას დიდად შეწევია.

ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ (სამოღვაწეო წიგნი) ქართული რედაქციები, როგორც ზემოთ შევნიშნავდით, ე. ხინთიბიძემ შეისწავლა. **ნ. ქაჯაიამ** ძველი ქართული მწერლობაში ამავე ავტორის მსგავსი შინაარსის უსათაურო თხზულებათა ერთი ნაწილი გამოარჩია, რომელიც მან პირობითად „ასკეტიკონის“ კიდევ ერთ რედაქციად მიიჩნია. საერთოდ, ნ. ქაჯაიამ ბასილი დიდის მემკვიდრეობის ძველი ქართული თარგმანები ხუთ ჯგუფად დაყო: „ექუსთა დღეთაჲ,“ ასკეტიკა, ჰომოლეტიკა, ეპისტოლეები და ჟამის წირვა.[1] აღსანიშნავია, რომ თავის ვრცელ გამოკვლევას მან დაურთო ტექსტები ბასილი დიდის ეპისტოლეების სხვადასხვა ხელნაწერიდან ამოკრებილი ძველი ქართული თარგმანების ტექსტები და ჟამისწირვის ადრეული ვერსიები.

ბასილი დიდის ეროვნული წარმომავლობის საკითხი ქართულ მეცნიერებაში საფუძვლიანად პირველად ე. ხინთიბიძემ შეისწავლა. ამასთან დაკავშირებით მან თავი მოუყარა და გაანალიზა ბიზანტიურსა და ქართულ წყაროებში დაცული ყველა ცნობა და გამოთქვა ვარაუდი, რომ კესარია-კაბადოკიის მიტროპოლიტი ეროვნებით ქართველი უნდა ყოფილიყო.[2] ამ ვარაუდის განმტკიცებას შეეცადა **გ. კოპლატაძე** და ამ მიზნით შეისწავლა ბასილი დიდის პირადი წერილები. კვლევის საფუძველზე კი დაასკვნა, რომ ბასილი დიდის ქართული წარმოშობა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.[3] ამავე მკვლევარის მიერ ძველი ბერძნულიდან თარგმნილი ბასილი დიდის თხზულების „ექვსთა დღეთათვის“ კომენტარები 1990 წლიდან იბეჭდებოდა საეკლესიო გაზეთში „მადლი.“ ახალ ქართულ ენაზე თარგმნილი ტექსტი სრული სახით პირველად 2000 წლის საეკლესიო კალენდარში დაიბეჭდა.

გაზეთ „მადლში“ იბეჭდებოდა ბასილი დიდისავე „ფსალმუნთა კომენტარები.“ ეს თარგმანიც სრული სახით პირველად 1995 წლის საეკლესიო კალენდარში გამოქვეყნდა. 2002 წელს, ორივე თხზულების – „ექვსთა დღეთათვის“ და „ფსალმუნთა კომენტარების”, თარგმანები, ერთხელ კიდევ დაზუსტებული და დედანთან შეჯერებული, ვრცელი შესავლითურთ, საპატრიარქოსა და თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტისტიკისა და ნეოელინისტიკის ინსტიტუტის გამომცემლობებმა ერთობლივად გამოსცეს. სარედაქციო სამუშაოები შეასრულა მაგდა მჭედლიძემ.

---

[1] ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1992.
[2] ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1982.
[3] ბასილი დიდი. თხზულებანი, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა და [illegible] კოპლატაძემ, თბ., 2002.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

არაერთმა ქართველმა მკვლევარმა მოჰკიდა ხელი დიდი ბიზანტიელი მოღვაწის, **გრიგოლ ნოსელის** საღვთისმეტყველო-თეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლას.[1]

2000 წელს გამოქვეყნდა ნ. მელიქიშვილის გამოკვლევა,[2] რომელშიც სისტემატიზირებული სახითაა მოცემული დიდი კაპადოკიელი მამებისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური მემკვიდრეობის ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია; წარმოჩენილია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევა ამ სფეროში.

გრიგოლ ნოსელის შემოქმედებას, მსგავსად ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებისა, ქართველები ჩვენი მწერლობის ადრეულ პერიოდშივე (X ს-მდე ბევრად ადრე) გაეცვნენ. სამწუხაროდ, ეს თარგმანები ანონიმურადაა ჩვენამდე მოღწეული. ერთი ამათგანია „ქრისტეს შობისა და წმიდისა სტეფანესთჳს“ (In natalem Domini nostri Jesu Christi et in sanctum Stephanum), რომელიც უძველეს მრვალთავებშია შეტანილი.[3] ამავე პერიოდს მიეკუთვნება „კაცისა აგებულებისათჳს,“[4] რომლის თარგმნას ი. აბულაძე VIII-IX სს-ში ვარაუდობს.

გრიგოლ ნოსელის თხზულებათა სხვა ქართული თარგმანებს შორის პირველად დაიწყო შესწავლა „ქებათა-ქების განმარტებისა“ („თარგმანება ქებისა ქებათაჲსა“). ამ ძეგლს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა (1965-68 წწ.) **გულნაზ კიკნაძემ**[5] (იხ. ბიბლიოგრაფია).

გ. კიკნაძის ნაშრომების შემდეგ გრიგოლ ნოსელის შემოქმედების ქართულ ვერსიის კვლევა განახლდა 80-იანი წლებიდან. მალხაზ კობიაშვილმა გამოაქვეყნა „შესხმაჲ მელეტი ანტიოქელისა,“ თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა,[6] ხოლო ედიშერ ჭელიძემ – „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“, თარგმანი ასევე გიორგი მთაწმიდელისა. ამ ძეგლს მკვლევარმა მიუძღვნა შესანიშნავი სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ჯერ „საღვთისმეტყველო კრებულში“ გამოქვეყნდა (1988), მცირე ტირაჟით, შემდეგ კი – „საქართველოს ეკლესიის კალენდარში“ (1989).[7]

გრიგოლ ნოსელის კანონიკური ეპისტოლე ეპისკოპოსი ლეტოიოსის მიმართ (Epistula canonica ad Letoium) გამოქვეყნდა „დიდი სჯულის კანონში“ 1975 წელს.[8]

---

[1] მასალა შედგენილია თ. დოლიძისა და თ. კოჭლამაზაშვილი ნაშრომის - „გრიგოლ ნოსელის შემოქმედების კვლევა საქართველოში“ - მიხედვით კრებულიდან ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

[2] ნ,. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქრიპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბ., 2000.

[3] ქართული თარგმანის მოკლე ფრაგმენტი გამოცემულია ილია აბულაძის მიერ: „მრავალთავი“, ენიმკის მოამბე, XIV, თბ., 1944, 241-316 (განმეორებით გამოცემულია ი. აბულაძის „შრომების“ III ტომში, თბ., 1982, 290).

[4] ეს ნაშრომიც გამოცემულია ი. აბულაძის მიერ: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, თბ., 1964 (მეორედ ეს თხზულება გამოიცა 1979 წელს, შატბერდის კრებულის დანარჩენ ტექსტთან ერთად: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, 67-127).

[5] გ. კიკნაძე, წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა „თარგმანება ქებისა ქებათაჲსა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი დაურთო გ. კიკნაძემ, თბ., 1968 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი).

[6] მ. კობიაშვილი, გრიგოლ ნოსელის „შესხმა მელეტი ანტიოქელისა“, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის მატიანე“, II, თბ., 1985, 92-104 (ტექსტი განმეორებით დაიბეჭდა 2005 წლის „საქართველოს ეკლესიის კალენდარში“ – „ნათლისმცემლის“ წელიწდეულში, 356-367).

[7] „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, თბ., 1989, 194-412.

[8] „დიდი სჯულის კანონი,“ გამოსაცემად მოამზადეს გ. გაბიძაშ; დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 509-520.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

„წმ. მაკრინას ცხოვრების“ თარგმანი, გამოკვლევითა და ლექსიკონით, წარმოდგენილია თ. ბააკაშვილის დისერტაციაში: „გრიგოლ ნოსელის მაკრინას ცხოვრების ექვთიმესეული თარგმანი“ (თბ., 1990).

2001 წელს ნანა მრევლიშვილმა გამოაქვეყნა „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ ორივე ქართული თარგმანის ტექსტი (გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირისა) გამოკვლევითურთ.[1]

ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა 2002-2003 წწ-ში გამოაქვეყნა გრიგოლ ნოსელის ორი საკითხავი, მცირე ლექსიკონების დართვით: „განმარტება სიტყჳსა მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი,“[2] და „წმიდისა სამებისათჳს, რომელსა შინა მოიჴსენებს აბრაჰამს“ (თ. დოლიძესთან ერთად);[3] ნ. ბუკიამ – „მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა.“[4]

2004 წელს დეკ. გიორგი ზვიადაძემ სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა გრიგოლ ნოსელის თხზულებას: „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქეობისა“ (კოდიკოლოგიური და ენობრივი მიმოხილვა, კვლევა მთარგმნელობითი მეთოდის ანალიზის კუთხით), ხოლო თამარ აფციაურმა – იმავე ავტორის სხვა თხზულებას – „მოსეს ცხოვრებას.“

2005 წლის საეკლესიო კალენდარში, საერთო სათაურით – „გრიგოლ ნოსელის საღმრთისმეტყველო, ეგზეგეტიკური და პანეგირიკული თხზულებები“ – გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე თხზულების ქართული თარგმანის ტექსტები, დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით („ძიებაჲ სულისათჳს თჳსისა დისა მაკრინაჲს თანა,“ „თარგმანებაჲ მომიჴსენისაჲ,“ „აღთქუმაჲ ქრისტიანისაჲ და ძალი და სახელი მისი”, „სისრულისათჳს”, „შესხმაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისაჲ”).[5] ტექსტების დადგენაში მონაწილეობდნენ: მ. კობიაშვილი, ე. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე, კ. ოღაძე, მ. შამუგია; საერთო რედაქცია – ე. კოჭლამაზაშვილისა.

სულ ახლახან გამოქვეყნდა კიდევ ორი ქართული თარგმანი ჩვენთვის საინტერესო ავტორისა: „სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ მამაო ჩუენოჲსა”[6] და „შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, რომელსა შინა მოიჴსენებს რაქელს და ჩჩჳლთა მათ წმიდათა, რომელნი მოსრნა უღმრთომან ჰეროდე“ (ორი ქართული თარგმანი – გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირისა).[7] ამავე ავტორის სხვა თხზულებათა ქართული თარგმანები ამჟამად შესწავლისა და გამოცემის პროცესშია.

2006 წელს გამოქვეყნდა ეკატერინე ქირიას წიგნი „წმიდა გრიგოლ ნოსელი, სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ *მამაო ჩუენოისაჲ.*“ აქ განხილულია „მამაო ჩუენოს განმარტება პატრისტიკულ ტრადიციაში, ტექსტის

---

[1] ნ. მრევლიშვილი, გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების” ქართული რედაქციები, თბ., 2001.

[2] წმიდა გრიგოლ ნოსელი, ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2002.

[3] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, თარგმანი გიორგი მთაწმინდელისა, გამოსაცემად მოამზადეს თ. დოლიძემ და ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003 (ეს ტექსტი მეორედ გამოიცა 2005 წლის საეკლესიო კალენდარში).

[4] წმიდა გრიგოლ ნოსელი, მკვდრეთით აღდგომისათვის, გამოსაცემად მოამზადა ნ. ბულიამ, თბ., 2002.

[5] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საღმრთისმეტყველო, ეგზეგეტიკური და პანეგირიკული თხზულებები, ძველი ქართული თარგმანები გამოსაცემად მოამზადეს თინა დოლიძემ, ნინო ეფრემიძემ, მალხაზ კობიაშვილმა, ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, გახუ მეგრელაურმა, კახა ორაძემ, ანა ღამბაშიძემ, მედეა შამუგიამ, ექვთიმე კოჭლამაზაშვილის საერთო რედაქციით; საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005 წლისათვის, „ნათლისმცემლის“ წელიწდეული, თბ., 2004, 139-388.

[6] წმიდა გრიგოლ ნოსელი, „მამო ჩვენოს“ განმარტება, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ეკ. ქირიამ თბ., 2006.

[7] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი ქრისტეს შობის დღესასწაულზე [illegible] კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2006.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დათარიღების საკითხი, თხზულების კომპოზიცია და სხვ. ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კოდიკოლოგიურ კვლევას. ე. ქირიას აზრით, ქართული თარგმანი ძირითადად მიჰყვება ბერძნულ ზ ჯგუფის ხელნაწერებს, რომლებიც ყველაზე ადრეულია და ტექსტის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. ამავე კოდიკოლოგიურ საკითხებს ეხება ე. ქირიას მიერ Studia Patristica-ში გამოქვეყნებული წერილი.[1]

გრიგოლ ნოსელის შემოქმედებას საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური კუთხით იკვლევს **თინა დოლიძე**, რომლის კვლევითი მუშაობა წარმოებს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, გრიგოლ ნოსელის ონტოლოგია და მოძღვრება სამების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მისი შემეცნებისა და ენის თეორიები.

დაბოლოს, სულ ახლახან გამოქვეყნდა გრიგოლ ნოსელის ღვთისმეტყველების ლექსიკონი ესპანურ და იტალიურ ენებზე.[2] ლექსიკონი შეიცავს 180 სტატიას, რომლებიც 15 ქვეყნის წარმომადგენელმა 37 მეცნიერმა შეადგინა. ამათგან ოთხი – ქართველი მეცნიერია, რომელთაც ეკუთვნით შემდეგი სალექსიკონო სტატიები: გრიგოლ ნოსელის „Vita Gregorii Thaumaturgi~ (ავტორი ე. კოჭლამაზაშვილი), „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თ. აფციაური), „De oratione Dominica“ (ე. ქირია), „De Deitate Filii et Spiritus Sanct“ და „In Inscriptiones Psalmorum“ (ორივე თ. დოლიძისა).

[1] E.Kiria, De Oratione Dominica of Gregori of nyssa and Its Georgian Translation: Studia Patristica. Papers presented at the Thirteenth International Conference on Patristic Studies held in Oxford, ed. by M. F. Wiles and E. J. Yarnold, v. 37, Peeters-Leuven 2001, 121-125.

[2] Diccionario de San Gregorio de Nisa, ed. L. F. Mateo-Seco, G. Maspero, M[illegible] Mateo-Seco, G. maspero (edd.), Gregorio di nissa. Dizionario Citta Nuova/Roma 2

created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ბიბლიოგრაფია

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. აბულაძე ილ., შესავალი ბალავარიანის ქართულ რედაქციებზე;“ „ბალავარიანის ქართული რედაქციები,“ თბ., 1957, გვ. 011-048
3. აბულაძე ი., მამათა სწავლანი X-XIსს. ხელნაწერების მიხედვით, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1955
4. აბულაძე ი., იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1960
5. აბულაძე ი., უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ X-XIIIსს. ხელნაწერთა მიხედვით, ტექსტები გამოკვლევითურთ გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1964
6. ადიშის ოთხთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ზ. სარჯველაძემ, თბ., 2003
7. ალექსიძე ა., ქართულ ენაზე მოღწეული ანტილათინური პოლემიკური თხზულება; „თსუ შრომები,“ 162, 1975.
8. ალექსიძე ზ., ქრისტიანობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულიდან დღემდე, ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში, თბ., 2004
9. ალ-ბუსთანი, X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით, რ. გვარამიას გამოცემა გამოკვლევითურთ, თბ., 1965
10. ათონის მრავალთავი: [იოვანე ბოლნელის ქადაგებანი] / მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. დამბაშიძე, მ. ჩხენკელი; [რედ.: ელენე მეტრეველი]; საქ. მეცნ. აკად., კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინ-ტი., თბ., 1999
11. ახობაძე ლ., ეფრემ ასურის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები მრავალთავებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1982.
12. ასათიანი ვ., ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში; თბ., 1996
13. ასათიანი ქ., ოლიმპია დედათდიაკონი ძველ ქართულ წყაროებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2006
14. ასათიანი ქ., ოლიმპია ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, თბ., 2006.
15. ასათიანი ქ., დედათა მსახურებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, თბ., 2006
16. „არეოპაგიტული ძიებანი,“ შემადგენელი დენიზა სუმბაძე, რედაქტორი გ. თევზაძე; თსუ, თბ., 1986
17. ბააკაშვილი ვ., ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის ურთიერთმიმართება და ძირითადი თავისებურებანი; კრებული: „ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII),“ თბ., 1977

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

18. ბააკაშვილი თ., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან, მაცნე, ელს, I, 1987

19. ბააკაშვილი თ., გრიგოლ ნოსელის ჰომილეტიკური თხზულება და მისი ექვთიმესეული თარგმანი, ჯვევანმარდი, IV, მეცნიერება, თბ., 1990

20. ბააკაშვილი თ., გრიგოლ ნოსელის თხზულების „მაკრინას ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი, მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1990

21. ბააკაშვილი თ., გრიგოლ ნოსელის ერთი თხზულების ჟანრის განსაზღვრა, ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, IV, 1998

22. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983

23. ბეზარაშვილი ქ., გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1989

24. ბეზარაშვილი ქ., გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან (ეფრემ მცირის თარგმანი), გულანი, თბ., 1989

25. ბეზარაშვილი ქ., თ. ოთხმეზური, ბიზანტინისტიკის საზღვარგარეთული ცენტრები (ბელგია, ბულგარეთი), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 1995

26. ბეზარაშვილი ქ., ეფრემ მცირის შეხედულებები კლასიკური სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ურთიერთმიმართებების შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბ., 1998

27. ბეზარაშვილი ქ., ისევ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, მაცნე, ელს, № 1-4, 1999

28. ბეზარაშვილი ქ., „იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვის ზოგიერთი ადგილის გაგებისათვის: „მეარისტოტელურა,“ ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 3, 2005, 17-43.

29. ბეზარაშვილი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., 2004

30. ბეზარაშვილი ქ., იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია, მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1987, 129-154; 3, 1989, 142-163

31. ბეზარაშვილი ქ. და ოთხმეზური თ., გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებისა და მათი კომენტარების კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში,“ კრებული - ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

32. ბრეგვაძე ბ., პლატონი, ტიმეოსი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, ირმისა, თბ., 1994

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

33. ბრეგვაძე ბ., ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, ლათინურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, ნეკერი, თბ., 1995

34. ბრეგვაძე ბ., პლატონი, პარმენიდე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგაძემ, ნეკერი, თბილისი 2002

35. ბრეგვაძე ბ., პლატონი, სახელმწიფო, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, ნეკერი, თბ., 2003;

36. ბრეგვაძე ბ., ახალი აღთქმა, თარგმანი ძველი ბერძნულიდან ბ. ბრეგვაძის, მწიგნობართა ასოციაცია, თბილისი 2003

37. ბაჩანა ბრეგვაძე, დრო (ტრიპტიქი: 1. არისტოტელე 2. პლატონი 3. ნეტარი ავგუსტინე), ჟურნალი „ომეგა" №11, №12. თბ., 2003

38. ბრეგაძე თ., ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები; „მრავალთავი", I, 1971

39. ბრეგაძე თ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ქართული ხელნაწერების აღწერილობა, თბ., 1988 თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები, მრავალთავი, I, თბ., 1971

40. ბრეგვაძე ქ., ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის, თარგმანი ძველი ბერძნული ენიდან და გამოკვლევა ქეთევან ბრეგვაძის, ჟურნალი „ზღვარი," №1 (3), თბ., 2003

41. გაბიძაშვილი ე., 14-ტიტულოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი - „დიდი სჯულისკანონი"; „დიდი სჯულისკანონი", თბ., 1976

42. გაბიძაშვილი ე., წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, ე. გაბიძაშვილის გამოცემა, თბ., 1991

43. გაბიძაშვილი ე, უცნობი ბიზანტიელი ჰაგიოგრაფი ძველ ქართულ ნათარგმნ მწერლობაში (ნიკიფორე ურანოსის „თეოდორე ტირონის მეტაფრასული წამება"), საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობითი აკადემიის შრომები, I, თბ., 1997

44. გაბიძაშვილი ე, ახლად გამოვლენილი ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულება (საბინეს წამება), მწიგნობარი, თბ., 1998

45. გაბიძაშვილი ე., ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ., 2004

46. გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 2. ასკეტიკა და მისტიკა, თბ., 2006

47. გამყრელიძე ალ., კამათი *ბალავარიანის* გარშემო საზღვარგარეთ; „ცისკარი", 3, 1958, გვ. 150-155

48. გაფრინდაშვილი ნ., ბერძნული „ბალავარიანის" ერთი მოსკოვური ხელნაწერის გამო; „ცისკარი", 10, 1972

49. Garitte G., Catalogue des manuscits georgiens litteraires du mont Sinai (CSCO,, vol. 165. Subsidia,t.9), Louvain, 1965

50. გვარამია რ., „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წ. ხელნაწერების მიხედვით, გამოცემა, თბ., 1986

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

51. გიგინეიშვილი ლ., ნემესიოს ემესელის დოქტრინა სულის შესახებ და იოანე პეტრიწი, საერთაშორისო კონფერენცია "ბიზანტინოლოგია საქართველოში – 2," ბათუმი – ტრაპიზონი, 2007

52. გიგინეიშვილი მ., აპოკრიფული მწერლობის ერთი ნიმუში ძველი ქართული მწერლობაში, კრ: ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII სს), თბ., 1977, 41-47.

53. გოგიბერიძე მ., შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი; გაზ. „კომუნისტი", 1938, 12, II, №35

54. გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ., 1965

55. დათიაშვილი ლ., „აბუკურას" ქართულ-ბერძნული რედაქციები; სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1968, გვ. 152-216,ბ)

56. დათიაშვილი ლ., „აბუკურას" ორიგინალობის საკითხისათვის; „მაცნე", 1967, №5, გვ. 169-194

57. დათიაშვილი ლ., «თეოდორე აბუკურა, თუ ლეონტი ბიზანტიელი?» ლიტერატურული ძიებანი, VIII, ნაწ. III, 1989

58. დვალი მ., შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, გამოცემა, I, II, თბ., 1966, 1974.

59. დვალი მ., ზოსიმეს „სწავლანის" თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანისათვის, გელათი, 3, 2004

60. დოჩანაშვილი ელ., მცხეთური ხელნაწერი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონები დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981-86

61. დოლაქიძე მ., დიდი სვინაქსარის ჰაგიოგრაფიული ნაწილი, ტექსტი გამოკვლევით გამოსცა მ. დოლაქიძემ, საეკლესიო კალენდარი, 2003

62. დოლიძე თ., კოჭლამაზაშვილი თ. გრიგოლ ნოსელის შემოქმედების კვლევა საქართველოში, კრებულიდან ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

63. დუდაშვილი ე., კოზმა იერუსალიმელის ძლისპირთა და ღვთისმშობლისათა ქართული თარგმანები; რელიგია. თბ., 2000

64. დუდაშვილი ე., ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის შესახებ, ცისკარი. თბ., 2000

65. დუდაშვილი ე., ინფორმაცია კოზმა იერუსალიმელის ბიოგრაფიის შესახებ ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ინტელექტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი, თბ., 2000

66. დუდაშვილი ე., კოზმა იერუსალიმელის ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის ქართული თარგმანის თავისებურებანი, მრავალთავი, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა. თბ., 2000

67. დუდაშვილი ე., კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონების უძველესი ქართული თარგმანები

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

(X ს. იადგარებში). (ქართულად). მეცნიერება და ტექნოლოგიები, სამეცნიერო ჟურნალი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია), თბ., 2000

68. დუდაშვილი ე., სტაფანე საბაწმინდელის ჰიმნოგრაფიის ქართული თარგმანები. რელიგია. თბ., 2002

69. დუდაშვილი ე., ღვთისმშობლის აღმნიშვნელი ეპითეტები იოანე დამასკელის ღვთისმშობლის მიძინებისა და შობის კანონებში, მრავალთავი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა. თბ., 2005

70. დუდაშვილი ე., პალესტინური (ადრებიზანტიური) ჰიმნოგრაფიის უძველესი ქართული თარგმანები, ბიზანტინისტთა საერთაშორისო კონფერენციის თეზისები. ლონდონი. 2005.

71. დუდაშვილი ე., კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა უძველესი ქართული თარგმანები (X ს. იადგარების მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2001.

72. დანელია კ., გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბ., 1998

73. „დიდი სჯულისკანონი," ტექსტი გამოკვლევითურთ გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ. 1975

74. დვალი მ., შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები (ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი), ტექსტი გამოკვლევითურთ გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა, თბ., 1966

75. დობორჯგინიძე ნ., ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტიკის საკითხები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1998

76. ეფრემიძე ნ., პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, ბერძნული ენიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ, მეცნიერება, თბ., 1989

77. ეფრემიძე ნ., იოანე ათონელისა და თორნიკე ერისთავის წარმომადგენლობის საკითხისათვის, ჯვევანმარდი, IV, 1990

78. ზვიადაძე გ., წმინდა პოლიკარპე სმირნელი, ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, თბ., 1998

79. ზვიადაძე გ., წმინდა კლიმენტი რომაელი, კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, თბ., 1998

80. ზვიადაძე გ., ალექსანდრე ალექსანდრიელი, სიტყვა სულის, სხეულისა და უფლის ვნების შესახებ, ბერძნულიდან |თარგმნა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, I, თბ., 1999

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

81. ზვიადაძე გ., წმინდა გრიგოლ ნოსელის ასკეტური შრომის ეფთვიმესეული თარგმანის მიმართება ორიგინალთან, საღვთისმეტყველო კრებული, 2004, №2.

82. თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, საკუთარ სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ლ. დათიაშვილმა, თბ., 1980

83. თვალთვაძე დ., ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1966

84. თვალთვაძე დ., პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ქართული თარგმანები, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995

85. თვალთვაძე დ., კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29, თბ., 2002

86. თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი, ძველი ქართული კათედრის შრომები, 27, 1988

87. თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის, მაცნე, ენს, 4, თბ., 1989

88. თვარაძე რ., „სიბრძნე ბალაჰვარისი“ – ორი რედაქცია, მისსავე წიგნში: წიგნი და მკითხველი, თბ., 1971

89. გიორგი მთაწმინდელი, „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“, ტექსტი გამოკვლევითურთ გამოსაცემად მოამზადა აკ. შანიძემ, თბ., 1946

90. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბ., 1976

91. იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965

92. კახაძე მ., ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947

93. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.

94. კეკელიძე კ., ბარამიძე ალ; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1970.

95. კეკელიძე კ., ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია (სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა), თბ., 1933.

96. კეკელიძე კ., ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935.

97. კეკელიძე კ., ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 155-167.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

98. კეკელიძე კ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენცია; „ეტიუდები,“ I, თბ., 1956, გვ. 63-83.

99. კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ., „ეტიუდები,“ I, თბ., 1956, გვ. 19-50.

100. კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან; „ეტიუდები”, II, თბ., 1945, გვ. 218-236.

101. კეკელიძე კ., ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში; „ეტიუდები”, II, თბ., 1945, გვ. 237-260.

102. კეკელიძე კ., ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში; „ეტიუდები”, III, თბ., 1955, გვ. 42-60.

103. კეკელიძე კ., კომენტარები *თამარიანის* ზოგიერთი ტაეპისა; „ეტიუდები”, III, თბ., 1955, გვ. 27-36.

104. კეკელიძე კ.„მარტვილობა გულანტუხტ სპარსისა,“ „ეტიუდები,“ III, თბ., 1955, გვ. 197-249.

105. კეკელიძე კ., მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში; „ეტიუდები,“ III, თბ., 1955, გვ. 69-86.

106. კეკელიძე კ., უძველესი რედაქცია ქრისტინეს მარტვილობისა; „ეტიუდები,“ III, თბ., 1955, გვ. 178-195.

107. კეკელიძე კ., ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში; „ეტიუდები”, III, თბ., 1955, გვ. 1-11.

108. კეკელიძე კ., კომენტარები *აბდულ-მესიანის* ზოგიერთი ტაეპისა; „ეტიუდები”, IV, თბ., 1957, გვ. 56-69.

109. კეკელიძე კ., ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია; „ეტიუდები”, IV, თ ., 1957, გვ. 187-201.

110. კეკელიძე კ., ორენტიოსისა ძმათა მისთა მარტვილობა; „ეტიუდები”, IV, თბ., 1957, გვ. 293-324.

111. კეკელიძე კ., ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში; „ეტიუდები”; IV, თბ, 1957, გვ. 90-104.

112. კეკელიძე კ., რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსის, „ეტიუდები”, IV, თბ., 1957, გვ. 37-55.

113. კეკელიძე კ., ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები; „ეტიუდები,“ IIV, თბ., 1957, გვ. 252-292.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

114. კეკელიძე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში; „ეტიუდები", V, თბ., 1957, გვ. 3-114.

115. კეკელიძე კ., ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია; „ეტიუდები," V, თბ., 1957, გვ. 115-211.

116. კეკელიძე კ., ახალი ვარიანტი „ევსტოქის მარტვილობისა;" „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 148-159.

117. კეკელიძე კ., ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ; „ეტიუდები", ტ. VI, თბ., 1960, გვ. 103-120.

118. კეკელიძე კ., ახლად აღმოჩენილი მარტვილობა ასტიონისა და შვიდი იტალიელი მხედრისა; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 187-211.

119. კეკელიძე კ., ბალავარიანის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 41-71.

120. კეკელიძე კ., „ცხოვრება დიოს კონსტანტინოპოლელისა;" „ეტიუდები," VI, თბ., 1960, გვ. 160-186.

121. კეკელიძე კ., „თეოფილე ეკონომის ცხოვრება," აღწერილი ევტვიქიანოსის მიერ; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 256-275.

122. კეკელიძე კ., მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 5-17.

123. კეკელიძე კ., რომანი „აბუკურა" და მისი ორი რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში; „ეტიუდები", VI, გვ. 18-40.

124. კეკელიძე კ., ტიმოთე ანტიოქელი; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 276-413.

125. კეკელიძე კ.„ფილეთეოსის მარტვილობა"; „ეტიუდები", VI, გვ. 81-102.

126. კეკელიძე კ., პეტრე იერუსალიმელის ჰომილია; „ეტიუდი", VI, გვ. 226-231.

127. კეკელიძე კ.„ცხოვრება დიდვიმოსისა და თეოდორასი"; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 212-225.

128. კეკელიძე კ., „წამება ევსფსვიქი კაპადოკიელისა"; „ეტიუდები", VI, თბ., 1960, გვ. 251-255.

129. კეკელიძე კ.„მარტვილობა ათანასე კულიზმელისა"; „ეტიუდები", VIII, თბ., 1962, გვ. 56-70.

130. კეკელიძე კ., „მარტვილობა სერგისა და ბაქოზისი"; „ეტიუდები", VIII, თბ., 1962, გვ. 71-93.

131. კეკელიძე კ., ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ისტორიიდან; „ეტიუდები", VIII, თბ., 1962, გვ. 170-199.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

132. კეკელიძე კ., ქართული ვერსია გურიას, სამონასა და აბიბოსის მარტვილობისა; „ეტიუდები,“ VIII, თბ., 1962, გვ. 94-131.

133. კეკელიძე კ., ერთი უცნობი კანონიკური კრებული ძველ ქართულ მწერლობაში; „ეტიუდები”, IX, თბ., 1963, გვ. 5-122.

134. კეკელიძე კ., ექვთიმე ათონელის ორიგინალური ქართული შრომა; „ეტიუდები”, XIII, თბ., 1974, გვ. 11-17.

135. კეკელიძე კ., ექვთიმე ათონელის ორიგინალური ბერძნული შრომა; „ეტიუდები”, XIII, თბ., 1974, გვ. 18-25.

136. კეკელიძე კ., ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები; „უნივერსიტეტის მოამბე”, III, 1923.

137. კეკელიძე კ., რუსთაველისა და ქართული რენესანსის საკითხისათვის; გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება”, 1948, 20, VI.

138. კეკელიძე კ., იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ. 1970

139. კეკელიძე კ., „მარტვილობა გულანდუხტ სპარსისა,“ „ეტიუდები,“ III, თბ., 1955, გვ. 197-249

140. კეკელიძე კ.„ცხოვრება დიდვიმოსისა და ტეოდორასი”; „ეტიუდები”, VI, თბ., 1960, გვ. 212-225

141. „კიმენი,“ ტ. I (კ. კეკელიძის გამოცემა), ტფ., 1918;

142. „კიმენი,“ ტ. II (კ. კეკელიძის გამოცემა), თფ., 1946;

143. Кекелидзе К., Житие и подвиги Иоанна, католикоса Украинского; „ეტიუდები,“ VII, თბ., 1961, გვ. 102-135

144. Кекелидзе К., Грузинская Версия арабского Житие Иоанна Дамаскина; „ეტიუდები,“ VII, თბ., 1961, გვ. 136-176

145. Кекелидзе К.Новооткритый агиологический памятник иконоборческой эпохи; „ეტიუდები,“ VII, თბ., 1961, გვ. 55-75

146. Кекелидзе К., Симеон Метафраст по источникам; “ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან”, V, თბ., 1957, გვ. 212-226

147. Кекелидзе К., Иоанн Ксифилин, продолжителъ Симеона Метафраста; „ეტიუდები,“ V, თბ., 1957, გვ. 227-241

148. Кекелидзе К., Неизвестный памятник византийской литературы в грузинском переводе; „ეტიუდები”, VIII, თბ., 1962, გვ. 244-250

149. Кекелидзе К., «Памятники древнегрузинской агиографической литературы» Тб. 1956

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

150. Кекелидзе К., Житие Агафангела, Католикоса Дамасского; „ეტიუდები,“ VII, თბ., 1961, გვ. 224-247

151. Кекелидзе К. Житие Петра нового мученика капетолийскому, „ეტიუდები,“ VII, თბ., 1961, გვ. 177-223

152. Кекелидзе К, Сведения Грузинских источников о Максиме Исроведение, „ეტიუდები”, VIII, თბ., 1962, გვ. 244-250

153. მიტროფანე სმირნელი, „თარგმანებაჲ ეკლესიასტესი მიტროფანე ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ,“ (ტექსტი ვრცელი გამოკვლევით, კომენტარებითა და ლექსიკონით გამოსცა კ. კეკელიძემ). თბ., 1920

154. «Иерусалимский канонар VII века» (издание К. С. Кекелидзе, Тиф., 1912

155. კეჭაღმაძე ნ., იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 51, 1953

156. იოანე იტალოსი, თხზულებანი, ბერძნული ტექსტი ვარიანტებითა და შენიშვნებით გრიგოლ წერეთლის მასალების მიხედვით გამოსცა ნათელა კეჭაღმაძემ, თბ., 1966

157. კვირიკაშვილი ლ., ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები, საგალობლები გიორგი მთავარმოწამეზე, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1970

158. კვირიკაშვილი ლ., ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, მეცნიერება, თბ., 1982

159. კვირიკაშვილი ლ., იოანე მინჩხის საგალობელი ათონური ხელნაწერებიდან, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987წ. №1

160. კვირიკაშვილი ლ., ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები ძველქართულ თთუენებში, (კატალოგი), თბ., 1987

161. კვირიკაშვილი ლ., საღვთისმეტყველო პრობლემათა ახალი სივრცე ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მიხედვით, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, თბ. 1998

162. კიკნაძე გ., „ივდითის“ წიგნის ქართული რედაქციები; „მრავალთავი”, I, 1971

163. კიკნაძე გ., ნევმირებული ძლისპირნი, ტექსტი გამოკვლევითურთ გამისცა, თბ., 1982

164. კიკნაძე გ., წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა „თარგმანება ქებისა ქებათაჲსა”, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი დაურთო გ. კიკნაძემ, თბ., 1968 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

165. კიკნაძე გ., გიორგი მთაწმინდელის ერთი თარგმნის კიმენი და ლექსიკა, კრებულში: „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი", თბ., 1965

166. გრიგოლ ნოსელის ნააზრევის ფილოლოგიური ასპექტისათვის („თარგმანება ქებისა ქებითაჲსა"-ს გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის მიხედვით), ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997, 40-45

167. კობიაშვილი მ., გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ მელეტი ანტიოქიელიჲ", ძველი ქართული მწერლობის მატიანე, II, თბ., 1985, 92-105

168. კოპლატაძე გ., წმინდა ბასილი დიდი ქართულ მწერლობაში, კრებულიდან ბიზანტინოლოგია საქართველოში, ნ. მახარაძისა და თ. დოლიძის გამოც., თბ., 2007

507. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები კორნელი კეკელიძის შრომებში. თბ. 1979, *მეცნიერება* (რუსულად)

508. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. თბ. 1979, *თბილ. ნივ. ამომც.* (რუსულად და ინგლისურად)

509. ხინთიბიძე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1982

510. ხინთიბიძე ე., ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა. თბ. 1982, *Ганатлеба, (რუსულად)*

511. ხინთიბიძე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები. თბ. 1989, *თბილ. უნივ. გამომც.* (რუსულად)

512. ხინთიბიძე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები. თბ. 1989, *თსუ გამომც.* ამსტერდამი 1996, *დოლფ აკკერტ- აბლისჰერ* (ინგლისურად)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

513. ხინთიბიძე ე., ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში. ამსტერდამი, 2001, *dolf Hakkert-Pablishher* (ინგლისურად)

514. ხინთიბიძე ე., ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, *„ქართველოლოგი“* თბ. 2003,

515. ხინთიბიძე ე., ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონის“ ქართული რედაქციები: *Bedi Kartlisa _ Revue de Karetvélologie* ტ. XXVI, პარიზი 1969 (ფრანგულად).

516. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი: *Revue de Karetvélologie*, ტ. XXVIII, პარიზი 197 (ფრანგ.)

517. ხინთიბიძე ე., საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის განვითარება XII საუკუნის საქართველოში: *Wissenschaftliche Zeitschrift,* 22, III, იენა 1973

518. ხინთიბიძე ე., ექვთიმე ათონელი – ავტორი “ვარლაამ და იოასაფის” ბერძნული რედაქციისა: *ჭისსენსცჰაფტლიცჰე ძეიტსცჰრიფტ, 26, I,* იენა 1977 (გერმანულად)

519. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტები: *Revue de Karetvélologie*, *ტ. XXXVI,* პარიზი 1978 (ინგლისურად)

520. ხინთიბიძე ე., ძველი საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი: კრებ. *„რუსული და ქართული შუასაუკუნეების ლიტერატურები”*, *«Русская и грузинск. средн. литературы»*, ლენინგრადი 1979, *«Наука»,* რუს. (ა. გვახარიას თანაავტორობით)

521. ხინთიბიძე ე., უახლესი შრომები ბერძნული რომანის „ვარლაამ და იოასაფის“ წარმოშობის შესახებ: კრებ: *„კავკასია და ბიზანტია“* – *«Кавказ и Византия» №2*, ერევანი 1980 (რუსულად)

522. ხინთიბიძე ე., ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა: *Georgica, №5,* იენა 1982 (გერმან.)

523. ხინთიბიძე ე., ბიზანტიური ლიტერატურა შუასაუკუნეების ქართულ თარგმანებში: კრებ. *„ბიზანტინისტთა XVII საერთაშორისო კონგრესი“* – *“The 17th International Byzantine Congress”,* ვაშინგტონი, 1986 (თეზისები, ინგლ.)

524. ხინთიბიძე ე., ბიზანტიური ლიტერატურა შუასაუკუნეების ქართულ თარგმანებში და სომხურ–ქართული ლიტერატურული კონტაქტები: *“Международная конференция по Армянской средневековой литературе”* (რუსულად); „International Conference of Armenian Medieval Literature“, (ინგლისურად), ერევანი 1986.

525. ხინთიბიძე ე., ძველი ქართული და ბიზანტიური ისტორიოგრაფიის ურთიერთობათა შესახებ: *Georgica*, *№9*, იენა 1986, (გერმ.)

526. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტები: ჟურნ. *რყეჰეია, 8.1,* მადრიდი 1987, (ესპანურად)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

527. ხინთიბიძე ე., ახალი არგუმენტი ფსევდო დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციისათვის: კრებ. „ბიზანტინისტთა XV კონფერენცია“ – “Fifteenth Annual Byzantine Studies Conference,” University of Massachetts aSS. amhersti 1989 (თეზ. ინგლ.).

528. ხინთიბიძე ე., ბიზანტიური ლიტერატურა შუასაუკუნეების ქართულ თარგმანებში: კრებ. „ბიზანტინისტთა XVIII საერთაშორისო კონგრესი“ – «XVIII международный конгресс византинистов» Резюме сообщении, ტ. III, მოსკოვი 1991 (რეზიუმე, რუსულ.).

529. ხინთიბიძე ე., „ვარლაამ და იოასაფის” ბერძნული ვერსიის შექმნა და რუსეთის გაქრისტიანება: კრებ. `Bizantium. Identity, Image, Influence~; XIX International Congress of Byzantine Studies,“ ბიზანტინისტთა XIX საერთაშორისო კონგრესი”, კოპენჰაგენი (დანია) 1996, (თეზ. ინგლ.)

530. ხინთიბიძე ე., ახალი ფაქტები „ვარლაამ და იოასაფის“ წარმოშობის შესახებ: *აღმოსავლური ქრისტიანობის ჟურნალი* - “*Orientalia Christiana Periodica*”, ტ. 63, II, რომი 1997 (ინგლ.)

531. ხინთიბიძე ე., XI საუკუნის ორი უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტები ბერძნულ კოდექსში: *აღმოსავლური ქრისტიანობის ჟურნალი*, - *“Orientalia Christiana Periodica*”, ტ. 64, II, რომი 1998 (ინგლ.)

532. ხინთიბიძე ე., რუსეთის გაქრისტიანება და ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის შედეგი: კრებ. *Verbum, №3*, სანკტ-პეტერბურგი, 2000 (რუსულად)

533. ხინთიბიძე ე., ვინ არის ავტორი შუასაუკუნეობრივი ევროპული რომანისა „ვარლაამ და იოასაფი“?: ჟურნ. *Georgica*, *№5*, ამსტერდამი 2000 (ინგლისურად)

534. ხინთიბიძე ე., ქართული ხელნაწერები ათონის მთაზე: დღემდე უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნთსაცავში: „ბიზანტინისტთა XX საერთაშორისო კონგრესის მასალები – „XXe Congrès International des Études Byzantines”, III, პარიზი 2001 (თეზ. ინგლ.)

535. ხინთიბიძე ე., ქართულ-ბერძნულ-ლათინური ლიტერატურული კონტაქტების ერთი მაგალითი XII საუკუნის ლათინურ კოლექციაში: *Христианский восток, 3(IX),* სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი 2002 (ინგლ.)

536. ხინთიბიძე ე., ქართველი წმინდა მამის სიტყვა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე აგიოგრაფიული თხზულებიდან XIII საუკუნის ლათინურ კოლექციაში: *Proceedings of the 21st International Congress of Byzantine Studies, v. III,* სჰგატე, ლონდონი 2006 (ინგლისურად).

537. ხინთიბიძე ე., ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები: ჟურნ. *ლიტერატურული ძიებანი*, ტ. XIV, თბ. 1962 (1,25 თაბ.)

538. ხინთიბიძე ე., ბასილ დიდის სადაურობისათვის: ჟურნ. საქ. მეცნ. აკად. საზ. მეც. განყ. *მოამბე*, №3, თბ. 1962

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

539. ხინთიბიძე ე., ერთი კომენტარი ექვთიმე ათონელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ: ჟურნ. საქ. მეცნ. აკად. *მოამბე*, XXXI:1, თბ. 1963 (0,5 თაბ. რეზ. რუს.)

540. ხინთიბიძე ე., ეფრემ მცირის მეცნიერული მოღვაწეობიდან: ჟურნ. საქ. მეცნ. აკად. *მოამბე*, XXXV:2, თბ. 1964 (0,7 თაბ. რეზ. რუს.)

541. ხინთიბიძე ე., ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის ერთი თავისებურების შესახებ: ჟურნ. საქ. მეცნ. აკად. *მოამბე*, XXXVII:3, თბ. 1965 (0,5 თაბ. რეზ. რუს.)

542. ხინთიბიძე ე., ეფრემ მცირის ფილოლოგიური მოღვაწეობის ერთი თავისებურების შესახებ: თსუ „შრომები", ტ. 114, თბ.1965 (0,5 თაბ.)

543. ხინთიბიძე ე., ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონის" ქართული ვერსიები და მათი მნიშვნელობა თავდაპირველი ბერძნული რედაქციის დადგენისათვის: კრებ. ბიზანტინისტთა VII საკავშირო კონფერენცია, - VII всесоюзная конференция византинистов, თბილისი 1965 (თეზ. რუს.)

544. ხინთიბიძე ე., კორნელი კეკელიძე და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები: ჟურნ. „მნათობი", №11, თბ., 1969 (1,5 თაბ.)

545. ხინთიბიძე ე., ვინ უნდა იყოს „ვარლაამ და იოასაფის" ბერძნული ტექსტის გამმეტაფრასებელი?": „ლიტმც. რესპ. VIII სამეც. სესია", თბ., 1974 (თეზ.)

546. ხინთიბიძე ე., „ვარლაამ და იოასაფის" ლემის „ჰუპერ ეუთიმიუ": კრებ. „სამეც. კონფ. მასალები", თბ., 1975

547. ხინთიბიძე ე., „ვარლაამ და იოასაფის" ავტორობის საკითხი თანამედროვე ბიზანტინისტიკაში: კრებ. „საკავშ. სამეცნ. კონფერენცია: ანტიკური, ბიზანტ. და ადგილობრივი ტრადიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში" (Всесоюз. науч. конф: античное, византийские и местное традиции восточного черноморья), თბ. 1975 (თეზ. რუსულად)

548. ხინთიბიძე ე., ბერძნული „ვარლაამ და იოასაფი" – მეტაფრასული აგიოგრაფიული ძეგლი: „თსუ შრომები: არქეოლოგია, კლას. ფილ. ბიზანტინისტიკა", №162, თბ. 1975 (რეზ. რუს. და ინგლ.)

549. ხინთიბიძე ე., ათონის მთა, როგორც „ვარლაამისა და იოასაფის სულისმარგებელი თხზულების" ჩასახვისა და გავრცელების ადგილი: „თსუ შრომები," (ლიტერატურათმცოდნეობა), თბ. 1976 (1 თაბ. რუს; რეზ. ინგლ.)

550. ხინთიბიძე ე., ძველი საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი: ჟურნ. „Литературная Грузия", №3, თბ. 1977 (რუს.)

551. ხინთიბიძე ე., დიდი ლიტერატურის სათავეებთან: ჟურნ. „რუსული ენა ქართულ სკოლაში" - „Русский язык в грузинской школе", №1, თბ. 1979 (რუს.)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

552. ხინთიბიძე ე., „ვარლაამი და იოასაფი”: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია”, ტ. IV, თბ. 1979

553. ხინთიბიძე ე., რამდენიმე საკითხი „ვარლაამ და იოასაფის” ავტორობის კვლევის მეთოდოლოგიიდან: კრებ. „ლიტმც. რესპ. XIV სამეც. სესია”, თბ. 1979 (თეზ.)

554. ხინთიბიძე ე., აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე: კრებ. „ახალგაზრდა მეც. ფილოლოგთა რესპ. კონფ. მასალები”, თბ. 1980

555. ხინთიბიძე ე., „ვარლაამ და იოასაფის” ავტორობის საკითხი თანამედროვე ბიზანტინისტიკაში: კრებ. „კავკასია და ხმელთაშუა ზღვის აუზი” («Кавказ и средиземноморье») თბ. 1980 (1 თაბ. რუს.)

556. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობათა საკითხები აკად. კორნელი კეკელიძის გამოკვლევებში: „თსუ შრომები” (ლიტერატურათმცოდნეობა), №221, თბ. 1981 (რუს.)

557. ხინთიბიძე ე., ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა: ჟურნ. „მნათობი,“ №2, თბ. 1982

558. ხინთიბიძე ე., „ჰუპერ ეუთიმიუ“ ბერძნული რომანის „ვარლაამ და იოასაფის“ ლემიდან: კრებ. „ისტ.-ფილოლოგ. ძიებანი” – «Историко-филологические разыскания», თბ. 1984 (რუს.)

559. ხინთიბიძე ე., ბიზანტიური ლიტერატურა შუასაუკუნეების ქართულ თარგმანებში და სომხურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტები“: კრებ. საერთაშორისო კონფ. შუასაუკუნეების სომხური ლიტერატურის შესახებ – «Международная конференция по армянской средневековой литературе», ერევანი 1986 (თეზ. რუს. და ინგლ.)

560. ხინთიბიძე ე., „შალვა ნუცუბიძე: კრებ. „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი”, თბ., 1986

561. ხინთიბიძე ე., „მოსე გოგიბერიძე: კრებ. „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი”, თბ., 1986, (1 თაბ.)

562. ხინთიბიძე ე., „ვარლამ და იოასაფის” ეთიოპია: „თსუ შრომები” (ლიტერატურათმცოდნეობა), 261, თბ. 1986 (1 თაბ; რეზ. რუს. და ინგლ.)

563. ხინთიბიძე ე., „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია”, „თსუ შრომები“ (ლიტერატურათმცოდნეობა), 261, თბ. 1986.

564. ხინთიბიძე ე., სიყვარულისათვის (ბასილ დიდის „კითხვაჲ მოღუაწეთაჲ”): ჟურნ. „ჯვარი ვაზისა” №1, თბ., 1990, (რეზ. ინგლ.)

565. ხინთიბიძე ე., ახალი არგუმენტი პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციისათვის: კრებ. „ბიზანტინოლოგიური ეტიუდები” – „Византиноведческие этюды“, თბ., 1991 (რუს.)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

566. ხინთიბიძე ე., კაპადოკიელ წმიდა მამათა სადაურობისათვის: ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", №3, თბ., 1992

567. ხინთიბიძე ე., ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის არგუმენტირებისათვის: კრებ. „ქართული მწერლობის საკითხები", თბ., 1993

568. ხინთიბიძე ე., XI საუკუნის ორი უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტები ბერძნულ მანუსკრიპტში: ჟურნ. „ქართველოლოგი", №4, თბ. 1997

569. ხინთიბიძე ე., ქართული ფენომენის ყველაზე დიდი გამოხატულება და ევროპული ცივილიზაციის პროცესი: კრებული „ჩვენ-ქართველნი", თბ. 1999

570. ხინთიბიძე ე., მეთერთმეტე საუკუნის უცნობ ქართველ ხელნაწერთა ფრაგმენტები ბრიტანეთის მუზეუმში: კრებული „საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობისა და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები", თბ. 1998

571. ხინთიბიძე ე., ქართული აგიოგრაფიული ტექსტის 13-ე საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი: კრებ. „კავკასია", ტომი 3, გვ. 67-81, თბ. 1999 (ინგლ.)

572. ხინთიბიძე ე., ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანები: კრებ. „ფილოსოფიურ-ისტორიული ძიებანი" (აკად. თ. ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი), თბ. 1999

573. ხინთიბიძე ე., ბერძნული „ვარლაამ და იოასაფი" და რუსეთის გაქრისტიანება: „მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები", თბ. 1999

574. ხინთიბიძე ე., ძველი ბერძნული სააზროვნო სტილის ერთი ნიმუში ძველ ქართულ მწერლობაში: კრებული „შოთა რუსთველი", თბ., 2000

575. ხინთიბიძე ე., ქართველი წმინდა მამის აზრი ბერძნულ-რომაულ საეკლესიო განხეთქილებაზე XIII საუკუნის ლათინურ კოლექციაში: ჟურნ. „ქართველოლოგი", №6, თბ. 2000 (ინგლ.)

576. ხინთიბიძე ე., კლასიკური ბერძნული აზრის ნიმუში ძველ ქართულ ლიტერატურაში: „ფაზისი", ტ. 2-3, თბილისი 2000 (ინგლ.)

577. ხინთიბიძე ე., ათონის მთის ქართული ხელნაწერები: დღემდე უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნსაცავში: ჟურნ. „ქართველოლოგი", №8, თბ. 2001 (ინგლ.)

578. ხინთიბიძე ე., კიდევ ერთი ახლებური თვალსაზრისი შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის შედევრის–„ვარლაამ და იოასაფის" ავტორობის საკითხზე: „მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), თბ. 2003

579. ხინთიბიძე ე., ათონის ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურული სკოლა: კრებული „ნათელი ქრისტესი – საქართველ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

580. ხინთიბიძე ე., უცნობი ძველი ქართული ხელნაწერი ივირონის წიგნთსაცავში: „მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005

581. ხინთიბიძე ე., ელინოფილური თარგმანი და ელინიზაციის პერიოდი შუასაუკუნეების ქართულ მწერლობაში: I საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები" (თეზისები), თბ., 2007 (თეზ. ქართ. და ინგლ.)

582. ხინთიბიძე ე., ფილოსოფიური აზრის პროცესის ძირითადი ეტაპები შუასაუკუნეების ქართულ მწერლობაში: კრებ. „ფილოსოფია და თანამედროვეობა", თბ., 2007, გვ. 141-160

583. ხინთიბიძე ე., ელინოფილური თარგმანი და ელინიზაციის პერიოდი შუასაუკუნეების ქართულ მწერლობაში: „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები" (I საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები), თბ., 2007, გვ. 344-353.

584. ხინთიბიძე ე., უახლესი ტენდენციები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით : კრებული „ბიზანტინოლოგია საქართველოში", თბ., 2007

585. ხინთიბიძე ე., ქართული ლიტერატურა მედიევისტიკის საერთო კონტექსტში: კრებული „შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიატთა შრომები", ტ. I, თბ., 2008 (ქართ. და ინგლ.)

586. Хонигман Э., Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита; "Труды ТГУ", т. 59, 1955

587. ხოფერია ლ., მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყვაგების" ძველი ქართული თარგმანები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1998

588. Khoperia L., The oid Georgian Translations of St. Maximus the Confessor' s Works, in: Annual of Medieval Studies at CEU, vol. 6, ed. K. Szende and M. Sebock, budapest, 2001.

589. Khoperia l., Maximus the Confessor in Ansient Georgian Sources, in: Studia Patristica, 36, 2001

590. Khoperia L., Old Georgian Sources Concerning Maximus the Confessor' s life, dans Le Museon. Revue d' EtudesOrientales, t. 116, 2003

591. ჯუღელი ვ., გელათის კატენებიანი ბიბლიის განმარტებათა წყაროების საკითხისათვის, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 2, 2004, 3

592. ჯუღელი ვ., ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები. ტ. I. თბილისი: ლოგოსი, 2008

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

593. ჯუღელი ვ., ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი (I-II ტომი) (ავტორთა ჯგუფთან ერთად), თბ., 2010

594. ჯუღელი ვ., ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი. ბერძნული მითების სამყარო. თბილისი: ლოგოსი, 1998

595. ჯუღელი ვ., თეოდორიტე კვირელის თხზულებათა ქართული თარგმანები. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003.

596. ჯუღელი ვ., The Works of Theodoret of Cyrus according to Georgian Manuscripts. სადისერტაციო თეზისი *Master of Arts*-is სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბუდაპეშტი, 1997

597. ჯუღელი ვ., The Blessed Theodoret of Cyrus: the Life, Activities, Creed, Writings and their Georgian Translations. Vol. I. Ed. D. Melikishvili. Tbilisi: Logos, 2008, 700 p. *Phasis* 12 (2009): 348-370.

598. ჯუღელი ვ., სვიმეონ მეტაფრასტის სვიმეონ მესვეტის ცხოვრების ქართული ტექსტის მთარგმნელის იდენტიფიკაციისათვის (ეფრემ მცირის კიდევ ერთი თარგმანი). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. I საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქართული ხელნაწერი". მოხსენებათა თეზისები, 2009, გვ. 86-89.

599. ჯუღელი ვ., თეოლოგიური და გონების ცნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი X-XII სს-ის ძველ ქართულ წყაროებში. ძველქართულ-ბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი (სამეცნიერო კონფერენციის მასალები). თბილისი: ლოგოსი, 2009, გვ. 38-47.

600. ჯუღელი ვ., The Lost Work of Theodoret of Cyrus *Ad Quaesita Magorum Persarum*. *Phasis. Greek and Roman Studies* 11 (2008): 66-72.

601. ჯუღელი ვ., ანტიკურისა და ქრისტიანულის სინთეზი თეოდორიტე კვირელის ფილოთეონ ისტორიაში და ეფრემ მცირის თარგმანი. ბიზანტინისტიკა საქართველოში. თბილისი: ლოგოსი, 2007, გვ. 574-588.

602. ჯუღელი ვ., თეოდორიტე კვირელი ქართულ კატენებიან კრებულებში. I საერთაშორისო სიმპოზიუმი "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები". თეზისები. თბილისი: ნეკერი, 2007, 102-105.

603. ჯუღელი ვ., გელათის აკადემიის როლი თეოდორიტე კვირელის თხზულებათა ქართულ თარგმანებთან მიმართებაში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გელათი – 900. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 2007 წლის 8-10 თებერვალი. თბილისი: ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007, 29-30.

604. ჯუღელი ვ., გელათურ ნუსხებში დაცული თეოდორიტე კვირელის თხზულებები. საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა ჩვენს

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. 25-26 ნოემბერი. თბილისი, 2005, გვ. 176.

605. ჯუღელი ვ., გელათურ ნუსხებში დაცული თეოდორიტე კვირელის თხზულებები (ნაწილი II). გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 12 (2006): 3-7.

606. ჯუღელი ვ., გელათურ ნუსხებში დაცული თეოდორიტე კვირელის თხზულებები (ნაწილი I). გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 11 (2005): 3-9.

607. ჯუღელი ვ., გელათის კატენებიანი ბიბლიის განმარტებათა წყაროების საკითხისათვის (თეოდორიტე კვირელის, კირილე ალექსანდრიელის, ევსევი ემესელის, ორიგენეს, აპოლინარის და სხვა ავტორთა კომენტარები). ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 2 (2004): 370-388.

608. ჯუღელი ვ., თეოდორიტე კვირელის სირიულიდან თარგმნილი ორი თხზულება. ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 1 (2003): 400-420.

609. ჯუღელი ვ., გელათის კატენებიანი ბიბლიის სტრუქტურისა და წყაროთა საკითხისათვის. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 4 (2002): 26-31.

610. ჯუღელი ვ., Symeon Metaphrastes «The Life of Symeon the Stylite» (The Sources). *Phasis. Greek and Roman Studies* 2-3 (2000): 172-174.

611. ჯუღელი ვ., A 1545ა ხელნაწერი A 689-ს ფრაგმენტი? (თეოდორიტე კვირელის *ფილოთეონ ისტორიის* ქართული თარგმანები). *თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები.* ტ. 4. პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, 42-43.

612. ჯუღელი ვ., თეოდორიტე კვირელის ნაშრომთა ქართული თარგმანების სრული ნუსხის დადგენისათვის. *Mnhvmh, ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული.* თბილისი: ლოგოსი, 1999, 339-344; აგრეთვე, *თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები.* ტ. 3. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999, 152-158.

613. ჯუღელი ვ., The Works of Theodoret of Cyrus According to Georgian Manuscripts. *Annual of Medieval Studies at CEU, 1996-1997*. Budapest: Central European University, 1998, 93-94.

614. ჯუღელი ვ., საბა ასურისა და ივლიანეს ცხოვრებათა ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი (თეოდორიტე კვირელის *ფილოთეონ ისტორია*). *თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100*

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

წლისთავისადმი. 1998 წლის 13-15 მაისი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, 150-153.

615. ჯუღელი ვ., თეოდორიტე კვირელის განმარტებათა ქართული თარგმანები გელათის ბიბლიასა და გელათურ ხელნაწერებში. *თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები.* ტ. 2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, 178-196; *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. წელიწდეული* 1 (1998): 5-21.

616. ჯუღელი ვ., Theodoret of Cyrus in Georgian Literature. *აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* თბილისი 1995, 16-19 ოქტომბერი. თბილისი: მეცნიერება, 1995, 53-55.

617. ჯუღელი ვ., თეოდორიტე კვირელი და მისი ეპისტოლეები. *თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის 1995 წლის 22-25 მაისის სამეცნიერო სესია.* თბილისი: მეცნიერება, 1995, 123-124.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია

ქართულ–არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქრისტიან არაბებთან, საერთოდ, არაბულ სამყაროსთან. VII საუკუნეში არაბთა დაპყრობით ომებს სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში მოჰყვა აღნიშნული რეგიონების არაბიზაცია, არაბული ენა იქცა ოფიციალურ სახელმწიფო ენად ამ ქვეყნებში. მან თანდათან შეაღწია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში, მოგვიანებით კი გზა გაიკაფა საეკლესიო–სასულიერო მწერლობაში. VIII-IX საუკუნეებიდან ქრისტიანული არაბული ლიტერატურა ვითარდებოდა ბერძნული, სირიული, კოპტური ლიტერატურის თარგმანების ბაზაზე. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ქრისტიანი არაბები, რომელთა გარკვეული ნაწილი ისლამამდელ პერიოდში გაქრისტიანდა. ქრისტიანულმა არაბულმა ლიტერატურამ დიდი წვლილი შეიტანა ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მისი აღმოცენების და განვითარების ძირითადი კერებია წმ. ეკატირინეს მონასტერი სინას მთაზე და საბას ლავრა პალესტინაში, აგრეთვე წმინდა ხარიტონის ლავრა.

არაბულენოვან ქრისტიანებს და მათ ლიტერატურას ქართველები ახლო აღმოსავლეთში გაეცნენ. ქართული ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა საქართველოში, შემდგომ, საუკუნეთა განმავლობაში, ვითარდებოდა საზღვარგარეთულ რეგიონებშიც –მახლობელ აღმოსავლეთსა თუ ბიზანტიაში. საყოველთაოდაა ცნობილი არაბულ აღმოსავლეთში არსებული ქართული მწიგნობრობის კერები, რომლებიც სირიის, პალესტინის, ანტიოქიისა და ეგვიპტის ეკლესია-მონასტრებში ჩამოყალიბდა. აღნიშნულ რეგიონებში არსებულ ეკლესია-მონასტრებში დღესაც ვხვდებით ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც წარმოადგენენ ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობების გამოვლინებებს. ასევე მნიშვნელოვანია პალესტინასა და სირიაში დაცული ძველი და ახალი აღთქმის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ, ერთი მხრივ, ქართულ–არაბული კულტურული ურთიერთობების, საქართველოსა და ქრისტიანულ აღმოსავლეთს შორის მჭიდრო კავშირ–ურთიერთობების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ– არაბულ აღმოსავლეთში ქართული ქრისტიანული ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისით.

საზღვარგარეთ ქართველთა ლიტერატურული მოღვაწეობის ადრეული პერიოდი, ძირითადად, მოდის ახლო აღმოსავლეთზე, რომლის მიმართ ქართველები ინტერესს იჩენდნენ უკვე IV-V საუკუნეებში. წმინდა საბას ლავრაში და სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში შეიქმნა ხელშემწყობი პირობები ქართველ და არაბ მწიგნობართა დაახლოებისათვის. აქ ხორციელდებოდა არაბულ სამყაროსთან და მის ენობრივ ტრადიციებთან ქართველთა ცოცხალი და ამასთანავე ღრმა და ნებაყოფლობითი კონტაქტი. ამ სამწერლობო კერებში ერთმანეთის გვერდიგვერდ იღწვოდნენ და ერთნაირი ინტერესებითა და სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველი და არაბულენოვანი მწიგნობრები. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შემოუნახავს არაბული დამწერლობის კვალი. ჩანს არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს არაბული ენა, დამწერლობა. სინას მთის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არაბული მინაწერები, რომელთა ავტორები ზოგჯერ აღნიშნავდნენ ხელნაწერის სინას მთის მონასტრისადმი კუთვნილებას. ცნობილია ქართული ხელნაწერები არაბული ნუმერაციით. მიკვლეულია სპეციალურად ქართველებისთვის შედგენილი არაბული ანბანი, რომლის თითოეული არაბული ასო გა[illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შესატყვისით. გვხვდება არაბული ხელნაწერები რვეულებისა და ფურცლების ქართული ნუმერაციით, რაც ადასტურებს ქართველთა მონაწილეობას არაბულ–ქრისტიანულ მწერლობაში.

ხსენებულ კულტურულ კერებში დიდხანს არ შეწყვეტილა ქართველთა მწიგნობრული მოღვაწეობა. შემოქმედებითი აღმავლობის პირობებში არაბი და ქართველი მოღვაწენი ავითარებდნენ სასულიერო ხასიათის მწერლობას. საერთო შემოქმედებითმა და სულიერმა ინტერესებმა და ახლო აღმოსავლეთის კულტურითა და ლიტერატურით ქართველთა ღრმა დაინტერესებამ კანონზომიერად განაპირობა ქართულ–არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება, რაც დასტურდება ჩვენამდე მოღწეული თარგმანებით. თარგმანთა, ხშირ შემთხვევაში, მაღალი დონე ქართველ მთარგმნელთა მიერ არაბული ენის სრულყოფილი ფლობის მაჩვენებელია.

ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობები შედარებით ინტენსიური იყო X საუკუნემდე. X-XI საუკუნეებიდან ქართველები მთლიანად გადაერთვნენ ბიზანტიურ ლიტერატურაზე. ახლო აღმოსავლეთში ქართულმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ დაკარგა თავისი შემოქმედებითი მასშტაბი. იგი გამოიხატებოდა მხოლოდ ხელნაწერთა გამრავლებასა თუ გადაწერაში. ქართველთა დაინტერესებამ ქრისტიანულ არაბული ლიტერატურით თანდათან იკლო და ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობები შეწყდა, თუმცა ისტორიული ურთიერთობები გრძელდებოდა და ვითარდებოდა.

არაბული კულტურა და პოეზია მისი ხორციელებითა და ქვეყნიური სიამის მაძიებელი სულისკვეთებით, სპარსულ ეპიკასთან ერთად მძლავრი სტიმული იყო, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული საერო მწერლობის აღმოცენებას და საზოგადოდ, ქართველ საზოგადოებაში ქრისტიანობის ასკეტური ტენდენციისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გაჩენას. აღმოსავლური ლიტერატურა, განსხვავებით ქრისტიანული მწერლობისგან, ყოველთვის იყო დაინტერესებული საგმირო და რომანტიკული თემატიკით. ქართულ სამყაროში ხდებოდა ამ კულტურის შერწყმა ქრისტიანულ აზროვნებასთან.

არაბულ სამყაროში ქრისტიანებს, ებრაელებსა და მუსლიმებს აერთიანებდა სიყვარული მეცნიერებისადმი და მშვენიერებისადმი. განსხვავებით ბიზანტიისა და ქრისტიანული ევროპისგან XIIIს.–ის დასაწყისში სწორედ ამგვარი ატმოსფერო იყო შექმნილი საქართველოში. ეროვნულ-სარწმუნეობრივი თანაარსებობისა და შემწყნარებლობის პოლიტიკა ქართული სახელმწიფო პოლიტიკა იყო მთელი XII ს.–ის მანძილზე.[1]

ქართველთა მიერ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კულტურულ–ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლა იწყება XX საუკუნის დამდეგიდან და უკავშირდება ნიკო მარის სახელს.

სინას მთაზე და იერუსალიმში ხელნაწერებზე მუშაობის შედეგად ნ. მარმა გამოაქვეყნა მოგზაურობის აღწერილობა და მოპოვენული მასალის მოკლე დახასიათება.[2]

ი. ჯავახიშვილთან ერთად მათ აღწერეს ადრე უცნობი ბევრი ხელნაწერი, დააზუსტეს და შეავსეს არსებული აღწერილობანი, გამოავლინეს არაერთი ქართველი მწიგნობარი და ორგინალური თუ ნათარგმნი თხზულება.[3]

---

[1] ე. ხინთიბიძე, მსოფმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 307-376, თბილისი, 1975.

[2] Марр Н. – Предварительный отчет о работах на Синае веденных в сотрудничестве с Джаваховым в Иерусалиме в поездку 1902 г. СППО XIV т. II, 1903 г.

[3] მ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ნიკო მარმა ზოგადად შემოხაზა ის ლიტერატურული კონტაქტები, რომლებიც არსებობდა ძველ ქართველ მწიგნობრებსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიან არაბებს შორის.

ნიკო მარის ძიებანი XX საუკუნის 20–იან წლებში განაგრძო ბელგიელმა მეცნიერმა პ. პეეტერსმა, რომელმაც აღმოაჩინა და გამოიკვლია არაბულიდან თარგმნილი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ამ სფეროში[1]. საინტერესოა მისი სტატია– რეცენზია კ. კეკელიძის გამოკვლევაზე, სადაც პეეტერსმა დაუსაბუთებლად მიიჩნია ავტორის მოსაზრება „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ვერსიის კოპტურიდან მომდინარეობის თაობაზე, აღნიშნა რა, რომ ამ თხზულების ვრცელი სირიული ვერსიაა „ონესიმას ცხოვრება“, რომლის ერთი გამოცემა ეკუთვნის პ. ბეჯანს და მეორე - აგნეს ლუისს. მეცნიერის აზრით, პალადი ელენოპოლელმა ისარგებლა ბერძნული წყაროთი, საიდანაც უნდა მოდიოდეს ჯერ სირიული, და შემდეგ ქართული ვარიანტები.[2]

უნდა აღინიშნოს ამავე პერიოდის მეორე უცხოელი ქართველოლოგი რ. ბლეიკი, რომელმაც 1924 წელს აღწერა იერუსალიმის ქართული ხელნაწერები, ხოლო 1927 წელს– სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია.

არაბულიდან მომდინარე ქართულ თარგმანებზე მუშაობდა ბელგიელი ქართველოლოგი ჟერარ გარიტი[3]. მან მონაწილეობა მიიღო ამერიკის კონგრესის –ვაშინგტონის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობაში სინას მთასა და იერუსალიმში.

საზღვარგარეთ ამჟამად მოღვაწე ქართველოლოგებიდან აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერი ბერნარ უტიე, რომელიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში. მახლობელ აღმოსავლეთში ბერნარ უტიემ გამოავლინა არაბულიდან ქართულად ნათარგმნი მთელი კრებულები[4].

ნიკო მარისა და პეტერსის გამოკვლევებზე დაყრდნობით კორნელი კეკელიძემ შეიმუშავა საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ზოგადი დებულებები, რაც მოცემული აქვს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველივე გამოცემებში[5].

ქართულ – ქრისტიანულ – არაბული ლიტერატურული ურთიერთობები სისტემატური კვლევის საგანი იყო XX საუკუნის მეორე ნახევარში აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ნანი წაქაძემ 1973 წ.–ს დაიცვა დისერტაცია თემაზე „წმინდა ნისიმეს ცხოვრების სირიული, არაბული და ქართული ვერსიები“, რომელიც ფუნდამენტალური გამოკვლევის სახით გამოსცა 1983 წელს.

“ნისიმეს ცხოვრება”, ქართული ხელნაწერების მიხედვით “ცხორებაი და განგებაი ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა მეგვპტელისაი და შემდგომ

---

[1] Peeters P., “ახალი მოწამის რომანის წამება”, Anallecta Bollandiana, t. XXX, Paris, 1911; Peeters P., “ანტონ რავახის ცხოვრება”, Anallecta Bollandiana, t. XXXIII, 1914; Peeters P., “ფსევდო დიონისე არეოპაგელის ცხოვრება”, Anallecta Bollandiana, t. XXXIX, 1921; Peeters P., „პანსეფეოს ალექსანდრიელის წამება“, Anallecta Bollandiana, t. XXXXVII, 1924

[2] Peeters P., „ნისიმეს ცხოვრება“, Analecta Boiiandiana, t. XXXI, Paris, 1912, გვ. 478–479

[3] Garitte G. „სტეფან საბაელის სწავლება“, Anallecta Bollandiana, t. XXVII, 1959; Garitte G., „ელიანოზის წამება“, Anallecta Bollandiana, 1961; Garitte G., „კირიაკეს ცხოვრება“, Bedi kartlisa, Revue de Kartvelologie, vol. 28, Paris, 1971

[4] Outtier B., ასკეტური კრებული, ე. წ. მამათა სწავლება, Bedi Kartlisa, vol. 31, 1973 და აგიოგრაფიული და ჰომილეტური ხასიათის კრებული, Bedi Kartlisa, vol. 35, 1977.

[5] კ. კეკელიძე, „იოანე ქართველის კალენდარი“, ეტიუდები ძველ [illegible] ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, 1957.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

იქმნა მამამთავარ უდაბნოს მძოვართა ზედა რიცხვით ოთხასთა წმიდათა მამათა", ადრექრისტიანულ ეპოქაში შექმნილი ძეგლია, რომელიც სრული სახით შემონახულია სირიულ, არაბულ და ქართულ ენებზე. თხზულებას ლეგენდარული პროზის ნიმუშად თვლიან, რომელიც ისლამამდელ ეპოქაშია შექმნილი სირიაში არსებულ ეგვიპტურ სამონაზვნო წრეებში.[1]

ქართული ვერსიის თარგმანის შესახებ ორი მოსაზრება არსებობს. პირველი ეკუთვნის კ. კეკელიძეს. მეცნიერმა შეისწავლა „ნისიმეს ცხოვრების" ქართული ვერსია და გამოაქვეყნა გამოკვლევა, რომელსაც დაურთო ქართული ტექსტის რუსული თარგმანი.[2]

კ. კეკელიძე შეეხო ძეგლის შედგენილობისა და წარმომავლობის საკითხს. მისი აზრით, პალადი ელენეპოლელის „ლავსაიკონში" მოცემული ცნობები გამოიყენა უცნობმა აგიოგრაფმა და შექმნა თხზულება, რომლის ვრცელი ვერსია მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული და იგი კოპტურიდან უნდა იყოს თარგმნილი. ამ ვარაუდის საბუთად მას მიაჩნია თხზულების ლეგენდარული ხასიათი და უდაბნოში ცხოველებთან ერთად ცხოვრება, რაც დამახასიათებელია კოპტური ძეგლებისათვის. ამავე დროს კ. კეკელიძე არ გამორიცხავდა ძეგლის არაბულიდან თარგმნის შესაძლებლობას.

მეორე მოსაზრება გამოთქვა პეტერსმა, კ. კეკელიძის გამოკვლევაზე დაწერილ რეცენზიაში. არაბული (ექვსი ნუსხა) და ქართული (ცხრამეტი ნუსხა, სამი რედაქცია) ტექსტების მსგავსება-განსხვავებათა ანალიზის საფუძველზე ავტორმა გამოავლინა მათ შორის მჭიდრო კავშირი და გაჩნდა ვარაუდი ქართული თარგმანის მომდინარეობის თაობაზე[3].

დასახელებულ ნაშრომში ნანი წაქაძე იკვლევს სირიული, არაბული და ქართული ვერსიებისა და რედაქციების ურთიერთმიმართებას. ტექსტების ურთიერთშეჯერების შედეგად დაგროვილი მასალის ანალიზის საფუძველზე მეცნიერი გამოთქვამს თვალსაზრისს თხზულების არაბული და ქართული თარგმანის მომდინარეობის თაობაზე, ძეგლის სადაურობისა და წარმომავლობის შესახებ.

გამოკვლევას ერთვის ტექსტები: 1. სირიული ვრცელი რედაქციის ქართული თარგმანი, 2. არაბული სინური რედაქციის ტექსტი და მისი ქართული თარგმანი, 3. არაბული კარშუნული რედაქციის ტექსტი და მისი ქართული თარგმანი, 4. ქართული ვერსიის ტექსტი 19 ხელნაწერის ვარიანტებით. ავტორის დასკვნით, არაბული სინას მთის ვერსია თარგმნილია სირიულიდან, საფიქრებელია საბაწმინდის ლავრაში მოღვაწე ბერების მიერ. საბაწმინდის ლავრასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული თარგმანის წარმოშობაც. "ნისიმეს ცხოვრება" იმ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სირიულიდან არაბულის გზით ქართულად ითარგმნა საბაწმინდის ქართველ მოღვაწეთა მიერ.

ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი რუსუდან გვარამია წლების განმავლობაში მუშაობს ქართულ–საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის სფეროში. მეცნიერი იკვლევს ქართული სასულიერო მწერლობის ადრეულ ძეგლებს, შესაბამის ბერძნულ და არაბულ ვერსიებს და ქართული და არაბული ტექსტების ურთიერთმიმართებას, მათი წარმომავლობის საკითხებს. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: ალ–ბუსთანი X ს.–ის სინური ხელნაწერის მიხედვით.

---

[1] ნ. წაქაძე, "ნისიმეს ცხოვრების" სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, გვ. 89– 93, თბილისი, 1983

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, გვ. 76-101, თბილისი, 1961

[3] Peeters P., Analecta Bollandiana, t. XXXI, გვ. 478-479, Paris, 1912

created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

წიგნში პირველად ქვეყნდება ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ადრეული პერიოდის ძეგლი „ალ–ბუსთანი“, რომელიც ბერძნული თხზულების „ლიმონარის“ არაბულ ვერსიას წარმოადგენს. მეცნიერი იკვლევს მის მიმართებას ლიმონარის ქართული ვერსიის „სამოთხის“ წარმომავლობის საკითხთან. ნაშრომში მოცემულია არაბული ხელნაწერის შეპირისპირება ბერძნულ და ქართულ ტექსტებთან. ქართულ „სამოთხის“ ტექსტს ახასიათებს ადრეული პერიოდის ქართული ორგინალური და ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლებისათვის უჩვეულო არაბული ლექსიკისა და საკუთარ სახელთა არაბიზებული ფორმით ხმარების შემთხვევები. მკვლევარი ასკვნის ქართული ვერსიის არაბული ვერსიიდან მომდინარეობას. თუმცა, მისი აზრით, სინური „ალ–ბუსთანი“ ქართული „სამოთხის“ წყაროდ ვერ ჩაითვლება. „სამოთხის“ თხრობაში სინური „ალ–ბუსთანისაგან“ განსხვავებული და ბერძნულ ტექსტთან თანხვედრილი ბევრი ადგილი გვხვდება, თუმცა ეს გარემოება არ აბრკოლებს საერთოდ არაბულიდან მის მომდინარეობას. მეცნიერი ასკვნის, რომ არაბული აქ შუალედური საფეხურია. [1].

ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ისტორიის განხილვისას უნდა დავასახელოთ რუსუდან გვარამიას მიერ 1973წ. გამოქვეყნებული ნაშრომი “სინა-რაითის მამათა მოსვრის” არაბულ-ქართული ვერსიები[2].

ეგვიპტელი ხუცეს–მონაზონის თხზულების არაბული ვერსია ქვეყნდება პირველად IX-XI, XIII და XVII საუკუნეების ნუსხების მიხედვით. ტექსტს ახლავს გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ამონიოსის თხზულების არაბული რედაქციები და ქართული ვერსიების წარმომავლობის საკითხი. არაბული ტექსტი მოცემულია ყველა მანამდე ცნობილი ხელნაწერის მიხედვით. ქართულ–არაბული ტექსტების სიახლოვის უფრო თვალნათლივ ჩვენებისთვის დართულია ქართული ვერსიაც. ეს თხზულება თითქმის ყველა ქრისტიანი ხალხის მწერლობას დაუცავს. ვერსიები მოღწეულია ბერძნულ, არაბულ, ქართულ, პალესტინურ–სირიულ და სლავურ ენებზე. ქართული ვერსია შემოინახა პირველმა ქართულმა თარიღიანმა ხელნაწერმა, 864 წ. სინურმა მრავალთავმა. ქართული თარგმანი შესრულებულია ქართული და არაბული ენების კარგად მცოდნე და კვალიფიციური მთარგმნელის მიერ.

არაბულ ხელნაწერებში დადასტურებულია ორი დამოუკიდებელი თარგმანი ამონიოსის თხზულებისა. ერთი 772 წლისაა, მეორე უფრო გვიანდელია, სავარაუდოდ XIII საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს. ადრეული თარგმანი შესრულებული ჩანს საბას ლავრაში. იგი გვიანდელი–სინური წარმოშობისაა. ქართული ვერსიის ყველა სხვა ვერსიასთან შეჯერების საფუძველზე მეცნიერი არკვევს, რომ ქართული ვერსიის წარმომავლობის კვალი არაბულთან მიდის, სახელდობრ არაბული ვერსიის იმ ადრეულ ნუსხებთან, რომელთა ანდერძშიც თარგმნის თარიღად მითითებულია 772 წ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია არა მარტო კონკრეტულ ძეგლთა შესწავლის თვალსაზრისით, არამედ, საერთოდ ქართულ- არაბული ლიტერატურული კონტაქტების კვლევისათვის[3].

---

[1] რუსუდან გვარამია, ალ-ბუსთანი, Xს.-ის სინური ხელნაწერის მიხედვით. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა რ. გვარამიამ, თბილისი, 1965.

[2] რ. გვარამია, ამონიოსის „სინა–რაითის მამათა მოსვრის“ არაბულ– ქართული ვერსიები, თბილისი, 1973 წ.

[3] რუსუდან გვარამია, იქვე, გვ. 76.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რ. გვარამიამ ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობების კვლევაში ნაშრომით "იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი[1].

მკვლევარი „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ქართულ ვერსიას ადარებს არაბულ ტექსტებს, რისთვისაც სარგებლობს არაბული ვერსიის შემცველი სამი არაბული ხელნაწერის მიკროფირით. მიუხედავად გამოვლენილ იდენტურ შემთხვევათა სიმცირისა, ისინი მაინც ნიშანდობრივი არიან. არაბული ენის გავლენა იგრძნობა ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის გადმოცემისას. მაგ., „სირია" ქართულ ტექსტში ჩვეულებრივ „ასურეთია", მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში გაპარულია მისი არაბული ეკვივალენტი „აშ–შამი". ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესრულებული ქართულ–არაბული თარგმანების ერთნაირი ჩვენებები შემთხვევითი დამთხვევებით ვერ აიხსნება. აღნიშნულ ჩვენებათა არსებობა ამ თარგმანში სხვა, დღემდე უცნობი ბერძნული ტექსტით უნდა იყოს განპირობებული, რაც იმის დამადასტურებელი ხდება, რომ ქართულმა და არაბულმა ვერსიებმა შემოგვინახა დღემდე მიუღწეველი და გამოუვლენელი ტექსტი. „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ქართულ ვერსიაში მოხვედრილი არაბიზმები კი არაბულენოვანი გარემოცვისა და არაბულ სამყაროსთან ცოცხალი კონტაქტის შედეგი უნდა იყოს[2].

რუსუდან გვარამიამ 1990 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი VIII-XI სს", სადაც განხილულია არაბულიდან ნათარგმნი მთელი რიგი ძეგლები: „ლიმონარი", „პანტელეიმონის წამება", „ვასილი კაბადოკიელის მეორე ეპისტოლე გრიგოლ ნაძიანძელისადმი", ნაშრომი ფუნდამენტური წიგნის სახით გამოიცა[3].

აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი საქართველოში, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოენოვან წყაროებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ამ მხრივ აღმოსავლურენოვანი წერილობითი ტრადიცია. აკად. გ. წერეთლის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლური და ბერძნული წყაროების სისტემატიზაციასა და პუბლიკაციებს, რაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მკვლევარებს. მაგალითისათვის დავასახელოთ სერიაში: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ (მთავარი რედაქტორი აკად. გ. წერეთელი) გამოცემული ნაშრომი "იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ".

შესავალ წერილში ავტორი, ეთერ სიხარულიძე აღნიშნავს, რომ დასახელებული ნაშრომი, ესაა პირველი ცდა საქართველოსა და კავკასიის შესახებ იაკუთის ცნობების ქართულ ენაზე თარგმანისა. იაკუთის ლექსიკონიდან ამოკრეფილია მთელი მასალა, რასაც იაკუთი კავკასიას უკავშირებს. იაკუთის დიდი გეოგრაფიული ლექსიკონი მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს VIII-XIII ს.-ის საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ისტორიისათვის[4].

არაბული წყაროები საქართველოს შესახებ წარმოაჩენს ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს, მოვლენას და პიროვნებას (პიროვნებებს). წმინდა ისტორიული თხზულებების გარდა ანგარიშგასაწევია ლიტერატურული

---

[1] რუსუდან გვარამია, „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი, 1986.

[2] რუსუდან გვარამია, იქვე, გვ. 84.

[3] რუსუდან გვარამია, ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი V-X საუკუნეებში, თბილისი, 2000.

[4] ე. სიხაეულიძე, იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ეთერ სიხა[illegible] წყაროები საქართველოს შესახებ, მთავარი რედაქტორი აკად. გ. წერ[illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ძეგლები, მათ შორის მხატვრული შემოქმედება, სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებები, მიმოწერა, დოკუმენტური პროზა, არაბ გეოგრაფთა დაკვირვებები, ფოლკლორი და სხვა. აკად. გ. წერეთელი წარმატებით იკვლევდა არაბი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების თხზულებებს, რომლებშიც აღწერილია საქართველო და გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ესა თუ ის ფურცელი. მათ შორის უნდა დავასახელოთ მასყუდის (X ს.) თხზულება „მურუჯ ალ–ზაჰაბ ვამაყადინუ –ლ–ჯავჰარ“ („ოქროს ველები და მარგალიტის საბადოები“, ალ–ისტახრის (X ს.) ცნობა არმენიის, არანისა და აზერბაიჯანის შესახებ, ტაბარის (IX-X სს.) ცნობა ბუღა თურქის შემოსევისა და თბილისის დაწვის შესახებ, ალ–ფარიკის (XII ს.) თხზულება „თარიხ ალ–მაიაფარიკინა“ („მაიაფარიკინის ისტორია“), სადაც ბევრი საყურადღებო ცნობაა შემონახული ქართველი მეფეების დავით აღმაშენებლის, დიმიტრი პირველის, გიორგი მესამის შესახებ. კალკაშანდის (XIV-XV ს.) ცნობა შეიცავს ეგვიპტის მამლუქთა სამდივნოებში მიღებულ წესებს დიპლომატიური კორესპონდენციებისათვის, და სხვ.[1]

საგანგებო ახლებური მიდგომით გამოირჩევა აკად. გიორგი წერეთლის ბრწყინვალე სტატია: „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“, რომელმაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია და საკითხთა ახალი ასპექტები წამოჭრა. მასში არაბულ სამყაროსთან საქართველოს კავშირ–ურთიერთობის არაერთი საკითხია თავმოყრილი. დღესაც, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ.-ის პირველკურსელი სტუდენტები მეცადინეობას იწყებენ აღნიშნული სტატიის დამუშავებით.

ლიტერატურული ურთიერთობებისა და ურთიერთგავლენის თვალსაზრისით, ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია XII ს.-ის ბასრელი პოეტის ჰარირის მაკამები, კერძოდ ოცდამეცამეტე მაკამა, რომელიც თბილისისადმი არის მიძღვნილი. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ადგილებზე, რომელშიც ყოველი ორი სიტყვა თითქმის იდენტურად ჟღერს (ქართული მაჯამების მსგავსად). გარეგნულად ჰარირის მაკამა უცნაურად მოგვაგონებს ჩვენს მეხოტბეებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, თითქოს ორივე ტექსტი, ქართული და არაბული, ერთნაირად არის დაწერილი, ენობრივი განსხვავება კი იჩქმალება სიტყვათა თამაშში. ავტორი იძლევა ბარკაყიდული მაკამის არაბულ ტექსტს ქართული ტრანსკრიფციით, სადაც შეკვეცილი ბასიტის ტრადიციული ტერფების ცვლილება განაპირობებს არაბული ტექსტის იდენტურობას ქართულ ჩახრუხაულთან.

მეცნიერი აღნიშნავს- “იდენტურობა ჩახრუხაძესთან ეჭვს გარეშეა და ამ მაგალითზე შეიძლება დავინახოთ, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ქართული და არაბული ლექსების ზომების შედარებითი შესწავლა როგორც ერთი, ისე მეორე ენის პოეტიკის საკითხებისათვის”[2].

აკადემიკოს გ. წერეთლის დახასიათებისთვის მოვიყვანთ ამონარიდს მისი თანამედროვის, აკად. სარგის ცაიშვილის სტატიდან: “მეცნიერების მაღალი მწვერვალები”, სადაც ავტორი უმაღლეს შეფასებას აძლევს მეცნიერს: “განსაკუთრებულია მისი ერუდიცია, ფართო ინტერესები. მან არა ერთი ფუნდამენტალური გამოკვლევა მიუძღვნა არაბულ კულტურას, ენასა და ფოლკლორს. იგი იყო არაბული ცივილიზაციის ერთი უპირველესი მცოდნეთაგანი ჩვენი დროის მეცნიერთა შორის... გ. წერეთელი ზოგად

---

[1] გ. წერეთელი, წინასიტყვაობა, “არაბული ქრესტომათია”, თბილისი, 1949.

[2] გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თბილისი, 1947. ვიმოწმებთ განმეორებით “ორიენტალისტი I”, გვ. 26, თბილისი, 2001.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პრობლემათა არეალაში ყოველთვის ეძებდა ისეთ კუთხესაც, საიდანაც ახალი შუქი მოეფინებოდა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის კვლევას"[1].

„ქილილა და დამანას" წარმომავლობას, მისი ქართული ვერსიფიკაციის საკითხებს ეხება პროფ. მაგალი თოდუას ნაშრომი "ქილილა და დამანას საბასეული ვერსია"[2]. წიგნში მკვლევარი იკვლევს „ქილილა და დამანას" საბასეული ვერსიის საკითხებს– დედანთან მიმართების, ტექსტის კომენტირების, ქართული ვერსიფიკაციის, ენის, სხვა ქართულ ვერსიებთან ურთიერთობის. დასახელებულ ნაშრომში განხილულია „ქილილა და დამანას" არაბული, სპარსული და ქართული ვერსიები.

არაბული ლიტერატურის სპეციალისტი, პროფ. ნანა ფურცელაძე მრავალი წელია მუშაობს აღნიშნულ სფეროში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბული ლიტერატურის თარგმნაში ქართულ ენაზე. "ათას ერთი ღამის" გარდა (პროფ. თინა მარგველაშვილთან ერთად), ნანა ფურცელაძემ თარგმნა არაბულიდან "მუალაკების" კრებული, თანამედროვე არაბ პოეტთა ლექსები[3].

მუალაკები ისლამამდელი არაბული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი წარმოადგენს ჩვ. წ. V ს.–ის დასასრულის– VIII ს.–ის დასაწყისის შვიდი გამოჩენილი არაბი პოეტის რჩეულ კასიდათა კრებულს. წიგნი იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ხანგრძლივი დროით განსაზღვრეს მომდევნო ხანის არაბული პოეზიის ხასიათი, თემატიკა და ფორმა. წინასიტყვაობაში მეცნიერი მოკლედ მიმოიხილავს არაბული პოეტიკის საკითხებს, ქართულ თარგმანთან დაკავშირებულ სირთულეებს[4].

პროფესორი ალექსი ლეკიაშვილი ქართული არაბისტიკის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მან აღზარდა ქართველ არაბისტთა არაერთი თაობა. მისი მრავალრიცხოვანი შრომების გვერდით არაბული გრამატიკის შესახებ, უნდა გამოვყოთ საკითხავი წიგნი არაბულში[5]. დასახელებული ნაშრომი მოიცავს ტექსტებს, რომლებიც ასახავენ არაბული ლიტერატურის ჟანრობლივ თავისებურებას და კლასიკური არაბული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპს– ისლამამდელი ხანიდან XVI ს.–მდე.

წიგნში წარმოდგენილია პროზის, პოეზიის, გრამატიკული და ფილოსოფიური ლიტერატურის ნიმუშები, რომელთა ავტორებმა დიდი როლი შეასრულეს არაბული ლიტერატურის განვითარებაში.

არაბული ლექსის სტრუქტურულ საკითხებს იკვლევს პროფ. ა. სილაგაძე. ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ახალი არაბული ვერსიფიკაციის ისტორიიდან" განხილულია ში'რ ჰურრ „სიტყვა-სიტყვით – თავისუფალი ლექსი", პოპულარული XX ს.-ის არაბულ, კერძოდ ერაყულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ავტორი ადარებს კლასიკურ არუდსა და თანამედროვე ში'რ ჰურრ-ს: „(ისინი) წარმოადგენენ ერთსა და იმავე სისტემას, რადგანაც ეფუძნებიან ერთსა და იმავე პროსოდიულ ბაზას. მეორე მხრივ ეს ორი განსხვავებული სისტემაა, რადგანაც განსხვავებული ვერსიფიკაციული კანონები აქვთ".[6]

---

[1] სარგის ცაიშვილი, სტატია- მეცნიერების მაღალი მწვერვალები: წიგნში "წინამორბედნი და თანამედროვეები" გვ. 265-266, თბილისი, 1977.

[2] მაგალი თოდუა, „ქილილა და დამანას" საბასეული ვერსია, თბილისი, 1967

[3] ნანა ფურცელაძე, "ათას ერთი ღამე", ტ. II, თბილისი, 1970, ტ. IV, თბილისი, 1977, ტ. VI, თბილისი, 1980. "მუალაკები–ისლამამდელი არაბული პოეზია", თბილისი, 1985;

[4] ნანა ფურცელაძე, წინასიტყვაობა წიგნში: "მუალაკები– ისლამამდელი არაბული პოეზია", არაბულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ნანა ფურცელაძემ, გვ. 5–26, თბილისი, 1985.

[5] ალექსი ლეკიაშვილი, საკითხავი წიგნი არაბულში, თბილისი, 1979.

[6] ა. სილაგაძე, ახალი არაბული ვერსიფიკაციის ისტორიიდან, გვ. 78-

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

აპოლონ სილაგაძეს ეკუთვნის ყურანის პირველი სურების პროფესიონალურად შესრულებული, დახვეწილი თარგმანი კომენტარებით.[1]

ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევაში თავისი წვლილი შეიტანა ქართველმა მეცნიერმა პროფ. ლევან მენაბდემ, რომელმაც შეისწავლა ახლო აღმოსავლეთში არსებული ქართული მწიგნობრობის კერები და მათი როლი ქართულ–აღმოსავლურ ლიტერატურულ ურთიერთობებში[2]. მეცნიერის პუბიკაციებიდან უნდა დავასახელოთ „ნაშრომი განძად დაშთების“[3]. დასახელებულ ნაშრომში საუბარია ძველ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო საქმიანობაზე. მკვლევარი მიმოიხილავს, თუ რა წვრილი შეიტანეს მათ ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვა–შენარჩუნებასა და ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში. ავტორს მოჰყავს ფაქტები ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების მოღვაწეთა ურთიერთობის ისტორიიდან, კერძოდ, ათონის ქართველთა მონასტერსა და სირიაში, წმიდა სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრის მახლობლად მოღვაწე ბერებისა თუ იერუსალიმელ ქართველებსა და სინას მთისწიგნთსაცავებში მოღვაწე ბერების ურთიერთობებიდან..

გასული საუკუნის 80–იან წლებში შესამჩნევად გააქტიურდა ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობები. სირიაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს ლევან სადარაძეს განსაკუთრებული როლი მიუძღვის ახლო აღმოსავლეთში ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში. იგი ათეული წლების განმავლობაში აგროვებდა სირიასა და პალესტინაში მუზეუმებსა და წიგნსაცავებში არსებულ ქართულ მასალებს, აფინანსებდა ქართული კლასიკური ლიტერატურის არაბული თარგმანების გამოცემებს. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ქართული ლიტერატურას მოვლა–პატრონობას უწევდა არა ერთი ქართველი და უცხოელი მოღვაწე, აღმოსავლეთში, XX საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ ლევან სადარაძე იყო ქართული ლიტერატურის მხურვალე პროპაგანდისტი არაბულ სამყაროში. ლევან სადარაძის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგამომცემლო საქმიანობას. სირიის დედაქალაქ დამასკოში მან არაბულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის არაერთი ნიმუში [4]. ქართული ლიტერატურის თარგმანების გამოქვეყნებას არაბულ სამყაროში მოჰყვა არაერთი გამოხმაურება პრესაში. სირიისა და ლიბანის წამყვან ჟურნალ–გაზეთებში დაიბეჭდა არაბ კრიტიკოსთა რეცენზიები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობებისა, „ვეფხისტყაოსანი“ არის პირველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ითარგმნა არაბულ ენაზე. მანამდე ლიტერატურული ურთიერთობები ხორციელდებოდა არაბული ენიდან ქართულად შესრულებული თარგმანების დონეზე.

ბატონ ლევან სადარაძის მიერ გამოცემულ “ვეფხისტყაოსანს” ახლავს გურამ ჩიქოვანის და ნიზარ ხალილის წინასიტყვაობა. სტატიაში განხილულია

---

[1] ა. სილაგაძე., ყურანი, სურა პირველი, მეორე, თბ., 2008. სურა მესამე, მეოთხე, მეხუთე, თბ., 2009.

[2] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I-II, თბილისი, 1962; ტ. II, თბილისი, 1980;

[3] ლევან მენაბდე, ნაშრომი განძად დაშთების, გვ. 35-39, თბილისი, 1989

[4] რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, დამასკო, 1984 Rustaveli, Faris fi ihabi nimr, Suria, Dimashk, 1984), ილია ჭავჭავაძის პოეტური კრებული „განდეგილი“, ლატაკია, 1987 (Ilia Chavchvadze, an-Nasik, Suria, Lazikia, 1987), აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ რჩეულ ლექსებთან ერთად, ალეპო, 1985 (Akaki Tsereteli, al-Mu’adib, Suria, Halab, 1990) და ახალი ქართული ლიტერატურული პროზის კრებული, ლატაკია, 1988 (Xamsu kisas kasira min adab Jiurjii, Suria, Lazikia [illegible] თითეულ შემთხვევაში–სირიელი არაბი მწერალი და მთარგმნელი ნი‘

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რუსთაველის ეპოქა, ქართულ-არაბული ისტორიული და კულტურული ურთიერთობები, გაანალიზებულია და ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი არაბული სამყარო, როგორც წარმოსახვითი, ასევე რეალური. შესავალ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია რუსთაველის პოემაში არსებულ არაბული წარმომავლობის ლექსიკაზე, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებზე, არაბულ ფილოსოფიურ და ასტრონომიულ ტერმინებზე. წინასიტყვაობაში განხილულია რუსთაველის ეპოქაში მოარული აღმოსავლური სიუჟეტების მიმართების საკითხი „ვეფხისტყაოსანთან“. იმის გათვალისწინებით, რომ პოემის არაერთი სტროფის ანალიზის შედეგად იკვეთება რუსთაველის მიერ არაბული ენისა და კულტურის ცოდნა, წინასიტყვაობაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი არაბ ფილოსოფოსთა ნააზრევს[1].

ნიზარ ხალილის თარგმანებმა და ლევან საღარაძის საგამომცემლო მოღვაწეობამ გააღვივა ინტერესი ქართული ლიტერატურისა და ზოგადად, საქართველოსადმი არაბულ სამყაროში. იმავე პერიოდში, სირიაში მცხოვრებმა ალეპოელმა ლიტერატორმა ტოროს ტორონიანმა არაბულ ენაზე გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი და ნ. ბარათაშვილის პოემა “ბედი ქართლისა”[2].

თსუ-ს ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში (ხელმ. პროფ. ე. ხინთიბიძე) XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ხორციელდებოდა ქართულ- არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა.

ქართულ–არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ისტორიის საკითხის განხილვისას საინტერესოა აღვნიშნოთ ახალგაზრდა მკვლევართა დაინტერესება ადრეული პერიოდის ქართულ–არაბული ურთიერთობების კვლევით.

წარმოშობით ქისტმა თსუ-ს ასპირანტმა ლელა მახაურმა გამოიკვლია ტრადიციული არაბული ლექსის–მარსიისა და ქართული და ჩეჩნური ხმით დატირების პარალელები და დაიცვა დისერტაცია თემაზე: „არაბული მარსია და მისი პარალელები კავკასიურ ფოლკლორში“[3].

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს სხვადასხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებში განვითარებული არაბული მარსიისა და ქართულ–ჩეჩნური ხმით ნატირალის ურთიერთმიმართების კვლევას. გაანალიზებულია არაბული მარსიის (გლოვის ლექსის) წარმოშობა ისლამამდელ ეპოქაში და მისი შემდგომი განვითარება ომაიანთა, აბასიანთა და ახალ არაბულ ლიტერატურაში. პარალელურად განხილულია ქართულ–ჩეჩნური ხმით ნატირალები, მათი მსგავსება-განსხვავებები არაბულ მარსიასთან. ნაშრომში მოცემულია არაბული მარსიის ქართული, ავტორისეული თარგმანები, შესრულებული მაღალ დონეზე.[4]

---

[1] გ. ჩიქოვანი, ნ. ხალილი, წინასიტყვაობა, “შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ლევან საღარაძის გამოცემა, გვ. 7-15, სირია, დამასკო (არაბულ ენაზე), Chikovani G., Xalili, N., mukaddama, Shota Rustavali, Faris fi Ihabi n-Nimr , Suria, Dimashk, 1984

[2] ტ. ტორონიანი, საქართველოს ისტორია, სირია, ალეპო, 1989 (Tarixu jiurjii, Suria, Halab, 1989) და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ 1987 (Nikoluz Baratashvili, Kadaru Jiurjia, Suria, Halab, 1987).

[3] ლელა მახაური, არაბული მარსია და მისი პარალელები კავკასიურ ფოლკლორში, “ავტორეფერატი”, თბილისი, 2005. თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები: ლ. მახაური, არაბული გლოვის ლექსი და მისი პარალელები ქართულსა და ჩეჩნურში, “აღმოსავლეთი და საქართველო”, I, თსუ 2003 წ.; მარსია არაბულ პოეზიაში, “პერსპექტივა – XXI”, V. აკად, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2003 წ.; თა’ზია არაბულ გლოვის პოეზიაში, “ფილოლოგიის ფაკ. ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები”. თსუ, წიგნი მერვე, 2004.

[4] ლელა მახაური, დასახელებული ნაშრომი, 2004.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დღეს თსუ ჰუმანიტარული ფაკ.-ის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების არაბული განყოფილების სტუდენტებს ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კურსს უკითხავს მარიამ ნანობაშვილი, რომელმაც საფუძვლიანი მომზადება გაიარა აღნიშნულ სფეროში ხელნაწერთა ინსტიტუტში რუსულან გვარამიასთან.[1]

ამჟამად საქართველოში ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა არაბისტი გიორგი ლობჟანიძე. მისი თარგმანები არაბული ენიდან მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა[2].

ეტაპობრივი მნიშვნელობისაა გ. ლობჟანიძის მიერ უშუალოდ არაბული ენიდან შესრულებული ყურანის სრული ტექსტის ქართული თარგმანი.[3] (ყურანის პირველი ქართული თარგმანი, შესრულებული XX საუკუნის დასაწყისში პეტრე მირიანაშვილის მიერ, ფრანგულ თარგმანს ეყრდნობა და ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.). თარგმანს მწვავე პოლემიკა მოჰყვა ქართულ პრესაში. თავის მხრივ, მუსულმანურმა ქვეყანამ, კერძოდ ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ მაღალი შეფასება მისცა ყურანის ლობჟანიძისეულ ქართულ თარგმანის გამოცემას.

ამგვარად, წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის დასაწყისში, დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. საყურადღებოა, რომ თუ ადრეულ საუკუნეებში ქართულ–არაბული ურთიერთობები მოიცავდა ძირითადად ქრისტიანული არაბული ტექსტების თარგმანებს ქართულ ენაზე, ამჟამად ცალმხრივობა დარღვეულია ამ სფეროში და ქართული კლასიკური ლიტერატურის, ასევე თანამედროვე ქართული მწერლობის არაერთი ნიმუშია არაბულად გამოქვეყნებული. ქართველ ლიტერატორებთან ერთად არაბი კრიტიკოსებიც არიან ჩართული ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა–ძიებაში, რაც კარგ პერსპექტივას უსახავს მომავალში ჩვენს მიერ განხილული საკითხების სიღრმისეულ განხილვას.

---

[1] მ. ნანობაშვილი, ლიტერატურული კონტაქტების განვითარება ქართველებსა და არაბულად მოლაპარაკე ქრისტიანებს შორის პალესტინაში VIII-X საუკუნეებში, Nanobashvili M., The development of literally contacts between the Georgians end the Arabic speaking Christians in Palstine from VIII-X cent., Oxford University, ARAM, Periodical, 15, 2003.

[2] იბნ ალ–მუკაფა, „წიგნი ქალილასა და დიმნასი“, არაბულიდან თარგმნა, განმარტებანი და ბოლოთქმა დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, 2002; ჯებრან ხალილ ჯებრანი– „იესო, ძე კაცისა“, არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, 2004.

[3] ყურანი, თარგმანი და წინასიტყვაობა გიორგი ლობჟანიძისა, თბილ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ბიბლიოგრაფია

1. ი. აბაშიძე, პალესტინის დღიური, თბილისი, 1961

2. ბარეტი, დ., უორდროპის კატალოგი, ოქსფორდი, 1941, Barret, D., Catalogue of the Wardrop collection and other Georgian books and manuscripts in the Bodlean Library, Oxford, University Press, 1941
(ინგლისურ ენაზე)

3. გარიტი, ჟ., სტეფანე საბაელის სწავლება, Garitte G., Anallecta Bollandiana, t. XXVII, Paris, 1959
(ფრანგულ ენაზე)

4. გარიტი, ჟ., ელიანოზის წამება, Garitte G., Anallecta Bollandiana, t. LXXIX, Paris, 1961
(ფრანგულ ენაზე)

5. გარიტი, ჟ., კირიაკეს ცხოვრება, Garitte G., Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, vol. 28, Paris, 1971
(ფრანგულ ენაზე)

6. დაკიკი, ომარ, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არაბულ ენაზე, გაზეთი “ას-სავრა”, სირია, დამასკო. Omar dakik, Malhama Georgia “Faris fi Ihabi n-Nimr” bilugati l-Arabia, jarida “as-Savra”, Suria, Dimashk, 1984
(არაბულ ენაზე)

7. რ. გვარამია, ალ–ბუსთანი X ს. სინური ხელნაწერის მიხედვით, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა რ. გვარამიამ, თბილისი, 1965

8. რ. გვარამია, „სინა–რაითის“ მამათა მოსვრის“ არაბულ–ქართული ვერსიები, თბილისი, 1973

9. რ. გვარამია, „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი, 1986

10. რ. გვარამია, ქართულ–არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი V-X საუკუნეებში, თბილისი, 2000

11. ესბროკი, მ., ქართული ტექსტები, Esbroek M., Le histoire de l’eglise de dydda das deux, texts georgiens, Bedi Kartlisa, vol. 31, Paris, 1973
(ფრანგულ ენაზე)

12. მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბილისი, 1967

13. მ. თხინვალელი, ქართულ–არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარნი, კრებულში: “ქართულ–საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი”, თბილისი, 2001

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

14. იდი, მიხაილი, ახალი თარგმანი- ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის პოემა, ჟურნალი “ალ-ამამ”, აპრილი, ლიბანი, ბეირუთი, 1985
Mixail Idi, Tarjama jadida- malhama shakir georgii Shota Rustaveli, majalla “al-Amam”, Lubnan, Bairut, Nisan, 1985
(არაბულ ენაზე)

15. იოსიფ, შავქათი, წინასიტყვაობა: “მიხეილ ჯავახიშვილი, კვაჭი კვაჭანტირაძე”, სირია, დამასკო. Shavkat Iosif: “Mixail Jafaxishfili, Kfachi Kfachantiradze”, mukaddama, Suria, Dimashk, 1991

16. იუსიფ ჰასანი, „ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნისა და პოეზიის წყარო, გაზეთი “თიშრინ”, სირია, ალეპო. 1985
Hasan Iusif, “Faris fi Ifabi n-Nimr”, Ianabig hikm va shikr, jarida “Tishrin”, Suria, Dimashk, 31 agustus, 1985
(არაბულ ენაზე)

17. ც. კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, თბილისი, მეცნიერება, 1965

18. კ. კეკელიძე, „იოანე ქართველის კალენდარი“, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, 1957

19. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბილისი, 1961

20. ა. ლეკიაშვილი, საკითხავი წიგნი არაბულში, თბილისი, 1979

21. გ. ლობჟანიძე, ბოლოთქმა –მიწიერი ჩენჩო და ღვთიური საიდუმლო, წიგნში: „იბნ ალ–მუკაფა, წიგნი ქალილასა და დიმნასი“, არაბულიდან თარგმნა, განმარტებანი და ბოლოთქმა დაურთო გ. ლობჟანიძემ, თბილისი, 2002

22. გ. ლობჟანიძე, ყურანი და ქრისტიანობა, საქ, მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოველწლიური ლიტერატურულ– თეორიული სამეცნიერო კრებული „სჯანი“, 5, 2004

23. გ. ლობჟანიძე, წინასიტყვაობა წიგნში: “ნაჯიფ მაჰფუზი, მირამარი, როდოპისი”, არაბულიდან თარგმნა მაია ანდრონიკაშვილმა, თბილისი 2005

24. გ. ლობჟანიძე, წინათქმა: „ყურანი“, არაბულიდან თარგმნა გ. ლობჟანიძემ, თბილისი 2006

25. ნ. მარი, ჯავახოვთან თანამშრომლობით 1902 წელს იერუსალიმში მივლინებისას სინას მთაზე ჩატარებული სამუშაოების წინასწარი ანგარიში.
Марр Н. Предварительный очет о работах на Синае веденных в сотруднестве с Джаваховым в Иерусалиме в поездку 1902г. СППО XIV т. 1903г.
(რუსულ ენაზე)

26. ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა (დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა), თბილისი, 1955

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

27. ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერა (შეადგინა ე. მეტრეველმა), თბილისი, 1990

28. ლ. მახაური, არაბული გლოვის ლექსი და მისი პარარელები ქართულსა და ჩეჩნურში: „ აღმოსავლეთი და კავკასია“, I, თსუ, 2003

29. ლ. მახაური, მარსია ახალ არაბულ პოეზიაში: „ პერსპექტივა–XXI“ , V. აკად. გ.წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2003

30. ლ. მახაური, არაბული მარსია და მისი პარალელები კავკასიურ ფოლკლორში, “ავტორეფერატი”, თბილისი, 2005

31. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980

32. ლ. მენაბდე, ნაშრომი განძად დაშთების, თბილისი, 1989

33. მ. ნანობაშვილი, ლიტერატურული კონტაქტების განვითარება ქართველებსა და არაბულად მოლაპარაკე ქრისტიანებს შორის პალესტინაში VIII-X საუკუნეებში. Nanobashvili, M., The development of literaly contacts between the Georgians and the Arabic speaking Christians in Palestine from VIII to X cent., Oxford University, ARAM, Periodical, 15, Leuvan, 200
(ინგლისურ ენაზე)

34. პეტერსი, პ., ახალი მოწამის რომანის წამება, Peeters P., Anallecta Bollandiana, t. XXX, Paris, 1911
(ფრანგულ ენაზე)

35. პეტერსი, პ., Peeters P., Anallecta Bollandiana, t. XXXI, Paris, 1912
(ფრანგულ ენაზე)

36. პეტერსი, პ., ანტონ რავახის ცხოვრება, Peeters P., Anallecta Bollandiana, t. XXXIII, Paris, 1914
(ფრანგულ ენაზე)

37. პეტერსი, პ., ფსევდო დიონისე არეოპაგელის ცხოვრება, Peeters P., Anallecta Bollandiana, t. XXXIX, Paris, 1921
(ფრანგულ ენაზე)

38. პეტერსი, პ., პანსეფეოს ალექსანდრიელის წამება, Peeters P., Anallecta Bollandiana, ტ. XXXXVII, 1924
(ფრანგულ ენაზე)

39.ა. სილაგაძე, ჯავდათ იბრაჰიმი, თანამედროვე არაბული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა, „ქრესტომათია“, თბილისი, 1989

40. ა. სილაგაძე, ახალი არაბული ვერსიფიკაციის ისტორიიდან, თბილისი, 2009

41. ა. სილაგაძე, ყურანი, სურა პირველი, მეორე, თბ., 2008. სურა მესამე, მეოთხე, მეხუთე, თბ., 2009.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

42. ე. სიხარულიძე, იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. 1, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, სერია: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964

43. მ. ტიკაძე, არაბთა ისტორია, (V-XV სს.), თბილისი, 2008

44. ტ. ტორანიანი, წინასიტყვაობა: "ნიკოლოზ ბარათაშვილი, "ბედი ქართლისა", მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, ალეპო, doctor Toros Toranian, Nikoloz Baratashfili, "Kadar Jiurjia", mukaddama, Suria, Halab, 1987
(არაბულ ენაზე)

45. უტიე, ბ., თბილისის A- 249 ხელნაწერი, Outtier B., Le meanuskrit Tbilisi A-249, Bedi Kartlisa, vol. 31, Paris, 1973
(ფრანგულ ენაზე)

46. უტიე, ბ., ასკეტური კრებული, ე. წ. მამათა სწავლება, Outtier B., Bedi Kartlisa, vol. 33, Paris, 1975
(ფრანგულ ენაზე)

47. უტიე, ბ., აგიოგრაფიული და ჰომილეტური ხასიათის კრებული, Outtier, B., Bedi Kartlisa, vol. 35, 1977
(ფრანგულ ენაზე)

48. ნ. ფურცელაძე, წინასიტყვაობა წიგნში: „მუალაკები–ისლამამდელი არაბული პოეზია", არაბულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ნანა ფურცელაძემ, თბილისი, 1985

49. გ. ჩიქოვანი, ნ. ხალილი, წინასიტყვაობა: "შოთა რუსთაველი- უდიდესი ქართველი პოეტი", შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი", საღარაძის გამოცემა, სირია, დამასკო. Chikovani G., Valid Ixlas: Shota Rustaveli, al-Faris fi ihabi n- nimr, mukaddama, Suria, Dimashk, 1984
(არაბულ ენაზე)

50. გ. ჩიქოვანი, წინასიტყვაობა: "აკაკი წერეთელი, "გამზრდელი" და რჩეული ლექსები", სირია, ალეპო. Chikovani G.: Akaki Tsereteli, al-muaddib va kasaid shikria uxra, mukaddama, Suria, Halab, 1990
(არაბულ ენაზე)

51. ს. ცაიშვილი, სტატია: მეცნიერების მაღალი მწვერვალები (აკად. გ. წერეთელი), კრებული: „წინამორბედები და თანამედროვეები", თბილისი, 1977

52. ნ. წაქაძე, „ნისიმეს ცხოვრების" სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, თბილისი, 1983

53. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ტ.1, ქრესტომათია, ტფილისი, 1935

54. გ.წერეთელი, ნესტან დარეჯანი შუა აზიის ფოლკლორში: „ენიმკის მოამბე" 111, 1938

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

55. გ.წერეთელი, დმანისის მონეტის გამო: „ლიტერატურული ძიებანი“, ტ.2, 1944

56. გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის: „თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიები“ №1, თბილისი, 1946

57. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949

58. გ. წერეთელი, არაბულ–ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951

59. გ. წერეთელი, არაბულ– ქართული წარწერა მაჩხაანიდან: „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 13, №7, თბილისი, 1952

60. გ.წერეთელი, არაბული ენა საქართველოს სსრ–ში, ჟურნალი “ჰიქმა”, სირია, დამასკო. al-Arabiyya fi l-gumhuriyyt al-Jiurjiya, hikma, Suria, Dimashk, 1953
(არაბულ ენაზე)

61. გ.წერეთელი, არაბული ენის შესწავლა საქართველოს სსრ–ში. ჟურნალი “ატ-ტარიკი”, სირია, დამასკო. Dirasat - arabiyya fi l-jumhuriyyt al-Jiurjia, At–Tarik, Suria, Dimashk, 1955
(არაბულ ენაზე)

62. გ. წერეთელი, არაბული ენის შესწავლა საბჭოთა კავშირში, ჟურნალი “ალ-მაჯმა ალ-ყილმი ლ- არაბი”, (არაბული მეცნიერების კრებული), სირია, დამასკო. Dirasat al- arabiyya fi l- ittihad as-sufyati, magallat “al- majma al-ilmi l-arabi” XXXI, Suria, Dimashk, 1956
(არაბულ ენაზე)

63. გ. წერეთელი, არაბ და ქართველ ხალხს შორის არსებული კავშირების შესწავლა: ჟურნალი „ალ–ჯადიდი“, სირია, დამასკო. Dirasat ar-ravabit baina sh-sha’bain al-arabi va l- jiurji, majalla “al-jadid”, IV, Suria, Dimashk, 1956
(არაბულ ენაზე)

64. გ.წერეთელი, აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში: „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1, 1959, თანაავტორი: სერგი ჯიქია

65. გ.წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960

66. გ,წერეთელი, შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში, გაზეთები: “ლიტერატურული გაზეთი“, „სახალხო განათლება“, 1960, 22 ნოემბერი

67. გ.წერეთელი, აღმოსავლეთმცოდნეობა – წიგნში: „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე“, თბილისი, 1961

68. გ. წერეთელი, ვეფხისტყაოსნის კრიტიკულ–მეცნიერული ტექსტის გამოცემისათვის: „მაცნე“, 1966,

69. გ. წერეთელი, ბოლოსიტყვაობა, “ვეფხისტყაოსანი”, 1966

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

70. გ. წერეთელი, ვეფხისტყაოსანის „სევდისა მუფარახი“, წიგნში: „ ორიონი“, საიუბელიო კრებული, თბილისი, 1967

71. გ. წერეთელი, ათას ერთი ღამის გამო, შესავალი წერილი –„ათას ერთი ღამე“, ტ. I, არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნანა ფურცელაძემ, თბილისი, 1967

72. გ. წერეთელი, ორი საბუთი დავუდ ფაშას ცხოვრების შესახებ, იუსუფ იზ ედ–დინი, დაუდ ფაშა და სამეფოს დასასრული ერაყში, ერაყი, ბაღდადი, 1967 Vasikatani ‘an haiat Davud Pasha, Yusuf Iz ed-Din, Davud Pasha va nihayat al- mamalik fi l-Irak, Bagdad, 1967
(არაბულ ენაზე)

73. გ. წერეთელი, წინასიტყვეობა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია). შემდგ.: ც. აბულაძე, რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი. თბილისი, 1969.

74. გ, წერეთელი, ბალახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში, კრებულში: „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, თბილისი, 1972

75. მ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947

76. ე. ხინთიბიძე, რუსთაველის ადგილისათვის შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში, ნაწილი IV, „მსოფმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში“, თბილისი, 1975

77. ხალილი, ნიზარ, ქართული ლექსი, „ვეფხისტყაოსანი“, ჟურნალი “ალ-მუნთადი”, სირია, დამასკო. Nizar Halili, as-Sikr al-Georgii- “Faris fi Ihabi n-Nimr”, majalla “al-muntadi”, Suria, Dimashk, Sebtember, 1986
(არაბულ ენაზე)

78. ხალილი, ნიზარ, წინასიტყვაობა: “ ილია ჭავჭავაძე, “განდეგილი”, ლექსების კრებული” პოეტის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სირია, ლატაკია. Nizar Xalili, mukaddama, Ilia Jafjavadze, “an-Nasik”, majmu’a shi’ria” bimunasabati zikra 150 ‘ala viladatihi, Suria, Latakia, 1987
(არაბულ ენაზე)

79. ალ–ჰილუ, ვიდა იუსიფ, ქართული პოემა და მისი არაბული თარგმანი, გაზეთი “ან-ნაჰარი”, 18 იანვარი, ლიბანი, ბეირუთი, 1985. Vidah Iusif al-Hilu, Malhame Georgia va tarjamatuhu l- Arabia, jarida “an-Nahar”, Lubnan, Bairut, 18 Ianair, 1985
(არაბულ ენაზე)

80. ჰიჯაზი, აბდუ ნაბი, შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, გაზეთი “ალ-ბაასი”, 9 დეკემბერი, სირია, დამასკო, 1985. Abdul Nabi Hijaz, Shota Rustaveli va “Faris fi Ihabi n-Nimr” jarida “al-Baas”, 9 Desember, Suria, Dimashk, 1984
(არაბულ ენაზე)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულიდან არაბულ ენაზე თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები

1. გრიგოლ აბაშიძე, “ლაშარელა”, მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, ლატაკია, 2010
Grigol Abashidze, “Lasharela” tarjama Nizar Xalili, Suria, Latakia

2. ერლომ ახვლედიანი, “ვანო და ნიკო” მთარგმნელები მარინა თხინვალელი და ღადა ჯავიში, სირია, ალეპო, 1994
Irlom Axlidiani, “Fanu va Dato”, tarjama Gada Javish va Marina Txinvalali, Suria, Halab

3. ნიკოლოზ ბარათაშვილი, “ბედი ქართლისა”, მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, ალეპო, 1987
Nikoloz Baratashvili, “Kadar Jurjia”, tarjama Nizar Xalili, Suria, Halab

4. ნოდარ დუმბაძე, “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”, მთარგმნელი აბდუ რაჰმან ჰაბიბი, მოსკოვი, 1975
Nodar Dumbadze, “Ana, jaddati, Iliko va Ilarion”, mutarjim abdu Rahman Habibi, Muskou

5. ნოდარ დუმბაძე, “მე ვხედავ მზეს”, მთარგმნელი ჰამიდ შიმაყი, მოსკოვი, 1981
Nodar Dumbadze “Araa ash-shams”, mutarjim Hamid Shimaqi, Muskou

6. ნოდარ დუმბაძე, “მარადისობის კანონი”, მთარგმნელი შავქათ იუსიფი, სირია, დამასკო, 2010
Nodar Dumbadze, “Kanun abadii”, mutarjim Shavkat Iosif, Suria, Dimashk

7. შოთა რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, დამასკო, 1984
Shuta Rustafili, “Faris fi ihabi n-nimr”, tarjama Nizar Xalili, Suria, Dimashk

8. ქართული პროზის ანთოლოგია (ხუთი მოთხრობა: ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, ოტია იოსელიანი, ნოდარ დუმბაძე), მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, ლატაკია, 1988
Xamsu kisas kasira: Niko Lortkifanidze, Kostantin Lortkifanidze, Leo Kiacheli, Otia Ioseliani, Nudar Dumbadze, tarjama Nizar Xalili, Suria, Larakia

9. აკაკი წერეთელი, “გამზრდელი” და რჩეული ლექსები, მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, ალეპო, 1990
Akaki Tsereteli, “al-Muaddib” va kasaid shiqria uxra, tarjama Nizar Xalili, Suria, Halab

10. ილია ჭავჭავაძე, “განდეგილი”, მთარგმნელი ნიზარ ხალილი, სირია, ლატაკია, 1987
Ilia Javfjafadze, “an-Nasik”, tarjama Nizar Xalili, Suria, Latakia

11. მიხეილ ჯავახიშვილი, “კვაჭი კვაჭანტირაძე”, მთარგმნელი შავქათ იუსიფი, სირია, დამასკო, 1991
Mixail Jafaxishfili, “Kfachi kfachantiradze”, tarjama Shavkat Iusif, Suria, Dimashk

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

არაბულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები

1. ალ-ბარღუთი, მურიდ, -მე ვნახე რამალა, (მემუარი), 259 გვ., არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნინო დოლიძემ, წინასიტყვაობის ავტორი - ედვარდ საიდი, თბილისი 2009

2. ათას ერთი ღამე -რვა ტომი, (არაბული ზღაპრები), არაბულიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ნანა ფურცელაძემ (ტ. II, 487 გვ., 1970, IV, V, VI) და თინა მარგველაშვილმა (ტ. I, III, 396 გვ., 1974, VII 366 გვ., 1987, VIII 423 გვ., 1996). გიორგი წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით

3. იბნ ალ- მუკაფა, -წიგნი ქალილასი და დიმნასი, (იგავ-არაკები), 271 გვ., არაბულიდან თარგმნა, განმარტებანი და ბოლოთქმა დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, 2002

4. კრებული: თანამედროვე არაბი მწერალი ქალები –(არაბული მოთხრობები), არაბულიდან თარგმნა ი. გრძელიძემ, თბილისი, 2008

5. მაჰფუზი, ნაჯიფ, -მირამარი, -როდოპისი, (ორი რომანი), 343 გვ., არაბულიდან თარგმნა მაია ანდრონიკაშვილმა, სერია: ნობელის პრემიის ლაურიატები, თბილისი, 2005

6. ალ-ოსმანი, ლეილა, -ღამით მოარული თვალები, (არაბული მოთხრობები), 142 გვ., მთარგმნელები: ღადა ჯავიში და მარინა თხინვალელი, სირია, ალეპო, 1997

7. ალ-საბაჰი, სუად, -პირველად იყო ქალი, (არაბული პოეზია), 159 გვ., არაბულიდან თარგმნეს ღადა ჯავიშმა და მარინა თხინვალელმა, რედაქტორი ბესიკ ხარანაული, სირია, ალეპო, 1996

8. თარგმნა. ყურანი, ფრანგული თარგმანიდან პ. მირიანაშვილმა, თბილისი, 1911

9. ყურანი, -არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო გ. ლობჟანიძემ, თბილისი, 2006

10. ყურანი, - არაბულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ა. სილაგაძემ. სურა პირველი, მეორე, თბილისი, 2008; სურა მესამე, მეოთხე და მეხუთე, თბილისი, 2009

11. ჯებრან ხალილ ჯებრანი, -იესო, ძე კაცისა, არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, 2004

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების მეცნიერული კვლევის ისტორია, როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან იწყება და ნიკო მარისა და ალექსანდრე ხახანაშვილის სახელებს უკავშირდება. სწორედ აკადემიკოს ნიკო მარის მიერ განისაზღვრა ამ მიმართულების ზოგადი ხასიათი და გამოკვეთა პრობლემები, რომლებზე მუშაობაც შემდგომ მისმა ქართველმა მოწაფეებმა უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით განაგრძეს.[1]

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვარლამ დონდუა წერდა: „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიკო მარის ნაშრომებით იწყება ქართული ირანისტიკის ისტორია“[2] (კრებ. „ენა და აზროვნება“ 1937, გვ. 240)

ნიკო მარმა მართლაც ჩაუყარა საფუძველი ქართულ მეცნიერულ ირანისტიკას, სპარსული ენის, მწერლობის, განსაკუთრებით კი ქართულ-სპარსული ენობრივი და ლიტერატურული კონტაქტების შესწავლას.

მანამდე ვახტანგ მეექვსიდან მოკიდებული თეიმურაზ ბაგრატიონის, მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, მოსე ჯანაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და სხვა ქართველ მკვლევართა ნაშრომებში გვაქვს ცალკეული დაკვირვება ქართულ სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე, ზოგი ქართული ვერსიის გამოქვეყნების ცდა, მაგრამ სახელგანთქმული პეტერბურგის ორიენტალისტური სკოლის აღზრდილმა, მშობლიურ ქართული მწერლობის მცოდნე ნიკო მარმა სულ სხვა, ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ევროპის დონეზე“ აიყვანა ამ პრობლემათა კვლევა.

ახალგაზრდა ნიკო მარის პირველივე სამეცნიერო ნაშრომები მიეძღვნა „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს, „ამირანდარეჯანიანს,“ „ვისრამიანს“ და აღორძინების ეპოქაში შექმნილ აღმოსავლური ყაიდის მთელ რიგ ძეგლებს.

მაგრამ შემდგომში, ალექსანდრე გვახარიას შენიშვნით, სამწუხაროდ, მას აღარ გაუგრძელებია ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა. ჯერ იყო და იძულებით ჩამოაშორეს ქართულ ფილოლოგიას, ხოლო შემდეგ სხვა პრობლემათა კვლევამ გაიტაცა.

თუმცა ზოგჯერ, დრო და დრო, სქოლიოში და ისიც გაკვრით, ნ. მარს მოცემული აქვს უაღრესად საინტერესო, გასაოცარი სიმახვილის დაკვირვებანი ჩვენთვის საგულისხმო საკითხებთან დაკავშირებით“.[3]

სამაგიეროდ, ნიკო მარის დაწყებული შრომა დიდი წარმატებით განაგრძეს მისმა მოწაფეებმა, უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათ შორის განუზომელია ჩვენი უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის ღვაწლიც.

პროფესორი ალექსანდრე გვახარია, ვისი ნაშრომებითაც დიდად არის დავალებული წინამდებარე კვლევა და, განსაკუთრებით, მისი პირველი ნაწილი, სავსებით სამართლიანად შენიშნავდა: „მე–19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისი რუსული ორიენტალისტური სკოლის აღმავლობას დაემთხვა. იმ დროს პეტერბურგში მოღვაწეობდნენ ვიქტორ როზენი, ვასილ ბარტოლდი, ვალენტინ ჟუკოვსკი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, პავლე კოკოვცოვი, ეგნატი კრაჩკოვსკი და სხვები. ფაკულტეტზე ტრიალებდა უაღრესად საქმიანი და ამავე დროს კოლეგიალური სული. მოწაფეები სწავლას მასწავლებელთა ბინაზე აგრძელებდნენ (ვ. როზენთან ნ. მარი, ე. კრაჩკოვსკი, ნ.

---

[1] ალექსანდრე გვახარია, „ნარკვევები სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“ ტ. II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

[2] ვარლამ დონდუა, „ნიკო მარი, კრებულში „ენა და აზროვნება“, 1937, წ. გვ. 240

[3] ალექსანდრე გვახარია დასახ. ნაშრომი. გვ. 38

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მართან ივანე ჯავახიშვილი) ამ მხრივ სანიმუშო იყო დეკანის, ცნობილი არაბისტის ვ. როზენის პიროვნება. მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით დაიწყო აღმოსავლური ლიტერატურის უდიდესი ძეგლის "ბალავარიანის" არაბულ, ქართულ და ბერძნულ ვერსიათა კომპლექსური შესწავლა, რასაც ე. კრაჩკოვსკიმ უწოდა „ვარლაამისეული პერიოდი რუსულ აღმოსავლეთმცოდნეობაში".[1]

შემთხვევითი არ იყო, რომ პირველი წერილი რუსულად ვ. როზენის მოწაფემ, ჭაბუკმა ნიკო მარმა სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა: „სიბრძნე ბალავარისი" – ვარლაამისა და იოასაფის სულისმარგებელი რომანის ქართული ვერსია"..[2]

არც ის გახლდათ შემთხვევითი, რომ ნ. მარის მოწაფემ, სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილმაც თავისი პირველი სამეცნიერო ნაბიჯი ამ პრობლემის კვლევის გზაზე გადადგა. 1897 წელს მან რუსულად თარგმნა ე. თაყაიშვილის მიერ 1895 წელს გამოქვეყნებული მოკლე ვერსიის ტექსტი „სიბრძნე ბალავარისი".

სპეციალისტების შენიშვნით, ივანე ჯავახიშვილმა არა მარტო შესანიშნავად გაართვა თავი ამ საკმაოდ რთული ტექსტის თარგმნას, გამოცემის გარდა, მან გამოიყენა მონაცემები, რაც ტექსტის დადგენასა და გაგებას უტოლდება.

თარგმანი გამოქვეყნდა 1899 წელს ზემოხსენებულ ავტორიტეტულ ორგანოში. ხოლო მეორედ დაბეჭდეს ილია აბულაძემ და ალექსანდრე ბარამიძემ 1956 წელს კრებულში ივანე ჯავახიშვილი და ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, მესამედ კი იგი გამოქვეყნდა 1966 წელს.

შემდგომში ივანე ჯავახიშვილმა უპირატესად ისტორიკოსობას მიჰყო ხელი, მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნა სიმონ ყაუხჩიშვილმა მისი გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილო საღამოზე: „ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსის პირველ მოვალეობად სთვლიდა წინასწარ ღრმა მუშაობას ნაწარმოების ტექსტებზე".

ალექსანდრე გვახარია კი შენიშნავდა: „მართლაც, ამ ისტორიებში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით უაღრესად საგულისხმო, ტექსტოლოგიურ, ენათმეცნიერულ თუ ფილოლოგიურ დაკვირვებებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამჯერად აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული წყაროების ბრწყინვალე ცოდნა და გამოყენება."[3]

სპარსულ–ქართული ლიტერატურის იტორიის საკითხებს ივანე ჯავახიშვილი ხშირად ეხება ქართველი ერის ისტორიის ფურცლებზეც.

ამ საკითხთა მკვლევართათვის სახელმძღვანელოა მისი ფუძემდებლური დებულება:

„თუმცა „შაჰნამე" (როსტომიანი) ფირდაუსისა, „ვისრამიანი", ქილილა და დამანა, ლეილ–მაჯნუნიანი სპარსელი მაჰმადიანი მგოსნების დაწერილი იყო, მაგრამ ქრისტიანი ქართველებიც გატაცებით კითხულობდნენ, მათთვის ეს თხზულებები ხელოვნების ძვირფასი განძი იყო. სხვათა შორის, ხომ სპარსული მწერლობის გავლენის წყალობით აღორძინდა ქართული საერო პოეზიაც. თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადახვა მაჰმადიანურ სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველთა და სპარსთა სულიერს ერთობას ქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს თესავდა. ქართველებისათვის სპარსულ–მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე არა ყოფილა და თავისი

[1] ალექსანდრე გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 39.

[2] მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 1888 წლის 22 სექტემბერს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლურ განყოფილებაში, რომელსაც ვ. როზენი ხელმძღვანელობდა, გამოქვეყნდა ამავე საზოგადოების ორგანოში „ზაპისკი", 1889 წ. ტ. III

[3] ალ. გვახარია, იქვე, გვ. 207.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივსა სცემდნენ.“[1]

აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი: XI–XII საუკუნეების საქართველოს კულტურული ვითარების დასახასიათებლად ივანე ჯავახიშვილი, ბუნებრივია, შეეხო ქართული საერო მწერლობის ჩასახვის პრობლემასაც. იგი იზიარებს თავისი მასწავლებლის ნიკო მარის თეორიას კლასიკური სპარსული პოეზიის როლის შესახებ ქართული საერო მწერლობის აღორძინების საქმეში.

თუმცა, აქაც ჩვეული მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სიღრმით, სავსებით სწორად მიუთითებს ალექსანდრე გვახარია: „საინტერესოა, რომ ტერმინი „აღორძინება“ გულისხმობს გარკვეული ტრადიციის არსებობასაც. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ივანე ჯავახიშვილი წუთითაც არ ივიწყებს ურთიერთობის პრობლემის მთავარ თემას: ორივე მხარის ინტერესთა თანაფარდობასა და მხატვრულ სიმძლავრეს, ნიადაგსა და შემზადებას ათვისების უნარის გამოსავლენად. მისთვის ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს პასიურ და ცალმხრივ გავლენას“.[2]

აი. რას წერს ივანე ჯავახიშვილი იქვე: „ყურადღების ღირსია, რომ საქრისტიანო აღმოსავლეთში, საშუალო საუკუნეებში ქართველების გარდა არცერთ ხალხს საერო პოეზია არ ჰქონია. არც ასურებს, არც სომხებს, არც ბიზანტიელებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ. ეს გარემოება რაც უნდა იყოს, რა ხელისშემწყობი მიზეზებიც უნდა გამოვძებნოთ მის ასახსნელად, მაინც თავისთავად ქართველი ერის ძლიერის მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების დამამტკიცებელია.“[3]

უფრო მეტიც, ივანე ჯავახიშვილის ურყევი დებულების მიხედვით, საქართველოს ახლო ურთიერთობამ არაბულ–სპარსულ კულტურულ მიმდინარეობებთან და მათი სალიტერატურო ძეგლების გაცნობამ საქართველო ერთგვარად აქცია შუამავლად მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ, ბერძნულ–რომაულ დასავლეთს შორის, ამ ორ სარწმუნოებრივად განსხვავებულ სამყაროს შორის. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომელიც ახლა სრულის უეჭველობით არის დადგენილი, სახელდობრ, რომ საშუალო საუკუნეებში საქართველოს წყალობით მიეცა ევროპას საშუალება გასცნობოდა პირველ ქრისტიანულ რომანს, უაღრესად პოპულარულ თხზულებას ვარლამისა და იოასაფის შესახებ, რომელიც ბერძნულ ენაზე თარგმნა და დაამუშავა სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ექვთიმე ათონელმა.[4]

ალექსანდრე გვახარია ამ ფრაგმენტის კომენტირებისას აღნიშნავს: „დღეს ბევრი რამ გაკეთდა ქართული საერო მწერლობის წარმოშობის გასარკვევად, დაზუსტდა საკუთრივ ქართული სასულიერო მწერლობის როლი ამ მხრივ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პრებლემის კვლევისას არ შეიძლება ქართულ–სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებისათვის გვერდის ავლა“.[5]

ივანე ჯავახიშვილის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მოღვაწეობის ერთი ქართულ–სპარსული რკალია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმოშობისადმი მიძღვნილი საპოლემიკო სტატია „მამულიშვილობა და მეცნიერება“.[6]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის იტორია, თბილისი, ტ. II, გვ. 306
[2] ალ. გვახარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.
[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 307
[4] ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 407
[5] ალ. გვახარია. დასახ. ნაშრომი. გვ. 59
[6] დაიბეჭდა 1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“, იმავე წელს დაისტამბა ცალკე წიგნაკად და ფაქტობრივად, ეს არის ივანე ჯავახიშვილის პირველი მონოგრაფია.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

აქ ივანე ჯავახიშვილი იცავს თავისი მასწავლებლის ნიკო მარის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სპარსული წარმომავლობის თაობაზე, თუმცა ალექსანდრე გვახარიას აზრით, მთავარი აქ ეს სრულებითაც არ არის. ბოლოს და ბოლოს, როგორც ის თვითონაც წერს: „რა თქვა ისეთი მარრმა, რაც თვით შოთას არ ეთქვას?“ მთავარია, ახალგაზრდა მკვლევრის გულისტკივილი იმ გაუმართლებელი რეაქციის გამო, რითაც ქართული საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი შეხვდა ამ მოსაზრებას.

ნაშრომის პოლემიკურმა ხასიათმა ერთგვარი გადახრა გამოიწვია, რაც მოგვიანებით ყველაზე უკეთ თვითონ ივანე ჯავახიშვილმავე შეაფასა – როგორც ჩანს, საიუბილეოდ დაწერილ – წერილში „ვეფხისტყაოსანი“ (პირველად გამოქვეყნდა 1956 წელს ილ. აბულაძისა და ალ. ბარამიძის მიერ შედგენილ კრებულში). აქ ვკითხულობთ:

„ჩვენში უფრო იმით იყვნენ გატაცებულნი, რომ სპარსულობის მომხრეებს თავიანთი აზრი გაეტანათ და მოწინააღმდეგენი ცრუ მამულიშვილობის ბრალდებით ჩაეჩუმებინათ. ხოლო ორიგინალურობის მომხრეებს გააფთრებითვე მოპირდაპირეებისათვის ქართული შემოქმედების დამცირების იდუმალი ზრახვის დაწამებით ლელოს გატანა სურდათ. ამ ვნებათღელვით აღსავსე ბრძოლის დროს არცერთი მხარე მაინცდამაინც თავისი შეხედულების დამშვიდებით დასაბუთებასა და საკითხის საფუძვლიან შესწავლას არ შესდგომია. მხოლოდ თავდაპირველად თავაღებით სპარსულობის დამამტკიცებელი პროფესორი ნ. მარი თანდათანობით თავის პირვანდელს კატეგორიულს მტკიცებას თავს ანებებს და თავის აზრსაც საგრძნობლად იცვლის. არც ერთი ვეფხისტყაოსნის ამბავის სადაურობის შესახებ მწერალი საკითხს არსებითად არ შეჰხებია და არა ცდილა, გამოერკვია, ან რომელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს ის ამბავი, რომელიც ქართველთა უკვდავ მგოსანს უპოვია და თავისი თხზულებისთვის გამოუყენებია, ან რამდენად მართალია თვით ცნობა ამ ამბავის სპარსულობის შესახებ. ამ ორსავე საკითხს, რასაკვირველია, ვეფხისტყაოსნის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.“[1]

ამავე წერილში ივანე ჯავახიშვილმა დამარწმუნებლად სცნო ვახტანგ მეექვსის განცხადება: „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“, გამოავლინა, საერთოდ, პოემის ანტისპარსული ტენდენცია და დაასკვნა:

რაკი ვეფხისტყაოსანში სპარსეთსა და სპარსეთის სამეფო სახლს ასდეთი მეორეხარისხოვანი და დამამცირებელი ადგილი აქვს დათმობილი და პოემა სპარსელებისადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის გამსჭვალული, საეჭვო და შეუძლებელიც კია, რომ იქ მოთხრობილი ამბავი სპარსული იყოს. დედააზრითა და პოლიტიკური მრწამისით მას სპარსული არაფერი აქვს.“

საკითხის შესაფასებლად ისევ პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დავესესხებით. იგი წერს:

„დღეს ბევრი რამ გაკეთდა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, გამოითქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება მეცხრე სტროფთან (ესე ამბავი სპარსული) დაკავშირებით. რუსთველოლოგთა უმრავლესობას ფაბულის ორიგინალურობაში ეჭვის შეტანა შეუძლებლად მიაჩნია, უპირატესად, პოემაში აშკარად გაცხადებული ქართული რეალიების გამო. მიუხედავად ამისა, პოემის სპარსული პარალელებისა და ანალოგიების ძიება გრძელდება და არც ეს უნდა იწვევდეს მეცნიერებისათვის შეუფერებელ უარყოფით რეაქციას, რომლის გამოც ხშირად საერთიოდ წყვეტენ რუსთაველსა და მის პოემას აღმოსავლურ სამყაროს.

[1] ივანე ჯავახიშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ (შ. რუსტაველის საიუბილეო კრებული, თბილისი, 1956, გვ. 32

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საერთოდ, გასათვალისწინებელია არამხოლოდ რუსთაველის თანადროული აღმოსავლეთი, არამედ არც უფრო შორს და მოგვიანებით გახედვა აწყენდა საქმეს.“[1]

ივანე ჯავახიშვილის კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საკითხის ასე დაყენების აუცილებლობა და არც ის ფაქტი იყო შემთხვევითი, რომ თავისი უკანასკნელი საბედისწერო მოხსენება 1940 წლის 18 ნოემბერს ჯავახიშვილმა სწორედ ამ საკითხებს მიუძღვნა.

სამწუხაროდ, მოხსენების ტექსტი სრული არ არის.[2] აქ უმთავრესად მიმოხილულია სამი ძეგლის „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანისა“ და „შაჰნამეს“ ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და წამჭრილია უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა სრულყოფილი ანალიზი ავტორს აღარ დასცალდა.

დიდი ივანე ჯავახიშვილის სტუდენტობისას პეტერბურგში განათლებას იღებდა კიდევ ერთი ქართველი მეცნიერი, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ირანისტიკას და განსაზღვრა ჩვენი სამეცნიერო სკოლის აკადემიური ხასიათი. ეს გახლდათ იუსტინე აბულაძე – მრავალმხრივ საყურადღებო მკვლევარი და პედაგოგი, რომლის მეცნიერულ ნაშრომებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი დიდი ღირებულება.

იუსტინე აბულაძის დამსახურებაა ის ფაქტიც, რომ ქართული ირანისტიკის ერთ ერთ წამყვან სფეროდ იმთავითვე იქცა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა და ამ ურთიერთობების ერთ-ერთ მაგისტრალურ ხაზად ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური (არაბულ-სპარსული) ლექსიკის შესწავლა.

1916 წელს იუსტინე აბულაძემ გამოსცა „შაჰ-ნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების პირველი ტომი, რაც ლიტერატურის ისტორიკოსთა და ირანისტთა ერთსულოვანი შეფასებით, მაშინ მეცნიერულ გმირობას უდრიდა, რაკიღა პირველად გამომზიურდა ქართული ვერსიების ძირთადი ბირთვის – როსტომიანის მეცნიერულად მომზადებული, ვარიანტებიანი ტექსტი, რომელსაც წინ უძღვოდა საინტერეოსო შესავალი და ერთვოდა ვრცელი ლექსიკონი.

გარდა ამისა ფრიად საგულისხმოა იუსტინე აბულაძის დაკვირვებანი და შენიშვნები „ბარამგულანდამიანთან“ და „ბარამგულიჯანიანთან“ დაკავშირებით. რამდენიმე წერილი უძღვნა მან ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანისაც“.

პროფესორმა ალექსანდრე გვახარიამ ცალკე შეისწავლა და საგანგებო წერილში ასახა იუსტინე აბულაძის, როგორც „ვისრამიანის“ მკვლევრის, განუზომელი ღვაწლი, რომელშიც აღნიშნავდა:

„ვისრამიანს“ იუსტინე აბულაძემ ძველი ქართული საერო ლიტერატურის უძვირფასესი ძეგლი უწოდა. თავდაპირველად მკვლევარი მას „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით შეეხო.

ცნობილ ნაშრომში „XIII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1909 წელს გამოქვეყნდა პირველად, „ვისირამიანს“ საპატიო ადგილი ეთმობა. გზა და გზა გაბნეული დაკვირვებანი მოწმობენ ამ ძეგლისა და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების იმ დროისა და პირობებისათვის საკმაოდ კარგ ნაცნობობას.

იუსტინე აბულაძის აზრით, ფახრ ედ-დინ გორგანიმ „თავისი ნაწარმოების შინაარსად გამოიყენა უძველესი დროის შესახები ფალაური მოთხრობა,

---

[1] ალექსანდრე გვახარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 61

[2] გამოქვეყნდა პირველად ილ. აბულაძისა და ალ. ბარამიძის მიერ შედგენილ კრებულში 1956 წელს, სათაურით: „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რომელიც მან მზამზარეულად აიღო და ცოტა რამ ცვლილების შეტანით გალექსა“. [1]

იუსტინე აბულაძეს აქვე დასმული აქვს თარგმანის რაობის საკითხი. იგი ჯერ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება: „ქართულ თარგმანში ბევრი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება ორიგინალს, მაგრამ ზოგიერთი მისი ადგილი უფრო ვრცლად არის გადმოცემული, ზოგი შემოკლებულია, სრულიად გამოტოვებული, ან განზრახ შეცვლილი.“[2]

როგორც ჩანს, იუსტინე აბულაძის ამ დასკვნათა კატეგორიულობა შეპირობებული იყო მისი მასწავლებლის ნიკო მარის მოსაზრებებით „ვისრამიანზე“, თორემ დღეს უკვე ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას წყალობით, როცა საბოლოდ შესწავლილი და დაგდენილი იქნა „ვისრამიანის“ კრიტიკული ტექსტიცა და ორიგინალის მიმართებაც ქართულ თარგმანთან, ხელშესახებად გამოიკვეთა ამ ძეგლის ქართველი მთარგმნელის უდიდესი ოსტატობაცა და მხატვრული ნიჭიერებაც.[3]

ასე რომ, იუსტინე აბულაძის შემთხვევაში საინტერესოა არა იმდენად დასკვნა, რამდენადაც ის ფატი, რომ მან „ვისრამიანიც“, ისევე, როგორც ბევრი სხვა საკითხი, პირველად შემოიტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში და შემოიტანა სწორედ თავის ერთ-ერთ ძირთად საკვლევ სფეროსთან „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით.

მთარგმნელობითი კუთხით მეცნიერის მისწრაფებებს კი გვიდასტურებს 1924 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ პავლე ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული ომარ ხაიამის რობაიათა არაჩვეულებრივად მაღალ დოენეზე შესრულებული პწკარედი, რომელსაც უდაოდ დიდი ლიტერატურული გემოვნებისა და საქმის ცოდნის ბეჭედი ახის.[4]

ამიტომაც, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ესტაფეტა შემდგომში დიდი წარმატებით გააგრძელეს იუსტინე აბულაძის ორმა მოწაფემ ალექსანდრე ბარამიძემ და დავით კობიძემ.

ალექსანდრე გვახარიას შენიშვნით, „ორივე თითქმის თანატოლი იყო, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ალექსანდრე ბარამიძემ მთელი ათეული წლით უფრო ადრე დაიწყო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწობა და ამდენად დ. კობიძე მისი საქმიანობის ერთგვარ გამგრძელებლად გვევლინება. ის პრაქტიკულად აგრძელებს სამეცნიერო ინტერსთა სფეროს იმ რკალს, რაზეც ბატონი ალექსანდრე ბარამიძე მუშაობდა.“[5]

დავით კობიძის საკანდიდატო დისერტაცია ახალი სპარსული ლიტერატურის პირველ საუკუნეებს შეეხებოდა, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, „ფირდოუსის წინა პერიოდს“.[6]

ამ ნაშრომის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა მეორე ნაკვეთი – „საგმირო ეპოსი“, რაც უმთავრესად ფირდოუსისა და მისი „შაჰ-ნამეს“ კვლევას გულისხმობდა. აღნიშნული ნაშრომის ძირთად ბირთვს წარმოადგენდა მეცნიერის ვრცელი გამოკვლევა „შაჰ-ნამეს“ სპარსული ვერსიების ქართული წყაროები“. ეს ნაშრომი იყო მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1946 წელს უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომაზე.

---

[1] იუსტინე აბულაძე, XIII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“. ქართული ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1909, გვ. 102

[2] იუსტინე აბულაძე, იქვე, გვ. 108.

[3] შდრ: „ვისრამიანი“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბილისი, 1964 წ.

[4] ჟურნალი „კავკასიონი“, № 2, 1924 წელი, პავლე ინგოროყვას რედაქციითა და წინასიტყვაობით.

[5] ალექსანდრე გვახარია, „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, ტ. II, გვ. 66.

[6] ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1946 წელს, როგორც I ნაკვეთი, ხოლო მოგვიანებით, 1975 წელს, შევიდა „სპარსული ლიტერატურის ისტორიაში“.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ოფიციალური ოპონენტები ყოფილან პროფესორები ი. აბულაძე, კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე.

ესეც დამახასიათებელია, რადგან სამივე დასახელებულ პირს დიდი ღვაწლი მიუძღვოდა სწორედ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესწავლასა და გამოქვეყნებაში.

ამ დროისათვის უკვე გამოცემული იყო მეორე ვეება ტომი „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებისა იუსტინე აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და აკ. შანიძის რედაქციით. ეს მდიდრულად გაფორმებული გამოცემა ფიროუსის ათასწლოვან (1934) იუბილეს მიეძღვნა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდძალი მასალა იყო დარჩენილი წყაროების სახით. ზოგი ამათგანი აღმოჩენილი და დაწერილი კი იყო, მაგრამ საჭიროებდა წყაროებთან მიმართებით შესწავლასა და დანარჩენ ვერსიათა შორის ადგილის მიკუთვნებას.

ასე მაგალითად, თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში სრულიად ახალგაზრდა ალ. ბარამიძემ შესწავლა მის მიერ აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია, რომელსაც პირობითად „ფერიდუნ და ზოაქის ამბავი“ უწოდა (დაიბეჭდა 1927 წელს, გადმოიბეჭდა 1973 წ. ნარკვევების VII ტომში). მოგვიანებით დავით კობიძემ გამოარკვია, რომ ამ ვერსიის წყაროს წარმოადგენდა სპარსული პროზაული „საამნამე“.

ანალოგიური კვლევა ძიებისათვის კი აუცილებელი იყო სპარსულ-ქართული როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი მასალის ზედმიწევნით ცოდნა და მასში გარკვევის ალღო.

დ. კობიძის მონოგრაფია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ გამოქვეყნდა 1956 წელს (256 გ. + 20 გვ. რუსული რეზიუმე). წიგნი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში შესწავლილია ლექსითი ვერსიები („როსტომიანი, რომელშიც ამბავი გადმოცემულია ზაალის შობიდან გოსთაშფის გარდაცვალებამდე, „ზააქიანი“, რომელშიც აღწერილია ზააქ-ფრიდონის ამბები და „უთრუთიან-საამიანი“, რომელშიც ამბავი მოთხრობილია გაიუმართის მეფობიდან ზაალის დაბადებამდე), მეორეში კი პროზაული ვერსიები („ფრიდონიანი“, სადაც წარმოდგენილია ზააქის, ფრიდონის და მანუჩარის თავგადასავალი; „უთრუთიან-საამიანი“, რომელშიც ამბავი მოთხრობილია გაიუმართის გამეფებიდან ზაალის შობამდე ე. ი. იგივე, რაც ლექსით ვერსიაშია და „წიგნი საამ ფალავანისა“, სადაც თხრობა იწყება ჯამშიდის გამეფებითა და მოტანილია ზაალ-როდაბეს ეპიზოდამდე), დამატებაში განხილულია „ბაამიანი და მისი სპარსული წყარო „ბაჰმან-ნამე“.

პროფესორი ალექსანდრე გვახარია აღნიშნავდა: „ამ ფუნდამენტურ ნაშრომში არა მარტო შეჯერებულია წარსული კვლევის შედეგები, არამედ წარმოდგენილია სრულიად ახალი დაკვირვებანი ქართული ვერსიების ერთმანეთთან და სპარსულ წყაროებთან მიმართებაზე. მიღებული დასკვნები უეყმანოდაა გაზიარებული, როგორც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ასევე ზოგად ირანისტიკაში და შაჰნამელოგიაში (თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მათი გაუთვალისწინებლობა იწვევს მცდარ მსჯელობას ქართული ვერსიების შესახებ რუსულ და ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში).“[1]

განსაკუთრებით საინტერესოა დ. კობიძის დაკვირვებანი ქართული ვერსიების მხატვრულ თავისებურებებზე, რაც მას საფუძველს აძლევს ასეთი ზოგადი დასკვნისათვის:

„ქართველი მწერლები თავისებურ გააზრებას აძლევენ სპარსულ თხზულებებში ამოკითხულ ამბებს, საკუთარი გემოვნებისა და მხატვრული

[1] ალ. გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ალღოს მიხედვით ამუშავებენ მათ და ამრიგად, ისინი იმავე უფლებით უნდა ჩაითვალონ დამოუკიდებელ ავტორებად, რა უფლებითაც აღმოსავლეთის ხალხთა სხვა პოეტები (მირ ალიშერ ნავოი და სხვები), რომლებიც სპარსული წყაროებიდან მომდინარე ამბებს თავიანთ მშობლიურ ენაზე ამბობდნენ, ითვლებიან ავტორებად და არა მთარგმნელებად".[1]

„შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებთან დაკავშირებით დავით კობიძის ღვაწლის წარმოჩენისას, ალ. გვახარია კიდევ ერთ მომენტზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას.

კერძოდ, იმაზე, რომ ამ მონოგრაფიაში დ. კობიძემ დააყენა მნიშვნელოვანი საკითხი:

„მიუხედავად იმისა, რომ ქართული ვერსიები ხშირად „შაჰნამეს" გვიანდელ და ინტერპოლირებულ ხელნაწერებს ეყრდნობიან, მიუხედავად ქართული ვერსიების დამოუკიდებელი მხატვრული თავისებურებებისა, მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ფორდოუსის აკადემიური ტექსტის დადგენისას".[2]

სათანადო, მცირერიცხოვანი, თუმცაღა შთამბეჭდავი მაგალითების შემდეგ დ. კობიძე დაასკვნის:

„ქართულმა ტექსტმა, რომელსაც, მდიდარი პოეტური ფერების გამოყენებისას და აგრეთვე შინაარსობრივი მსვლელობის თვალსაზრისითაც, ზოგჯერ უპირატესობა აქვს სპარსულთან, თავის მხრივ, საგრძნობი როლი უნდა შესრულოს „შაჰნამეს" სპარსული ტექსტის საბოლოო დადგენაში".[3]

დავით კობიძე არ შემოფარგლულა „შაჰნამეს" ქართული ვერსიების მხოლოდ თეორიული კვლევით. მრავალწლიანი შრომის შედეგად მან მოამზადა და 1974 წელს გამოაქვეყნა ამ ვერსიების მესამე ტომი, რითაც დაასრულა საუკუნის გარიჟრაჟზე მისი მასწავლებლის იუსტინე აბულაძის მიერ დაწყებული საქმე.

ამ ტომში შევიდა მანამდე გამოუქვეყნებელი ორი თხზულება: „უთრუთიან-საამიანის" პოეტური და პროზაული რედაქციები „წიგნი საამ ფალავანისა და „ბაამიანი"; ტომს წამძღვარებული აქვს ვერსების შესახებ ვრცელი გამოკვლევა და დართული აქვს დიდი გულმოდგინებით შედგენილი ლექსიკონი.

აღსანიშნავია, რომ „შაჰნამეს" ქართულ ვერსიებთან დაკავშირებული მთელი ეს მასალა შევიდა მის მიერ შედგენილ, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებულ „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანის" I ტომში. (1983).

მანამდე კი, 1969 წელს დ. კობიძემ გამოსცა „ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა" II ტომი, რომელშიც თავი მოუყარა თავის ადრინდელ, ჯერ კიდევ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში თანამშრომლობისდროინდელ ნაშრომებს „ამირანდარეჯანიანის", „ბახთიარნამეს", „ბარამგურიანის", „მეფეთა სალაროს", „რუსუდანიანის", „ჩარდავრიშიანის", „იოსებზელიხანიანის", „ყაბუსნამეს", „ქილილა და დამანას" შესახებ.

აქვეა ვრცელი და საყურადღებო ნარკვევები: „რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა", „ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი", „თეიმურაზის ლიტერატურული წყაროების ძიების გზაზე", „ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან" და სხვ.

---

[1] დ. კობიძე, „შაჰ-ნამეს სპარსული ვერსიების ქართული წყაროები" (ნაკვეთი I), თბილისი, 1956. გვ. 39

[2] დ. კობიძე, იქვე გვ. 6

[3] დ. კობიძე, იქვე, გვ. 113

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

1978 წელს გამოქვეყნდა „ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა“ III ტომი, რომელიც მოცულობით წინა ტომებთან შედარებით მომცროა, მაგრამ შეიცავს არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვან წერილებს: „რუსთაველისა და ნიზამის შემოქმედების საკითხები“, „ივანე ჯავახიშვილი და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა“, „კვლავ ვისრამიანის საკითხები“, „ზოგიერთი პოეტიკური ტერმინის განმარტებისათვის“, „ისევ „ბახთიარნამეს“ ქართული ვერსების შესახებ“, „ქართულ-სპარსული ხალხური პროზის შესწავლის საკითხები“ და სხვ.).

ზოგიერთი ამ წერილთაგან ადრევე იყო ცნობილი, ზოგიც პირველად გამოქვეყნდა.

სავსებით გასაზიარებელი ჩანს პროფესორ ალექსანდრე გვახარიას დაკვნა დავით კობიძის „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების III ტომთან დაკავშირებით: „ ერთი რამ... უდავოა: დავით კობიძის ნარკვევების სამი ტომი იძლევა უფლებას, რომ იგი ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების პირველხარისხოვან მკვლევრად ვაღიაროთ. ისინი გვაძლევენ სრულ საფუძველს, რომ მომავალში შეიქმნას ამ ურთიერთობათა ამსახველი მეცნიერული ისტორია.“[1]

თავისი უკანასკნელი წერილი პროფესორმა დავით კობიძემ პროფესორ ალექსანდრე ბარამიძის ღვაწლის გააზრებას მიუძღვნა.

დაკვნის სახით იგი ასეთ რამეს ამბობდა ალექსანდრე ბარამიძეზე, მაგრამ შეგვიძლია ეს სიტყვები თავად მისი მისამართითაც გავიმეოროთ:

„როგორც ხედავთ, კლასიკური თუ აღორძინების პერიოდის ნათარგმნი თუ გადმოკეთებული მხატვრული ძეგლების შესწავლის თვლასაზრისით არ დარჩენილა თითქმის არცერთი საკითხი, რომელსაც მკვლევარი არ შეხებოდეს და სათანადო მასალის საფუძველზე საკუთარი აზრი არ გამოეთქვას. კლასიკური სპარსული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავმა ცოდნამ ამ სფეროში მისი დიდი წარმატება განაპირობა.“[2]

ამ სიტყვების ადრესატმა ალექსანდრე ბარამიძემ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო 1925 წელს და თავიდან მისი სამეცნიერო საქმიანობის უმთავრეს სფეროს ძირითადად სწორედ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი წარმოაგდენდა.

ალექსანდრე ბარამიძემ ერთ-ერთმა პირველმა გაარკვია „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხი, „რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები“..[3]

განუზომელი იყო მისი ღვაწლი „ვისრამიანისა“ და „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების შესწავლის საქმეში, ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა „ქილილა და დამანასა“ და მის ვერსიებს.[4]

ალექსანდრე ბარამიძის ყველაზე უფრო ცნობილი მონოგრაფია კი ალბათ მაინც არის ნაშრომი „რუსთაველი და მისი პოემა“ სადაც მკვლევარი, სწორედ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ზოგადი ფონის გათვალისწინებით, ბევრ საინტერესო თვალსაზრისს გვთავაზობს..[5]

---

[1] ალ. გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72.

[2] დ. კობიძე, „ალექსანდრე ბარამიძე და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები“, საიუბილეო კრებული, 1974, გვ. 129.

[3] იხ. „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ალექსანდე ბარამიძემ. თბილისი, 1968

[4] იხ. ალექსანდრე ბარამიძე, ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1968

[5] ალ. ბარამიძე, „რუსთაველი და მისი პოემა“, თბილისი,

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

იგი აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან ერთად იყო ავტორი ძველი ქართული მწერლობის ისტორიის სრული კურსისა.

სხვათა შორის, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ბევრი საკითხის დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის კორნელი კეკელიძესაც. მისი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში განხილულია „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, „იოსებზელიხანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „ხოსროვშირინიანი“, „ბაჰრამგურინი“, „ჩარდარვიშიანი“, „სეილანიანი“, „ბახთიარნამე“, „მეფეთა სალარო“ და სხვა მეტნაკლები მნიშვნელობის აღმოსავლური წარმომავლობის ძეგლები და შეჯამებულია მათ შესწავლაზე ჩატარებული კვლევის შედეგები.[1]

ზოგ შემთხვევაში ავტორი კრიტიკულად უდგება არსებულ მოსაზრებებს, აყენებს საკუთარ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე.

პროფესორი ალექსანდრე გვახარია აღნიშნავს: „ამ ტომის გამოცემიდან გავიდა ოცდათხუთმეტი წელი. ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა მისი სამი შევსებულ-შესწორებული გამოცემა (1941, 1952, 1958წწ), ამას გარდა მხცოვანმა მეცნიერმა რიგი სპეციალური წერილი უძღვნა ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურის საკითხებს. განმაცვიფრებელი სიფხიზლით, მიხვედრილობითა და სიახლის გრძნობით უდგება კ. კერკელიძე ყოველ თუნდაც უმნიშვნელო დეტალს. ამით აიხსნება საკითხის პროგრესულ-ევოლუციური განვითარება მკვლევრის თუნდაც რამდენიმე წლის განსხვავებით გამოქვეყნებულ ნაშრომებში.“[2]

ალექსანდრე გვახარია კორნელი კეკელიძის დამსახურებად მიიჩნევს ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების ურთულესი დარგის გამოყოფას ცალკე დისციპლინად, ერთიანი ხაზის წარმოდგენას გარკვეული მონაკეთების საკითხებზე.

გარდა ამისა, მრავალი ახალი საკითხია კ. კეკელიძის ნაშრომებში განხილული, დასმული და გადაჭრილი. ზოგ მათგანს მკვლევარი უბრუნდება მრავალგზის, ზოგი ქართველი ირანისტების კვლევის საგნად იქცა და ზოგი ჯერ კიდევ მოლის გადაწყვეტას.

შეიძლება ამ საკითხთაგან გამოვკვეთოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რკალი:

კეკელიძის მოსაზრებით, სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს ქართული საზოგადოება ეცნობოდა ამ ლიტერატურის აღმოცენების პირველივე საუკუნეებში (IX–Xსს).

1924 წელს გამოცემულ ტომში კ. კეკელიძე არ იზიარებს გაბატონებულ მოსაზრებას ურთიერთობის უფრო გვიანდელი თარიღის შესახებ. მას მოჰყავს სათანადო საბუთები ქართული წყაროებიდან და დაასკვნის:

„ერთი სიტყვით, X–XI საუკუნეებში სპარსული ლიტერატურა ბადრი მთვარესავით გაიშალა, ასე რომ, მის სხივებს მაშინაც შეეძლო მოეღწია ჩვენამდე; საჭირო არ იყო ამისათვის უთუოდ დავით აღმაშენებლის ხანისათვის ლოდინი.

განსაკუთრებულ ინტენსიურ ხასიათს იღებს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა ე. წ. კლასიკურ ხანაში (XIIს).

მკვლევარი აგრძელებს და აღრმავებს ნ. მარის ხაზს, მთელ რიგ შემთხვევებში კი ახალ ასპექტში განიხილავს მას. ფრთხილი ფილოლოგიური ანალიზის შედეგად კ. კეკელიძე ცდილობს, გამოავლინოს უტყუარი ცნობები, დაცულნი სხვადასხვა ქართულ წყაროში:

---

[1] კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტრატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958

[2] ალექსანდრე გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 257

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

„დანამდვილებით ვიცით, ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლებიდან, რომ დაცემის ხანაში და შემდეგაც, სხვადასხვა სტიქიურ უბედურებათა თუ მოულოდნელ შემთხვევათა გამო დაკარგულა მრავალი საყურადღებო პირველხარისხოვანი ძეგლი. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ სპარსულიდან ნათარგმნ თუ გადმოკეთებულ თხულებებს. თავდაპირველად მათი რაოდენობა არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ჩანს: „შაჰნამე“ ანუ მეფეთა წიგნი, „ლეილმაჯნუნიანი“, „ქილილა და დამანა“.[1]

„შაჰნამეს“ ქართული ვერსიის არსებობაზე, მკვლევრის აზრით, უნდა მიუთითებდეს XI საუკუნის 70-იანი წლების ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომელიც ასახელებს წიგნს სპარსთა ცხოვრებისას, საკუთარ სახელთა ფალაური ფორმა „სპანდიატ“ და მისთ.

კეკელიძის მოსაზრებით, ეს ნიშნავს, მხოლოდ მათს ძველთაგანვე გავრცელებას ჩვენში. „შაჰნამეს“ გმირს ბაჰრამ-გურს გულისხმობს დავით აღმაშენებლის იტორიკოსის მიერ ხსენებული „ბაჰრამ-გურიო, სპარსთა შორის მოქმედი უცხოთა და საკვირველთა“, რადგან სხვა ძეგლი ამ დროისათვის (1123-1126) ბაჰრამ გურის არ იცნობს მთავრ მოქმედ გმირად (ნიზამის „ჰაფთ ფეიქარ“ დაიწერა 1197 წ.)

განსაკუთრებით საყურადღებოა „შაჰნამეს“ გმირთა სახელების სიუხვე XII საუკუნის ქართულ ორიგინალურ ძეგლებში: როსტომი („თამარიანი“, „ვეფხისტყაოსანი“), უთრუთი, საამი, ზაალი, სალიმი, თური (ე. წ. „აბდულმესია“). აქ მკვლევარი იძლევა პრინციპული ხასიათისა და ზოგადი მნიშვნელობის მქონე დასკვნას: დაუჯერებელია ეს სახელები ჩამოთვლილ თხულებებში სპარსული დედნიდან იყოს შესული; საქმე ისა, რომ ავტორები თხულებებისა მათ ხმარობენ შესადარებლად, რითაც იგულისხმება, რომ მათ კარგად იცნობდნენ უბრალო საშუალო დონის მკითხველნიც, რომელთაც ყველას მაინც სპარსული ენა არ ეცოდინებოდათ“.[2]

საერთოდ, კორნელი კეკელიძის ნაშრომები სავსეა მეცნიერის სხვა საყურადღებო დასკვნებითაც. ამ დასკვნების გათვალისწინება აუცილებელია აღმოსავლურიდან ნათარგმნი თუ გადმოკეთებული თხზულებების წყაროების კვლევისას.

საზოგადოდ კი, ქართული ირანისტიკის დიდებული სამეცნიერო ტრადიციები შესანიშნავად გრძელდება ჩვენს თანამედროვეობამდე.

დავით კობიძის საუკეთესო მოსწავლეები წარმატებით აგრძელებდნენ ყველა იმ სამეცნიერო ხაზს, რითაც განთქმული იყო ჩვენი ირანისტიკა. ამ მოწაფეთა განსაკუთრებული ინტერესის საგანს კვლავაც ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა წარმოადგენდა.

ეს მიმართულება, ისევე, როგორც დარგის ბევრი მნიშვნელოვანი მაგისტრალური ხაზი, სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ.

საგულისხმო და მრავალმხრივი იყო ალექსანდრე გვახარიას მეცნიერული მოღვაწეობა. მისი დაუცხრომელი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ირანისტიკის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი პრობლემა. თუმცა ალექსანდრე გავხარიას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი „ვისრამიანი“, XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფახრ ედ-დინ გორგანის პოემის „ვოს ო რამინის“ პროზაული ქართული თარგმანი, რომელიც XII საუკუნის ქართველ პოეტსა და მოღვაწეს სარგის თმოგველს მიეწერება.

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 28

[2] იქვე, გვ. 32

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ალექსანდრე გვახარიამ მაგალი თოდუასთან ერთად გამოსცა ვისრამიანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, ვარიანტებით, გამოკვლევებითა და ლექსიკონით.

ქართველმა მეცნიერებმა დაადგინეს სპარსული „ვის ო რამინის“ ტექსტიც, რომელიც ვარიანტებითითურთ 1970 წელს გამოიცა თეირანში. იგი დღემდე საუკეთესო მეცნიერულ გამოცემად არის მიჩნეული.

ტექსტის დადგენისას გამოიყენეს როგორც სპარსული ხელნაწერები, ისე ქართული თარგმანი, რომელიც ზედმიწევნით სიახლოვეს ამჟღავნებს ორიგინალთან.

ალექსანდრე გვახარიას სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია ინტერესი „ვისრამიანისადმი“. ჟურნალ „მაცნის“ 1999-2001 წლის ნომრებში დაიბეჭდა მისი ვრცელი გამოკვლევები „ვისრამიანის“ სპარსული და ქართული ტექსტების საკითხებზე.

საერთოდ კი, ალექსანდრე გვახარიას პირველი სამეცნიერო ნაშრომი „იოსებზელიხანიანის სპარსული ვერსიების ქართული წყაროები“ 1958 წელს დაისტამბა. ამას მოჰყვა „ფირდოუსი“ (1963), „სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები – ბახთიარნამე“ (1968). „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“ (1973), „ბალავარიანის სპარსული ვერსიები“ (1985), „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“ I ტომი 1995), II ტომი 2001.

ალ. გვახარიამ სარგის ცაიშვილთან ერთად 1965 წელს გამოსცა XVIII საუკუნეში ქართულად თარგმნილი სარაინდო-საფალავნო თხზულება „ყარამანიანი“.

ალექსანდრე გვახარიას – ამ დიდი მეცნიერის, უზადო გემოვნების, პოეტრი ბუნების კაცის ერთ-ერთ უდიდეს გატაცებას წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემური ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის დღიდან (1962წ) იყო ამ კომისიის წევრი. ხოლო 1992 წლიდან – კომისიის მთავარი რედაქციის წევრიც. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოემის ტექსტის დადგენაში, კომენტირებასა და ლექსიკონის შედგენაში. ალექსანდრე გავხარიას მრავალრიცხოვანი გამოკვლევები რუსთველოლოგიის ოქროს ფონდში დარჩება მარად.

საერთოდ, ალექსანდრე გვახარიასათვის არ არსებობდა დიდი და პატარა სამეცნერო პრობლემა. ის ერთნაირი კეთილისინდისიერებით და სიღრმით ამუშავებდა ყველა საკითხს – იქნებოდა ეს ურთულესი ტექსტოლოგიური პორბლემები, შუასაუკუნეების სპარსელი პოეტების პოეზიის თავისებიურებებზე შექმნილი წერილები თუ კოლეგა-მასწავლებელების ღვაწლის დასაფასებლად დაწერილი თხზულებები. იგი ყოველთვის რჩებოდა მეცნიერულ სიმაღლეზე, ნაწერს კი მუდამ გამოარჩევდა დიდი ინფორმაციულობა და ისეთი სისადავე, რაც მხოლოდ დიდი მეცნიერების ნაღვაწს ახასიათებს.

მკაცრად, მაგრამ უშურველად აფასებდა სხვების ნაღვაწს, თავის თავისა და სამეცნერო მოღვაწობის შეფასებისას კი იყო სამაგალითოდ მოკრძალებული. „ქართულ-სპარსული ნარკვევების შესანიშნავ ორტომეულში, რომლისგანაც დიდად არის დავალებული ჩვენი წინამდებარე გამოკვლევაც (ხანდახან კი მთელი პასაჟები სწორედ ალექსანდრე გვახარიას წერილებიდან გვაქვს ამოკრებილი), როცა საკუთარი ნამუშევრის დამოწმება სჭირდება, ბატონი ალექსანდრე უკიდურესი თავმდაბლობით აღნიშნავს, მაგალითად: „მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისმა (იგულისხმება დ. კობიძე– გ. ლ) მოწაფეებმა გამოაქვეყნეს ვისრამიანის ახალი გამოცემის ტექსტი..“

„ვისრამიანის“ ახალი გამოცემა კი ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას ერთ-ერთი საეტაპო გამოკვლევა იყო.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დავით კობიძის ამ ორი მოწაფიდან, საბედნიეროდ, დღემდე ცოცხალია და აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას განარგძობს ჩვენი ირანისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პროფესორი მაგალი თოდუა. დიდი და სრულიად განსაკუთრებულია მაგალი თოდუას დამსახურება სპარსული ლირიკის ქართულად ამეტყველების საქმეში. მან პირველად თარგმნა ბევრი ირანელი კლასიკოსი და რაც მთავარია, მოძებნა დედნის ადეკვატური ენობრივი ქსოვილი, რამაც საერთოდ, დიდწილად განსაზღვრა ჩვენი მთარგმნელობითი სკოლის ხასიათი.

მთარგმნელობითი საქმიანობის პარალელურად მაგალი თოდუა დაძაბულ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგისტრალურ ხაზს სწორედ ქართულ-სპარსული ლიტერატურული პარალელების კვლევა წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა ხანაში მეცნიერი იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც საბჭოურმა სამსახურებმა ნება დართეს რამდენჯერმე სამეცნიერო მივლინებით ჩასულიყო ირანში.

თოდუამ ეს შესაძლებლობა მეცნიერების განვითარებისთვის შესანიშნავად გამოიყენა. ირანის არქივებში მოიძია არაერთი დოკუმენტი, რომლებიც პირველად გამოაქვეყნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა. ეს მართლაც უნიკალური პუბლიკაციები თავის დროზე ახალი სიტყვა იყო ქართულ და არამხოლოდ ქართულ ორიენტალისტიკაში.

სხვადასხვა დროს წერილების სახით დასტამბულმა ამ მასალამ კი საბოლოოდ თავი მოიყარა მეცნიერის მიერ სამ ტომად გამოცემულ წიგნში „ქართულ-ირანული ეტიუდები“.

მაგალი თოდუას სამეცნიერო ინტერესთა ერთ-ერთ სფეროს ვახტანგ მეექვსეული „ქილილა და დამანას“ ტექსტი და სპარსულ ორიგინალთან მისი შესატყვისობები წარმოადგენს.

მეცნიერმა ამ საკითხის კვლევას უამრავი წელი შეალია და ამ მრავალწლიანი შრომის შედეგად მოგვევლინა ქართული „ქილილა და დამანას“ კრიტიკული ტექსტი, ვრცელი გამოკვლევით, ვარიანტებით და ლექსიკონით, რომლის გამოცემაც ორჯერ განხორციელდა. (1970, 2006)

მანამდე კი მეცნიერმა ცალკე წიგნად გამოსცა გამოკვლევა „ქილილა და დამანას საბასეული ვერსია“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1967).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაგალი თოდუას არაერთი ფასეული დაკვირვება შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის მრავალი ძეგლის, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულ ნასესხობებზე, წარმოშობით ქართველი., სპარსულენოვანი ავტორების აქა-იქ შემორჩენილ ნიმუშებზე.

აღსანიშნავია მის მიერ პროზაულად მოთხრობილი სპარსული ლიტერატურის გამორჩეული ძეგლები (შაჰნამეს წიგნები), რასც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, სანამ ამ ძეგლთა სრული ქართული თარგმანი არ მოგვეპოვება.

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაში მართლაც ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

ამიტომაც, ამ თვალსაზრისით ცალკე იკვეთება ბოლო თხუთმეტწლიანი პერიოდი ანუ პრაქტიკულად ის ეპოქა, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საშუალება მოგვეცა ჩვენს ერთ-ერთ უძველეს მეზობელსა და უდიდეს პარტნიორთან – ირანთან პრინციპულად ახალი ტიპის დიპლომატიური ურთიერთობანი დაგვემყარებინა. დიპლომატიურმა ურთიერთობებმა კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სხვა კავშირების, მათ შორის ლიტერატურული და სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამო

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თუ ამ ახალი ეპოქის დასაწყისს, პირობითად, 1993 წლიდან ანუ ორ ქვეყანაში დიპლომატიური მისიების გახსნის დღიდან ავითვლით, ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით, იმხანად ძირთადი დატვირთვა რამდენიმე ქართველ მეცნიერზე, უპირველსად კი ბატონ ალექსანდრე გვახარიაზე მოდიოდა.

სწორედ ბატონმა ალექსანდრე გვახარიამ მოგვცა ყველაზე სრულყოფილად როგორც წარსულის, ასევე მისი თანადროული სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ანალიზი. მისმა მეცნიერუოლმა ნაღვაწმა კი საბოლოოდ თავი მოიყარა 2001 წელს დასტამბული ორტომეულის ზემოთნახსენებ II ტომში „ნარკვევები სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, სადაც წარმოდგენილი მასალა შეიძლება ითქვას მეცნიერული კეთილსინდისიერების, სკრუპულოზურობისა და რაც მთავარია, დიდი ცოდნის ნიმუშია.

წიგნის ყდაზე სპარსულად გამოტანილი სათაური უფრო ზუსტად ასახავს მის შინაარსსა და არქიტექტონიკას.

საქმე ისაა, რომ ამ ორტომეულს სპარსულად ქვია „ოცდაორი ნარკვევი სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“. ამ ოცდაორი ნარკვევიდან 11 I ტომში, 11 კი მოერე ტომშია გაერთიანებული და ფაქტობრივად, ორტომეული მეცნიერის ნაყოფიერ მოღვაწეობას ასჯამებს. როგორც თვითონ ბატონი ალექსანდრე აღნიშნავს შესავალში „ნარკვევების I წიგნში მოთავსებული წერილების უმრავლესობა, ცხადია, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის ნაკლებად შესწავლილ საკითხებს მიეძღვნა. აქვეა წარმოგენილი პრობლემის კვლევის ისტორია (კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, დავით კობიძე და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი), ეტიმოლოგიური ძიებანი, ტექსტოლოგიური და ლექსიკოლოგიური დაკვირვებანი, მოგონებები. თითქმის ყველა მათგანი გამოქვეყნებულია სხვადახსხვა სამეცნიერო კრებულებასა თუ ჟურნალებში, მაგრამ ერთად თავმოყრილი ამ ურთიერთობის მთლიანი სურათის ერთგვარ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს“.

ჩვენი მხრივ შეგვიძლია თამამად განვაცდადოთ, რომ ავტორის მიერ მოკრძალებით აღნიშნული „ერთგვარი მცდელობა“ მართლაც წარმატებული და გარკვეული თვალსაზრისით უნილკალურია, რადგან ნარკვევების ორივე ტომში ძირთადად პირველადაა დასმული და გადაჭრილი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ირანისტიკის ბევრი აქტუალური საკითხი.

რაც შეეხება ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორიის შესწავლას, ამ საკითხს ალექსანდრე გვახარიას წარმოდგენილ ნაშრომში დიდი მნიშვნელობა ეთმობა და მკვლევარი გარდა პრობლემის ქრონოლოგიური დისკურსით წარმოჩენისა, ფაქტობრივად, ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართა შესანიშნავ პორტრეტებს გვიხატავს. ახლოდან გვაცნობს მათ პიროვნულ, შემოქმედებით და სამცნიერო ინტერესებს, ბევრ ისეთ დეტალს, რაც მნიშვნელოვანი იყო მათ მეცნიერულ მოღვაწეობაში.

ბატონი ალექსანდრე გვახარიას ღვაწლი არამხოლოდ საქართველოში, ირანში და მთელ მსოფლიოში სათანადოდ იყო დაფასებული. საგულისხმოა, რომ მისი გარდაცვალებისას ირანული სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობები შემდეგნაირად იყო დასათაურებული: „გარდაიცვალა ყველაზე დიდი ქართველი ირანისტი.[1]

[1] ბოზორგთარინ ირანშენასე გორჯი დარგოზაშთ, „ირნა“, 2002

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ერთგვარი ნაკლი, თუ შეიძლება ამას ზოგადად ნაკლი ეწოდოს, ამ კვლევათა არასათანადო რეკლამირება ანუ როგორც დღეს უწოდებენ, სუსტი ფიარი იყო. ისე, რომ თვითონ ირანშიც კი, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იყვნენ ინფორმირებულნი ქართველ მეცნიერთა მიერ ირანისტიკაში შეტანილი წვლილისა და იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესახებ, რომლებიც ჩვენს მეცნიერებს ამ დარგში წარმატებით ჰქონდათ ნაკვლევი და გადაჭრილი. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს გახსნის დღიდან ბოლო ხანებამდე ჩვენს დიპლომატიურ მისიაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქარული კულტურისა და კერძოდ ქართველ ირანისტთა ნაშრომ-ნაღვაწის პოპულარიზაციას.

თავდაპირველად ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს პირველი ელჩი ირანში პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი თვითონვე ბრძანდებოდა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ირანისტი.

სწორედ ბატონი ჯემშიდის თაოსნობით განხორციელდა ბევრი ისეთი ინციატივა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის, ასევე ამ ისტორიის საკითხთა კვლევისათვის. კერძოდ, 1996 წლიდან საქართველოს საელჩო პერიოდულად, ქართველ მწერლათა და მეცნიერთა დაბადების თარიღებთან ანდა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით აქვეყნებდა თემატურ გვერდებს, რომელიც მიზნად ისახავდა ირანელი მკითხველი საზოგადოების ინფორმირებას ჩვენს ისტორიასა და თანამედროვეობაზე, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ტენდენციებსა და მსოფლიო მეცნიერებაში დამკვიდრებული კლიშეების მართებულობის თაობაზე.

წამყვან ირანულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ამ საინფორმაციო გვერდების მნიშვნელობა ცხადი გახდება, თუ გავიცნობიერებთ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ ქართველების შესახებ ბოლო ხანებამდე ირანში ბევრი არასწორი შეხედულება იყო გავრცელებული, რასაც ხელს უწყობდა ზოგი ადგილობრივი დიასპორის ტენდენციური წარმომადგენელი და ასევე ინგლისურიდან საქართველოს შესახებ სპარსულად თარგმნილი რამდენიმე წიგნი, სადაც ქართული დამწერლობაც კი სხვათა, არაქართველთა შემოქმედების ნაყოფად არის გამოცხადებული.

მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის დევიდ მარშალ ლენგის ნაშრომი „ქართველები“, რომლის სპარსული თარგმანი არაერთხელ გამოიცა[1] და იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა იქაურ სამეცნიერო წრეებში, რომ ამ სტრიქონების ავტორს, მაშინ თეირანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტს, მისმა ლექტორმა, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორმა ქართველებისა და ქართული მწერლობის შესახებ მოხსენების გაკეთება სწორედ ლენგის ნაშრომის მიხედვით დაავალა. სწორედ მაშინ გაცხადდა ჩვენთვის ბევრი ისეთი ტენდენციური დეტალი, რითაც ხასიათდება ამ ინგლისელი, თავისთავად არცთუ ურიგო მეცნიერის ნაშრომები.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფაქტების სწორად გაშუქებასა და ირანელი საზოგადოებისათვის ისეთი დამჯერებელი ტონით მოწოდებას, რომ რეალობა თავისთავად გამოკვეთილიყო და ანგარებით ნაკარნახევი განზრახ დამახინჯებული სურათი შეეცვალა.

საქართველოს საელჩოსა და პირადად ელჩის, ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილის ძალისმხევით მომზდებულმა სპეციალურმა გვერდებმა ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ახვლედიანისა და ხხვა ქართველ

[1] დევიდ მარშალ ლენგ, გორჯიჰა, თარჯომეიე ფარსი ჰუშანგე დანეშ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მეცნიერთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც 1996-99 წლებში პერიოდულად იბეჭდებოდა გაზეთების: „ფარჰანგე აფარინეშ“, „ირან“ და „ირან ნიუსის“ ფურცლებზე ზემოაღნიშნულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. მოკრძალებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი მასალებში გაზეთის თითქმის ერთი გვერდი ჩემს სტატიასაც დაეთმო, სათაურით, „ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემოქმედება“.[1]

საგაზეთო სტატიების გარდა წარმატებით მუშაობდა საქართველო-ირანის სამეცნიერო კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემათა სერიით დასტამბული წიგნები, რომელთა გამოცემაც ისევ ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილის თაოსნობით ხორციელდებოდა. ორენოვანი გამცემები (მაგალითად, დავით კობიძის მერ თარგმნილი „ბუსთანის “ფრაგმენტები ქართულ და სპარსულ ენებზე, ვახუშტი კოტეტიშვილის მერი თარგმნილი იმამი ხომეინის მისტიკური ლირიკის ნიმუშები „სიყვარულის ღვინო“, „დედაენა და სხვ.) ფერეიდნელი ქართველებისათვის მშობლიური ენის ათვისების კარგ საშუალებას წარმოადგენდა. ხოლო ირანელი მეცნიერების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები ან სამეცნიერო ნაშრომები საქართველოზე ჩვენი ქვეყნის რეალურად ჩვენების წარმატებულ ხერხად მოგვევლინა.

1997 წელს დოქტორმა ბაჰრამ ამირაჰმადიანმა სპარსულად თარგმნა აკადემიკოს როინ მეტრეველის ნაშრომი „საქართველო“[2], ერთი წლის შემდეგ კი თვითონვე შექმნა ორიგინალური წიგნი „საქართველოს გეოგრაფია“[3], რასაც 2004 წელს ვრცელი ნაშრომი „საქართველოც“ მოაყოლა.[4]

დღეს უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ დოქტორ ბაჰრამ ამირაჰმადიანის დაუღალავმა მეცადინეობამ პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ირანში საქართველოს სამეცნიერო და აკადემიურ ათვისებას. ამ გზაზე კი მას უკვე ტომით ქართველებმაც შეაშველეს ხელი და ჩვენმა ფერეიდნელებმა საქართველოს შესახებ ირანელთა წარმოდგენა არერთი მნიშვნელოვანი წიგნით გაამდიდრეს. მათგან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ფერეიდნელი მასწავლებლისა და აგრონომის ნუგზარ ლაჩინანის მიერ შედგენილი „სპარსულ-ქრთული ლექსიკონი“, რომელიც ამ ტიპის ნაშრომის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს და მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ამით ყურადღებას ბუნებრივია, მაინც იმსახურებს.[5]

საქართველოს საელჩოსა და პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის ერთ-ერთი წარმატებული პროექტი უდავოდ იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სპარსული თარგმანი, რომელიც თეირანის ალამე თაბათაბაის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტმა ფარშიდ დელშადმა შეასრულა. პრაქტიკულად, საელჩომ და ბატონმა ჯემშიდმა წაახალისეს ახალგაზრდა ირანელი მკვლევარი, რომელიც სამაგისტრო თემაზე „ვეფხისტყაოსნისა“ და სპარსული ლიტერატურის მსგავსებათა და თავისებურებათა ანალიზზე მუშაობდა, რომ თავისი ნაშრომისათვის თან დაერთო ქართული პოემის სრული თარგმანი, რომელიც მოგვიანებით, 1999 წელს, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით, ცალკე, სოლიდურ ტომად დაიბეჭდა და ირანულ სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში დიდი გამოხმაურებაც გამოიწვია.[6]

---

[1] „ხალაყიიათე ადაბიე ილია ჩავჩავადზე“, (ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა), გაზეთი ფარჰანგე აფარინეშ, 1998 წლის 27 ოქტომბერი.

[2] აქადემისინ როინ მეთრეველი, გორჯესთან, თარჯომეიე ფარსი დოქტორ ბაჰრამ ამირაჰმადიან, თეჰრან, 1996

[3] დოქთორ ბაჰრამ ამირაჰმადიან „ჯოღრაფიაიე გორჯესტან“, თეჰრან, 1998

[4] დოქთორ ბაჰრამ ამირაჰმადიან, „გორჯესთან“, 2005

[5] ნუგზარ ლაჩინანი, სპარსულ-ქართული ლექსიკონი, თეჰრან, 2007

[6] „ფალანგინეფუშ შაჰქარე შოთა რუსთაველი, თარჯომეიე ფარსი, ფიშგოფთარ ო ჰავაში ფარშიდე დელშად“, თეჰრან, 1998

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ირანელები გულწრფელ აღტაცებასთან ერთად ზოგჯერ ღიად აკრიტიკებდნენ მთარგმნელის შემოქმედბით პოზიციას, რომელმაც თავისი თარგმანი არქაული ლექსიკითა და კონსტრუქციებით გადატვითა და ამით შეეცადა მოეცა შოთა რუსთაველის ეპოქის ენობრივი სურათის სპარსული ადეკვატი.

თუმცა, ირანელ მკვლევართა და ლიტერატორთა შეფასებით, მას ზოგჯერ ზომიერების გრძნობამ უღალატა და ტექსტი ადგილ-ადგილ ბუნდოვანი ან მეტისმეტად გადაპრანჭული გამოვიდა.

თუმცა, ცხადია, ლაფსუსებს, უზუსტობებს, სტილისტურ და აზრობრივ გადაცდენებს ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭებოდა იმ შემთხვევაში, თუკი გავითვალისწინებდით იმ ობიექტურ გარემოებას, რომ ეს იყო რუსთაველის გენიალური პოემის პირველი სრული თარგმანი სპარსულად (მანამდე რამდენიმე ფრაგმენტი XX საუკუნის 60-იან წლებში თარგმნა ირანელმა ემიგრანტმა მორთეზა ფათემიმ და ეს ფრაგმენტები დ. კობიძის სპარსული ლიტერატურის ქრესტომათიის II ტომში დაიბეჭდა), რომელიც ძალიან ახალგაზრდა კაცმა, პრაქტიკულად შიველი ენთუზიაზმის ხარჯზე შეასრულა.

ამიტომაც ბუნებრივი იყო ის დადებითი რეაქციაცა და გადამეტებულად საქებარი რეცენზიებიც, რაც საქართველოში ამ თარგმანს შევაგებეთ. კერძოდ, სპარსული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისთანავე გაზეთ „სამშობლოში“ დაიბეჭდა ჩემი რეცენზია „ესე ემბავი სპარსულად“, სადაც სპარსული თარგმანის სხვადასხვა ასპექტს ვაანალიზებდი.[1]

ხოლო ცნობილი ქართველი ირანისტი თეა შურღაია წერდა: „ქართველი თუნდაც რიგითი მკითხველისათვის არ არის საჭირო იმ ღვაწლისა და დამსახურების შეხსენება, რაც ქართველ მთარგმნელებსა და ირანისტებს მიუძღვით სპარსული ენისა და ლიტერატურის წინაშე. სამწუხაროდ, ირანელ მკითხველს თითქმის არა აქვს საშუალება, გაეცნოს ქართული ლიტერატურის ნიმუშებს მშობლიურ ენაზე. ვფიქრობთ, ირანელებმა და ქათველებმა ერთობლივად უნდა იზრუნონ ამ ვითარების გამოსასწორებლად და ალბათ ქართველებს მეტი მონდომება გვმართებს.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს 1998 წელს თეირანში საქართველოს საელჩოს თანადგომით „ვეფხისტყაოსნის“ სრული პროზაული თარგმანის გამოცემა, რომელიც ინგლისური, არაბული, ტაჯიკური და გარკვეულწილად რუსული თარგმანებიდან არის შესრულებული.“[2]

თეა შურღაიას დამოწმებული ციტატი მოგვაქვს მისი წინასიტყვაობიდან, რომელიც ქართველმა მეცნიერმა თავისი და „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულად მთარგმნელის ფარშიდ დელშადის ერთობლივ ნამუშევარს – კრებულს „ათას ერთი ქართული ანდაზა“ დაურთო.[3]

აღნიშნული კრებული 2002 წელს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამომცემლობაში, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის იმდროინდელი ელჩის აქბარ ამინიანის ინიციატივითა და თანადგომით და ირანში საქართველოს მაშინდელი ელჩის, პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის რედაქტრობით დაიბეჭდა და პრაქტიკულად ეს იყო უშუალოდ ქართულიდან თარგმნილი ქართული ფოლკლორის ნიმუშების წიგნად გამოცემის პირველი პრეცედენტი სპარსულ ენაზე.

---

[1] გაზეთი „სამშობლო“., № 30, 1999

[2] შოთა რუსთაველი, „ფალანგინეფუშ“ თარჯომეიე ფარსი: იუსეფე ქაზემფურ, ზირე ნაზარე მაგალი თოდუა, ენთეშარათე დანეშგაჰე გილან, 1999

[3] „ათას ერთი ქართული ანდაზა“, ქართულიდან სპარსულად თარგმნეს და განმარტებანი დაურთეს ფარშიდ დელშადმა და თეა შურღაიამ, თეირანი, 2002

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ამ თარგმანის დასახასიათებლად საჭიროა აღინიშნოს ის ენობრივი სისხარტე და უბრალოება, რაც სპარსულად ქართულ ანდაზებს სასიამოვნოდ საკითხავს ხდის და რა ღირსებაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ასე აკლდა ფარშიდ დელშადის თარგმნილ რუსთველის პოემას, რომელმაც სპარსული თარგმანი ზედმეტი არქაიზაციით გადატვირთა.

სამაგიეროდ, ენობრივი ურბალოება და სისადავე გამოარჩევს რუსთაველის პოემის მეორე სპარსულ თარგმანს, რომელიც პირველი თარგმანის გამოსვლიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში გამოიცა და თითქოს გარკვეული შეჯიბრი ჰქონდათ გამართული სპარსელ მთარგმნელებსა და მათ ქართველ კონსულტანტებს, ვინ უკეთ გაართმევდა თავს დასახულ ამოცანას.

თუ ფარშიდ დელშადის მიერ შესრულებულ თარგმანი რითმანარევი, რიტმული პროზაა, პროფესორ მაგალი თოდუას თანადგომითა და თანამონაწილეობით, გილანელი მეცნიერის იუსეფ ქაზემფურის მიერ გასპარსულებული პოემა პროზაულად არის მოთხრობილი, სადად და, ფარშიდ დელშადისაგან განსხვავებით, ხაზგასმულად თანამედროვე ენით.

იუსეფ ქაზემფურის ღვაწლი ქართულმა საზოგადოებრიობამ სათანადოდ დააფასა და თარგმანის გამოცემისთანავე მთარგმნელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ცხადია, ყველაზე რთული დღეს მიმდინარე ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაა, რადგან პროცესი ჯერ კიდევ დუღს და ბევრი ასპექტი ალბათ დღევანდელი ურთიერთობებისა სამომავლოდ გახდება ცნობილი.

მაგალითად, ჩვენი საგრანტო მივლინების ფარგლებში, 2010 წელს ვიმყოფებოდით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, სადაც სხვა ღონისძიებებთან ერთად, მონაწილეობა მივიღეთ ქართული ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარში, რომელიც საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, თეირანის წიგნის საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში გაიმართა. ამ სემინარზე წარმოვადგინე მოხსენება თანამედროვე ქართული პოეზიის საკითხებზე.

მოხსენებამ ისეთი ინტერესი აღძრა, რომ გადაწყდა, ერთ-ერთ თანამედროვე ირანელ პოეტთან, ალი მოჰამადზადესთან ერთად ვთარგმნო და გამოსაცემად მოვამზადო თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია.

ამავე სემინარზე მოხსენებით გამოვიდა ირანისტი თეა შურღაია მისი მოხსენება თანამედროვე ქართული პროზის საკითხებსა და სპარსული ლიტერატურის ქართულ თარგმანებს შეეხებოდა.

აღნიშნულ პერიოდში ირანის მხარემ ისარგებლა თეა შურღაიასა და ჩემი იქ ყოფნის შესაძლებლობით და მიგვიწვია ირანის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ომარ ხაიამისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილების მისაღებად.

თეა შურღაიამ წაიკითხა მოხსენება ომარ ხაიამის ქართული თარგმანებზე, ხოლო ჩემი სამეცნიერო სიტყვის სათაური იყო „ომარ ხაიამი მისი ერთი ქართველი მთარგმნელის თვალით“.

ჩვენი გამოსვლები ფართოდ გაშუქდა ირანის პრესითა და ტელევიზიით. კიდევ ვიმეორებთ, ყოველ ასეთ ინიციატივას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურული, და არა მხოლოდ ლიტერატურული კავშირების განვითარებისათვის, თუმცა მიმდინარე პროცესების კვლევა უკვე ხვალინდელ მეცნიერთა საქმეა.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ბიბლიოგრაფია

იუსტინე აბულაძე
1874-1962

ბიბლიოგრაფია:

1. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი „ძველი საქართველო *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული), ტ. I, განყოფ. II, გვ. ვ. 113-194
2. აბულაძე იუსტინე, მოსე ჯანაშვილის ახალი ნასრომის გამო, სახალხო გაზეთი, 1910 №181-184. 1910
3. კიდევ მ. ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო, „სახალხო გაზეთი“, 1911, №209, 210, 212. გადმობეჭდილია კრებულში, იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967
4. „შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“, ტ. I თბილისი , 1916
5. „შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“ ტ. II, თბილისი, 1934.
6. ომარ ხაიამი, რობაიები , სპარსულიდან თარგმნა და განმარტებანი დაურთო იუსტინე აბულაძემ, ჟურნალი კავკასიონი, თბილისი, 1924.
7. ვეფხისტყაოსანი, გამოსაცემად მოამზადა იუსტინე აბულაზემ, 1914
8. ვეფხისტყაოსანი, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ
9. „ვისრამიანი“, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, 1938
10. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, დართულია ვეფხისტყაოსანზე, 1951 წ.
11. ი. აბულაძე, რუსთველოლოგიური შრომები, კრებული გამოსქცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ, თბილისი 1967 წ.
12. აბულაძე იუსტინე, წერილი რედაქციის მისამართით, გაზეთი კომუნისტი 1924 წ.
13. გადამწერის ერთი შეცდომის გამო ლიტერატურული გაზეთი 1958წ. №2
14. აბულაძე იუსტინე , „ვეფხისტაყოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის, თსუ შრომები, 1942, XXV, გვ. 125-126.
15. ვეფხისტყაოსნის ერთი ტრადიციული ადგილის შესწორებისათვის, თსუ შრომები, 1951, ტ. 45, გვ. 117-118
16. აბულაძე იუსტ., ავთანდილის ეტიმოლოგიისათვის „გაზეთი ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945. 12 იანვარი №2 (56); გადმობეჭდილია კრებულში, იუსტინე აბულაზე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბილისი 1967, გვ. 275-276
17. აბულაძე იუსტინე, ვეფხისტყაოსნის 26-გამოცემიდან, პოემის ენის ხალხურობა გვ. 232-251
18. აბულაძე იუსტინე, „რუსთაველი თუ რუსთველი“, გაზეთი კომუნისტი, 3247, 1934.
19. „ვეფხსიტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელის „ტარიელი“ და ავთანდილი“ გამო., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1936 წ. ტ. III, გვ. 182-184
20. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ვითარება ვახტანგის რედაქციასთან დაკავშირებით. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 №7-8.
21. სახელის „სასან“-ის ეტიმოლოგიისათვის, თსუ შრომები, 1936წ.
22. სამი გოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის (ბაბითი, ბაგინეთი, ოზურგეთი), თსუ შრომები, 1939. ტ. X, გვ. 279.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

გიორგი ახვლედიანი
(1887-1973)

ქართული ირანისტიკის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, როგორც სავსებით სამართლიანად არის შენიშნული სპეციალური ლიტერატურაში, მრავალმხრივი მკვლევარი იყო და ლინგვისტური მეცნიერების რამდენიმე დარგში უხდებოდა მოღვაწეობა. ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, ლოგოპედია, ინდოევროპული ენები, ქართველური ენები, – ამ სფეროებში ახველდიანმა ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა. ირანისტიკაში გიორგი ახვლედიანი მოღვაწობდა უფრო როგორც ენათმეცნიერი, რომელიც იკვლევდა ინმდოირაულ ენათა შედაებით ტიპოლოგიას, მაგრამ ქართულ ირანულ ლიტერატურულ ურთიერთობებზეც აქვს რამდენიმე ფუნდამენტური სტატია და რაც მთავარია, მის კალამს ეკუთვნის ავესტას – ძველი ირანული რელიგიების უმნიშვნელოვანესი წიგნის ფრაგმენტთა პირველი ქართული თარგმანები და არაჩვეულებრივად ტევადი კომენტარები ამ წიგნის ცალკეულ პასაჟთა შესახებ, რასაც დღესაც კი არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული თირებულება და მნიშვნელობა.

<u>ბიბლიოგრაფია*</u> (ბიბლიორაფიაში ვიძლევით არ ნაშრომთა სრულ ნუსხას არამედ ჩვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალს)

1918

1. დასაბამი ნივთთა (რიგ-ვედა, X ჰიმნი 129), თარგმანი ძველი ინდურიდან – პრომეთე, 1918 №3, გვ. 57-59

ძველი ინდურიდან თარგმნილი უმნიშვნელოვანესი ძეგლის რიგვედას (ჰიმნთა ცოდნას) მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, რომელიც ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა. რიგვედა ითვლება ინდოირანული ლიტერატურის ერთ-ერთ დასაბამად. გიორგი ახვლედიანის თავრგმანის ღირსება ისიცაა, რომ ის არ კმაყოფილდება ძეგლის ხოლოდ ქართუკლად გადმოღებით და თარგმანს თან ერთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო აპარატი. ცალკე და განსაკურებით არის არსანიშნავი ტარგმანის მაღალმხატვრულობა და ის შესანიშნავი ქართული, რითაც ამეტყველებულია დიდი მეცნიერის ერთ-ერთი პირველი ნახელავი.

1924

2. ირანის ლიტერატურიდან. იასნა 29, იასნა 30 – ჩვენი მეცნიერება, 1924, №2(14), გვ. 97-102.

არნიშნულ თარგმანში ორგანულად გრძელდება რიგვედას სტილისტიკა, რომელიც ამ შემთხვევაში ძველი ირანული რელიგიების საღვთო წერილშია კონცენტრირებული.

1942

3. ზოგიერთი არაირანული ტომის დასახელების საკითხისათვის აქემენიდთა ლურსმულ წარწერებში, მოხსენების თეზისები – საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების მე-8 სამეცნიერო სესია. 1942 წლის 24, 26 და 27 ოქტომბერი, მუშაობის გეგმა და მოხსნებათა

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თეზისები. თბილისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; თბ. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1942, გვ. 15.

ამ მნიშვნელოვან გამოკვლევაში აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი ეხება ქართველური და ზოგი კავკასიური ტომის სავარაუდო დასახელებებს აქემენიანტა ლურსმულიწარწერების კორპუსში და მოაქვს ამ წარწერატა მისითვის საინტერესო ფრაგმენტების იმ დროისათვის პირველი ქართული ტარგანები. მნიშვნელოვანია, რომ გიორგი ახვლედიანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დღემდე არ დაუკარგავს სამეცნნიერო მნიშვნელობა.

1943.

4. აქემენიდთა ლურსმული წარწერების maciya ხალხის იდენტიფიკაციის საკითხისათვის. – საქართველოს სსრ მეცნიერებატა აკადემიის მოამბე ტ. IV №5, 1943, გვ. 483-489. – რეზიუმე რუსლ და ინგლისურ ენებზე.

აღნიშნული სტატია დაახლოებით ერთი წლის წინ მეცნიერის მიერ სამეცნიერო კონფერეციაზე წაკიყხული მოხსენების ოდნავ გავრცობილ ვარიანტს წარმოადგენს. ისევე, როგორც 1942 წლისოქტომვერსი წაკიტხულ მოხსენებაში, ამ სტატიაშიც გიორგი ახვლედნია სვამს საკიტხს, რომ აქემენიდატა ლურსმულ წარწერებში macya-ს სახელით მოხსენიებულ ხალხი შესაძლოა, ართველური ზანური ტომების წინაპართა ირანული სახელწოდება იყოს.

1944

5. ავესტა – იასნა 9 (ტარგმანი და კომენტარი) წიგნში ლიტერატურული ძიებანი, ტ. 2. თბ. საქართველოს მცენიერებათა აკადემიის გამომცემლოაბვ. გვ. 1-4.

1949

6. აკად. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისება და ჩვენი უახლოესი ამოცანები. მოხსენების გეგმა ენის ისნსტიტუტის მე-6 სამეცნიერო სესია მიძღვნილი აკადემიკოს ნ. მარის ხსოვნისადმი 1949 წ. 29-30 დეკემბერს და 1950 წ. 8 იანვარს, მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები. თბილისი საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949. გვ. 5

როგორც მოხსენების სათაურიდან ჩანს, წარმოდგენილ გეგმაში ძირითადად განხილულია აკადემიკოს ნ. მარის ენატმეცნიერული მემკვიდრეობის საკიტხება, თუმცა გ., ახვლედიანი ეხება მარის, როგორც ირანისტის მოღვაწობის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს და გვაძლევს არაჩვეულებრივად ზუსტ შეფასებას ამ ასპექტების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისა.

1958

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

7. 1. ორი ქება რიგ-ვედიდან. 2. ორი გალობა ავესტის გატებიდან (თარგმანი შენიშვნებითურთ). 1. რიგ-ვედა 2. ავესტა – მნათობი, 1958, №8, გვ. 24-31

რიგ-ვედისა და ავესტის ფრაგმენტტა ამ პუბლიკაციაში აკადემიკოსი გ. ახვლედიანი ხელშესახებად წარმოაჩენს ინდური და ირანული ლიტერატურების სიღრმისეულ ურთიერთკავშირებს.

8. ძველ ირანელთა სოციალური, პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი ავესტის გატების მიხედვით (29-ე და მე-4 გათას შინაარსობრივი ანალიზი. მოხსენების ტეზისები – თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფალულტეტის მე-3 სამეცნიერო სესია 8-11 აპრილს 1958 წ. მუშაობის გეგმა და მოხსენებატა ტეზისები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958, გვ. 9)

გიორგი ახვლედიანის ტარგმანის სტილისტიკა რომ საკიტხის სიღრმისეულ ცოდნასა და მეცნიერულ თეორიებს ეფუძნება, კარგად ცანს ზემოთ დამოწმებული მოხსნების მაგალიტზე. წარმოდგენილ მოხსენებაში მეცნიერი გამოწვლილვით აანალიზებს ძველ ირანელთა იმ საკულტო, სოციალურ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ წამოდგენებს რაც მის მიერ თარგმნილი ტხზულების განხილულ ფრაგენტებში აისახა. აქვეგიორგი წერეთელი საგუყლისხმო პარალკელებს ავლეგებს საანალიზო მასალასა და ქართულ ხალხური რწმენა წარმოდგენების ანალოგიებს შორის.

1959

9. პიროვნების სახელის შესახებ (თამარა და უშანგი თუ თამარ და უშანგ?) – თბილისი. 1959 10 ივნ. გვ. 3.

პოპულარული ენით დაწერილ ამ სტატიაში, დიდი მეცნიერი ეხება ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერტ ბების ისეთ საკიტხებს, როგორიცა ა ფირდოუსის შაჰნამეს კვლევა და ადაპტირება ძველ საქართველოში, შაჰნამეში დამოწმებულ ძველ ირანულ საკუთარ სახელთა ფონეტიკური და ლიტერატურული ტრანსფორმაციის გზები ქართულ გარემოში და ა. შ.

1962

10. გალობა 45 (ავესტის გათებიდან) – თბილისის უნივერისტეტის შრომები ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 3. 1962. გვ. 39-41

1964

11. გალობა 28 (ავესტის გატებიდან) – თბილისის უნივერისტეტის შრომები. ტ. 108, 1964. გვ. 67-68

1965

12. ავესტა გალობა 9 – გათა-გალობა 29-30. გათა-გალობა 44-45 (თარგმანი ირანულიდან გ. ახვედიანისა) კრებულში არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბილისი „საბჭოთა საქართველო“ , 1965, გვ. 77-87
13. დასაბამი ნივთთა (რიგ-ვედა, X, 129), ცისა და დედამიწისადმი (რიგ-ვედა1, 185) ტარგმანი სანსკრიტიდან გ. ახვლედიანისა) კრებულში „არმაღანი“

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

(აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1965 წ. გვ. 9-10

1966

14. წინასიტყვაობა წიგნში კალიდასა ა შაკუნტალა. თარგმნა სანსკრიტიდან და კომენტარები დაურთო გრიგოლ ნახუცრიშვილმა. რედაქცია გ. ახვლედიანისა. თბილისი „ნაკადული“. 1966. გვ. 5-12

1967

15. გათა გალობა 53 თბილისი უნუვერსიტეტის შრომები, ტ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 6, 1967, გვ. 71-72

1968

16. ვარშაყიანი (საფალავნო-სათავგადასავლო ამბების კრებული) . კრ-ქართული ლიტერატურის საკიტხები (ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი),. თბილისი 1968, გვ. 39-60

ამ ვრცელ 21 გვედიან გამოკვლევაში დიდი მეცნიერი ეხება XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე შედენილი სარაინდო მოთხრობათა კრებულის სტილისტიკისა და რაც მტავარია გენეზისისი საკიტხებს. დაწვრილებით აანალიზებს წიგნში შესულ ითოეულ მოთხრობას და ზოგ შემთხვევაში მარჯვედ უძებნის ირანულ ანალოგებს.

1969

16. ჰიმნი ინდრასა და აგნისადმი რიგვედა, III, 12) წინასწარმრამდენიმე განმარტება კრებულში ქარტული ფოლკლორი. მასალებუიდ აგამოკვლევები III. თბ. „მეცნიერება, 1969. გვ. 90-91.

1970

17. ავესტის გატებიდან (გალობა 34) თარგმანი კომენტარებით. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B1 (138). ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 1971. გვ. 149-150

1977

18. ავესტის გათები (გალობანი), თარგმანი გ. ახვლედიანისა. რედაქტორი მზია ანდრონიკაშვილი. თბ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1977
19. ავესტა, გათები (გალობანი) 17 გათა, წიგნშიო ირანული პოეზია, თბილისი „საბჭოთა საქართველო“, 1977, გვ. 35-73) (მოსფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. პირველი სერია. ტ. 9)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დავით კობიძე,
1906 -1981

1. ქართულ სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებიდან . რუსტაველისა ა ნიზამის ურთიერთობისთვის, ლიტერატურული ძიებანი, 1947, ტ. III, გვ. 203-223.
2. ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 91, აღმოსავლეთმოცდნეობის სერია, გვ. 133-159, 1960
3. კვლავ ვისრამიანის საკიტხები და სხვა (რეცენზია მაგალი თოდუას ნაშრომზე ქართულ-სპარსული ეტიუდები“, თბიისი მეცნიერება 1971), მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №1, გვ. 168-187
4. იუსტინე აბულაძის ცხოვება და მოღვაწეობა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, თ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1964,
5. კობიძე დავით, ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები, ჟურნალი ცისკარი №, გვ. 118-126, 1972
6. სპარსული ლიტერატურის ისტორია, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975
7. სპარსული ქრესტომათია, წიგნი I< სპარსული და ტაჯიკური მხატვრული ლიტერატურის კლასიკური პერიოდი (X-XV საუკუნეები), თბილისი, ცოდნა, 1963
8. სპარსული ქრესტომათია წიგნი II, თანამედროვე პროზა და პოეზია (სპარს. ენაზე აღმოსავლეთმოცდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967
9. კობიძე დავით, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, ტ. I, თბილისის სახელმწფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტ. 1983
10. კობიძე დავით, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, ტ. II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969
11. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, ტ. III თბილისი სახელწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.
12. კობიძე დავით, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების ლექსიკის საკითხები, თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970

ალექსანდრე გვახარია
1937-2002

ბიბლიოგრაფია

1. ალექსანდრე გვახარია. ნიზამი და საქართველო. გარდაცვალებიდან 750 წლისთავის გამო // მნათობი. – 1953. – 12. – გვ.169-74
2. ალექსანდრე გვახარია. “სიბრძნე სიცრუის” ერთი არაკის შესახებ. სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისის უნივერსიტეტი. 1955. – 7. – გვ.117-125.
3. ალექსანდრე გვახარია. ქართულ-აღმოსავლურ ლიტერატურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი [illegible] კ.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საიუბილეო კრებული. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე. – 1959. – გვ.97-109
4. ალექსანდრე გვახარია. ქართულ-აღმოსავლურ ლიტერატურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აკად. კ. კეკელიძის შრომებში. საიუბილეო კრებული. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე. – 1959. – გვ.97-109
5. ალექსანდრე გვახარია. ალიშერ ნავოის უცნობი ქართული თარგმანი. დაბადებიდან 525 წლისთავის აღსანიშნავად. ცისკარი. – 1968. – 9. – გვ.146-148
6. ალექსანდრე გვახარია. იური ნიკოლოზის ძე მარი. აღმოსავლეთმცოდნე. დაბადების 80 წლისთავის გამო. მაცნე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. 1973. – 4. – გვ.188-193.
7. ალექსანდრე გვახარია. იუსტინე აბულაძე – ვისრამიანის მკვლევარი. შრომები. თბილისის უნივერსიტეტი. 1976. გვ.43-48.
8. ალექსანდრე გვახარია. თეიმურაზ პირველი – მეფე-პოეტის შემოქმედება. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. 1983. – 2. – გვ.4-16.
9. ალექსანდრე გვახარია. "ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან. შრომები. თბილისის უნივერსიტეტი. 1983. – ტ. 241. – გვ.73-78.
10. ალექსანდრე გვახარია. მასწავლებელთა მასწავლებელი. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. – 1984. – 1. – გვ.81-87.
11. ალექსანდრე გვახარია. "ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის გასწორებისათვის (პირმან ბროლბალახძეულმან-ის ადგილის გასწორებისათვის) ლიტერატურა და ხელოვნება. 1991. – 4. – გვ.154-156.
12. ალექსანდრე გვახარია. კიდევ ერთხელ "სარაჯის" შესახებ "ვეფხისტყაოსანში". ალექსანდრე გვახარია. მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკდემია. 1994. – 1-4. – გვ.5-12. – (ენისა და ლიტერატურის სერია).
13. ალექსანდრე გვახარია. ფიქრები დავით გურამიშვილზე ანუ მოგზაურობა "დავითიანის" ფურცლებზე. გარდაცვალებიდან 200 წლისთავის გამო. მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 1993. 3-4. – გვ.5-26. (ენისა და ლიტერატურის სერია).
14. ალექსანდრე გვახარია. აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე და აღმოსავლური რენესანსის ზოგიერთი საკითხი. .ფილოსოფია. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 317. – 1995. – გვ.140-146.
15. ალექსანდრე გვახარია. იური მარი და ვლადიმერ ფუთურიძე. მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 1993. – 2. – გვ.10-14. (ენისა და ლიტერატურის სერია).
16. ალექსანდრე გვახარია. ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან (ნაღები). ქართული წყაროთმცოდნეობა. თბილისი, 1993. – ტ. VIII. – გვ.126-131.
17. ალექსანდრე გვახარია. ალექსანდრე ბარამიძე – ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარი. მაცნე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. 1992. – 2. – გვ.128-134. – (ენისა და ლიტერატურის სერია)
18. ალექსანდრე გვახარია. დავით კობიძე – ქართულ-სპარსული ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარი (დაბადების 80 წლისთავის გამო) მაცნე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. 1987. – 2. – გვ.198-202.
19. ალექსანდრე გვახარია. ქართული ფირდოუსიანას ახალი შენაძენი. (შაჰნამეს 1000 წლისთავი). მწიგნობარი. 1997. გვ.13-17

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

20. ალექსანდრე გვახარია. ავთანდილ გადინადირა (ე. ქორიძე-”ვეფხისტყაოსნისა” და “ტარიელიანის” ურთიერთმიმართება” მონოგრაფია. 1937. წ.). მწიგნობარი. 2001. გვ.256-258.
21. ალექსანდრე გვახარია. ორი კრებული და ორი გახსენება (გურამ ჭილაშვილისა და გურამ ასათიანის გახსენება. დაბადების 70 წლისთავის გამო). მწიგნობარი. თბილისი, 1999. – გვ.255-259.
22. ალექსანდრე გვახარია. “ვეფხვისტყაოსნის” აღმოსავლური ლექსიკიდან (მახალი, ნასი, ხლა). სამეცნიერო შრომების კრებული: შოთა რუსთაველი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2000. ტ. 1. გვ.269-271
23. ალექსანდრე გვახარია. “არილი” – ჩვენი უმცოსი მეგობარი ნ. კაკაბაძე. არილი. 2001. 4. გვ.3
24. ალექსანდრე გვახარია. “ნურასოდეს დაბერდებით” (ნიკო ყიასაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო). არილი. – 2001. 17. – გვ.1-2.
25. ალექსანდრე გვახარია. ვეფხისტყაოსნის” რამდენიმე ტაეპის აღმოსავლური კომენტარი (პოემის რამდენიმე სტროფის – “მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული”, “გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა” და სხვათა განხილვა აღმოსავლურ ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მოხმობით). შრომები. თბილისის უნივერსიტეტი. 2002. ტ. 341. – გვ.48-54.
26. ალექსანდრე გვახარია. ქართული ფილოლოგიის დიდოსტატი. (ალექსანდრე ბარამიძის დაბადების 100 წლისთავი. ცხოვრება და მოღვაწეობა). მწიგნობარი 02. თბილისი, 2002. – გვ.269-280.
27. ალექსანდრე გვახარია. კიდევ ერთხელ “იოსებზილიხანიანის” ზაალისეული ვერსიის ლექსიკოლოგიური საკითხების შესახებ. (აღმოსავლური ლექსიკა, რომელიც გვხვდება ხელნაწერ (შ-1283) “იოსებზილიხანიანის” ქართულ ვერსიებში). ენათმეცნიერების საკითხები. 1999. 3. გვ.107-110
28. ალექსანდრე გვახარია. “ვეფხისტყაოსნის” ლექსიკიდან: (დარბაზი) ქართული დიპლომატია : წელიწდეული. – , 2004. – 11. – გვ.23-29
29. ალექსანდრე გვახარია. გიორგი წერეთელი – “ვეფხისტყაოსნის” ლექსიკის მკვლევარი (დაბადებიდან 95 წლისთავის გამო). ენათმეცნიერების საკითხები. 1999. 4. გვ.104-109.
30. ალექსანდრე გვახარია. “ვეფხისტყაოსნის” ლექსიკიდან (დარბაზი). 2004. III. გვ.200-213.
31. ალექსანდრე გვახარია. “ბალავარიანის” ორი ადგილის გაგებისათვის (შუასაუკუნეებში გავრცელებული რომანის “ბალავარიანის” ძველი ქართული ვერსიის წარმოშობის საკითხი). შრომები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1989. ტ. 290. გვ.29-37.
32. ალექსანდრე გვახარია. “ვისრამიანის” ქართული ტექსტის საკითხები. მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2001. 1-4. გვ.183-202. (ენისა და ლიტერატურის სერია)
33. ალექსანდრე გვახარია. გორგანის “ვის ო რამინის” სპარსული ტექსტის საკითხები. (XI საუკუნის შუა წლებში ისპაჰანში დაწერილი ფახრადდინ გორგანის პოემის “ვის ო რამინ” – ის (“ვისრამიანის”) ქართული და სპარსული ვერსიების ტექსტოლოგიური ანალიზი: სპარსული ტექსტის სწორების მაგალითები). მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკდემია. 1999. 1-4. გვ.201-227. (ენისა და ლიტერატურის სერია).
34. ალექსანდრე გვახარია. “ვისრამიანის” ქართული ტექსტის საკითხები. (ტექსტოლოგიური ძიებანი). მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2001. 1-4. გვ.183-202. (ენისა და ლიტერატურის პარტია).

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

35. ალექსანდრე გვახარია. “ვისრამიანის” ქართული ტექსტის საკითხები. მაცნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2003. გვ.141-168. (ენისა და ლიტერატურის სერია).
36. ალექსანდრე გვახარია. კიდევ ერთხელ გორგანის “ვის ო რამინის” სპარსული ტექსტის შესახებ (“ვისრამიანის” ქართული და სპარსული ტექსტების შეჯერების შედეგად სპარსული ტექსტის გასწორების მაგალითები). გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2002. 4. გვ.15-18
37. ალექსანდრე გვახარია. ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის მწვერვალი (“ვისრამიანის” ქართულ – სპარსული ტექსტების შედარება – შეპირისპირების მაგალითები წარმოჩენილი ქართული თარგმანის (სარგის თმოგველი) შეფასების საკითხები). ლიტერატურა და სხვა. 2001. 1(3). გვ.99-111
38. ალექსანდრე გვახარია. იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. შრომები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1960. 91. გვ.467-473
39. ალექსანდრე გვახარია. ვასო აბაევის ხსოვნას (საქართველოში დაბადებული ოსი მეცნიერის, ირანისტ-ენათმეცნიერის ვასილ აბაევის ცხოვრება და მოღვაწეობა, ურთიერთობა ქართველ ენათმეცნიერებთან, საქართველოსა და ქართული ენისადმი მიძღვნილი გამოკვლევები). პერსპექტივა-XXI. 2005. VI. გვ.103-105.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის, ლიტერაურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის ახლო წარსულში დაიწყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწე თურქოლოგების დამსახურებაა ის, რომ თურქული ლიტერატურა ქართველმა მკითხველმა შედარებით ადრე გაიცნო. ქართული ლიტერატურა კი უფრო გვიან გახდა ხელმისაწვდომი თურქი საზოგადოებრიობისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ვერცერთი მთარგმნელი ვერ ბედავდა შესჭიდებოდა ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას თურქულ ენაზე.

1940 წელს ნიაზ აჰმეთ ბანოღლუ დაინტერესდა ქართული ლიტერატურით, მაგრამ მის ინიციატივას ყურადღება არავინ მიაქცია. ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება თურქეთში 1960 წლიდან იწყება.

1969 წელს გერმანულიდან თურქულ ენაზე ითარგმა ნოდარ დუმბაძის "მე ვხედავ მზეს". რამაც თურქი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

რასაკვირველია, ის, რომ თურქი მკითხველი არ იცნობდა ქართულ ლიტერატურას, იყო ძალიან დიდი დანაკლისი. ეს კარგად ესმოდათ აჰმედ ოზგან მელაშვილს, იბრაჰიმ გორაძეს, ჰაირი ჰაიროღლუს. მათ ხელი მოჰკიდეს ქართული ლიტერატურის თურქული საზოგადოებრიობისათვის გაცნობის რთულ საქმეს.

აჰმედ მელაშვილმა 1968 წელს გამოსცა წიგნი "საქართველო".[1] წიგნი თურქ მკითხველს აცნობდა საქართველოს და ქართული ლიტერატურის შესახებაც იყო მცირე ინფორმაცია. მანვე თარგმნა ალექსანდრე ყაზბეგის "ელგუჯა" (1973) და გამოაქვეყნა.[2] ჟურნალ "ჩვენებურში" კი დაბეჭდა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" მისეული თარგმანის რამდენიმე თავი.

დღეს ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების პროპაგანდას აქტიურად ეწევა ჟურნალი "ჩვენებური". ჟურნალი კულტურის დარგის კრებულია, რომელიც გამოდის თურქეთის რესპუბლიკაში და გათვალისწინებულია თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის და საქართველოთი დაინტერესებული თურქებისათვის. კრებული გამოდის ორ თვეში ერთხელ.

"ჩვენებურის" პირველი ნომერი გამოსცა შვედეთის ქართულმა კულტურულმა კავშირმა შანვერ აკინის ინიაციატივით სტოკჰოლმში 1977 წელს. ამავე წელს გამოვიდა კრებულის მეორე და მესამე, მომდევნო წელს მეოთხე და მეხუთე ნომრები. სტამბოლში დაიბეჭდა "ჩვენებურის" მეექვსე და მეშვიდე ნომერი 1979 წელს აჰმედ მელაშვილის მიერ.

აჰმედ მელაშვილი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესიით არქიტექტორი. მისი წინაპრები 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადასახლდნენ საქართველოდან თურქეთში. აჰმედმა ქართული ენა ჯერ დამოუკიდებლად, ხოლო შემდეგ ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში შეისწავლა. ის იყო საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე. აჰმედ მელაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ ქართველებს შორის, მას პატივს სცემდა და მაგალითად სახავდა თურქეთის აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური დიასპორა. აღნიშნული წიგნის გამო აჰმედ მელაშვილს ბრალი დასდეს ისლამის

---

[1] აჰმედ მელაშვილი, საქართველო, სტამბოლი, 1968
Ahmet Melaşvili, Gürcistan, Bursa Yayınları, 1968.

[2] ალექსანდრე ყაზბეგი, "მზაღო და ელგუჯა", მთარგმნელი აჰმედ მელ
Aleksandre Kazbegi, "Mzago ile Elguca", Çeviren Ahmet Özkan Melaşvili, İstanbu

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დაგმობაში. 1980 წლის 5 ივნისს აჰმედ მელაშვილი მოკლეს. აჰმედის მთელი ცხოვრება იყო სიყვარულის გამოხატულება საქართველოსა და ქართველებისადმი. მისი მკვლელობის შემდეგ "ჩვენებურის" გამოცემა შეწყდა.

მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჟურნალის გამოცემის აღდგენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქ. სტამბოლში რედაქციას სათავეში ედგა ფაჰრეთინ ჩილოღლუ. ჟურნალს ამჟამად ხელმძღვანელობს ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი).

"ჩვენებურის" კარი ღიაა ყველა იმ მწერლისთვის, პოეტისთვის, მთარგმნელისთვის, რომელსაც რაიმე შეხების წერტილი აქვს საქართველოსთან.

ორიოდ სიტყვა ჟურნალის სათაურის გამო. მეთექვსმეტე საუკუნეში საქართველოში ოსმალთა ბატონობის დამყარების შედეგად ქართველთა ერთმა ნაწილმა გამუსლიმანება დაიწყო. ისინი ქრისტიანი ქართველებისგან რელიგიური, კულტურული და ცხოვრების წესის თვალსაზრისით, ხოლო ოსმალოთაგან ეთნიკური თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ. ასეთი ქართველები თავს "ჩვენებურს" უწოდებდნენ. მუსლიმან ქართველებს ნაცვლად "ქართველი ხარ?" ეკითხებოდნენ "ჩვენებური ხარ?" "ჩვენებური" ამ მნიშვნელობით დღესაც იხმარება. აქედან მომდინარეობს კრებულის სათაური.

დღეს, როცა დღითი-დღე ფართოვდება თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები, ჟურნალი "ჩვენებური" შემაერთებელი ხიდი ხდება ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველებისა. კრებული თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მათ თუ რამე იციან საქართველოზე, მის ისტორიაზე, კულტურაზე, ეს "ჩვენებურის" დამსახურებაცაა. ჟურნალის გადაფურცვლისთანავე იგრძნობა საოცარი სითბო და სიყვარული ყოველივე ქართულისადმი. კრებულის მიზანი თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების გამყარებაა. თურქეთისთვის საქართველო არა მხოლოდ ჩრდილოელი მეზობელია, არამედ შუა აზიის თურქულ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელი ხიდიცაა. წინაპართა სამშობლოსთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნების ერთ-ერთი გზაა ქართული კულტურის და ისტორიის გაცნობა, რასაც ემსახურება "ჩვენებური". ჟურნალს საქართველოშიც დიდი ინტერესით კითხულობენ.

კრებული მეტად მრავალფეროვანია. აქ მკითხველი გაეცნობა ქართულ ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნებას, კულტურას, საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას, სოციალურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას; ინტერვიუსა და პორტრეტის განყოფილებაში საინტერესო პიროვნებებთან მოუწევს შეხვედრა. ჟურნალი არც ბავშვებს ტოვებს გულგრილს. აქ ისინი შეხვდებიან ქართული ხალხური ზღაპრების გმირებს, გაეცნობიან ქართველ საბავშვო მწერალთა და პოეტთა ლექსებს და მოთხრობებს.

"ჩვენებურში" ძირითადად დაბეჭდილია ფაჰრეთინ ჩილოღლუს (ჭილაშვილი), ჰასან თაჰსინ საიგილის (ბეჟანიძე), ჰაირი ჰაირიოღლუს (მალაკმაძე), იბერია ოზგანის (აჰმედ მელაშვილის შვილი), ისმაილ იაზიჯის (დავლაძე) სტატიები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალის მესვეურნი, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ისტორიულ სამშობლოს შესანიშნავად ფლობენ ქართულ ენას, იცნობენ ქართულ კულტურას და ნათელი წარმოდგენა აქვთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. კიდევ უფრო ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჟურნალის გამომცემელთა შორის არაქართველებიც არიან, რომლებიც არანაკლებ არიან დაინტერესებულნი საქართველოთი.

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული კრებული მაღალპროფესიონალურად წარმოაჩენს მკითხველის წინაშე ქართულ სინამდვილეს.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ჟურნალში დაბეჭდილია ისეთი ხასიათის სტატიები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ იმ ტერიტორიების საქართველოსადმი კუთვნილებას, რომლებიც ამჟამად თურქეთის ჩრდილოეთ ნაწილს ქმნიან და უხვად არიან მოფენილნი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშებით. ასეთი ხასიათის სტატიები ღირებულია იმდენად, რამდენადაც თურქეთში მცხოვრებ ქართველებს საშუალებას აძლევს გაითვითცნობიერონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა.

ქრის ქელიერი სტატიაში "თურქეთში მივიწყებული ქართული ეკლესიები" მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ ხუროთმოძღვრებას, აღიარებს მის ორიგინალობასა და თვითმყოფადობას. ობიექტურობისათვის აღვნიშნავთ, რომ იგი ერთგვარად გაზვიადებულადაც წარმოაჩენს ქართული არქიტექტურის მნიშვნელობას შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის არქიტექტურული სტილის ჩამოყალიბებაში. ამის დამამტკიცებელ არგუმენტად მას მოჰყავს ქართული ტაძრის მთავარი შესასვლელი კარების მორთულობანი, სამხრეთ შესასვლელში არსებული რელიეფები და ქანდაკებები. ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს ქართული ტაძრების მძიმე მდგომარეობის გამო. მოსახლეობის მიერ ქრისტიანული აღმსარებლობის შეწყვეტის შემდეგ ეკლესიების ნაწილი მეჩეთად გადაკეთდა და მათი სტრუქტურა მთლიანად შეიცვალა, ნაწილი მიწისძვრამ დაანგრია. ერთ-ერთი ქართული ტაძარი თურქებს აუფეთქებიათ, მისი ქვა გამოეყენებინათ სამშენებლო მასალად თურქი ვაჭრის სახელზე ასაგები მეჩეთისთვის. ტაო-კლარჯეთში არსებულ ეკლესიათაგან დღემდე ძალიან ცოტამ მოაღწია. ესენია: ბანა, იშხანი, ოშკი, ხახული. ისინი სანახევროდ დანგრეულ მდგომარეობაშია. თურქეთში მივიწყებულ ქართულ ეკლესიათა გადარჩენის ერთადერთ გზად ავტორს ამ ულამაზეს მხარეში ტურიზმის განვითარება ესახება.

თურქეთში არსებულ ქართულ ეკლესიათა თემის გაგრძელებას წარმოადგენს გურამ შარაძის წერილი "სტამბოლის ქართული ეკლესია".[1] სტატიის თურქული თარგმანის ავტორია ჰასან ჩელიქი. გურამ შარაძე საუბრობს სტამბოლში არსებული ქართული კათოლიკური ეკლესიის შესახებ, რომელიც აგებულია 1850-1860წწ-ში ახალციხელი ოსტატის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ. ეკლესია დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. აქ მოღვაწეობდნენ მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი შალვა ვარდიძე. მონასტერში აღმოჩენილ იქნა ქართული ხელნაწერები, რომლებიც ძირითადად XVII-XIX საუკუნეებს და XX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნებიან. მათ შორის იყო სულხან-საბა ორბელიანის ხუცური ანბანით დაწერილი "მოგზაურობა ევროპაში". ეს ხელნაწერი ქართველმა თურქოლოგმა სერგი ჯიქიამ ჩამოიტანა საქართველოში. სამწუხაროდ, აქ იგი დაიკარგა. ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს იმ მძიმე მდგომარეობის გამო, რომელშიც ქართული ხელნაწერები იმყოფება და აღნიშნავს, რომ მათი შველა საშური საქმეა. წიგნებისა და ხელნაწერების გვერდით აქ გვხვდება ბიბლიურ თემაზე შექმნილი ნახატები, ბაგრატიონთა დინასტიის გერბი, ანტიკვარული ავეჯი, ქართველი ისტორიული პირების (წმინდა ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე) პორტრეტები.

"ჩვენებური" დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი თემების გაშუქებას, როგორიც არის თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრება, მათი დამოკიდებულება საქართველოსადმი, ქართული კულტურისადმი. როგორც კრებულიდან ირკვევა, ამ მხრივ მთლად სასურველი ვითარება არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოსადმი ინტერესის გაღვივების ტენდენციები იქაურ ქართველებში აშკარაა. ჟურნალის

[1] ჟურნალი "ჩვენებური", სტამბოლი, 1993 წელი.
"Çveneburi" dergisi, İstanbul, 1993 yıl

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაბეჭდილია ფაჩრეთინ ჩილოღლუს სტატია "თურქი ქართველები საუკუნის წინ", რომელიც ცდილობს მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას, თუ როგორ იყო დაცული ერთი საუკუნის წინ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში ქართული ტრადიციები. ეს გამოიხატებოდა ეროვნულ ტანსაცმელში, საცხოვრებელი ბინის მოწყობილობაში, ადათ-წესებში, ქართული ენისადმი დამოკიდებულებაში.

ჟურნალი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ქართველთა მდგომარეობას თურქეთში გასული საუკუნიდან დღემდე. დღევანდელი ვითარება კი, როგორც კრებულიდან ჩანს, სრულიად განსხვავებულ სურათს გვაძლევს. ამჯერად აიდინ აკინის სტატიაზე "ქართული ენის გავრცელება და მდგომარეობა თურქეთში"[2] შევაჩერებთ ყურადღებას. ავტორი დიდი გულისტკივილით საუბრობს იმ ტენდენციების შესახებ, რომელიც დღეისთვის შეიმჩნევა იქაურ ქართველებში. ქართული ენა ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. ქართულად მხოლოდ მაჭახელასა და მარადითში ლაპარაკობენ, რაც მათი გეოგრაფიული მდგომარეობით არის განპირობებული(მთები აკრავს და გარემოსგან იზოლირებულია). სხვაგან ქართული მოხუცების გარდა აღარავინ იცის. ამის ერთ-ერთი მიზეზი დიდ ქალაქებში გადასახლებაა. "თურქი ქართველები" მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ მშობლიური ენისგან. ეს გახდა მიზეზი მათ მეტყველებაში გრამატიკული ცვლილებებისა. მაგ., წინადადების სიტყვათა წყობა შეიცვალა, ზმნამ წინადადების ბოლოში გადაინაცვლა. მშობლები არ არიან დაინტერესებულნი იმით, რომ მათმა შვილებმა ქართული ისწავლონ. მიუხედავად დახატული მძიმე სურათისა, აიდინ აკინი იმედს გამოთქვამს, რომ დღეს, როცა ფართოვდება თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები, ქართული ენის შესწავლით ბევრი დაინტერესდება. თურქეთში მცხოვრები ბევრი ქართველისთვის ქართული ენა საქართველოსთან ტურისტული, სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობების ერთ-ერთი გზა გახდება.

ჟურნალი "ჩვენებური" თავის ფურცლებზე მაჭახელას სოფლებში მცხოვრები ქართველების შესახებ ცალკე სტატიას ათავსებს. ავტორი ჰაირი ჰაირიოღლუ თავის სტატიაში "ზოგიერთი ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობა მაჭახელას სოფლების შესახებ" სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავს. ამ სოფლებში მცხოვრებ ქართველებს ქართული ენაც შეუნარჩუნებიათ და ქართული ადათ-წესებიც.

ჟურნალს მიზნად დაუსახავს ქართული ენის პოპულარიზაცია და იმ ვითარების შეცვლა, რომელიც დღეს არის თურქეთში ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით. ამ მიზნით ჟურნალის მეშვიდე ნომერში ჩნდება სპეციალური განყოფილება, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს ქართული ენის შესაწავლისას. "თვითმასწავლებელი" ეყრდნობა მ. კვარეიშვილისა და გ. ნახუცრიშვილის "Teach yourself Georgıan" (1972), რომელიც ინგლისური ენის მცოდნეთათვის არის გათვალისწინებული. ამ განყოფილების ავტორია ფაჩრეთინ ჩილოღლუ. შესავალში იგი მოკლედ ეხება ქართული ენის ისტორიას, ზოგადად აქვს მიმოხილული ქართული ენის შესახებ არსებული ყველა წყარო. შესავალშივე მოკლედ არის განხილული ქართული ენის ზოგადი სტრუქტურა. ენის სწავლების გაკვეთილები შედგება ქართული ტექსტისგან, რომელსაც თან ახლავს ტრანსლიტერაცია თურქული ასოებით, ტექსტის თურქული თარგმანი, გრამატიკა და სავარჯიშოები. დიდი ყურადღება ეთმობა სავარჯიშოებს ქართული ბგერების გამოთქმაზე, განსაკუთრებით იმ ბგერებისას, რომელთა შესატყვისი თურქულ ენაში არ არსებობს.

ჟურნალი ფართო ადგილს უთმობს პოლემიკური ხასიათის სტატიებს, სადაც გამოხატულია მწვავე და მკვეთრი რეაქცია იმ ავტორთა მიმართ,

[2] იქვე.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რომლებიც ცდილობენ საქართველოს ისტორიის, ქართველთა წარმომავლობის, ქართული კულტურის გაყალბებულ წარმოჩენას. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ჰაირი ჰაირიოღლუს სტატიაზე "დემაგოგიის ოსტატები", სადაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის კარგი ცოდნით, საკმაოდ არგუმენტირებულად არის უგულებელყოფილი ჟურნალ "ქართეფეში" თურქი ავტორების (ფ. ქირზიოღლუ, ჰ. გოქთურქი, მ. ბაჰჩეჯი, მ. ოზდერი) მიერ გამოქვეყნებული დემაგოგიური სტატიები საქართველოს შესახებ. როგორც ამ სტატიიდან ჩანს, ეს ჟურნალი საერთოდ გამოირჩევა საქართველოს შესახებ არაობიექტური ინფორმაციის მიწოდებით. "ჩვენებური" კი ცდილობს საქართველოს ისტორიის გაყალბების ყველა მცდელობას შესაბამისი პასუხი გასცეს. ჰაირი ჰაირიოღლუს სტატიიდან ვეცნობით, რომ "ქართეფეს" ქართველთა წარმომავლობის შესახებ ისეთი ვერსია მიუწოდებია მკითხველისათვის, რომ თითქოს ქართველები შუა აზიიდან წამოსული, ართვინის მიდამოებში დასახლებული თურქი სკვითების ტომები არიან; ქართული ენა კი სომხური ენის ვულგარულ ვარიანტად მიუჩნევიათ; არასწორი ცნობებია გამოქვეყნებული ჟურნალში მეგრელთა შესახებაც, სადაც ისინი შუა აზიიდან წამოსულ და სკანდინავიის ქვეყნებში დასახლებულ ტომებად არიან წარმოდგენილნი. ჟურნალი ქართველთა სამეფო დინასტიის წარმოშობის საკითხსაც ეხება. თითქოს ბაგრატიონთა დინასტია ძველ ოღუზთა ტომებიდან მომდინარეობს. "ქართეფეს" მიხედვით ისინი 575 წელს ჭოროხის ტომებიდან წამოვიდნენ და არაქსის მხარეში თავიანთი ხელისუფლება დაამყარეს.

ჰაირი ჰაირიოღლუ ქართული სინამდვილის დამახინჯების ყველა ამ ცდას სათანადო პასუხს აძლევს, სადაც კარგად ჩანს საქართველოს ისტორიის და კულტურის ღრმა ცოდნა. ავტორი ასაბუთებს, რომ ქართველები ადგილობრივი, კავკასიის მთებთან მცხოვრები ხალხია. მოჰყავს ქართველთა წარმოშობის ბიბლიური ვერსია. აღნიშნავს, რომ ქართველები ბიბლიური იაფეთის შთამომავლები არიან.

ავტორი ქართული ენის საკითხებზე მსჯელობასაც საკმაოდ ფართო ადგილს უთმობს. აღნიშნავს, რომ ქართული და სომხური სხვადასხვა ენათა ოჯახს მიეკუთვნება და ზემოთ მოყვანილი "მოსაზრება" ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობაზე მსჯელობისას ავტორი მოუხმობს ქართულსა და არაქართულ წყაროებს, გვთავაზობს ყველა ვერსიას ამ საკითხთან დაკავშირებით და აშკარას ხდის ჟურნალ "ქართეფეს" ვერსიის არასერიოზულობას.

ვრცლად არის გაშუქებული მეგრელთა საკითხი. აღნიშნავს, რომ ისინი ქართველები არიან, ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი შემქმნელნი.

ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. არის სპეციალური განყოფილება ("მოკლე-მოკლედ"), რომელიც მოკლე, ზოგად ინფორმაციას აწვდის მკითხველს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

კრებულის უპირველესი დანიშნულებაა ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია, მისი გაცნობა თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის. ამ ფუნქციას იგი შესანიშნავად ასრულებს. ჟურნალში ქართული კულტურის მიღწევები ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. ჟურნალს მიზნად დაუსახავს საქართველოს ისტორიის გაცნობა მკითხველისათვის.

კრებულის ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილებაში დაბეჭდილია ქართული ლიტერატურის ისტორია მეხუთე საუკუნიდან დღემდე (ავტორი ფაჰრეთინ ჩილოღლუ), სვანური თქმულება ბეთქილზე (მთარგმნელი აჰმედ მელაშვილი), რომელიც დასურათებულია ქართველი მხ

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მოქანდაკის ვახტანგ ონიანის მიერ. ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გვერდები დათმობილი აქვს აკაკი წერეთლის (მთარგმნელი იბერია ოზგანი), ანა კალანდაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, ბაღათერ არაბულის ლექსებს (მთარგმნელი ჰასან ჩელიქი).

ჟურნალი ქართული თეატრისა და კინოს მოღვაწეებსაც აცნობს მკითხველს. ფაჰრეთთინ ჩილოღლუ სტატიაში "ქართული კინო" ზოგადად ეხება ქართული კინოს ისტორიას 1910 წლიდან დღემდე. აქ შეხვდებით ინტერვიუებს ქართველ მსახიობებთან და რეჟისორებთან.

ჟურნალს ბავშვებიც დიდი ინტერესით წაიკითხავენ. აქ მათთვის სპეციალური გვერდია გამოყოფილი, სადაც დაბეჭდილია ქართული ხალხური ზღაპრების, ქართველ საბავშვო მწერალთა და პოეტთა მოთხრობების და ლექსების თარგმანები. პატარა მკითხველი გაეცნობა ქართულ ხალხურ ზღაპრებს "ნაცარქექია" (მთარგმნელი ირინე გოცირიძე), "ორი მატყუარა ქოსა" (მთარგმნელი ჰასან ჩელიქი), "კატა და ლომი" (მთარგმნელი მურათ ათასერთი-ცეცხლაძე), გიორგი შატბერაშვილის, იროდიონ ევდოშვილის მოთხრობებს, რომელთა მთარგმნელია ჰაირი ჰაირიოღლუ. მკითხველს გულგრილს არ დატოვებს პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობები, რომლებიც დედაენიდან არის ამოღებული.

ამრიგად, ჟურნალი "ჩვენებური" ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ყველა მნიშვნელოვან პრობლემას სწორი მეცნიერული პოზიციით და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებით აღწერს და პოპულარიზაციას უწევს თურქულენოვან სამყაროში.

2005 წლის 28 ივლისს მუსტაფა იაქუთმა, რომელიც წარმოშობით ქართველია გაზეთ "ბირგუნში" გამოაქვეყნა სტატია "აჰმედ ოზგან მელაშვილი – თურქი ქართველების ილია ჭავჭავაძე".[1] სტატიაში ავტორი საუბრობს იმის შესახებ, რომ აჰმედ მელაშვილის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალ "ჩვენებურის" წარმომადგენლებმა 2005 წლის 5 ივლისს პატივი მიაგეს მის საფლავს ინეგოლში, 10 ივლისს კი სტამბოლში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

მუსტაფა იაქუთი სტატიაში აღნიშნავს, რომ აჰმედ მელაშვილი გაიცნო 1974 წელს, მოიხიბლა მისი პიროვნებით, მისი ქართული ენის, კულტურისა და ლიტერატურის ცოდნით. შემდეგ სტატიის ავტორი იხსენებს 1980 წელს ბურსაში აჰმედ მელაშვილის მკვლელობას და 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობას საქართველოში. აღნიშნავს, რომ აჰმედს სიცოცხლეში ყოველთვის ეუბნებოდნენ, შენ თურქეთში მცხოვრები ქართველების ილია ჭავჭავაძე ხარო და სამწუხაროა, რომ აჰმედიც ილიასავით მოკლესო.

აჰმედ მელაშვილის საფლავზე ასეთი წარწერაა: "მე ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე, და არა უკვდავებისთვის!"

შემდეგ მუსტაფა იაქუთი საუბრობს ილია ჭავჭავაძეზე და მის როლზე ქართულ ლიტერატურაში და აღნიშნავს, რომ თურქულ ენაზე ილიას მხოლოდ ერთი ნაწარმოებია თარგმნილი – "მგზავრის წერილები" (მთარგმნელი ალი ალთუნი, 1989 წელი).

იგივე სტატია დაიბეჭდა გაზეთ "ჯუმჰურიეთში" 2005 წლის 16 ივლისს, სათაურით "რესპუბლიკელი არქიტექტორი". ოღონდ ამ უკანასკნელში არ არის საუბარი ილია ჭავჭავაძეზე.

[1] გაზეთი "ბირგუნ", 2008 წლის 28 ივლისი.
"Birgün" gazetesi , 28 temmuz 2008 yılı

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-თურქულენოვანი ჟურნალი "ფიროსმანი" თურქეთის ქართული დიასპორის გამაერთიანებელია. 2007 წლიდან გამოვიდა ჟურნალის ექვსი ნომერი. გამოცემა გამოირჩევა მაღალი ხარისხით, როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც. ჟურნალის რედაქტორია ფაჰრეთთინ ჩილოღლუ (ჩილაშვილი); რედკოლეგიაში შედიან ქართული წარმოშობის ცნობილი თურქი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ქევსერ რუჰი (ხანთაძე), მუსტაფა იაკუტი (ხიმშიაშვილი), ჰასან ჩელიქი, იასინ ონჯუ (მსხალაძე), შენოლ თაბანი და სხვ. "ფიროსმანს" უდიდესი წვლილი შეაქვს თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში. ემსახურება ადგილობრივ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების დაცვისა და გაღრმავების უმნიშვნელოვანეს საქმეს. ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდება საინტერესო სტატიები თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში არსებული ქართული სოფლების, ქართული ძეგლების, ადგილონრივი ქართველების, მათი კულტურისა და ტრადიციების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ. ცალკე ადგილი ეთმობა ინფორმაციებს საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე. რედაქციის წევრებს აქტიური ურთიერთობები აქვთ თურქეთის ქართულ საზოგადოებებთან, აშუქებენ მათ მოღვაწეობასა და ქართული დიასპორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს. აღსანიშნავია ფაჰრეთთინ ჩილოღლუს – "ფიროსმანის" რედაქტორის განსაკუთრებული ღვაწლი. იგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა "მამულისა" და "ჩვენებურის" რედაქციებში. მანვე შეადგინა "დედაენა", ბავშვებისათვის ქართული წერის მასწავლებელი "კალიგრაფიული რვეული" და მოძრავი ანბანი. ფაჰრეთთინ ჩილოღლუს მიერ შედგენილი "დედაენა" 64 გვერდიანია. მაღალი პოლიგრაფიული ხარისხითა და ფერადი სურათებით გამოცემული "დედაენა" მშობლიური ენის შესწავლის უპირველესი წყაროა თურქეთის ქართველობის ყველა ასაკის წარმომადგენლისათვის. "კალიგრაფიული რვეული" 64 გვერდიანია და გამიზნულია თურქეთის ქართველობისთვის ქართული მართლწერის შესასწავლად. მოძრავი ანბანი, მცირე ზომითა და ლამაზი გაფორმებით, უმალ მიიპყრობს ბავშვების ყურადღებას. კარტის ფორმის ხარისხიან მუყაოზე წინა მხარე 33 ნიშნის გამოსახულებას, უკანა მხარე კი ლექსიკონს უკავია.

თურქეთის დიასპორის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი, ისევე როგორც ჟურნალი "ფიროსმანი", შენოლ თაბანის ხელმძღვანელობით გამოიცა. შენოლ თაბანი წარმოშობით ართვინის ოლქის ბორჩხის რაიონიდანაა. იგი წლების განმავლობაში დაუცხრომლად იღწვის თურქეთის ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის.

აჰმედ მელაშვილის თანამედროვე იყო იბრაჰიმ გორაძე, რომელმაც ქართულიდან თურქულად თარგმნა იუსუფ ფაღავას "ჩაუმქრალი კერა" (1977), მიხეილ ჯავახიშვილის "ეშმაკის ქვა" (1988), სიმონ ქვარიანის "დიდი მოურავი – გიორგი სააკაძე" (1980). ჰაირი ჰაირიოღლუმ კი ქართული ზღაპრები "ზარმაცი კაცი" (1983) და "მზის ასული" (1986) გამოსცა თურქულ ენაზე.

ჰაირი ჰაირიოღლუს მშობლები აჭარიდან თურქეთში გადასახლდნენ. იგი დაიბადა 1936 წელს ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. 1955 წელს ჩაირიცხა ბურსის მამაკაცთა ხელოვნების ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ქართული სასაუბრო ენა მან ოჯახში შეისწავლა, შემდეგ კი ისწავლა ქართული ანბანი. ძალიან პატარა იყო, როდესაც ლექსების წერა დაიწყო. ბევრმა გამომცემლობამ, თურქეთსა თუ მის ფარგლებს გარეთ, გამოსცა მისი მოთხრობები, ლექსები, გამოკვლევები და სამეცნიერო სტატიები. 1978 წელს მოიწვიეს საქართველოში, სადაც მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. 1982 წელს იგი პენსიაში გავიდა და მთელ დროს უთმობდა სამეცნიერო მუშაობას კავკასიოლოგიაში.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ თურქულად ნათარგმნ ქართული ზღაპრების კრებულის "ზარმაცი კაცის" წინასიტყვაობაში შეიძლება ამოვიკითხოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჩვენი მეზობელია, ქართული მწერლობის ძალიან ცოტა ნიმუში არის თარგმნილი თურქულ ენაზე. ქართველ ერს დიდი ისტორიული წარსული აქვს და როგორც ყველა დიდი წარსულის მქონე ერი, მდიდარია ზღაპრებითა და ეპიკური ნაწარმოებებით.

თურქეთის განათლების სამინისტრომ შეისწავლა აღნიშნული წიგნი და მიიჩნია, რომ მისი წაკითხვა რეკომენდირებულია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჰაირი ჰაირიოღლუმ შეკრიბა და ქართულიდან თურქულად თარგმნა ზღაპრების კრებული "მზის ასული". წიგნის წინასიტყვაობაში იგი თურქ მკითხველს აცნობს საქართველოსა და ქართულ კულტურას, საუბრობს ოქროს საწმისსა და რუსთაველზე, თამარ მეფეზე; მოკლედ ეხება ჩვენი ქვეყნის ისტორიას და აღნიშნავს, რომ საქართველოს უცხოელები ყოველთვის "აღმოსავლეთის სამოთხეს" უწოდებდნენ, რომ საქართველო ლეგენდებისა და ცისფერი მთების ქვეყანაა.

საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის თურქი მკითხველისათვის გაცნობაში დიდია **ფაჰრეთთინ ჩილოღლუს** (ფარნა ჩილაშვილის) წვლილი. იგი დაიბადა 1955 წლის 18 აპრილს უნიეში. სტამბოლში დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, არის მწერალი და პოეტი. ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ ქართულიდან თურქულ ენაზე თარგმნა რამდენიმე ისტორიული წიგნი, ქართველ პოეტთა ლექსები და პროზაული ნაწარმოებები. ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ თურქ მკითხველს გააცნო ივანე ჯაიანის "წერილები შავშეთიდან". თარგმნისას მან ისარგებლა აღნიშნული წიგნის 1991 წლის თბილისური გამოცემით. მაგრამ შეცვალა სათაური და მას უწოდა "წერილები ბორჩხიდან". თვითონ ამას ასე ხსნის: "რადგან წერილები ბორჩხიდან არის მოწერილი, ამიტომ უფრო შესაფერად ჩავთვალეთ, მისთვის გვეწოდებინა "წერილები ბორჩხიდან".

ივანე ჯაიანი დაიბადა 1862 წელს და გარდაიცვალა 1936 წელს. იგი 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გაიგზავნა ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან. ხეობა აღნიშნული ომის შედეგად რუსეთის ხელში აღმოჩნდა. აქ სამსახურის დროს მან დაწერა წერილები, რომლებიც გამოქვეყნდა თბილისში გაზეთ "დროებასა" და "ივერიაში". წერილებში გადმოცემულია ივანე ჯაიანის ურთიერთობები ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან. წიგნი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის იმ ქართველებზე, რომლებიც ომის შემდეგ ხეობაში დარჩნენ.

ისთმედზადე დოქტორ მეჰმეთ არიფის ავტორობით გამომცემლობა "სინათლემ" 2002 წელს გამოსცა წიგნი "ქართული სოფლები". იგი ეხება ჭოროხის ხეობიდან წასულ და სამსუნის ილჩე ჩარშამბში ჩასახლებულ ქართველებს. ორივე წიგნი გახლავთ მნიშვნელოვანი წყარო თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

1998 წელს გამომცემლობა "სინათლემ" დაბეჭდა ლექსების კრებული "ღრმა ნაღველი". წიგნი გამოსაცემად მოამზადა ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ. იგი გახლავთ ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია. კრებულში თავმოყრილია თანამედროვე ხუთი ცნობილი პოეტის ლექსები. წიგნს წამძღვარებული აქვს ქართული პოეზიის მოკლე მიმოხილვა, სადაც საუბარია ქართულ პოეზიაზე დასაბამიდან დღემდე. წიგნის სახელწოდება "ღრმა ნაღველი" აღებულია ეკა ბაქრაძის ამავე სახელწოდების წიგნიდან. კრებულში შესულია ეკა ბაქრაძის ლექსებიც. კრებულში შესული ლექსების უმრავლესობა ადრე გამოქვეყნებულია ქართულ ჟურნალებში "ჩვენებური" და "მამული", ასევე გაზეთ "ჯუმჰურიეთის" ლიტერატურულ დამატებაში, რომელიც მოამზადა ჯე

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თარგმნეს ფაჩრეთინ ჩილოღლუმ და ჰასან ჩელიქმა. პირველ რიგში მოცემულია ლექსები გალაქტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, თამაზ ჭილაძის, მეხუთე ავტორი გახლავთ ეკა ბაქრაძე.

პირველი საბავშვო წიგნი, რომელიც გამომცემლობა "სინათლემ" დაბეჭდა არის ქართული ზღაპრები "ფალჯი ჰოჩო". წიგნი გამოსაცემად მოამზადა ფაჩრეთინ ჩილოღლუმ. წიგნის სათაურად აღებულია მეგრული ზღაპრის "ფალჯი ჰოჯოს" სათაური. ზღაპრები სხვადასხვა წყაროდან არის ამოღებული. ზღაპრები თურქულად თარგმნეს ფაჩრეთინ ჩილოღლუმ, ირინე გოცირიძემ, ჰასან ჩელიქმა, ჰულია ჩილოღლუმ. თითქმის ყველა მათგანი გამოქვეყნებულია ჟურნალებში "ჩვენებური" და "მამული".

ასევე ფაჩრეთთინ ჩილოღლუმ თარგმნა თურქულად აბდულ მიქელაძის "წერილები აჭარიდან". წიგნში დაბეჭდილია ის წერილები, რომლებსაც აბდულ მიქელაძე სწერდა საქართველოს სამხრეთიდან, საქართველოს იმ ნაწილიდან, სადაც მუსლიმი ქართველები ცხოვრობდნენ, გაზეთ "ივერიას" თბილისში.

ფაჩრეთთინ ჩილოღლუმ თარგმნისას ისარგებლა რამაზ სურმანიძის მიერ გამოცემული წიგნით "წერილები აჭარიდან" (1991, თბილისი). წიგნში შესული პირველი წერილი 1886 წელს არის დაწერილი, უკანასკნელი კი 1915 წელს. წერილები იწერებოდა სოფელ ქედაში. სოფელი ქედა და მისი შემოგარენი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა.

აღნიშნული წიგნი ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს მუსლიმი ქართველების ცხოვრებას. იმ მუსლიმი ქართველებისა, რომლებიც ომის შემდეგ გადასახლდნენ ოსმალეთში და იმ მუსლიმი ქართველებისაც, რომლებმაც ომის შემდეგ რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა არჩიეს. წიგნი ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სოფლის მეურნეობაზე, განათლებაზე, იმ სოციალურ პრობლემებზე, რომელსაც განიცდიდა ამ მხრის მოსახლეობა (შიმშილი, ინფექციური დაავადებები და სხვ.).

წერილების ავტორი აბდულ მიქელაძე ისეთივე საინტერესო პიროვნებაა, როგორც მისი წერილები. იგი თავის 44-ე წერილში წერს, რომ პირველად თბილისში 1880 წელს ჩავიდა. აღნიშნავს, რომ არ იცოდა წერა-კითხვა, რომ მხოლოდ ქართულ ასოებს სცნობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ის გაზეთ "ივერიის" კორესპონდენტი ხდება. აბდულ ეფენდი მიქელაძე 1853 წელს სოფელ ქედის მახლობლად, ქვემო აჭარაში დაიბადა.
მისმა ოჯახმა კარგად იცოდა ხალხური მედიცინა, თუმცა მამამისი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. აბდულ ეფენდი ტრაპიზონში სწავლობდა მედრესეში (სასულიერო სასწავლებელში). აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა, თუმცა სასულიერო საქმიანობა არ გაუგრძელებია და ისიც ხალხური მედიცინით დაინტერესდა.

ქართული წერა-კითხვის სწავლა 1870 წელს დაუწყია. 1882-1884 წლებში თბილისში გაიცნო ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და იმ ეპოქის სხვა მოწინავე მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები. სწორედ ამ პერიოდიდან არის შესაძლებელი მისი ცხოვრებისათვის თვალის მიდევნება მის წიგნში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით. ბოლო წერილი 1915 წელს არის დაწერილი, რომელშიც ის თავს ასე მოიხსენიებს "ძველი "ივერიის" დავიწყებული კორესპონდენტი აჭარელი მიქელაძე" (46-ე წერილი).

ამ წიგნის დამატებითი თავის მეხუთე წერილში ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ ივანე ჯაიანი ბორჩხაში ქართულ ანბანს ასწავლის. აქ აღნიშნული ივანე ჯაიანი სხვა არავინაა, თუ არა ავტორი წიგნისა "წერილები შავშეთიდან". "წერილები აჭარიდან" და "წერილები შავშეთიდან" არის ორი წიგნი, რომელიც ერთმანეთს ავსებს.

2004 წელს გამომცემლობა "სინათლემ" გამოსცა "სიზმარი", რომელიც წარმოადგენს გურამ გეგეშიძის შვიდი მოთხრობის კ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

თურქულად თარგმნა ფაჰრეთინ ჩილოღლუმ. კრებულში შესული ზოგიერთი მოთხრობა წინა წლებში გამოქვეყნდა ჟურნალში “Adam Öykü”. წიგნის სახელწოდება მომდინარეობს ერთ-ერთი მოთხრობიდან, რომელიც კრებულშია შესული.

1980 წელს თურქულ ენაზე ითარგმნა საბავშვო მწერლის ვახტანგ გოგოლაშვილის “ცისფერი მთების ქვეყანა”. წიგნი თურქულად თარგმნა მეჰმედ ოზგულმა.

გამომცემლობა „სინათლემ” დაბეჭდა ქართული მოთხრობების ანთოლოგია “იმედი დიდხანს ცოცხლობს”. იგი გახლავთ მეოთხე წიგნი, რომელიც აღნიშნულმა სტამბამ გამოსცა. ანთოლოგიაში თავმოყრილია 12 თანამედროვე ქართველი მწერლის მოთხრობა. წიგნის სახელწოდება აღებულია გიორგი ციციშვილის ერთ-ერთი მოთხრობიდან. “იმედი დიდხანს ცოცხლობს” იმავე სახელწოდებით უფრო ადრე გამოცემულ იქნა გამომცემლობა “ჯეილანის” მიერ “კავკასიურ სერიალში”.

წიგნში შესული მოთხრობები თურქულად თარგმნეს ჰასან ჩელიქმა ქართული ენიდან, ხოლო ფათოშ გურსოითირაქმა ინგლისურიდან. ანთოლოგიაში შესულია ის ქართული მოთხრობები, რომელთა პერსონაჟებს ჯერ კავშირი არ გაუწყვეტიათ მიწასთან. ამავე ანთოლოგიაში იხილავთ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა “ძაღლს”.

1987 წელს სტამბოლში გამოიცა ნოდარ დუმბაძის “მარადისობის კანონი”, რომელიც თურქულ ენაზე თარგმნა ალი ალთუნმა. წიგნის წინასიტყვაობაში მთარგმნელი ალი ალთუნი ზოგადად საუბრობს საქართველოსა და ქართულ კულტურაზე. აღნიშნავს, რომ თურქი მკითხველი რომანის წაკითხვის შემდეგ საოცარ სულიერ სიახლოვეს იგრძნობს ქართველ ხალხთან. იგი მიხვდება, რომ საქართველო მხოლოდ მეზობელი ქვეყანა არ არის. ქართველებიც ისეთივე ემოციურნი არიან, როგორც თურქები, ვერ ეგუებიან უკეთურობას. სიყვარულიც ერთნაირად ესმით.

წინასიტყვაობის მიხედვით ჩანს, რომ მთარგმნელი კარგად ერკვევა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიაში. იგი აღნიშნავს, რომ “ნოდარ დუმბაძემ რომანში “მარადისობის კანონი” სადა და მსუბუქი ენით წინა პლანზე წამოსწია საბჭოთა საქართველოს პრობლემები.

ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული “რაც არ უნდა იყოს” თურქულ ენაზე ითარგმნა 1987 წელს ფაქირ ბაიქურთისა და აბდურაჰმან ჩეთინქაიას მიერ. მაშინ სარფის სასაზღვრო კარი ჯერ არ იყო გახსნილი და მთარგმნელი ფაქირ ბაიქურთი დიდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მასთან სტუმრად მიმავალი ფრიდონ ხალვაში იძულებულია მოსკოვის გავლით ჩავიდეს თურქეთში. “აეროპორტში ვიცდი. მგზავრი, რომელსაც უნდა დავხვდე, პოეტი ფრიდონ ხალვაშია. ბათუმიდან მოსკოვში, მოსკოვიდან სტამბოლში, სტამბოლიდან ანკარაში ჩამოვა. დიდი გზა ელის. ბათუმსა და ხოფას შორის არსებული სარფის კარი რომ ღია იყოს, მოკლეზე გადმოვიდოდა. ოთხი წლის წინ მეც ასევე წვალებით ჩავედი ბათუმში. ამ ორი მეზობელი ქვეყნის საზღვრებზე ეკლიანი ბუჩქებია, რომლებიც მე და ფრიდონს არ დაგვირგავს. ერთ დღეს ხელიხელჩაკიდებულნი გავასუფთავებთ მათ. ეს არც ჩვენს ინტერესებში შედის, არც მათ ინტერესებში. ერთი საზღვრის ორივე მხარეს დედამიწის ორი საუკეთესო ხალხი ცხოვრობს. ქართველები მეგობრობასა და სტუმართმოყვარეობაში ტოლს ვერ დაგვიდებენ, მაგრამ ღვინის სმაში ნამდვილად გვჯობიან.” შემდეგ ფაქირ ბაიქურთი საუბრობს საქართველოში არსებულ კიდევ ერთ თავისებურებაზე. იგი აღნიშნავს, რომ მწერლები და პოეტები საქართველოში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. მათ ხელში დიდი ძალაა. ისინი თანამდებობის პირებთან ერთად მართავენ ქვეყანას. ფაქირ ბაიქურთი გაოცებას ვერ მალავს იმის გამო

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კულტურული ცხოვრება დუღს და გადმოდუღს: “თეატრის კარებში იმდენი კაცი შედის და გამოდის, რომ ვერ დაითვლი. თქვენ გგონიათ ოპერაში ბილეთს იშოვით? არ იკითხავთ, რამდენია რომანების, ლექსების, მოთხრობების ტირაჟები? გაიკითხეთ და ნახავთ. საჭირო ინფორმაციას რომ მოიპოვებთ, გაოცდებით. ფრიდონმა მაჩვენა თავისი ლექსები. დავხედე მისი ლექსების კრებულის სათაურებს: “წვიმიანი მზე”, “სახრჩობელას ცრემლი”, “ვარსკვლავის ნამსხვრევი”. რა სამწუხაროა, რომ არ ვიცი ქართული ენა და ამ ანბანს ვერ ვკითხულობ. ჩემში ნელ-ნელა იზრდებოდა ინტერესი, თუ რა ეწერა ფრიდონისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსებში. თავი დავანებოთ თანამედროვე პოეტებსა და მწერლებს, კლასიკოსი მწერლები და პოეტებიც კი არ არის ნათარგმნი თურქულ ენაზე. ჩემდა საბედნიეროდ, ვიცნობდი ნოდარ დუმბაძის რომანს “მე ვხედავ მზეს” და გოგოლაშვილის საბავშვო წიგნს “ცისფერი მთების ქვეყანა”. ვინ იცის, კიდევ რამდენია ფრიდონივით თვითმყოფადი პოეტი? არცერთს არ ვიცნობთ, რა სამწუხაროა! ისინი ჩვენს ანთოლოგიებს გამოსცემენ, ჩვენს წიგნებს თარგმნიან. ჩვენ კი ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. ეს მათი დანაკარგი არ არის, ჩვენი დანაკარგია. ამიტომ ჩემს მეგობარს აბდურაჰმან ჩეთინქაიას ვუთხარი: “დედ-მამა ქართველი გყავს. წერ, კითხულობ, საუბრობ ქართულად. პოეტი არ ხარ, მაგრამ სიტყვა-სიტყვით მითარგმნე ფრიდონის ლექსები. რას წერს, დაწერე. მე მასზე ვიმუშავებ. ერთობლივად წიგნი გამოვცეთ. შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს ეს ნაბიჯი...”[1]

ფაქირ ბაიქურთი და აბდურაჰმან ჩეთინქაია შეეცადნენ ერთმანეთი შეევსოთ. ჩეთინქაიამ სიტყვასიტყვით თარგმნა ფრიდონ ხალვაშის ლექსები, ფაქირ ბაიქურთმა კი გალექსა. ლექსების თურქული თარგმანი დაიბეჭდა სტამბოლში 1988 წელს.

1991 წელს სამსუნში დაიბეჭდა “ვეფხისტყაოსნის” თურქული თარგმანი. შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” თურქულ ენაზე თარგმნის მცდელობა დაკავშირებულია სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორ ბილალ დინდარის სახელთან. იმის გამო, რომ მან არ იცის ქართული ენა, ისარგებლა “ვეფხისტყაოსნის” ფრანგული (სერგი წულაძის) და აზერბაიჯანული (აჰმედ ჯევადის) თარგმანით.

რა თქმა უნდა, ქართული მწერლობის თურქეთისთვის გაცნობა ამით არ დამთავრებულა. საქართველოში სხვადასხვა მიზნით იყვნენ ჩამოსულები თურქი მწერლები, რომელთაც თურქეთში დაბრუნებისას გამოაქვეყნეს სტატიები ქართულ მწერლობაზე, თეატრზე, უფრო მეტად კი გამოქვეყნდა ისეთი სტატიები, სადაც საუბარი იყო შთაბეჭდილებებზე საქართველოს შესახებ. მაგალითად, 1979 წლის ივლისში თურქმა მწერალმა ომერ ფარუქ თოფრაქმა გაზეთ “პოლიტიკაში” გამოაქვეყნა მოგონებები საქართველოს შესახებ. ზეინაბ ორალმა ჟურნალ “ხელოვნებაში”, ხოლო რეფიკა ერდურანმა კი გაზეთ “მზეში” გამოაქვეყნეს სტატიები ქართულ თეატრზე. ნეჯათი ჯუმალმა (წიგნში სახელად “რევიზიონისტი”), თარიქ დურსუნმა (გაზეთში “იენი ორთამ”) და ჰალდუნ თანერმა გამოაქვეყნეს მოგონებები ასევე საქართველოს შესახებ. ჰაიათი ასილიაზიჯიმ ჟურნალ “მაიას” 1969 წლის იანვარ-აგვისტოს ნომრებში გამოაქვეყნა სტატიები ქართულ თეატრსა და მწერლობაზე.

ჰაიათი ასილიაზიჯი 1987 წელს ილია ჭავჭავაძის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე იყო მიწვეული საქართველოში. თურქეთში დაბრუნებისას ჟურნალ “ბროის” 1987 წლის დეკემბრის ნომერში, 1988 წლის იანვრისა და თებერვლის 26-ე და 28-ე ნომრებში გამოაქვეყნა “მოგზაურობის შთაბეჭდილებები”, რომელიც ძირითადად ქართულ თეატრს ეხებოდა.

---

[1] Halvaşi Pridon, Eninde Sonunda, Çev. Fakir Baykurt-Abdurrahman Çetinkaya, 1988;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ასევე ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის იუბილეზე იყო მოწვეული საქართველოში აზიზ ჩალიშლარი, რომელმაც ზემოთ აღნიშნული ჟურნალის ("ბროი") იანვრის ნომერში გამოაქვეყნა სტატია ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ჟურნალის იმავე ნომერში ჰასან ჩელიქმა და თაჰსინ სარაჩმა გამოაქვეყნეს თავიანთი ერთობლივად ნათარგმნი ლექსები.

ერთ-ერთი თურქი მწერალი, რომელიც ილია ჭავჭავაძის იუბილეზე იყო მიწვეული, გახლდათ ფაქირ ბაიქურთი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს. მისი ინიციატივით, 1987 წლის 4 დეკემბერს დასავლეთ გერმანიაში გამომავალმა "თურქეთის ფოსტამ" ქართველი მწერლები გააცნო გერმანელ მკითხველს. განსაკუთრებული ადგილი კი დაეთმო ილია ჭავჭავაძეს. ასევე დასავლეთ გერმანიაში გამომავალ ჟურნალ "მწერლობაში" 1987 წლის დეკემბერის 28-ე ნომერში მკითხველი გაეცნო ილია ჭავჭავაძეს. 1988 წლის თებერვლის 29-ე ნომერში კი თანამედროვე ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნდა სტატია და დაიბეჭდა ხალვაშის რამდენიმე ლექსი.

თურქეთის ისტორიისა, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოში, რაც დღესაც არ მინელებულა. უამრავი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია, გამოკვლევა დაიწერა თურქული ენის თავისებურებების, ქართულ ენაში შემოსული თურქული სიტყვების, ქართულ-თურქული ისტორიული თუ ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა თურქოლოგიის კათედრა. ქართველი თურქოლოგები იკვლევდნენ როგორც თურქულ ენას ასევე ლიტერატურას. მათ შეისწავლეს თურქული გრამატიკის წესები, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები, თურქულ ენაში და დიალექტებში შესული ქართული სიტყვები, საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებანი, თურქეთში მცხოვრები ქართველების სასაუბრო ენა, თურქული საარქივო მასალები ენობრივი თვალსაზრისით, ორჰუნის წარწერების ენა, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართული და თურქული ენის ტიპოლოგიური პარალელები, ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგია, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები.

ქართველმა თურქოლოგებმა თბილისის სახელმწიფო არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტები შეისწავლეს ენობრივი თვალსაზრისით და გამოსცეს საინტერესო მონოგრაფიები. შეისწავლეს არქივში დაცული მე-18 საუკუნის თურქული ენის სახელმძღვანელო, ქართული ასოებით თურქულ ენაზე დაწერილი "ბიბლია", "ქოროღლუს" ქართული ვერსია და სხვა საარქივო მასალები; შეიქმნა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები, სასაუბროები, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა 2001 წელს გამოცემული თურქულ-ქართული ლექსიკონის ორტომეული და თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიზმები.

რაც შეეხება თურქულ ლიტერატურას, შესწავლილ იქნა "დედე ქორქუთის წიგნი", "ქოროღლუს" ეპოსი, თურქეთში მცხოვრები ქართველების ზეპირსიტყვიერება, ჯალალედინ რუმის, რუჰი ბაღდადის, იუნუს ემრეს, მუჰამედ ფუზულის, ნეფის, ლამის, აჰმეთ ჰაშიმის, მიჰრი ჰათუნის, მეჰმეთ ემინის, იაქუფ ქადრის, საბაჰათინ ალის, თევფიქ ფიქრეთის, ჰაირულაჰ ეფენდის, ფაქირ ბაიქურთის, სუათ დერვიშის და სხვა ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების შემოქმედება; შეისწავლეს თურქული პოეტიკა. ქართულ ენაზე ითარგმნა: თურქული ზღაპრები, ნასრედინ ჰოჯას ანეგდოტები, "დედე ქორქუთის" წიგნი, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები, საბაჰათინ ალის, ომერ სეიფეთინის, ორჰან ჰანჩერლიოღლუს, ჰალდუნ თანერის, აზიზ ნესინის,

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ნეჯათის, რეშად ნური გიუნთექინის, იაქუფ ქადრი ქარაოსმანოღლუს, აჰმეთ ჰაშიმის, ბექირ ილდიზის, ფაზილ ჰუსნუ დაღლარჯას, ადალეთ აღაოღლუს, ოქთაი რიფათის, ორჰან ფამუქისა და სხვა ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების თხზულებები.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ბიბლიოგრაფია

თურქული ენიდან ქართულად ნათარგმნი ნაწარმოებები და თურქული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები

1. ალი, საბაჰათინ, დაბადების მოწმობა [მოთხრობები], მთარგმნელი ნოდარ ჯანაშია, "ნაკადული", თბილისი, 1961;

2. ალი, საბაჰათინ, ეშმაკი ჩვენს სულში [რომანი], მთარგმნელი გურამ ბათიაშვილი, "მერანი", თბილისი, 1972;

3. ალი, საბაჰათინ, მგელი და კრავი [ნოველები], მთარგმნელი ნოდარ ჯანაშია, სახელგამი, თბილისი, 1961;

4. ალი, საბაჰათინ, ცხელი წყალი, თურქულიდან თარგმნა ვენერა ჯანგიძემ, კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 198-202;

5. ანეგდოტები და მოლა მასრადინა, ქუთაისი: ა. შახბარათოვის გამოცემა 140, 1926: ადგილობრივი მეურნეობის სტამბა, 15გვ.;

6. არმაღანი: [აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები / შემდგ.: მ. თოდუა] - თბ.: საბჭ. საქართველო, 1988, 443გვ;

7. არნაუტოვი ბ., ანეგდოტები და მოლა მასრადინა, გამოცემული ბ. არ-ვისა [ბ. არნაუტოვი] - თბილისი, 1917: სტ. როტინიანცისა, 16გვ.;

8. ახპატელოვი, მიხეილ, მოლამასრადინის მოქმედულება: დროების გასართობი საკითხავი წიგნი / შედგენილი მ. ახპატელოვისაგან, თბილისი: მ. დანიელოვის გამოც., 1884: მ.დ. როტინიანცის და კამპ. სტ.;

9. ახპატელოვი, მიხეილ, მოლამასრადინის მოქმედობა: დროების გასართობი საკითხავი წიგნი, შედგენილი მ. ახპატელოვისაგან; დამატებით მეხუთე გამოცემა. მხიარული მასპინძელი, ტფ.: ალექსანდრე შახ-ბარათოვის გამოცემა 46, 1905 : ტ. მ. როტინოვის სტ. 31გვ.;

10. ბათიაშვილი, გურამ, ნაზიმ ჰიქმეთი, თბ.: ნაკადული, 1977, 186გვ.; (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, 56);

11. ბათიაშვილი, გურამ, შენაკადები: [კრიტიკული წერილები ქართულ და თურქულ ლიტერატურის საკითხებზე] - თბ.: საბჭ. საქართველო, 1977,153გვ.;

12. ბაიქურთი, ფაქირ, გველების შურისძიება: [რომანი], თურქულიდან თარგმნა იბრაიმ გორგაძემ; საქ. მწერალთა კავშირთან არსებ. მხატვრ. თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთ. სარედ. კოლეგია - ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1982, 234გვ.; პარალელ. თავფ. თურქ. ენ.;

13. ბაიქურთი, ფაქირ, ჭორფლიანი ქალი: [რომანი], თურქულიდან თარგმნა იბრაიმ გორგაძემ; საბჭოთა აჭარა, ბათუმი 1982;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

14. ბიუმი, ნაზარ, იუკო-ტანი : [კრებული] / ნაზარ ბიუმ; წინასიტყვ. ავტ. ასლან აბაშიძე; მთარგმნ. გივი ლუარსაბიშვილი, თბ.: ჰაოს-ქართლოსი, 1997, 56გვ.;

15. ბუ ადამი, ანეგდოტები, თურქულიდან მთარგმნელი სერგი ჯიქია; კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1965, გვ. 201-202;

16. გასაცინარი ანეკდოტები ხოჯა მოლლა ნასრ-ედდინისა, ნათარგმნი და შედგენილი გიორგი ი. სკანდარ-ნოვას მიერ, ტფილისი: სტ. "ესპერანტო"; ნაწილი პირველი, 1913, 64გვ.;

17. გვარიშვილი, ოსიკო, აზიზ ნესინის იუმორის ძალა / [რედ.: ჯემალ სურმანიძე] - ბათუმი: გამომცემლობა "აჭარა", 2001, 102გვ.;

18. გიუნთექინი, რეშად ნური, ნარჩიტა, რომანი / თურქ. თარგმნა ნანა გვარიშვილმა, ბათუმი: [აჭარის] სახელგამი, 1961: ქუთაისის მე-5 სტ. 321გვ.;

19. გიუნთექინ, რეშად ნური, სტუმარი ღვთისაა, თურქულიდან მთარგმნელი სერგი ჯიქია. კრებულში "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1965, გვ. 219-227;

20. გიუნთექინ, რეშად ნური, მუქარა, თურქულიდან თარგმნა მაკა შონიამ, კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 189-193;

21. გიუნთექინ, რეშად ნური, როგორ ეცემა ადამიანი, თურქულიდან თარგმნა მაკა შონიამ, კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 193-195.

22. გიუნთექინ, რეშად ნური, კონტრაბანდისტი, თურქულიდან თარგმნა ვიქტორ ჩიკაიძემ, კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 195-198.

23. გუზიიდე, საბრი მუნევვერ, [მოთხრობა] / თარგმანი ოსმალურიდან მეჰმედ აბაშიძის მიერ, ტფ.: სახელგამის გა-მა, 1931: სახელგამის 1-ლი სტ. 55, [1]გვ.;

24. დედე ქორქუთის წიგნი : [ხალხური ეპოსი] / ოღუზურიდან თარგმნეს, წინასიტყვ. და კომენტარები დაურთეს ელიზბარ ჯაველიძემ და გიორგი შაყულაშვილმა; საქ. მწერალთა კავშირთან არსებ. მხატვრ. თარგმ. და ლიტ. ურთიერთობების მთ. სარედ. კოლეგია - თბ.: საბჭ. საქართველო, 1987: ბ.ს. კომბ-ტი - 191გვ.; განმარტებანი და ლექსიკონი: გვ.177-180.

25. დერვიში, სუათ, ფოსფორიანი ჯევრიე: რომანი, თურქ. თარგმნა ნ. ჯანაშიამ, თბ.: საბჭ. საქართველო, 1967, 248გვ.;

26. დიუშენ, ფერდინანდ, თამილა: რომანი, თარგმანი პოლიო აბრამიასი; ტფ.: რემედას, 1929: პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ. 272გვ.;

27. დიუშენი, ფერდინანდ, თამილა, რომანი / თარგმ. პ. აბრამიასი, ბათუმი: აჭარის ასსრ სახელგამი, 1958, 196გვ.;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

28. დიუშენი, ფერდინანდ, თამილა, რომანი, თარგმანი პ. აბრამიასი, ბათუმი: საბჭ. აჭარა, 1982, 190გვ. ;

29. ემრე იუნიუს (1240-1320), ფიქრის მწვერვალი: [ლექსები] თურქ. თარგმნა იმირ მამედლიმ; რედ. მაყვალა გონაშვილი] - თბ.: გულანი, 1996, 91გვ.; ***შინაარსი:*** *უმეცარი მე ვერ მხედავს; სალამს ვუძღვნით; შენ გეძახი; მე ვარ; შენ დერვიში ვერ იქნები; ჩაიარა ჩემმა ჟამმა; შენ ჩაგჭიდე, ღმერთო, ხელი; სიღრმეში; სამოთხის წყარო; ნახე ტრფიალმა რა მიყო; შენმა ტრფობამ წამიტაცა; შენგანა მჭირს; ხვალე შენს მოსაძებნად; მე რა მცხია დერვიშისა; ერთი; რა ვთქვა მე შენს საქებარად; ღმერთო, მომეც სიყვარული; კვლავ; რაა; სიყვარული; დოსტს ვეწვიოთ, წამო, გულო; მწადია; არა მაქვს; თავი რომ შევიცან; ჩემი სამფლობელო; ოჰ, რა გიყო; მე ვარ; ჩემისთანა უთვისტომო; სიყვარულისგან; თვით მოვიდა, თვითაც წავა; ვიდრე შენში ხარ; გულის მონახულება; ვინც კაცია და სხვ.*

30. ერაძე ლეილა, მეგობრობა გზად და ხიდად: ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობა, თბ., 1977;

31. ზაქარიაძე, გელა, პროგრესული მწერლის მხატვრული პროზა: [ორჰან ჰანჩერლიოღლუს შემოქმედება] - ბათუმი: საბჭ. აჭარა, 1987, 82გვ.;

32. თანერი, ჰალდუნ, აწვიმდა სტამბოლს: რჩეული ნოველები და პიესა; თურქულიდან თარგმნა ლია ჩლაიძემ; [რედ.: მიხეილ ბეროშვილი; მხატვ.: ქეთევან ჩლაიძე] - თბ.: კავკასიური სახლი, 2004, 275გვ.;

33. თარჰანი, აბდულჰაქ ჰამიდ, სამარე, თურქულიდან მთარგმნელი სერგი ჯიქია. კრებულში "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1977, გვ. 536-537;

34. თურქული მოთხრობები, თურქულიდან თარგმნა ნ. ჯანაშიამ, თბ., 1958;

35. თურქული მწერლობა - [ტფ.] კრ. 1 / წინასიტყვ. ავტ.: აზ. შარიფი - : სახელგამის გა-მა, 1934: 1-ლი სტ. - XXVIII, 183გვ. შინაარსი: მოლა-ნასრედინი; ფოსტის ყუთი-მირზა-ფათალი-ახუნდოვი; მოტყუებული ვარსკვლავები-აბდურახილ ახვერდოვი; შეიჰ-შაბან-სულეიმან ახუნდოვი; სონა-ხალა-სეიმურგი; ერქექ ტუქაზბან-ჰუსეინ სადიქი;
36. თურქული ზღაპრები, შეადგინა ლ. ჩლაიძემ, თბ., 1972;

37. ილდიზი, ბექირ, მოკვეთილი მარჯვენა, თურქულიდან თარგმნა ირინე გოცირიძემ; კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 206-211;

38. ილდიზი, ბექირ, შავჩადრიანი პატარძალი, თურქულიდან თარგმნა ირინე გოცირიძემ; კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 211-215;

39. კულინი, აიშე ფურეია, [რომანი]: ეძღვნ. თურქეთის რესპ. ყველა ხელოვან ქალს, ვინც რეალობად აქცია ჩვენი ოცნება ცივილიზაციაზე / აიშე კულინი; [თურქ. თარგმნეს: ნინო შენგელიამ და მაკა კიკნაველიძემ; რედ. მაია დარჩიაშვილი] - [1-ლი გამოც.] - [თბ.]: არეტე, 2007, 380გვ.;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

40. მოლამასრადინის მოქმედულება: დროების გასართობი საკითხავი წიგნი/ შედგენილი მ. ახპატელოვისაგან, მე-2 გამოც. თბილისი: გამოც. მის მეუღლის ლიზა მარჯანოვის მიერ, 1890: მ. როტინიანცის სტ. 16გვ.;

41. მოლა მასრადინას ამბები / შეკრებილი და გამოცემული ს...ძის მიერ - ტფილისი, 1892: წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხ. სტ. 80გვ.; 15სმ.

42. მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები და ოსმალური ანდაზები ოსამალურით გადმოთარგმნილი ალექსანდრე იაკ. მირაქოვის მიერ [მისივე წინასიტყვაობით] - ტფილისი, 1893: მ. შარაძის სტ. 96გვ.;

43. მოლა მასრადინის მოქმედულობა: დროებით გასართობი საკითხავი წიგნი, შედგენილი მ. ახპატელოვისაგან, მესამე გამოცემა, თბილისი: ლიზა ახპატელოვისაგან გამოცემული, 1898: მ. დ. როტინიანცის სტ. - უთავფურც.,

44. მოლამასრადინის მოქმედება: დროების გასართობი საკითხავი წიგნი, შედგენილი მ. ახპატელოვისაგან; დამატებით მესამე [მე-4] გამოცემა, მხიარული მასპინძელი - მე-3 [მე-4] გამოც. თბილისი: გამოცემული მისი მეუღლის ლიზა მარჯანოვის მიერ, 1899: გრ. ჩარკვიანის სტ. 32გვ.;

45. მოლა მასრადინის მოქმედება: დროების გასართობი საკითხავი წიგნი, შედგენილი მ. ახპატელოვისაგან; დამატებით მეოთხე გამოცემა-მხიარული მასპინძელი [მეხუთე გამოცემა] - თბილისი: გამოცემული მისი მეუღლის ლიზა მარჯანოვის მიერ, 1901: გრ. ჩარკვიანის სტ. 32გვ.;

46. მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები, ოსმალურით გადმოთარგმნილი ალექსანდრე იაკ. მირაქოვის მიერ; წინასიტყვაობა: ა. ი. მ.-სი, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1902: გრ. ჩარკვიანის სტ. - 80გვ.;

47. მოლა მასრადინის მოსწრებული სიტყვები, ოსმალურით გადმოთარგმნილი ალექსანდრე იაკ. მირაქოვის მიერ [მისივე წინასიტყვაობით] - მე-3 გამოც. დამატებით - ტფილისი, 1908: ბ.ა. როტინიანცის სტ. 79გვ.;

48. მოლა-მასრადინა: გალექსილი, ტფილისი: გამოცემული ალექ. შახბარათოვისა 55, 1911: ტ. როტინიანცის სტ. 16გვ.;

49. მოლა-მოსრადინა: გალექსილი - ქუთაისი: ა. შახ-ბარათოვის გამოცემა 153, 1912: "კომერციული" სტ. ბ. ს. კურცხალიასი, 16გვ.;

50. მოლა-მასრადინა: გალექსილი - თბილისი: გამოცემა ა. შახ-ბარათოვისა 153, 1913: ტ. როტინიანცის სტ. - 16გვ.;

51. მოლას ვირი და სხვა და სხვა საოხუნჯო იგავ-არაკები, თფილისი, 1912: სტ. "შრომა", 16გვ.;

52. მოლა მასრადინა და მოლას ვირი - ქუთაისი, გამოცემა ალექსანდრე შახბარათოვისა 155, 1914: ფერაძისა და კარნაუხოვის სტ. 16გვ.;

53. მოლა მასრადინა ოხუნჯობანი, შეკრეფილი და გამართული თ. სახოკიას მიერ [მისივე წინასიტყვაობით] - ტფ., 1927: აღმასკომის სტ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

54. მოლა მასრადინას ამბები, ტფ., 1929: ზარია ვოსტოკას სტ. 16გვ.; თავფურცელზე დაწებებულ ქაღალდის ქვეშ გახედვით იკითხება: შეკრებილი და გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ.

55. მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი / მთარგმნ.: ამ. ჭელიძე ; საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო, თბ., 1941, 160გვ.;

56. მოლა ნასრედინის ანეკდოტები, [თარგმ. აზერბ. ა. შონიასი] - ბათუმი: [აჭარის] სახელგამი, 1961: საქმთავარპოლიგრაფგამომც. ბათუმის სტ. 215გვ.;

57. მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი / [ნ. აგიაშვილის წინასიტყვაობით; მთარგმ: პ. წერეთელი] - თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება, 1963, 237გვ.;

58. მოლა ნასრედინი ოხუნჯობს / [შეადგინა, თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნ. კოჭლაშვილმა; ილ.: დ. ხახუტაშვილი] - თბ.: ნაკადული, 1962, 167გვ.;

59. მოლა ნასრედინის ანეკდოტები [თარგმნა კ. შონიასი] - ბათუმი: საბჭ. აჭარა, 1972, 202გვ.;

60. მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი / [სარედ. ჯგ.: თამარ მამაცაშვილი და სხვ.; მხატვ. ნათია კვარაცხელია] - თბ.: პალიტრა, 2007: შპს "ფავორიტი", 176გვ.

61. ნესინი, აზიზ, ფეხბურთის მეფე: რომანი / [თურქ. თარგმნა გ. ბათიაშვილმა] - თბ.: საბჭ. საქართველო, 1987, 184გვ.;

62. ნესინი, აზიზ, კაცს ძალად გააგიჟებენ: [მოთხრობები] / აზიზ ნესინი; [თურქ. თარგმნა ოსიკო გვარიშვილმა] - ბათუმი: აჭარა, 1994, 164გვ.; ***შინაარსი:*** *ადამიანს ძალად გააგიჟებენ; ლექსის მოყვარული ცოლი; ვერ დავასახელებ!...; გამოწვევა; მე არ მეხება; ცოტა დამელოდე; ცოცხალი რიგი; გიჟი გაიქცა; ყველა მოგებულია; ყოველის შემძლე სასტვენი; საკვირაო თავგართობა; სახურავზე გიჟი გასულა; ერთხელ თუ გაგატარეს; შვიდი ზეიმი ერთ დღეს; წიხლი, მჯიღი; სილამაზის დედოფალი; მართლის მთქმელი ცოლი; ...რა ბრძანებაა, პატივცემულო; მივექანებით უფსკრულისაკენ; დეპეშა ბულგარეთიდან; ჩინური ანეკდოტი; ჩემი პირველი და უკანასკნელი რადიო; საბუთი მწვანე ქუდისა; მიტყეპის გარეშე ვერ ვისვენებ!; შაქარი აქვს; არ შეწუხდეთ; მეტად დიდი კაცი; ვირმა-ვიროობა, ადამინმაც ადამიანობა უნდა გასწიოს; ამ ამბავს არავინ დაიჯერებს; როგორ ჰყვარებიათ ხანდაზმული კაცი.*

63. ნესინი, აზიზ, აჰ, ჩვენ ვირები! [თურქ. თარგმნა ოსიკო გვარიშვილმა; რედ.: ნუგზარ ჯაფარიძე] - ბათუმი: გამომცემლობა აჭარა, 1998, 190გვ.;

64. ფამუქი, ორჰან, თეთრი ციხესიმაგრე: [რომანი]; თურქ. თარგმნა ქეთევან ტომარაძემ - თბ.: ინტელექტი, [2008] - 218გვ.; (ნობელის პრემიის ლაურეატები/საგამომც. პროექტის ავტ. კახმეგ კუდავა). შინაარსი: რომანი: თეთრი ციხესიმაგრე; ამბავი "თეთრი ციხესიმაგრისა"; მოთხრობა "ფანჯრიდან ყურება"; სანობელო ლექცია: "მამაჩემის ჩემოდანი" .

65. ფამუქი, ორჰან, ფარული სახე: სცენარი / ორჰან ფამუქი; თურქ. თარგმნა თამარ ალფენიძემ; [რედ. სოფიო კობიაშვილი] - თბ.: ელფი, 2008, 112გვ.;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

66. ქანიქი, ანდან ველი, მადალი საზოგადოება, თურქულიდან თარგმნა მზია გურგენიძემ; კრებული "არმაღანი". აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., "საბჭოთა საქართველო", 1988, გვ. 202-205;

67. ქემალი იაშარ, მემედი ჩემი შევარდენი, თურქულიდან თარგმნეს ნიკო ბარამიძემ და იბრაიმ გორაძემ, გამომცემლობა "საბჭოთა აჭარა", 1986;

68. ქემალი, ორჰან, ქალბატონის მამული, რომანი; თურქ. თარგმნა ი. გორაძემ, ბათუმი: საბჭ. აჭარა, 1978, 276გვ.;

69. ქემალი, ორჰან, უბედური შემთხვევა: რომანი / თურქ. თარგმნა ნანა გვარიშვილმა, ბათუმი : საბჭ. აჭარა, 1974;

70. ქემალი, ორჰან, უცხო ქალი: რომანი / თურქ. თარგმნა იბრაიმ გორაძემ და ნიკო ბარამიძემ - ბათუმი: საბჭ. აჭარა, 1990, 399გვ.;

71. შაყულაშვილი გიორგი, საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით, თბ; 1970;

72. შახბარათოვი, ალექსანდრე მოლა-მასრადინა: გალექსილი, შედგენილი და გამოცემული ალექსანდრე შახ-ბარათოვისა - თბილისი, 1903: ტ. როტინოვის სტ. 16გვ.;

73. ჩვენებურთა სიმღერა: თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ფოლკლორის ნიმუშები, შეკრიბა ოთარ ფუტკარაძემ, ბათუმი, 1991;

74. ჩილოღლუ, ფაჰრეთინ (ფარნა ჭილაძე) სასაზღვრო ფიქრები: მოთხრობები, ლექსები; [თურქ. თარგმნეს ლელა დადიანმა, ნანა კაჭარავამ, მირიან მახარაძემ; რედ.: ლია ჩლაიძე] - თბ.: არტანუჯი, 2006, 150გვ.; შინაარსი: მოთხრობები: მსხლის ხის ჩრდილი; მოხუცი კაცის სიკვდილი; ის მაშინ დავკარგე, როცა ვიპოვე; დამტოვე შორს; გულ-ჯემალი; აპრილი; ღიმილი; უარი; სამი მოთხრობა; განშორება; უკვე ძალიან გვიანია; შეწყვეტილი სიცოცხლე; გულისტკივილის წამი; შარვლის მსხვერპლი; უჩინმაჩინი; ქაჯი; თოვლის დედოფალი; შაშორთი ქალი; გადაღმა მცხოვრები გოგონა; მეფე სოლომონი; ლექსები: ჰერი, ჰერი!; რომელი საათია?; იმ ღამეს; უკანასკნელი რაინდი ვარ; ვინა ვარ მე?!; სიყვარულის შვიდი დღე; დედა; მთვარე მიყვარს!; მეკითხები, რომ; რა ლამაზად წვიმს; გემი მიდის; სიკვდილის თვე; ცხოვრების ფანტაზია; რას ნიშნავს; ჩამიჯდა ფიქრებში კვლავ დედა; ეს ლექსია?; ჩემი ხელნაწერი.

75. ლია ჩლაიძე, ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსია, თბ., 1978;

76. ჯადოსნური სარკე: თურქული ხალხური ზღაპრები [თარგმ. ე. გუდიაშვილისა; ილ. ლ. გუდიაშვილი] - თბ.: ნაკადული, 1961: ბ.ს. კომბ-ტი - 126გვ.;

77. ჯაველიძე, ელენე, თურქული სიმბოლიზმის ისტორიისათვის: (აჰმედ ჰაშიმის პოეზიის გაგებისათვის); საქ. მეცნ. აკად., აღმოსავლეთმცოდნ. ინ-ტი - თბ.: ენა და კულტურა, 2006, 243გვ.;

78. ჯაველიძე, ელიზბარ, თურქული პოეტიკა: [მოკლე კურსი] / რედ.: ა. სილაგაძე, ე. სარიშვილი; თბ.: განათლება, 1988, 430გვ.; ბი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

79. ჯაველიძე, ელიზბარი, რუჰი ბაღდადი: ცხოვრება, მსოფლმხედველობა, ლირიკა/ აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, თბ.: მეცნიერება, 1968 - 172გვ.;

80. ჯაველიძე ელიზბარ, ფუზული, თბ., 1972;

81. ჯიქია სერგი, თურქული ქრესტომათია, ნაკვ. 1,2, თბ., 1965;

82. ჯიქია სერგი, თურქული ქრესტომათია, თბ., 1971;

83. ჰიქმეთი, ნაზიმ, კარგი რამ არის ცხოვრება, ძმაო, რომანი [თარგმნა გურამ ბათიაშვილმა] - თბ.: ნაკადული, 1983, 199გვ.;

84. ჰიქმეთი, ნაზიმ, ლექსები, ბათუმი: აჭარის ასსრ სახელგამი, 1956: საქმთავარპოლიგრაფგამომც. სტ. 124გვ.

85. Джавелидзе Элизбар, У истоков турецкой литературы, I: Джелаль-ед-дин Руми, Тб.,1979;

86. Джавелидзе Элизбар, У истоков турецкой литературы, II: Юнус Эмре, Тб.,1985;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულიდან თურქულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები:

1.მიქელაძე, აბდულ, წერილები აჭარიდან, თარგმნა ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ: Acara Mektupları, yazarı Abdul Mikeladze, Türkçesi Fahrettin Çiloğlu, Sinatle Yayınları, İstanbul.....

2. ბაქრაძე, ეკა, ლექსები, თარგმნა ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ: Bakradze Eka, Çeviri Şiirleri, Gürcüceden Çeviren: Fahrettin Çiloğlu, Gürcü Kültür Merkezi Derneğinin Resmi Web Sitesi;

3. იერგუზი, ისმაილ, ქართული რომანტიზმის მწვერვალი-ნიკოლოზ ბარათაშვილი: Barataşvili Nikoloz – Gürcü Romatizmin Öncüsü, Mamuli Kültürel Dergisi, İsmail Yergüz, Sayı 4, Ekim-Aralık 1997;

4. ჯაიანი, ივანე, წერილები შავშეთიდან, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Borkça Mektupları, yazarı İvane Caiani, Türkçesi: Fahrettin Çiloğlu, Yayınevi: Sinatle Yayınları, İstanbul,

5. ჯავახიშვილი, მიხეილ, ეშმაკის ქვა, მთარგმნელი იბრაჰიმ იავუზ გორაძე: Cavakhişvili Mikheil, Şeytanın Taşı, öyküler, Gürcüceden çeviren İbrahim Yavuz Goradze, Yayınevi : Total Müşavirlik, 1988;

6. ჭავჭავაძე, ილია, მგზავრის წერილები, მთარგმნელი ალი ალთუნი: Çavçavadze İlia, Bir Yolcunun Notları, Çev. Ali Altun, 1989;

7. ჭავჭავაძე, ილია, მგზავრის წეილები, მთარგმნელი ასმათ ჯაფარიძე: Çavçavadze İlia, Yolcunun yazıları, Çeviren Asmat Caparidze, Tbilisi, 2007;

8. სალია, კალისტრატე, ილია ჭავჭავაძე, მთარგმნელი ისმაილ იერგუზ: Çavçavadze İlia, Yazar K. Salia, Bedi Kartlisa'dan (1956 sayı: 50-51), çeviren: İsmail Yerguz, Mamuli Kültürel Dergisi, Sayı:1, Ocak 1997;

9. ჭილაძე, ოთარ, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Çiladze Otar, şiirler, Gürcüceden çeviren Fahrettin Çiloğlu, Mamuli, Temmuz 1997, sayı 3;

10. ჭილაძე, თამაზ, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Çiladze Tamaz, Çeviri Şiirleri, Gürcüceden çeviren Fahrettin Çiloğlu, Gürcü Kültür Merkezi Derneğinin Resmi Web Sitesi, 2003;

11. დუმბაძე, ნოდარ, მე ვხედავ მზეს, მთარგმნელი მეჰჩურე ქარაორენი: Dumbadze Nodar, Güneşi Görüyorum, çeviren Mehçure Karaören, 1969;

12. დუმბაძე, ნოდარ, მარადისობის კანონი, მთარგმნელი ალი ალთუნი: Dumbadze Nodar, Sonsuzluk Yasası, Çev. Ali Altun, İstanbul, 1990;

13. დუმბაძე, ნოდარ, კუკარაჩა, მთარგმნელი გულიზარ ჭელიძე: Dumbadze Nodar, Kukaraça, Çev. Gülizar Çelidze, 1990;

14. ჩილოღლუ, ფაჰრეთთინ, ძველი ქართული ლიტერატურა: Eski Gürcü Edebivatı. Yazar Fahrettin Çiloğlu, Çveneburi Kültürel Dergisi, Sayı: 1(8), Ocal

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

15. ქართული ზღაპრები, მთარგმნელები – ფაჰრეთთინ ჩილოღლუ, ირინე გოცირიძე, ჰასან ჩელიქი, ჰულია ჩილოღლუ: Falcı Hoço'nun Masalı – Gürcü Masalları, Hazırlayan Fahrettin Çiloğlu, Türkçesi: Fahrettin Çiloğlu, İrine Gotsiridze, Hasan Çelik, Hülya Çiloğlu, Yayınevi: Sinatle Yayınları, İstanbul,

16. გეგეშიძე, გურამ, ზღაპარი, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Gegeşidze Guram, Düş, Çev. Fahrettin Çiloğlu, İstanbul, Sinatle Yayınları, 2004;

17. გოგოლაშვილი, ვახტანგ, ცისფერი მთების ქვეყანა, მთარგმნელი მეჰმეთ ოზგული: Gogolaşvili Vahtang, Mavi Dağlar Ülkesi, Çev.Mehmet Özgül, 1980;

18. ქართული ზღაპრები - მზის ასული, მთარგმნელი ჰაირი ჰაირიოღლუ: Güneşin Kızı, Gürcü masalları, Çev. Hayri Hayrioğlu, 1986;

19. ქართული ლიტერატურა: Gürcü Edebiyatı, Kaynak: Ana Britannica, Çveneburi Kültürel Dergisi, Sayı: 1(8), Ocak-Şubat 1993;

20.ხალვაში, ფრიდონ, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Halvaşi Pridon, Çeviri Şiirleri Gürcüceden Çeviren Fahrettin Çiloğlu, Gürcü Kültür Merkezi Derneğinin Resmi Web Sitesi;

21. ხალვაში, ფრიდონ, რაც არ უნდა იყოს, მთარგმნელები ფაქირ ბაიქურთი, აბდურაჰმან ჩეთინქაია: Halvaşi Pridon, Eninde Sonunda, Çev. Fakir Baykurt-Abdurrahman Çetinkaya, 1988;

22. კალანდაძე, ანა, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Kalandadze Ana, Çeviri Şiirler, Gürcüceden çeviren Fahrettin Çiloğlu, Gürcü Kültür Merkezi Derneğinin Resmi Web Sitesi;

23. ყაზბეგი, ალექსანდრე, ელგუჯა, მთარგმნელი აჰმეთ ოზგანი: Kazbegi Aleksandre, Elguca ile Mzağo, Çev. Ahmet Özkan, 1973;

24. იერგუზი, ისმაილ, ალექსანდრე ყაზბეგი: Kazbegi Aleksandre, İsmail Yergüz, mamuli, Ekim-Aralık 1997, Sayı 4;

25. ჩილოღლუ, ფაჰრეთთინ, ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსია: Köroğlu'nun Gürcü Versiyonu, Yazar: Fahrettin Çiloğlu, Mamuli Kültürel Dergisi, Sayı:1, Ocak, 1977;

26. ქვარიანი, სიმონ, გიორგი სააკაძე, მთარგმნელი იბრაჰიმ იავუზ გორაძე: Kvariani Simon, Giorgi Saakadze, Çev. İbrahim Yavuz Goradze, 1980;

27. ლეონიძე, გიორგი, ნატვრის ხე, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Leonidze Giorgi, Dilek Ağacı, Gürcüceden Çeviren: Fahrettin Çiloğlu, Adam Öykü, Eylül-Ekim, 2003;

28. მაჭავარიანი, მუხრან, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Maçavariani Muhran, Çeviri Şiirleri, Gürcüceden çeviren Fahrettin Çiloğlu, Gürcü Kültür Merkezi Derneğinin Resmi Web Sitesi;

29. ნიშნიანიძე, შოთა, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Nişnianidze Şota, Çeviri Şiirleri, Gürcüceden çeviren Fahrettin Çiloğlu, Gürcü Kültür Merkezi Derneğinin Resmi Web Sitesi;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

30. რუსთაველი, შოთა, ვეფხისტყაოსანი, მთარგმნელები ბილალ დინდარი, ზეინელაბიდინ მაქასი: Rustaveli, Kaplan Postlu Şövalye, Çev. Bilal Dindar-Zeynel Abidin Makas, Samsun, 1991;

31. იერგუზი, ისმაილ, შოთა რუსთაველი და ”ვეფხისტყაოსანი” Şota Rustaveli ve "Kaplan Postlu Şövalye" İsmail YERGUZ, Mamuli, Temmuz 1997, sayı 3;

32. ლექსების კრებული ”ღრმა სევდა”, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Sıcak Hüzün, şiir seçkisi, Hazırlayan. Fahrettin Çiloğlu, Sinatle Yayınları, İstanbul, 1998;

33. ტაბიძე, გალაკტიონ, ლექსები, მთარგმნელი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ: Tabidze Galaktion, çeviri şiirleri, Gürcüceden Çeviren Fahrettin Çiloğlu, Mamuli, Temmuz 1997, sayı 3

34. ზარმაცი კაცი – ქართული ზღაპრები, მთარგმნელი ჰაირი ჰაირიოღლუ: Tembel Adam, Gürcü masalları, Çev. Hayri Hayrioğlu, Yayınevi : Güvercin Çocuk Kitapları, 1983;

35. სალია, კალისტრატე, აკაკი წერეთელი, მთარგმნელი ისმაილ იერგუზი: Akaki Tsereteli, Yazar K. Salia, Kaynak Bedi Kartlisa Dergisi, 1956, sayı: 50-51; Fransızcadan Çeviren İsmail Yerguz; Mamuli Kültürel Dergisi, Sayı:2, Nisan-Haziran 1997;

36.იერგუზი, ისმაილ, ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები – ვაჟა ფშაველა: Vaja Pşavela, Gürcü Edebiyatından Portreler, Yazar İamail Yergüz, Mamuli, , sayı 3, yazar İsmail Yergüz, Temmuz 1997;

37. ფაღავა, იუსუფ, ჩაუმქრალი კერა, მთარგმნელი იბრაჰიმ იავუზ გორაძე: Yusuf Pağava, Sönmeyen Ocak, Çev. İbrahim Yavuz Goradze, 1977;

38. ქართული მოთხრობები, მთარგმნელები – ჰასან ჩელიქი, ფათოშ გურსოითირაქი: Umut Uzun Yaşar - Gürcü Öyküleri, Türkçesi: Hasan Çelik, Fatoş Gürsoytırak, Yayınevi: Sinatle Yayınları, İstanbul.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და დიდ მასალას მოიცავს. ამ პრობლემით დაინტერესდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები და ლიტერატორები. კვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და განსაკუთრებული ინტენსივობით XX საუკუნეში გაგრძელდა.

ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეხება თავის ნაშრომებში ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, კორნელი კეკელიძე. ცალკე კვლევები მიუძღვნეს რუსულენოვან რუსთველოლოგიას ლევან მენაბდემ, იგორ ბოგომოლოვმა, გურამ შარაძემ და სხვ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში შესწავლილი აქვს ტრიფონ რუხაძეს. თენგიზ ბუაჩიძეს, ეპისკოპოს კირიონს, იუსტინე ცინცაძეს, ლიდია შეპელოვას, ლალი ძოწენიძეს გამოკვლეული აქვთ რუსული ეპოსი „თქმულება დინარაზე“, რომელშიც ქართველი დედოფალია მთავარი პერსონაჟი. აღორძინების ხანის რუსულ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობას საგანგებო ნაშრომები უძღვნეს ნინო მახათაძემ, დავით ბრეგაძემ, გიორგი ტალიაშვილმა, ქართული კულტურის კერები რუსეთში შეისწავლა ლევან მენაბდემ, საგანგებო შრომა უძღვნა რუსეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა რუსულ კულტურასთან მიმართებას ალექსანდრე ბარამიძემ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია შრომები, რომლებიც XIX საუკუნის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას ეძღვნება, ვინაიდან ისტორიული რეალობიდან გამომდინარე ეს ურთიერთობები განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა. XIX საუკუნის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ლევან ასათიანს, ანა ნიკოლაძეს, იგორ ბოგომოლოვს, ვანო შადურს, თენგიზ ბუაჩიძეს, შალვა კაშმაძეს, ი. ენიკოლოფოვს, პავლე ღუდუშაურს, ოთარ ბაქანიძეს, გურამ შარაძეს და ა. შ. ბევრი შრომა ეძღვნება ასევე XX საუკუნის ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. საკმარისია დავასახელოთ იგორ ბოგომოლოვის, გურამ ასათიანის, გიორგი მარგველაშვილის, მანუჩარ ანთაძის, გივი გვენეტაძის, გრიგოლ კაკიაშვილს, დიმიტრი თუხარელის, ლალი ავალიანის და სხვათა კვლევები.

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა იმდენად მრავალმხრივი და მრავალპლანიანია, რომ შეუძლებელია თემატურად განლაგების გარეშე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ამ ურთიერთობათა კვლევის ისტორიის წარმოჩენა. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არის მრავალი ნიმუში იმისა, რომ მეცნიერი ამა თუ იმ ძეგლის შესწავლისას კვალს მიჰყავდა რუსულ წყაროსთან. მაგალითად, როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა აღმოაჩინა და შეისწავლა ქართული „ალექსანდრიანის“ პროზაული რედაქცია, მან ტექსტი შეუდარა ბერძნულ და სერბულ ვერსიებს და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი მომდინარეობდა სერბულიდან.[1] ხოლო შემდგომ კორნელი კეკელიძემ მიაკვლია, რომ არჩილ მეფეს „ალექსანდრიანი“ უთარგმნია სერბული რედაქციიდან მომდინარე რუსული ტექსტიდან.[2] ამავდროულად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ურთიერთობები არ არის ცალმხრივი. რუსულ ლიტერატურაშიც ისევე ირეკლება ქართული მწერლობის გავლენის კვალი, როგორც ქართველ მწერალთა შემოქმედებაში რუსულის. მაგ., კარპეზ დონდუას აზრით,

---

[1] იხ. Хаханов А., Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва [illegible]

[2] იხ. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თ[illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ფოლკლორული ნოველა „ილია წინასწარმეტყველზე, იესო ქრისტესა და წმინდა გიორგიზე წყაროა რუსული „თქმულებისა ილია წინასწარმეტყველსა და ნიკოლა ღვთისმოსავზე“.[1] „თქმულებას დინარაზე“ მიხეილ მაკაროვი ქართულ ზღაპრად მიიჩნევდა.[2] ალ. ხახანაშვილმა დიმიტრი როსტოველის „ჩეტი მენიას“ პარალელი მოუძებნა ქართულ „რუსუდანიანთან“.[3]

საკვლევი მასალის სიუხვე კი იმითაა განპირობებული, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ადრეულ წარსულში რუსეთის სახელმწიფო შორს იყო საქართველოსგან, მას ჯერ არ მოელწია კავკასიამდე, ძველი ძეგლების (ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული) კვლევისა და ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ურთიერთობა არსებობდა ჯერ კიდევ კიევის რუსეთსა და საქართველოს შორის. უეჭველადაა დამტკიცებული, რომ ქართველები და რუსები უკვე X საუკუნეში იცნობდნენ ერთმანეთს. ცნობებს ურთიერთის შესახებ იღებდნენ ბიზანტიელების, ოსების, ხაზარების, სომხებისა და ალბანელების მეშვეობით, ხოლო ერთმანეთს შესაძლოა შეხვედროდენ როგორც ბიზანტიაში, ასევე კავკასიაშიც. თავდაპირველად ეს ურთიერთობა გამოვლინდა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სფეროში, მოგვიანებით შეიქმნა კულტურულ-ლიტარატურული თანამშრომლიბის პირობები.

ქართველი და რუსი მოღვაწენი ადრეულ ეპოქაში ხვდებოდნენ ბიზანტიაში. ამის საშუალება არსებობდა ათონის მთაზე, სადაც ქართველებს ჰქონდათ მონასტერი. ქართულ წყაროებში რუსები პირველად XI საუკუნეში მოიხსენიებიან, მაგალითად, თამარის ისტორიკოსთან - სუმბატ დავითის ძესთან, XIV-ის ანონიმ ავტორთან და სხვა, ასევე საეკლესიო მოღვაწეებთან ეფთვიმე და გიორგი ათონელებთან და საერო მწერალ ჩახრუხაძესთან.

XI-XII საუკუნეებში ცნობები საქართველოსა და ქართველებზე ხშირად გხვდება რუსულ წყაროებსა და მატეანეებში. X საუკუნეში ბერძნულიდან რუსულად ითარგმნა „ვარლაამი და იოასაფი“, რომელიც ბერძნულად ქართულიდან თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. ლევან მენაბდე არ გამორიცხავს, რომ რუსმა მთარგმნელებმა იცოდნენ რომანის ლიტერატურული ისტორია და მისი კავშირი ქართულ ლიტერატურასთან.

რუსულ-ქართული ურთიერთობები მონღოლთა შემოსევების შედეგად კარგახანს შეწყდა და განახლდა XV საუკუნეში, როდესაც ჩამოყალიბდა და ძლიერდებოდა მოსკოვის რუსეთი, ამის პარალელურად კი ირღვეოდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. მას შემდეგ, რაც საქართველოს მესვეურების არაერთმა თხოვნამ ევროპის ქვეყნებისდმი, ერთიანი ძალით შეეტიათ მაჰმადიანი დამპყრობლებისთვის, არანაირი შედეგი არ გამოიღო, ქართველებმა უკვე მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოსკენ აიღეს ორიენტაცია, მაგრამ უშედეგოდ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნიდან ბევრად უფრო ინტენსიური ხდება. ამ პერიოდში რუსეთის საზღვრები იწევს კავკასიისკენ. ორ ქვეყანას შორის სახელმწიფოებივრ-პოლიტიკური ურთიერთობების გააქტიურებამ კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობისათვის მოამზადა ნიადაგი. XIV-XV საუკუნეების რუსეთში იქმნება „თქმულება ბაბილონის სამეფოზე“. მისი ერთ-ერთი გმირი ქართველია. რუსულ ლიტერატურაში თანდათან იჭრება და მკვიდრდება ქართული თემატიკა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით

---

[1] დამოწმებულია: Шепелова Л., Культурные связи Грузии с Рассией в X-XVII вв. Труды отд. др. русской лит., т. IX, 1953, с. 318-319.

[2] დამოწმებულია: ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVIII სს. თბილისი, 1960. გვ. 118.

[3] იხ. Хаханов Ал., დასახ. ნაშრ., გვ. 40.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საინტერესოა „თქმულება დედოფალ დინარაზე“ (XVIს.). ესაა პირველი რუსული თხზულება საქართველოსა და ქართველებზე.

XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთი იქცა ქართველთა თავშესაფრად. სამშობლოს მოწყვეტილმა ქართველმა პოლიტიკოსებმა და მოღვაწეებმა რუსეთში გააგრძელეს საქართველოში შეწყვეტილი სამეცნიერტო-ლიტერატურული მოღვაწეობა.

მოსკოვი, პეტერბურგი, ასტრახანი, მოზდოკი იქცნენ ქართული კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის კერებად. უკვე ქართულად ითარგმნება XI-XVII საუკუნეების რუსული ძეგლები. მაგალითად, კირილ ტუროვსკის, ისაი კოპინსკის, ფილატერის, პეტრე მაგილას, დიმიტრი როსტოველის, სიმონ პოლაცკის. მოგვიანებით ქართველმა მოღვაწეებმა საფუძვლიანად შეისწავლეს რუსული ლიტერატურა, შემოქმედებითად აღიქვეს რუსული მწერლობის ძეგლები. თანდათან უკვე საქართველოში იწყება ამ ურთიერთობების შესწავლა.

ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსულ თემატიკას, ვითარდება მემუარულ-აღწერილობითი ჟანრი, იქმნება მრავალი ნაწარმოები, რომლებიც შეიცავს ცნობებს რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ, ვ. ორბელიანი, გ. რატიშვილი, რ. დანიბეგაშვილი, ი. ხელაშვილი, თ. ბაგრატიონი და სხვანი აღწერენ რუსულ ქალაქებს მოსკოვს, პეტერბურგს, ტულას, ვორონეჟს და ა. შ.

რუსულ-ქართული კულტრულ-ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ქართულ სინამდვილეში გაძლიერდა რუსული კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის გავლენა. არაერთმა ქართველმა მოღვაწემ განიცადა რუსული ლიტერატურის გავლენა. ამ თვალსაზრისით საკმარისია მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამიშვილის დასახელება.

XVII-XVIII საუკუნეებში თავის მხრივ რუსებმაც უკეთესად გაიცნეს საქართველო და ქართველები. ამის მიზეზად იქცა ჩვენს ქვეყანაში რუსი ელჩების ხშირი ჩამოსვლა.

ქართველებზე მრავალი ცნობა მიაწოდეს მკითხველებს რუსმა მოგზაურებმა, პილიგრიმებმა, ვაჭრებმა (ვ. გოგარამ, რომელიც 1634 წელს იმყოფებოდა ქართლში, ა. სუხანოვმა, რომელმაც ორჯერ მოინახულა საქართვალო (1637-1640, 1652 წლებში) და სხვ. მრავალი საინტერესო ცნობა შემოინახეს საქართველოს შესახებ ი. ვიშენსკიმ, ვ. გრიგოროვიჩმა, ბარსკიმ და სხვებმა.

საქართველოზე და ქართველებზე საინტერესო ცნობები მიაწოდეს რუს მოღვაწეებს პეტერბურგსა და მოსკოვში საქართველოს სამეფოებიდან და სამთავროებიდან წარგზავნილმა დიპლომატებმა და ელჩებმა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსკოვსა და პეტერბურგში ქართველ მეფეთა და უფლისწულთა ჩასვლის ფაქტი. მათი თანმხლები პირები დაფუნძდნენ რუსეთში. მათი ურთიერთობა ადგილობრივ საზოგადოებასთან ხელს უწყობდა ქართულ-რუსული კონტაქტების გაღრმავებას. რუსეთში იზრდებოდა და ფართოვდებოდა ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე, ხალხზე.

ქართულ-რუსული ლიტერატურის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა რუსეთში არსებულმა ქართულმა კოლონიებმა, რომლებიც ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის კერებად იქცა.

ლევან მენაბდე მიიჩნევს, რომ რუსეთისათვის საქართველოს გაცნობაში დიდი როლი ითამაშა ი. გულდენშტადის (1745-1781), ს. ბურნაშევის (1743-1824) და სხვათა ნაშრომებმა.[1] რუსეთში ქართველები ეწოდნენ მრავალმხრივ

[1] იხ. Менабде Л., Из истории грузинско-русских культурно-литературных [illegible] русская средневековые литературы“. Тб., 1992, с. 121.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში თანდათან იჭრება ცნობები საქართველოს შესახებ.

XVIII საუკუნის რუსულ ლიტერატურაში კავკასიის ცხოვრება და თემატიკა მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს. როგორც ანდრეი როზოვი აღნიშნავს, ნ. კარამზინი ოცნებობდა „დაემსახურებინა შავთვალწარბა, წარმტაცი ჩერქეზი ქალის ყურადღება, გ. დერჟავინსა და ვ. ჟუკოვსკის განზრახული ჰქონდათ, „ახლოს გასცნობოდნენ შორეულ, ლამაზ, თბილ სამხრეთს და ექციათ იგი თავისი შემოქმედების მთავარ ობიექტად. (А. Розов, «Толстой на Кавказе». Журнал «На Кавказе», 1909, №1, Екатериногдар.).

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსულ ლიტერატურაში კავკასიისადმი ინტერესი თანდათან იზრდება. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა კავკასიის დასაპყრობად აშკარა გახდა, კავკასიის დაპყრობის პროცესმა რამდენიმე ათეულ წელს გასტანა. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია. სამხედრო მოქმედებების არეალად გადაქცეული შორეული კავკასია თავისუფლად მოაზრობნე პირთა გადასახლების ადგილად იქცა. დეკაბრისტების მთელი პლეადა გადმოასახლეს კავკასიაში. ამ პერიოდის რუსულ რომანტიკულ პოეზიაში კავკასია შორეული ოცნებისა და უფრო მეტად ეგზოტიკის საგნად წარმოჩნდა. კავკასიაში მიმდინარე ბრძოლებიც რომანტიკულ სამოსელში გაეხვია და ამით მიიჩქმალა რეალური ვითარება.

1801 წლიდან საქართველო რუსეთის კოლონიად იქცა. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, კულტურულ ასპარეზზე ურთიერთობა ორ ხალხს შორის კიდევ უფრო გააქტიურდა. რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევით რუს და ქართველ მოღვაწეებს მეტი საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ერთმანეთის კულტურას. უკვე რუს მკვლევართა ინტერესთა არეალში ექცევა საქართველო, რუსეთის სამეცნიერო წრეებში ჩდებიან ქართველი მეცნიერები.

საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე XIX საუკუნის დასაწყისში (1802 წელს) რუსეთში გამოდის ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი.[1] ესაა პირველი რუსული ნაშრომი, სადაც მოიხსენიება შოთა რუსთაველი და მოტანილია რუსთველის რამდენიმე სტროფის თარგმანი, მოკლედაა წარმოდგენილი საქართველოს ისტორია, კულტურა ეკლესიის მდგომარეობა და განათლების დონე. ლევან მენაბდის აზრით, მიუხედავად ბევრი შეცდომისა, ამ წიგნმა დიდი როლი ითამაშა რუსეთისათვის საქართველოს გაცნობის საქმეში. ამ შრომით სარგებლობდნენ გ. დერჟავინი, ა. შიშკოვი და სხვანი.[2] XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსი მოღვაწეების ყურადღება შოთა რუსთაველმა და მისმა პოემამ მიიპყრო.

ამდენად, თემატურად განლაგების გარეშე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ამ ურთიერთობათა კვლევის ისტორიის წარმოჩენა შეუძლებელია.

---

[1] იხ. Болховитинов Е. Историческое изоброжение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб., 1802.

[2] იხ. Менабде Л., დასახ. ნაშრ. გვ., 122.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რუსულენოვანი რუსთველოლოგია

ლევან მენაბდის წიგნში „რუსთაველი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურაში“.[1] ცალკე თავი ეთმობა რუსთაველსა და მის პოემაზე რუსულენოვანი მონაცემებისა და მეცნიერული კვლევების განხილვას, რომელთა უმეტესი ნაწილი რუსეთშია გამოქვეყნებული და რომელთა მეშვეობითაც გაეცნო რუსთაველსა და მის პოემას არა მარტო რუსეთის საზოგადოება, არამედ ამ საკითხით დაინტერესებული უცხოელებიც. ამ ნაშრომში წარმოდგენილია ის ძირითადი მეცნიერული დებულებები პოემისა და მისი ავტორის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იყო რუსულენოვანი მკითხველისათვის. ლევან მენაბდე საგანგებოდ მიუთითებს, რომ რუსეთმა საქართველო პირველად ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომით „საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“ გაიცნო; აღნიშნავს, რუსმა ეპისკოპოსმა თავის ნარკვევში სათანადო ადგილი დაუთმო ქართულ ენასა და დამწერლობას, დაასახელა რამდენიმე გამოჩენილი მწერალი და მათი თხზულებები, თამარის ეპოქა მიიჩნია ქართული კულტურის აყვავების ხანად. ლ. მენაბდე იქვე მიუთითებს, რომ ცალკეულ შეცდომათა მიუხედავად, ეს ნაშრომი საყურადღებოა და დიდია მისი ავტორის წვლილი ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ლ. მენაბდე ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ როლზე ქართული კულტურის რუსეთში პოპულარიზაციის საქმეში, რაც სოლომონ დოდაშვილის წერილმა „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა შეასრულა, რომელიც ჯერ თბილისში (1832წელს), ხოლო შემდეგ “Московские ведомости“-ში გადაიბეჭდა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ს. დოდაშვილმა პირველი სიტყვა თქვა ქართულ მწერლობაზე და სცადა მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წარმოჩენა. მართალია, მან მცირე ადგილი დაუთმო რუსთაველს, მაგრამ მისი თხზულება ქართული კულტურის უმაღლეს მწვერვალად მიიჩნია. ლ. მენაბდე უყურადღებოდ არ ტოვებს რუსულ მხატვრულ და სამოგზაურო ლიტერატურას, სადაც ნახსენებია რუსთველი და მისი პოემა. ესენია საქართველოში გადმოსახლებული პოეტის ალ. შიშკოვის დაუმთავრებელი რომანი „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს“, რომელშიც მოხსენებულია თამარი და „საქართველოს საუკეთესო მგოსნის“ რუსთველის პოემა და ა. მურავიოვის „მოგზაურობა აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში 1830 წელს“. ეს უკანასკნელი, როგორც მკვლევარი მიუთითებს, რუსული სამოგზაურო ლიტერატურის პირველი ძეგლია, რომელშიც დამოწმებულია ტიმოთე გაბაშვილის ცნობები.

ნაშრომში მითითებულია დ. ჩუბინაშვილის როლზე, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად ამეტყველებაში, კერძოდ, მან, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, გამოაქვეყნა პოემის ცალკეული სტროფების პროზაული თარგმანი, ასევე მონაწილეობა მიიღო პოეტური თარგმანის მომზადებაში, რომელიც იპოლიტე ბარტდინსკიმ განახორციელა. იქვე მკვლევარი დასძენს, რომ ი. ბარტდინსკიმ 1840-1841 წლებში ლექსი უძღვნა სამეგრელოს მთავრის ძეს გრიგოლ დადიანს, რომელიც მას პოემის თარგმნაში დახმარებია. ჟურნალმა „ილუსტრაციამ“ დიდი ადგილი დაუთმო თარგმანს, თუმცა, როგორც ლ. მენაბდე აღნიშნავს, თარგმანი არ იყო რიგიანი. ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო თბილისელი ჟურნალისტის ი. ევლახოვის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც მკაცრად გააკრიტიკა დ. ჩუბინაშვილმა. მეცნიერი ამავე წერილში ძეგლის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასაც შეეხო.

---

[1] იხ. მენაბდე ლ., რუსთაველი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატ[illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ნაშრომში ლევან მენაბდე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მარი ბროსეს როლზე „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საქმესა და მის პოპულირაზაციაში. როგორც მკვლევარი მიუთითებს, მარი ბროსემ დიდი წვლილი დასდო პოემის ტექსტის კრიტიკულად დადგენას და მეცნიერულ გამოცემას. მისი ნაშრომი გამოირჩევა პოემის არსებითი განხილვით, ანალიზისკენ სწრაფვით. პირველად მან სცადა პოემაში საქართველოს ისტორიის კონკრეტული ეპოქის ანარეკლის დაძებნა, მის გმირებში ქართველთა ხასიათის გამოვლენა.შემდგომ ნაშრომში განხილულია დ. ჩუბინაშვილის წერილი „ქართული პოემა, შეთხზული შოთა რუსთაველის მიერ“. ესაა პირველი წერილი რუსთაველის შესახებ, რომელიც რუსულ პრესაში დაიბეჭდა, კერძოდ, პეტერბურგის ჟურნალში „Азиатский вестник“, №5. ამ წერილში დ. ჩუბინაშვილი იწონებს პოემის ვახტანგისეულ გამოცემას, მაგრამ არ იზიარებს მის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-სარწმუნოებრივ შინაარსზე, გაუმართლებლად მიაჩნია პოემასა და ბიბლიურ წიგნებს შორის პარალელების გავლება, რასაც შეეძლო სასულიერო პირთა უკმაყოფილება გამოეწვია. მან ყურადღება შეაჩერა ვახტანგის კომენტარებზე და ზოგიერთი მათგანი გააკრიტიკა. დ. ჩიბინაშვილმა გააცნო რუსეთის საზოგადოებას ვახტანგის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე.

ლევან მენაბდე უყურადღებოდ არ ტოვებს პლატონ იოსელიანის ნაშრომსა და დიმიტრი ყიფიანის წერილსაც. ამ უკანასკნელში, რომლის სათაურიცაა „თამარ მეფის საუკუნე“, „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის ფონზეა წარმოჩენილი და გაკრიტიკებულია ჩვენი წარსულის უგულებელყოფის ზოგიერთი ცდა.

ლ. მენაბდის ნაშრომში მითითებულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა XIX საუკუნის 50-იან წლებში «Кавказ»-ში გამოქვეყნებული ი. პოლონსკის ლექსი „თამარი და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი, რადგან მასში, პირველად რუსულ პოეზიაში, გვხვდება რუსთაველის მხატვრული სახე. ი. პოლონსკიმ 1848 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „იმერეთი“ პატივით მოიხსენია თამარ მეფე და მისი მგოსანი. 50-60-იან წლებში „Кавказ“-ში იბეჭდება ი. სლივიცკის მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემა თამარისა და რუსთაველის სამიჯნურო თავგადასავალზე.

ლ. მენაბდე აღნიშნავს, რომ რუსთაველის ხსენება შემდგომ პერიოდში თანდათან გახშირდა რუსეთში, კერძოდ, მას იხსენიებენ სამხედრო პრესაში, ქართული ენის შესასწავლ სახელმძღვანელოში, ფ. ტოლის ლექსიკონში და სხვ.

რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ბევრჯერ შეეხო „ვეფისტყაოსნის“ პრობლემებს პლატონ იოსელიანი. მის ნაშრომში მრავალი საინტერესო დაკვირვება, მოსაზრება და დებულებაა. როგორც ლევან მენაბდე აღნიშნავს, პლატონ იოსელიანის შრომებში საყურადღებო ცნობებია რუსთველის ბიოგრაფიაზე, მის პორტრეტსა და პოემის ძველ ხელნაწერებზე, ამასთანავე ვხვდებით მსჯელობას პოეტის რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე. გარდა ამისა საინტერესოა მისი ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი; საგულისხმოა „ვეფხისტყაოსნის“ დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურის ფონზე განხილვა და პოემის ადგილის განსაზღვრის მცდელობა დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურის ფონზე.

ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომში „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“ (1873წ).[1] ვახტანგ VI-ის საგამომცებლო საქმიანობის მიმოხილვისას იხსენიება პოემის პირველი ბეჭდური გამოცემა და გაკრიტიკებულია ვახტანგისეული კომენტარები. საინტერესოა ალ. ცაგარელის მსჯელობა რუსთველის პოემის სახელწოდების რუსულად თარგმანზე.

[1] იხ. Цагарели А., О грамматической литературе грузинского языка, СПб.,

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ლევან მენაბდე მიიჩნევს, რომ რუსულენოვანი რუსთველოლოგების დ. ჩუბინაშვილისა და პ. იოსელიანის წერილებით არის დავალებული რუსი ჟურნალისტის ნ. ბოჩაროვის სტატია „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე“.[1]

XIX საუკუნის 70-იანი წლების რუსულენოვანი რუსთველოლოგიური ლიტერატურიდან ნაშრომში მოხსენებულია ს. ბარათაშვილისა და ნ. ბერძენიშვილის წერილები; ასევე ყურადღებაა გამახვილებული ევგენი სტალინსკის ნაშრომზე „შოთა რუსთველი – ქართველი სახალხო პოეტი“ აღნიშნულია, რომ სტალინსკის ნაშრომი პირველი რუსული წიგნია რუსთველსა და მის პოემაზე.

ლევან მენაბდის ნაშრომში მოთხრობილია იმ პოლემიკის შესახებ, რომელიც გაჩაღდა რუსულ პრესაში და რომელიც ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ღირსებასა და წარმომავლობას. 1889 წელს ივანე ჯაბადარმა რუსულ ჟურნალში „სევერნი ვესტნიკ“ გამოაქვეყნა წერილების სერია, რომელშიც ნიჰილისტურად შეაფასა საქართველოს წარსული, დააკნინა ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა და რუსთველის პოემა სპარსული ძეგლების, განსაკუთრებით ნიზამი განჯელის „ლეილ მაჯნუნიანის“ მიბაძვად გამოაცხადა. ამ ფაქტმა აღაშფოთა ქართველი საზოგადოება. ი. ჯაბადარის მოსაზრებები გააკრიტიკეს ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ .წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა და სხვ.

80-იან წლებში შესრულდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პროზაული თარგმანი, რომელიც ორჯერ _ 1888[2] და 1890[3] წწ. გამოაქვეყნა ი. მეუნარგიამ. 1888 წელს ა. ცაგარლის ნაშრომში “ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე“ დაბეჭდილია ცნობები რუსთველზე, მის პორტრეტზე.

ლევან მენაბდე მიუთითებს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის დამსახურებაზე „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საქმეში. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგი მეცნიერმა შეაჯამა 1895 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „XII საუკუნის ქართველი პოეტი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსაოსანი“, რომელიც გავრცობილი სახით შეიტანა თავის რუსულ “ნარკვევებში“. ნაშრომში მიმოხილულია რუსთველის ბიოგრაფია, ხელნაწერი მემკვიდრეობა და პოემის ბეჭდური გამოცემები, სიუჟეტის წარმომავლობა, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთმიმართება. როგორც ლევან მენაბდე აღნიშნავს, ამ ნაშრომმა დიდად შეუწყო ხელი რუს მკითხველთა წრეებში რუსთველის პოემის პოპულარიზაციას.

ლევან მენაბდის ნაშრომში მითითებულია XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამოცემული რუსული წიგნები, რომლებშიც რუსთველია მოხსენებული. ასევე ვრცლადაა განხილული პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის ნიკო მარის სამეცნიერო კვლევები, რომელშიც იგი რუსთველსა და მის პოემას ან ეხება, ან ცალკე გამოკვლევას უძღვნის. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ნ. მარი არ იყო თანმიმდევრული მკვლევარი, ავითარებდა ერთიმეორის გამომრიცხავ დებულებებს, მაგრამ ამავე დროს თავდადებით იღვწოდა ქართველი პოეტის მსოფლიო კულტურის ასპარეზზე დასამკვიდრებლად, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული რუსთველოლოგიის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბება. თავდაპირველად ნ. მარს (XIX ს-ის 90-იან წლებში) საგანგებოდ „ვეფხისტყაოსანზე“ ნაშრომი რუსულ ენაზე არ გამოუქვეყნებია, მაგრამ სხვადასხვა საკითხებზე

---

[1] იხ.. Бочаров Н., Грузинская литература и ее представители до XVIII столетии, „ Илюстрированная Газета“, 1872, №28, გვ. 33.

[2] იხ. «Барсова кожа» Руставели в рассказе И. Меунаргия, Тбилиси _ 1888.

[3] იხ. «Барсова кожа» Руставели в рассказе И. Меунаргия, Тбилиси, 1890.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მსჯელობისას იგი რუსთველის პოემასაც შეეხო, კერძოდ, წერილებში „ამირანდარეჯანიანისა“ და „რუსუდანიანზე“.

1902 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძველი ქართველი მეხოტბენი“ ნ. მარმა „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-იდეური სიახლოვის გამო ავტორები გააიგივა და ერთ პიროვნებად – შოთა რუსთაველ-ჩახრუხაძედ მიიჩნია. გამოკვლევაში „იოანე პეტრიწი, ქართველი ნეოპლატონიკოსი XI–XIIსს.“ (1909) ნ. მარი მსჯელობს რუსთაველის ნეოპლატონიკოსობაზე, ხოლო ნაშრომში „საქართველოს ისტორია“, უკვე გვხვდება მოსაზრება პოემის სპარსული წარმომავლობის შესახებ, მაგრამ აღნიშნულია, რომ რუსთველმა შექმნა „ქართული პოეზიის ხელთუქმნელი ძეგლი.

ლევან მენაბდე რუსთველოლოგიურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნევს 1910 წელს გამოქვეყნებულ ნ. მარის ეტიუდს „ქალის კულტი და რაინდობა „ვეფხისტყაოსანში“. აღნიშნავს, რომ მასში დადგენილია პროლოგ-ეპილოგის სტროფები, დასაბუთებულია პროლოგის რუსთველისეულობა, გაშუქებულია პოემაში წარმოდგენილი სოციალური გარემო და გარკვეულია პატრონყმული ურთიერთობის ტერმინების შინაარსი, დახასიათებულია ქალის კულტი და შედარებულია ევროპული ცხოვრების ანალოგიურ მოვლენასთან, გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართულ-უცხოური ლიტერატურული ძეგლების პარალელური და თანმხვედრი ადგილები, ყურადღებაა შეჩერებული ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებზე. ამასთანავე აღნიშნულ ნაშრომში ნ. მარმა გამოაქვეყნა „ღვთისმშობლის შესხმა“ და მისი ავტორი ხალხური საზომის ლიტერატურაში გამოყენებით რუსთველის წინამორბედად მიიჩნია.

ლ. მენაბდე მიუთითებს ამ ნაშრომის დასკვნაზე, რომ რუსთველის „რომანტიკული პოემა“ შეიქმნა დასავლურ-ქრისტიანული და აღმოსავლურ მაჰმადიანური კულტურის გზაჯვარედინზე, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე დამუშავდა.

ლ. მენაბდე ასევე განიხილავს ნ. მარის ნარკვევს „კავკასია და მისი სულიერი კულტურის ძეგლები“, და ვრცელ ნაშრომს „შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“. დასახელებულ ნარკვევში მეცნიერი კვლავ იმეორებს მცდარ აზრს “ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან მომდინარეობაზე. რაც შეეხება მეორე ნაშრომს, როგორც ლ. მენაბდე შენიშნავს, ისიც მიუღებელ თვალსაზრისს შეიცავს რუსთველის მსოფლმხედველობისა და მისი მოღვაწეობის ხანაზე, ასევე მესხეთში მაჰმადიანობის გავრცელების მნიშვნელობაზე, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს გამოკვლევა საყურადღებოა განხილული საკითხების მრავალფეროვნებით, კერძოდ, მასში ნაჩვენებია პოემის იდეური დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, შეიცავს საყურადღებო მსჯელობას ქალის კულტზე, სოციალურ გარემოზე, მიჯნურობაზე. ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვება ქართულ ნეოპლატონიზმზე, პეტრიწის მემკვიდრეობაზე.

ლევან მენაბდის ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელთა თვალსაზრისზე პოემის შესახებ, ასევე პოეტის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით რუს მოღვაწეთა მიერ გამოქვეყნებულ წერილებზე, რომლებიც რუსთველსა და მის პოემას ეხება, რუს პოეტთა მიერ შოთა რუსთველისადმი მიძღვნილ ლექსებზე.

აქვე გვინდა მივუთითოთ ს. ლეკიშვილის სტატიაზე „პირველი რუსული წიგნი საქართველოს კულტურულ-ისტორიულ წარსულზე“.[1] რომელშიც შეფასებულია ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი. ავტორი, რასაკვირველია,

[1]იხ. ლეკიშვილი ს., პირველი რუსული წიგნი საქართველოს კულტურ
კრებულში: „მეგობრობა“, თბილისი, 1979, გვ. 80.

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მიუთითებს რუსი მიტროპოლიტის დამსახურებაზე, კერძოდ, რომ რუსეთში მან პირველმა გაიხადა საქართველო შესწავლის ობიექტად და ნაწილობრივ ევროპის ქვეყნებსაც გააცნო ჩვენი ქვეყნის კულტურა, რომ მისი წიგნის გამოსვლის შემდეგ დაინტერესებულ პირს შეეძლო ხელთ ჰქონოდა დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია საქართველოს შესახებ უძველესი დროიდან 1801 წლამდე. ს. ლეკიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ ე. ბოლხოვიტინოვის სახელთანაა დაკავშირებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის გამოჩენა არაქართულ ენაზე, ასევე პირველი მცდელობა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტების თარგმნისა, რომ მისი ნაშრომი პირველი ნაბეჭდი წიგნია, რომელშიც იმდროისთვის საფუძვლიანად არის კვალიფიცირებული ქართული კლასიკური ლექსის რაობა. სტატიის ავტორი მიუთითებს, რომ რუსულმა ისტორიოგრაფიამ ამ წიგნის მეშვეობით შეიტყო გიორგი ანდრიას ძე ბოგოლუბსკის ყრმობის შემდგომი პერიოდის ბიოგრაფიული ქარგა.

ს. ლეკიშვილი ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს იმ არსებითი ხასიათის შეცდომებზე, რომლებიც ნაშრომში გვხვდება. მას პირველ რიგში არასწორად მიაჩნია ის დებულებები, რომლებიც ეხება ქართული ენის და ანბანის წარმოშობას და ხალხური მუსიკის რაობას. ასევე შენიშნავს, რომ ე. ბოლხოვიტინოვის ზოგი მოსაზრება ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგალითად, რუსთველისა და არიოსტოს ერთ სიბრტყეზე დაყენება.

რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ცნობოლი მკვლევარის იგორ ბოგომოლოვის წიგნში „დიადი მეგობრობის ფურცლები“. გამოქვეყნებულია ნაშრომი „ჟამთა სიავით გაყვითლებული ფურცლები“, რომლის პირველი ქვეთავია „შოთა რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში“.[1] იგი მიმოხილვითი ხასიათისაა; მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოთვლილია რუსი ავტორები, რომლებიც შეეხნენ რუსთველის პოემას. რასაკვირველია, ი. ბოგომოლოვი უპირველესად ყურადღებას ამახვილებს ე. ბოლხოვიტინოვზე, მას ალექსანდრე ნეველის ლავრის პრეფექტად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ მუშაობაში იმჟამად სანკტ-პეტერბურგში მყოფი ქართველი დესპანები და დეპუტატები ეხმარებოდნენ. ასევე მიუთითებს, რომ ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობის შესახებ, შემდგომი დროის ავტორები კი თანდათან გადადიოდნენ რუსთველის შემოქმედების ღრმა გააზრებაზე.

ი. ბოგომოლოვი შენიშნავს, რომ ი. ლანგენი 1805 წელს გამოცემულ წიგნში „კავკასიის აღწერა საქართველოს მოკლე და სტატისტიკური აღწერით“ გვაწვდის ცნობებს შოთა რუსთაველის შესახებ, რომელიც ამოღებულია ე. ბოლხოვიტინოვის წიგნიდან.

რუსულ სინამდვილეში თანდათან იქმნებოდა სპეციალური სტატიები რუსთველისა და მისი პოემის შესახებ, რომელთაგან პირველი გამოქვეყნდა 1827 წელს ჟურნალ „აზიატსკი ვესტნიკის“ №5-ში, რომლის ანონიმი ავტორი შედარებით ახალ ცნობებს აწვდიდა მკითხველს რუსთველის ეპოქაზე. ი. ბოგომოლოვიც, ლევან მენაბდის კვალად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს 1832 წელს გამოქვეყნებულ ს. დოდაშვილის წერილს „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, რომელშიც, რასაკვირველია სათანადო ადგილი რუსთაველსა და მის პოემასაც დაეთმო. ეს წერილი თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა „აზიატსკი ვესტნიკსა“ და „მასკოვსკიე ვედომოსტ“-ში. მან დიდი როლი ითამაშა რუსული საზოგადოების ინტერესის გაღრმავებაში ქართული ლიტერატურისა და კერძოდ, რუსთაველისადმი. რუსულ ენაზე ჩნდება შრომები რუსთველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხებზე. ავტორი

[1] იხ. ბოგომოლოვი ი., დიადი მეგობრობის ფურცლები, თბილისი, 1983.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პირველ რიგში მოიხსენიებს ა. ხოდზკოს სტატიას „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“.

ი. ბოგომოლოვის ნაშრომში მითითებულია 30-40-იან წლებში გამოქვეყნებული ის სტატიები და წიგნები, რომლებშიც რუსთაველია მოხსენიებული, კერძოდ, ა. მურავიოვის წიგნი „მოგზაურობა წმინდა ადგილებში“ (1835), ვ. ლეგკობიტოვის ნაშრომი „მიმოხილვა რუსეთის მფლობელობისა კავკასიაზე“ (1836), პ. საველიევის სტატია „ქართული სიძველენი, წარწერები და მონეტები“ (1837), ასევე მარი ბროსეს შრომები. საბოლოოდ ი. ბოგომოლოვი ასკვნის, რომ 20-30-იან წლებში რუსულენოვანი რუსთველოლოგიური ლიტერატურა მიზნად ისახავდა მკითხველისათვის მიეწოდებინა ძირითადი ცნობები „ვეფხისტყაოსანზე“, 40-50-იან წლებში კი მკვლევართა ყურადღებას იპყრობს უფრო რთული პრობლემები, კერძოდ, პოემის ორიგინალურობისა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხები. ი. ბოგომოლოვი ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს დ. ჩუბინაშვილის 1842 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაზე „О Грузинской поеме Вепхис-ткаосани или „Барсова кожа“, რომლის მიზანიცაა წარმოაჩინოს რუსთველის სიდიადე და მისი პოემის მნიშვნელობა ნაციონალური ლიტერატურისათვის. დ. ჩუბინაშვილი განიხილავდა რა პოემის პირველ ვახტანგისეულ გამოცემას, აღნიშნავდა მის ღირსებებს და ასევე მიუთითებდა ნაკლზე (ზოგი სტროფის გამოტოვება, გრამატიკული და ლოგიკური შეცდომები). ნაშრომში მეცნიერმა ყურადღება მიაქცია პოემის ენობრივ ანალიზს, ხაზი გაუსვა ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულ ერთიანობას. ასევე წამოჭრა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის შესახებ. დ. ჩუბინაშვილი ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იყო შედეგი მსოფლიო სულიერი კულტურის განვითარებისა. მიუხედავად იმისა, რომ პოემას ახასიათებს გარეგანი მსგავსება აღმოსავლურ რომანებთან, იგი თვითმყოფადი და ორიგინალური თხზულებაა. დ. ჩუბინაშვილი მრავალი მაგალითის მოშველიებით ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია XII საუკუნის ქართული ისტორიული სინამდვილე და რომ ნესტან-დარეჯანის სახის ქვეშ იფარება თვით თამარი.

ი. ბოგომოლოვი ასევე აღნიშნავს, რომ მკითხველს მდიდარ ცნობებს აწვდიდა რუსთველსა და მის პოემაზე გაზეთი „კავკაზი“, რომელიც რუსეთში ვრცელდებოდა. მასში იბეჭდებოდა არა მარტო ადგილობრივი მასალები, არამედ პეტერბურგიდან გამოგზავნილიც, კერძოდ, ვ. ბარატოვის „საქართველოს დამწერლობის ძეგლები“, კ. კანევსკის „შეხედულებანი საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე“, ვ. სოლოგუბის „ნარკვევები კავკასიის შესახებ“ და სხვ. იმხანებში ასევე დაიბეჭდა ი. სლავიცკისა და ვ. პერევალენკოს მიერ ჩაწერილი თქმულებები და ლეგენდები რუსთაველზე. დიდ ქართველ პოეტზე არსებული რუსულენოვანი ნაშრომები შეაჯამა ი. სლავიცკიმ, რომელიც დაკარგულია. ი. ბოგომოლოვი ასევე მიუთითებს იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პრობლემა აწუხებდა ვ. სოლოგუბს, რომელიც XIX საუკუნის 50-იანი წლებში ცდილობდა გადაეთარგმნა პოემა და იქვე დასძენს, რომ არქივში დაცულია 32 სტროფის თარგმანი. არსებული მასალების მიხედვით, XIX საუკუნის I ნახევარში უკვე არსებობდა არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თავების, არამედ მთელი პოემის პროზაული თარგმანი; ამასთანავე დაწყებულა მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ თარგმანზე.

ი. ბოგომოლოვი იმასაც აღნიშნავს, რომ რუსულ მწერლობაში არა მარტო იხსენიება რუსთველი, არამედ არის მცდელობა მისი მხატვრული სახის შექმნისაც. კერძოდ, 1846 წელს ქვეყნდება მ. მურავიოვის მოთხრობა „ვარდციხის კოშკი“, რომელშიც უსუსურადაა მოთხრობილი დიდი პოეტის ცხოვრებაზე. ალ. პუშკინი ლაპარაკობს რა საადის მოწაფეებზე, მათ უპირისპირებს ვინმე კავკასიელ პოეტს, რომელშიც, ზოგიერთი მკვლევრის დ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ბოგომოლოვის აზრითაც, რუსთველი იგულისხმება. ნაშრომში ისიცაა მითითებული, რომ რუსთველის სახელი ჩნდება დეკაბრისტების თანამებრძოლის ა. შიშკოვის რომანში „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს“ (1832). ათი წლის შემდეგ კი თამარ მეფისა და რუსთაველის სახეებს ძერწავს იაკობ პოლანსკი ლექსში „თამარ მეფე და მისი მგოსანი შოთა რუსთველი“. ამ ნაწარმოებში სწორი ისტორიული პოზიციითაა ასახული შოთა რუსთაველის მხატვრული სახე. იგორ ბოგომოლოვი ასევე აღნიშნავს, რომ ოქროპირ ბატონიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე შექმნა დრამა პროზად, რომელიც 1853 წელს გამოსცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი რუსი მკვლევარი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის პრეტენზია გამოავლინა, იყო კიევის მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767–1837წწ.). მანვე თარგმნა რუსულ ენაზე პოემის რამდენიმე სტროფი. ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში იგი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე პირველ მთარგმნელადაა მიჩნეული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთველოლოგიური საკითხები მას განხილული აქვს ნაშრომში «Историческое изоброжение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии»; აქვეა დაბეჭდილი ავტორის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პირველი სტროფი. პირველ რუს რუსთველოლოგს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა გურამ შარაძემ, რომელსაც ერთვის ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ტექსტი. [1]

ნაშრომში ე. ბოლხოვიტინოვი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის მეფობის ხანაშია შექმნილი. ავტორი ამ ეპოქის პოეზიის მონაპოვრად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსანსა“ და „თამარიანს“, რომელთა ავტორებიც მეფესთან დაახლოებული ფეოდალები იყვნენ: „Обе сочинены ближними ея боярами, первая Руставели, а вторая Чахрухадзем“.[2]

ე. ბოლხოვიტონოვი „ვეფხისტყაოსანს“ ინდოეთის ისტორიიდან აღებულ რომანული შინაარსის პოემად მიიჩნევს. გ. შარაძე შენიშნავს, რომ ავტორი რომანულს სატრფიალო–სამიჯნუროს მნიშვნელობით ხმარობს.[3]

ე. ბოლხოვიტინოვი რუსთველის პოემას მოქმედების განვითარებით არიოსტოს პოემას როლანდზე, ხოლო ხატების, იდეებისა და გრძნობათა წარმოჩინების ორიგინალობით ოსიანის შემოქმედებას ამსგავსებს.[4]

პირველად ე. ბოლხოვიტინოვი გვაწვდის ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის განადგურების შესახებ, მაგრამ არ მიუთითებს ამის ჩამდენზე. აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის აზრით, მას, როგორც მიტროპოლიტს, მოერიდა დაესახელებინა ეკლესიის საჭეთმპყრობელი.

ე. ბოლხოვიტინოვი ნაშრომის VII თავში „О грузинском стихотворстве и музыке“ განიხილავს ქართული ლექსის ვერსიფიკაციის საკითხს. ავტორი ქართული ლქსთწყობის ცხრა სახეობას მიმოიხილავს. იგი აღნიშნავს: „Древних родов грузинских стихов употрибительнейших считается девять, восемь светских и один церковный, назывоемый Ямбик.“ [5]

ე. ბოლხოვიტინოვი ქართული ლექსის ყველაზე ძველ და ფართოდგავრცელებულ სახეობად შაირს მიიჩნევს. აი, რას წერს იგი: „Первый род, самый употребительнейщий, называется Шаири “ Он состоит из четверостиший, имеющих на конце каждого стиха одинокую рифму.[6]

---

[1] იხ. შარაძე გ., ევგენი ბოლხოვიტინოვი – პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბილისი, 1978.
[2] იხ. შარაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 86.
[3] იხ. იქვე, გვ. 67.
[4] იხ. იქვე, გვ.86.
[5] იხ. იქვე, გვ. 88.
[6] იხ. იქვე, გვ. 90.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ე. ბოლხოვიტინოვს ნათქვამის საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი მოჰყავს ჯერ ქართულად რუსული ტრანსკრიფციით და შემდეგ მისი პროკარედი. სწორედ მას ეკუთვნის პოემის სათაურისა და აღნიშნული სტროფის პირველი რუსულენოვანი თარგმანი. ე. ბოლხიტინოვს „ვეფხისტყაოსნის“ სათაური სწორად არა აქვს თარგმნილი, კერძოდ, „Вепхисткаосани, т.е. Барсова кожа“. გ. შარაძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ კიევის მიტროპოლიტის არქივში მიკვლეულია პოემის კიდევ ერთი სტროფის – „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან...“ თარგმანი.[1]

„ვეფხისტყაოსანი“ მოხსენიებულია რუსი მეცნიერის იაკობ ორლოვის ნაშრომში „რიურიკთა სახლის რუს ხელმწიფეთა სულისკვეთება, რუსთა ჭეშმარიტი სურათი და სხვა დანარჩენ ევროპელ ხალხთა ისტორია, პოლიტიკა და საზოგადოდ განათლება ძველი რომის იმპერიის დაცემიდან ვესტფალის ზავამდე“, რომელიც 1818 წელსაა დასტამბული. ი. ორლოვი მხოლოდ შენიშნავს, რომ თამარის მეფობის დროს შექმნილი პოემები „თამარიადა“ და „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენენ ქართული მწერლობის მწვერვალს, რომ მათზე უკეთესი თხზულებანი არ შექმნილა ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, და რომ ეს ნაწარმოებები სამუდამოდ დარჩება ამ ხალხში სანიმუშოდ, როგორც ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. ი. ორლოვი არ ასახელებს პოემათა ავტორებს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ისინი უცხოელ მწერალთა მონური მიმბაძველები არ არიან, რასაც მათ დიდ დამსახურებად მიიჩნევს.[2]

ქართულ თემატიკას დიდი ადგილი უჭირავს რუსი მწერლის ალექსანდრე შიშკოვის შემოქმედებაში. ეს ფაქტი უთუოდ განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1818 წელს იგი თავისუფალი აზროვნებისათვის გადმოასახლეს საქართველოში, სადაც მან ოთხი წელი დაჰყო.

თავის თხზულებაში „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს“,[3] ალ. შიშკოვი თამარის ეპოქის მოკლედ მიმოხილვისას შენიშნავს, რომ დიდ მეფეს ხოტბა შეასხეს მგოსნებმა; იქვე სქოლიოში კი მიუთითებს ჩახრუხაძემ და რუსთაველმაო. ასევე სქოლიოში აღნიშნავს, რომ ჩახრუხაძე „თამარიანის“ ავტორია, ხოლო რუსთაველი კი „ვეფხისტყაოსნისა“.

1845 წლის ჟურნალ „Иллюстрация“–ში (6-7) იბეჭდება რუსი მწერლის იპოლიტე ბარტდინსკის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ 142 სტროფის რუსულენოვანი თარგმანი, რაშიც მონაწილეობა მიუღია დავით ჩუბინაშვილს.

1845 წელს ჟურნალ „Кавказ“–ის 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა რუსი ჟურნალისტის ი. ევლახოვის მიერ შესრულებული რუსთველის პოემის საკმაოდ სუსტი თარგმნი, რომელსაც მკაცრად გამოეხმაურა დ. ჩუბინიშვილი.[4]

რუსმა მწერალმა და მოგზაურმა ანდრეი მურავიოვმა 1830 წელს ახლო აღმოსავლეთში აღწერა ქართული სამონასტრო კერები, ასევე რუსულად თარგმნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ის მონაკვეთი, რომელშიც გადმოცემულია ცნობები რუსთველის შესახებ.[5] 1848 წელს გამოქვეყნდა ანდრეი მურავიოვის წიგნი „საქართველო და სომხეთი“,[6] რომლის ქვეთავში „თამარის ციხე“ ავტორი თამარისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებად ასახელებს „თამარიადას“ და „ვეფხისტყაოსანს“, რუსთველს კი თამარის კარის პოეტად მოიხსენიებს. გადმოცემის მიხედვით, შენიშნავს ალ. მურავიოვი, რუსთველი თხზავდა პატრონის სიყვარულით შთაგონებული. მწერალი გასცნობია ი. ბარტდინსკის

---

[1] იხ. იქვე, გვ. 73-74.

[2] დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, თბილისი, 1988.

[3] იხ. Шишков А., Кетевана или Грузия 1812 году. მის წიგნში: Сочинения и переводы. СПб, 1835.

[4] იხ. Чубинашвили Д., Замечания на перевод «Барсовой кожи»: гфз., «Кавказ», 1846, №27.

[5] იხ. Муравьев А., Путишествие ко святым местам в 1830 году. II, СПб., 1835

[6] იხ. Муравьев А., «Грузия и Армения». СПб., III, 1848.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მიერ შესრულებულ პოემის პირველი თავის თარგმანს, რასაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ალ. მურავიოვი რუსთველის პოემას პოეზიის პირველქმნილი მგზნებარებით აღსავსედ მიიჩნევს.

პოემის პირველი თავის მიხედვით და გადმოცემებზე დაყრდნობით ალ. მურავიოვი ასკვნის, რომ რუსთველმა მოქმედების ასპარეზი არაბეთში გადაიტანა, ვინაიდან ვერ გაბედა სამეფო პირთა პირდაპირი მინიშნება და ისინი მის მიერ გამოგონილი ქვეყნის მბრძანებელთა სახით წარმოადგინა. როსტევანი გიორგი მეფის პოეტური ხატია, ხოლო თინათინი – თამარის.

რუსი ჟურნალისტი და ლიტერატორი ნიკოლოზ ბოჩაროვი ნაშრომში „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე“[1] თამარის მეფობის ხანის განსაკუთრებით სახელგანთქმულ წევრებად ასახელებს პროზაიკოსებს – მოსე ხონელსა და სარგის თმოგველს, პოეტებს ჩახრუხაძესა და შოთა რუსთაველს. ავტორი რუსთველს თავისი ეპოქის საუკეთესო პოეტად, ხოლო მის პოემას ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა შორის გამორჩეულ ქმნილებად მოიხსენიებს. პლატონ იოსელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ცნობებზე დაყრდნობით ა. ბოჩაროვი ზედწოდება რუსთველის წარმოშობას ბოსტან–ქალაქ რუსთავთან აკავშირებს. იქვე აცხადებს, რომ რუსთველმა განათლება ათენში მიიღო, ქართულისა და ბერძნულის გარდა ფლობდა აღმოსავლურ ენებს – სპარსულს და არაბულს; იყო თამარის მეჭურჭლეთუხუცესი. მეფის გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში. XVIII საუკუნეში მიტროპოლიტმა ტიმოთემ მოიხილა მისი საფლავი. ალ. ბოჩაროვი ასევე მიუთითებს ავტორის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოწოდებულ ცნობაზე პოემის სპარსული წარმომავლობის შესახებ და იქვე დასძენს, სინამდვილეში ორიგინალური ნაწარმოებიაო. მისი აზრით, რუსთველმა პოემას „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ უწოდა, რომ ამით თავისი ქმნილებისათვის სპარსული იერი მიენიჭებინა. ძველი სპარსელები ხოსროს მეფობამდე ვეფხის ტყავით იმოსებოდნენ. ალ. ბოჩაროვი მკითხველს აცნობს აგრეთვე პოემის პროლოგში წამოჭრილ საკითხთა წყებას. მისთვის ასევე ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის არსებობა და ის ფაქტიც, რომ გამოცემას ერთვოდა კომენტარები. ამასთანავე ნ. ბოჩაროვი მიუთითებს, რომ პოემის ნაწყვეტი რუსულ ენაზე თარგმნა ი. ბარტდინსკიმ დ. ჩუბინაშვილთან ერთად და რომ აღმოსავლური მეტყველების სირთულის გამო თარგმანი არადამაკმაყოფილებელია და ვერ გადმოსცემს პოემის პოეტურ სილამაზეს. ნ. ბოჩაროვი აქვე შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედული თარგმანი ჯერ არ არსებობს. ნაშრომი 1872 წლით თარიღდება.

1885 წელს გამოდის რუსი მწერლისა და ჟურნალისტის, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელის ევგენი სტალინსკის წიგნი „შოთა რუსთაველი – ქართველი სახალხო პოეტი“.[2] ნაშრომის ავტორი უპირველესად საუბრობს პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის შესახებ. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის ზუსტ თარიღს არ ასახელებს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ 1909 წელს დაარსდა პირველი სტამბა თბილისში, სადაც დაიბეჭდა რუსთველის პოემა, რომელიც მანამდე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ე. სტალინსკის აზრით, აქედან დაიწყო პოემის პოპულარობის ზრდა და სასულიერო პირთა მიერ მისი დევნა. უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდურ გამოცემამდეც არანაკლებ პოპულარული იყო „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში. ე. სტალინსკი მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ პოემის პირველ ბეჭდურ გამოცემაზე ვახტანგის მიერ დართული

[1] იხ. Бочаров Н., დასახ. ნაშრ.

[2] იხ. Сталинский Е., Шота Руставели – Грузинский народный поет, Тбилиси

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კომენტარები არის „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული ამბის რელიგიურ – სიმბოლური შინაარსით გააზრების მცდელობა.

ე. სტალინსკი აღნიშნავს, რომ რუსთველმა განათლება ათენის სკოლაში მიიღო, მაგრამ ამ ფაქტის დამადასტურებელ არც რაიმე არგუმენტს აყენებს და არც წყაროზე მიუთითებს. სავარაუდოა, რომ იგი ნ. ბოჩაროვის ცნობას იმეორებს, თუმცა არც ამ უკანასკნელს წამოუყენებია თავისი განცხადების დამადასტურებელი რაიმე არგუმენტი.

ე. სტალინსკი „ვეფხისტყაოსანს“ ქალებისადმი მიძღვნილი სიყვარულის, სიკეთისა და სილამაზის ჰიმნად, მის ავტორს კი ქრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთ პირველ დამნერგველად და ქალთა ემანსიპაციისათვის მებრძოლად მიიჩნევს. მისი აზრით, ვინაიდან ოქროს ხანის წარმოშობა საქართველოში თამარის სახელს უკავშირდება, ქალთა ემანსიპაციის საკითხი იქცა იმ ნიადაგად, რომელზედაც ერთმანეთს შეხვდნენ მეფე თამარი და დიდი მგოსანი, რის საფუძველზეც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“.

ე. სტალინსკის აზრით, პოემაში თამარის პროტოტიპია ნესტან–დარეჯანი, ხოლო დავით სოსლანის – ტარიელი. ნათქვამის დასადასტურებლად ე. სტალინსკი ავლებს პარალელებს თამარის ბიოგრაფიასა და ნესტან-დარეჯანს შორის, ასევე ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს.

რუსულ სინამდვილეში პირველად დიდი მეცნიერი ანდრეი ვესელოვსკი თავის გამოკვლევებში ლიტერატურის თეორიის პრობლემებზე მსჯელობისას მოიხმობს მაგალითს „ვეფხისტყაოსნიდან“. ა. ვესელოვსკი ნაშრომის „ფსიქოლოგიური პარალელიზმი და მისი ფორმების ასახვა პოეტურ სტილში“ იმ მონაკვეთში, სადაც სიმბოლოს მეტაფორაში გადასვლის პრობლემაზე მსჯელობს და კონკრეტულად ამახვილებს ყურადღებას ვარდის მეტაფორაზე, აღნიშნავს: „შოთა რუსთველის პოემაში ავთანდილი მიიჩქარის ვარდთან (თინათინთან) პაემანზე, იგი ტირის მის გამო: ბროლსა (თვალებს) სეტყვს და ვარდსა აზრობს; დამჭკნარი ვარდი ეკლებს შორის მოქცეული რომ ოხრავს, ტარიელია; აღმოსავლური მისალმება ასეთ გადატანაზეა დაფუძნებული.“ ზემოდასახელებულ ფორმულას ა. ვესელოვსკი სხვა ნიმუშთა მოხმობის პარალელურად ხანგრძლივი სტილისტური განვითარების შედეგად მიღებულ მეტაფორად მიიჩნევს.[1]

1917 წელს მოსკოვში გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ არასრულ ბალმონტისეულ თარგმანს[2] ახლავს წინასიტყვაობა, რომელშიც მთარგმნელი მკითხველს აცნობს, თუ რა ადგილი განეკუთვნება პოემას ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. კ. ბალმონტი რუსთველის ცხოვრებასაც აღწერს. ამ შემთხვევაში იგი ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ გამოცემაზე დართულ ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობას ეყრდნობა, ხოლო ეს უკანასკნელი კი ალ. ცაგარელის ნაშრომის საფუძველზეა შექმნილი. (როგორც ცნობილია, კ. ბალმონტი მარჯორი და ოლივერ უორდროპების საშუალებით გაეცნო „ვეფხისტყაოსანს“). მკვლევართათვის უთუოდ საინტერესოა კონსტანტინე ბალმონტის, ერთი მხრივ, დიდი პოეტის თვალით დანახული და მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის აზრი რუსთველის პოემაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კ. ბალმონტი მიუთითებს მთარგმნელთა და მეცნიერთა მიერ შესრულებულ რუსთველის პოემის სათაურის არაიდენტურ თარგმანზე. მან მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგნაირი თარგმანი შესთავაზა – „Носящий барсову шкуру“. ნაშრომის მონაკვეთში „დიდი

---

[1] იხ. Веселовский А.. Историческая поетика, Ленинград, 1949. გვ. 182.

[2] იხ. Бальмонт К.. Руставели, წიგნში: Шота Руставели, Носящий барсову шкуру. Грузинская поэма XII века. Перевод , Москва. 1917.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

იტალიელები და რუსთველი“ კ. ბალმონტი აღნიშნავს იმ მსგავსების შესახებ, რაც მიჯნურისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების თვალსაზრისით გააჩნიათ დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოსა და რუსთველს. ზემოაღნიშნული ნაშრომის ქვეთავში, რომელის სათაურიცაა „რუსთველის პოემა“, კ. ბალმოტი ჰომეროსის, დანტეს, შექსპირის, კალდერონისა და სერვანტესის მსგავსად რუსთველს იმ შემოქმედად მიიჩნევს, რომელმაც შეძლო განესახიერებინა მთელი ერის სულიერი საუნჯე, „ვეფხისტყაოსანს“ კი – სიყვარულის საუკეთესო პოემად, რომელიც კი ოდესმე შექმნილა ევროპაში. კ. ბალმონტის აზრით, ერთადერთი თხზულება, რომელსაც შეიძლება შეუდარდეს რუსთველის პოემა, არის ბრეტონული მოთხრობა ტრისტანსა და იზოლდაზე. ავტორი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს ორი ნაწარმოები სრულიად დამოუკიდებლად იქმნებოდა და დასძენს: „სულიერი დაძაბულობა, ჭეშმარიტ სიყვარულთან შეხება და სხვა ნიშნები მხატვრული ასახვისა ქმნიან ამ ორი ნაწარმოების უცნაურ ნათესაობას“.[1] ნათქვამის საილუსტრაციოდ მას სათანადო მაგალითები მოჰყავს, კერძოდ, ბრეტონულ მოთხრობაში აღწერილი ეპიზოდი, თუ როგორ ასწავლა მეაბჯრე გორველანმა შვიდი წლის ტრისტანს შუბის, ფარის და მშვილდ–ისრის ხმარება, შთააგონა ვერაგობისა და ტყუილის სიძულვილი, მიცემული სიტყვის ასრულება, კ. ბალმონტის აზრით, ასოცირდება ამხედრებულ ვეფხისტყაოსან რაინდთან, რომელიც ასე იხსენებს თავის სიჭაბუკეს:

მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა;
ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.“ და რომელსაც სიხარულს გვრიდა სროლა და ასპარეზობა. ბრეტონულ მოთხრობაში აღწერილ ეპიზოდს, თუ როგორ მიაქანებს ზღვა უბედურობისაკენ ვერაგ ხომალდებს, კ. ბალმონტი ავთანდილის მეკობრეებთან ბრძოლას ამსგავსებს. ასევე ფარული მიზნების განსახორციელებლად ტრისტანიცა და ავთანდილიც ვაჭრის სახეს იღებენ.

როდესაც ტრისტანი და იზოლდა მხეცთა შორის ცხოვრობდნენ ტყეში, მხოლოდ ნანადირევს შეექცეოდნენ და სინანულით იგონებდნენ მარილისა და პურის გემოს „იმ სუფრაზე, რომელიც ჩვეულებრივ იშლებოდა გამოქვაბულში, სადაც ტანჯვას იყოფდნენ ტარიელი და ასმათი, რუსთველის სტროფი გვაუწყებს:

„წვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,
მუნ უპურობა პურობა, არ სიდიადე ჯამისა“. [2]

ასევე არასოდეს სცდებოდა მიზანს ტრისტანისა და ავთანდილის მშვილდები. იზოლდამ სიზმარში ნახა, თუ როგორ იბრძოდა ორი ლომი მის დასაპატრონებლად, ტარიელი კი ცხადლივ ხედავს ლომისა და ვეფხის ბრძოლას. სინათლე შეაქვს დარბაზში იზოლდას შესვლას. ასევე აბრწყინებს გარემოს ნესტან–დარეჯანი. ამასთანავე კონსტანტინე ბალმონტი მიუთითებს, რომ დანტემ წარმოგვიდგინა სიკვდილის გრძნეულებით მონუსხული შეყვარებული წყვილი, რომელიც განაბრწყინა უფსკრულის ელვარებით. „ბრეტონულმა ლეგენდამ არ გამოიყენა საეკლესიო კოშმარები, თავისი მიჯნურები მათივე განსაცდელის უსასრულობით განაბრწყინა და მით აზიარა უკვდავებას – კვლავ სიკვდილის ხიბლით, რამდენადაც სიკვდილიც, მხატვრულად მომარჯვებული, არის მსუბუქი მოჯადოება,[3] ხოლო რუსთველი ამ პოეტებზე ამაღლებულია იმით, რომ იგი მიჯნურებს სიცოცხლის ისეთი ნათებით განაბრწყინებს, რომ ისინი სიკვდილს ვერასოდეს ვედარ შეძლებენ.

---

[1] დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ. 278.
[2] დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ. 279.
[3] იხ. დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საინტერესოა რუსი მწერლის პეტრე პავლენსკოს მიერ გამოთქმული მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სტატიაში „რუსთველის ოცნებათა ხორცშესხმა“.[1] ავტორი მიუთითებს პოემის პოლითემატურობაზე, აღნიშნავს, რომ ეს არის პოემა ღირსებაზე, მეგობრობაზე, სიმღერა ძმობაზე, ერთგულებასა და მამაცობაზე. იგი ავლებს პარალელს მამაცობის თემაზე შექმნილ სპარსულ ნაწარმოებებთან, რომლებიც წინ უძღოდა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას. მათ შორის უმთავრეს განსხვავებას პ. პავლენკო იმაში ხედავს, რომ რუსთველი ხოტბას ასხამს არა მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე დამყარებულ მამაცობას, არამედ სულიერ სიწმინდესა და მორალურ უპირატესობაზე დამყარებულს. პ. პავლენკო „ვეფხისტყაოსანს“ ახალ საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცნებებით სავსე რჯულის კიდობანს უწოდებს.

სტატიაში „ვეფხისტყაოსანი“ [2] პ. პავლენკო რუსთველის პოემას ახალი ეთიკისა და მორალის და ამასთანავე პოეტიკის ძველ ტრადიციებთან ბრძოლის წიგნად მოიხსენიებს, მაგრამ თუ რაში ვლინდება ყოველივე ეს, ამაზე აღარ მიუთითებს.

პ. პავლენკო საყვედურობს რუსთველის შემოქმედების მკვლევართ იმის თაობაზე, რომ ყოველი მათგანი მწერლის პოეტიკურ სკოლაზე მსჯელობისას „ბევრ ადგილს უთმობს გავლენებს, რომლებიც შეეძლო განეცადა პოეტს, ეძებს მის ლექსებში ირანულ თვისებებს... ივიწყებს, რომ პოემაში ყველაზე მეტად და ყველაზე მკვეთრად საქართველოს თვისებებია წარმოდგენილი“.[3] „ვეფხისტყაოსანს“ წერილის ავტორი არა პიროვნების (თამარ მეფის), არამედ ეპოქის პანეგირიკად მიიჩნევს. პ. პავლინკო აშკარად კარგად იცნობს პოემის ირანული ეპოსიდან წარმომავლობის შესახებ ატეხილ დავას. იგი აღნიშნავს, რუსთველმა რომელიღაც ირანული თქმულება გალექსაო, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ირანულ ეპოსში არ მოიპოვება არც ერთი ნაწარმოები, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ თუნდაც ქვენიადაგად გამოდგებოდაო. პ. პავლენკოს თვალსაზრისით, რუსთველმა არა რომელიმე კონკრეტული ირანული ნაწარმოები გალექსა, არამედ სპარსული საგმირო ეპოსის საერთო სული, რომელიც თავისებურად განმარტა: „აიღო რა ირანის საფაბულო სქემა, მან იდეოლოგიურად გარდაქმნა იგი და გალექსა იმ ახალ იდეათა მოტივზე, რომელთა გაბედული მაუწყებელი უკვე იყო ან უნდა ყოფილიყო მისი სამშობლო. და ამრიგად იგი კი არ მისდევდა ირანის ნიმუშებს, არამედ ქმნიდა რა თავის ქართულ „რუსთველურ ნიმუშებს, ანგრევდა მათ“.[4] სიუჟეტის გაუცხოების ხერხს, პ. პავლენკოს აზრით, მწერალმა შენიღბვის მოტივით კი არ მიმართა, არამედ იმ მიზნით, რომ ეფექტურად ემხილებინა „გარდამავლობა ძველი წარმოდგენებისა ჰეროიკაზე, სიყვარულზე, კეთილსა და ბოროტზე“.[5] ამ თვალსაზრისით პ. პავლენკო რუსთველს სერვანტესს ადარებს, რომელმაც „დონ–კიხოტში“ აიღო რაინდული რომანის კანონები, რათა დაემსხვრია ისინი თავისი ახსნა-განმარტების პაროდიულობით; რუსთველმა კი ძველი კანონების პაროდირება კი არ მოახდინა, არამედ ფსიქოლოგიზირება.

საინტერესოა ნიკოლოზ ზაბოლოცკის მოსაზრებანი და გამონათქვამები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რის მიხედვითაც წარმოჩნდება, თუ როგორ აღიქვა მთარგმნელმა პოემა.

---

[1] იხ. იქვე, გვ. 294.
[2] იხ. იქვე, გვ. 297.
[3] იხ. იქვე, გვ. 299
[4] იხ. იქვე, გვ. 300.
[5] იხ. იქვე, გვ. 300.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

სიტყვაში, რომელიც ნ. ზაბოლოცკიმ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე წარმოთქვა 1937 წელს,[1] განაცხადა, რომ უმთავრეს ამოცანად დაისახა პოემის რუსული პოეტური ტექსტისთვის შეენარჩუნებინა რუსთველისათვის ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელი სტილისტური ხერხები. აღნიშნა, რომ თარგმანზე მუშაობისას ცდილობდა მიჰყოლოდა დედნის შინაგან სულს, მიუთითა, რომ არ უცდია პოემის ზედმიწევნით პუნქტუალური თარგმნა, რაც ჩვეულებრივ აკადემიური თარგმნისათვის არის აუცილებელი.

სტატიაში „რუსთველის სიბრძნე“[2] ნ. ზაბოლოცკი განიხილავს მორალურ კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს პოემას. მწერალი რუსთაველს მიიჩნევს იმ შემოქმედად, რომელმაც საკუთარი იდეალები წარმოადგინა არა განყენებულ მსჯელობათა სახით, არამედ ცოცხალ ადამიანურ განსახიერებაში, გმირთა რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი სახეებით, რომლებიც ამა თუ იმ იდეის აბსტრაქტულ მატარებლებს არ ჰგვანან და რომელთა მეშვეობითაც პოეტმა ევროპულ აღორძინებამდე დიდი ხნით ადრე ამცნო ქვეყანას ახალი ჰუმანისტური იდეების საწყისები.

ნ. ზაბოლოცკი რუსთველის პერსონაჟებს გმირობის, მოვალეობისადმი ერთგულების, უანგარო მეგობრობისა და შთაგონებული სიყვარულის იდეალების მატარებლად მიიჩნევს. მათ შორის უპირატესობას კი ავთანდილს ანიჭებს. გმირის მორალური სახის უძლიერეს გამომხატველად ნ. ზაბოლოცკი მის ანდერძს მიიჩნევს; აღნიშნავს, რომ ავთანდილის სიბრძნე აქტიურია. ამასთანავე ავტორი მიუთითებს, რომ გმირის ქცევა ყოველთვის არ შეესაბამება იმ მაღალ მისწრაფებებს, რომლებითაც ის არის აღტაცებული. გმირთა იდეალური მისწრაფებების ხატვისას რუსთველი არ შორდება ცხოვრების სიმართლეს და არ ჩქმალავს მათ ჩრდილოვან მხარეებს, რაც ზოგიერთ სწორხაზობრიობას მიჩვეულ ლიტერატურათმცოდნეს ჩიხში აქცევს. სწორედ ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე მიწიერი ვნებებით სავსე გმირის სახეა ავთანდილი.

ნ. ზაბოლოცკის აზრით, პოემის გმირები, აღსავსენი სრულქმნილების გრძნობით, ამავე დროს შუა საუკუნეების სამყაროსათვის დამახასიათებელი მრავალი სენით არიან დაავადებულნი. ეს სამყარო კი, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ცხოვრობენ, სისასტიკით, ხოცვა-ჟლეტით გამოირჩევა.[3]

თუ ავთანდილი ბოროტების ქმედითი და მტკიცედ მოწინააღმდეგე გმირია, ტარიელი მრავალი მარცხით სულიერად მოტეხილი, ცხოვრებისუნარდაკარგული პიროვნებაა. ნ. ზაბოლოცკის აზრით, სწორედ სულიერმა მარცხმა აქცია იგი მიჯნურად ანუ მეჯნუნად – სიყვარულისაგან გაშმაგებულად. მაგრამ განსხვავებით შუასაუკუნეების ადამიანისაგან, რომელიც გარესამყაროს უსამართლობით დატანჯული სიყვარულში ეძებდა ექსტაზის იმ მდგომარეობას, ყოფიერებისაგან განყენებას, რომელიც საშუალებას მისცემდა გასცილებოდა ადამიანური უნარის საზღვრებს და შეხებოდა სამყაროს უცოდველ საწყისებს, რუსთველის იდეალური მიჯნური რეალურ ცხოვრებას არ წყდება. „ჭეშმარიტი სიყვარული, რუსთველის გაგებით, ამაღლებს ადამიანს, აღაფრთოვანებს მას, ამდიდრებს მაღალი მორალური თვისებებით, ძალას ჰმატებს ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლაში“. ტარიელი ცხოვრების დასაწყისში, ავთანდილის მსგავსად, გართულია ენერგიული საქმიანობით, უამრავ საბრძოლო გმირობას

---

[1] დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ. 330.

[2] იხ. იქვე, გვ. 327.

[3] იხ. იქვე, გვ. 325.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

სჩადის. ნესტანის დაკარგვის შემდეგ ათი წლის განმავლობაში დაეძებს სატრფოს, ენერგიულად ებრძვის ბედისწერას, მაგრამ იმედი ქრება, ბრძოლის უნარი სუსტდება და უდაბნოში გაჭრილი ტარიელი სასოწარკვეთილებას ეძლევა. თავისი სასოწარკვეთილების აპოგეაში ის სულდგმულობს სიკვდილისა და იმ ქვეყნად სატრფოსთან შეხვედრის მღელვარე მოლოდინით. ქაჯეთის ციხეში მყოფი ნესტან-დარეჯანიც ახლოსაა ამ მდგომარეობასთან, ისიც სატრფოსთან იმ ქვეყნად შეხვედრის მოლოდინით სულდგმულობს. „ისინი მიწიერი ცხოვრების სრულ უარყოფამდე მიდიან. ხილული სამყაროს საგნები კარგავენ მათთვის რეალურ მონახაზებს და გარდაიქმნებიან სამარადისო ცხოვრების სიმბოლოდ“.[1]

ნ. ზაბოლოცკის აზრით, რწმენა იმქვეყნიური ცხოვრებისა, რომელიც ახასიათებს რუსთველის მიჯნურებს, მოკლებულია საეკლესიო-რელიგიურ მხარეებს. რუსთველისათვის ღმერთი არა იმდენად რელიგიური ცნებაა, რამდენადაც ფილოსოფიური. ეს მხოლოდ პირობითი აღნიშვნაა, მძლავრი ცხოველმყოფელი საწყისია, რომელიც თავისი ბუნებით კეთილია და პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ადამიანის არსებობის მანკიერებებთან.[2]

ნ. ზაბოლოცკი ეთანხმება მკვლევართა იმ მოსაზრებას, რომ პითაგორასეული „სამყაროთა ჰარმონია“ და ნეოპლატონიკოსთა იდეები რუსთველის ნაწარმოებში აისახა გაცილებით მკაფიოდ, ვიდრე მისი თანამედროვე რელიგიურ-ქრისტიანული კონცეფცია.

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ვლადიმერ შიშმარიოვის ნაშრომი „შოთა რუსთაველი“ (რამდენიმე პარალელი და ანალოგია), რომელშიც ავტორი, ერთის მხრივ, ახდენს ქართულ-ირანულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ არსებული კვლევა-ძიების რეზუმირებას, მეორე მხრივ კი – უფრო ფართო ურთიერთობათა შესწავლას ისახავს მიზნად.[3]

ვლ. შიშმარიოვი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ძველი ეპოქის ქართული ლიტერატურა რელიგიურ-სქოლასტიკური ინტერესების სიჭარბით გამოირჩეოდა, რაც ბიზანტიური ტრადიციებით საზრდოობდა. საერო მწერლობა კი, რომელიც საქართველოში გაცილებით გვიან ჩნდება, სწრაფად ვითარდება და ყალიბდება აღმოსავლური, კერძოდ, ირანული ტრადიციის გავლენით.

XII საუკუნეში ქართველთა განსაკუთრებულ სიმპათიას იპყრობს რომანტიკულ-სპარსული მოთხრობა – სამიჯნურო რომანი.

ვლ. შიშმარიოვის აზრით, შესაძლოა ეჭვის შეტანა რუსთველის სიტყვებში მისი პოემის სპარსული წყაროს შესახებ. პოეტმა ამ ხერხს მხოლოდ საკუთარი ნაწარმოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების გამო მიმართა, რათა დაემკვიდრებინა იგი ავტორიტეტული მწერლობის წრეში. ამის ანალოგია მრავლად იძებნება ლიტერატურის ისტორიაში. შუა საუკუნეების მწერლები ხშირად მიუთითებდნენ რომელიმე ლათინურ წიგნზე, როგორც საკუთარი ნაწარმოების ფაბულის წყაროზე, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მაგრამ სპარსულიდან ნათარგმნ ან სპარსული მონაცემების გამოყენებით შეთხზულ ნაწარმოებთა არსებობა სრულიად აბათილებს ამგვარ კომენტარს.[4]

ავტორი მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელების არაბულ-სპარსულ წარმომავლობაზე, თუმცა ვარაუდობს, რომ ფარსიზმები ორიგინალის კვალი კი არაა, არამედ პოეტის ენის თავისებურება. ზოგიერთი სიტყვის ფორმა, რომელიც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, მათ ეპოქამდე

---

[1] დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ. 330.

[2] იხ. იქვე, გვ. 331.

[3] იხ. იქვე, გვ. 343.

[4] იხ. დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ. 352.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

გაცილებით ადრე შევიდა ქართულ ლექსიკონში. ვ. შიშმარიოვი ასევე მიუთითებს რუსთველის პოემის ზოგიერთი მხატვრული სახის თანხვედრაზე სპარსულ ლიტერატურასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულს მკვლევარი წვრილმანად მიიჩნევს. ვლ. შიშმარიოვის აზრით, ქართული ლიტერატურა სპარსულის გავლენით ყალიბდებოდა, ქართველ მწერალს სპარსული სკოლა ჰქონდა გავლილი. მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული, ავტორის აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის, რასაც სპარსული ლიტერატურა იძლეოდა, მექანიკურად და მონურად აღიქმებოდა თვით უნიჭიერეს შემოქმედთა მიერაც კი. აქ უბრალოდ დიდი მეთოდური შეცდომა იყო დაშვებული, რაც გავლენის მეტად ვიწრო გაგებაში მდგომარეობდა. დავიწყებულ იქნა ელემენტარული ჭეშმარიტება – ევროპულ ანალოგიათა მთელი რიგი და ნაციონალურ ლიტერატურათა განვითარების ინტერნაციონალურობა.

ვლ. შიშმარიოვი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ყველაფერი სკოლით იწყება და მთავრდება იმით, რომ მოწაფე საკუთარ სკოლას ქმნის. სპარსული ლიტერატურისათვის მიმართვა, რომელიც მზამზარეულ ფორმულას წარმოადგენდა, საკუთრივ ქართული ლიტერატურის შექმნის სურვილის გამოხატულება იყო.

ვლ. შიშმარიოვის აზრით, თვით ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემუშავდა პირობები, რამაც ქართული საერო მწერლობის შექმნა განაპირობა. მეცნიერი იმოწმებს ნიკო მარის სიტყვებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულ სიყვარულს, სიყვარულს ვასალისას, სიყვარულს – გმირობას, ჩვენ ვერ შევხვდებით ვერც ერთ აღმოსავლურ მაჰმადიანურ ლიტერატურაში. ეს რამინის ვნება არ არის, არც ყაისის ავადმყოფობა.

მკვლევარის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“ კარგად ჩანს, რომ სიყვარული ადამიანის ზნეობრივი, კულტურული, ესთეტიკური გარდაქმნის საფუძველია, მაგრამ ამგვარი სიყვარული მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც საამისო უნარი გააჩნია. გული რუსთველთან მარტო გრძნობა კი არაა, იგი, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების გრძნობაა, მშრალი ანალიზი კი არაა, არამედ ადამიანის თანდაყოლილი სიმპათიით გამსჭვალული, თანაგრძნობიერი დამოკიდებულება გარესამყაროსთან და ხალხთან, ის თვით სიბრძნეა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

რაინდების, ყმათა შესახებ ქართველები სიმღერებს თხზავდნენ. ყმა გარკვეულ სოციალურ პირობებში რაინდად იქცა და ძველი, ქართული ეპიკურ–ფეოდალური ლიტერატურაც ახლით შეცვალა. ეპიკური სიმღერა რომანტიკულმა მოთხრობამ, პოემამ და რომანმა განდევნა. ამ მხრივ ქართული ლიტერატურა იმავე გზით მიდის, რა გზითაც მისი დასავლეთევროპელი დები.

ამ ახალი სიყვარულის ფონზე იშლება სიყვარულის ახლებური გაგებაც. იგი იხატება არა როგორც ვნება, პასსიო, არამედ როგორც სენტიმენტი – განუწყვეტელი ფიქრი მიჯნურზე, როგორც ტანჯვა და ამავე დროს გამუდმებული შინაგანი სრულქმნა. სიყვარული იწვევს გმირულ მოქმედებას. ერთი ჩვეულებრივი მოტივია მზეთუნახავთან განშორება, მისი ძებნა და ბოლოს მასთან შეერთება. დასავლური რომანის გეოგრაფიული ჰორიზონტი ფართოვდება აღმოსავლეთით შორეულ ინდოეთამდე, ისევე, როგორც საქართველოში.

კონსტანტინე ჩაიკინის ნარკვევში „ქართულ–ირანული ურთიერთობებიდან“[1] განხილულია საკითხი: იყო თუ არა ხაყანსა და რუსთველს შორის მეტოქეობა.

[1] დამოწმებულია: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. III, გვ. 367

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კ. ჩაიკინი აღნიშნავს, რომ ხაყანის მტრული განწყობილება კონკურენტებთან სატირულ თავდასხმებში პოულობდა გამოხატულებას. მათ შორის მთავარი ადგილი პოეტ აბულალა განჯელს უკავია. ხაყანი მეტოქეებს წყვილ–წყვილად ესხმოდა თავს, რომელთა მიმართ ის უმეტეს შემთხვევაში მეტსახელებით კმაყოფილდებოდა. ერთ–ერთ ყასიდში წყვილად მოხსენიებულ მეტოქეებს შორის ერთი აბულ–ალაა, მეორე კი „ხარ–ე–რუსთას“ მეტსახელით დაჯილდოებული მეტოქე.

„რუსთა“ სპარსულად სოფელს ნიშნავს, ხაე–ე–რუსთა ითარგმნება „სოფლელ ვირად“. პოეტურ მეტყველებაში ჩვეულებრივი ამბავი, სპარსულ პოეზიაში კი განსაკუთრებით გავრცელებული და სავალდებულო სემანტიკური პარალელიზმი აძლევს კ. ჩაიკინს საფუძველს „რუსთა“ მიიჩნიოს არა საზოგადო სახელად, არამედ გეოგრაფიულ სახელწოდებად. აქედან ჩნდება მოსაზრება, სიტყვა „რუსთა“–ში ხომ არ არის მითითება რუსთველის სამშობლოზე. ავტორს არ გააჩნია პრეტენზია საკუთარი აზრის სრულ ჭეშმარიტებაზე. ამასთანავე კ. ჩაიკინი იქვე მიუთითებს ხაყანის დივანის სხვა ყასიდის ერთ ლექსში სიტყვა „რუსთას“ არსებობაზე, რომელიც კვლავ მტრებისა და მეტოქეების მიმართ არის გამოყენებული. ამ შემთხვევაშიც სიტყვა საზოგადო სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგრამ არ გამოირიცხება მისი ორმაგი მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობაც; კერძოდ, მითითება მტერზე, რომელიც სხვა ადგილას „ხარ–ე–რუსთად“ არის მოხსენიებული.

კ. ჩაიკინის აზრით, „რუსთას“ გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობით ხმარება არ არის სავალდებულო საქართველოს რუსთავს დაუკავშირონ, ვინაიდან ამ სახელის მატარებელი სხვა მხარეებიც შეიძლება ყოფილიყო თუნდაც შარვანში, ან სადმე ახლოს.

ამავე სტატიაში კ. ჩაიკინი მიუთითებს ხაყანისა და რუსთველის ლექსების დამთხვევაზე. „ვეფხისტყაოსნის აფორიზმია „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“– შირვანშაჰ აღსართან პირველის ცოლისადმი მიძღვნილ ხაყანის ოდაში მოიპოვება შემდეგი სტრიქონები: „ მეფენი სახელმწიფოს საქმეებში – რაც მამაკაცია, ის ქალია, ლომები ბრძოლაში – რაც ხვადია, ის ძუა.“ კ. ჩაიკინი მიუთითებს, რომ აღნიშნული სტრიქონების პარალელს მიაკვლია ნ. მარმა ნიზამის შემოქმედებაში. სამი პოეტის ასეთ მსგავსებას გამოკვლევის ავტორი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიაში არსებულა მოარული ანდაზა, რომელიც ზემოჩამოთვლილ პოეტთა მსგავს სტრიქონებს დასდებია საფუძვლად. კ. ჩაიკინის აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნული დასტურია იმ პირობათა საერთო ხასიათისა, რომელშიც ვითარდებოდა XII საუკუნეში ამიერკავკასიის ლიტერატურები ენობრივი და გეოგრაფიული სხვადასხვაობისაგან დამოუკიდებლად. ჟურნალ „Звезда“–ს 1938 წლის №5–ში დაიბეჭდა მ. აზადოვსკის წერილი „რუსთაველი პუშკინის ლექსებში“.[1] მასში ავტორი აღნიშნავს, რომ პ. შჩეგოლევმა ალ. პუშკინის ხელნაწერთა შორის მოიკვლია და გამოაქვეყნა ჩანახატი, რომელიც შევიდა პოეტის ბოლოდროინდელ გამოცემებში. მან ხელნაწერი 1828 წლით დაათარიღა. მ. აზადოვსკის აზრით, ხელნაწერი 1829 წელს განეკუთვნება. ამ დათარიღებას ემხრობიან მ. ციალოვსკი და ბ. ტომაშევსკიც. ვ. ბრიუსოვის აზრით, ლექსი დაკავშირებულია ალ. პუშკინის კავკასიაში მოგზაურობასთან.

ჩანახატში პოეტი ყირიმში მოღვაწე საადის მოწაფეებს უპირისპირებს სხვა ქვეყნის პოეტს, რომელსაც ლექსთა თხზვაში ვერავინ შეედრება:

Но ни один волшебник милый.
Владетель умственных даров,
Не вымышлял с такою силой,

[1] იხ. Азадовский М., Руставели в стихах Пушкина. ჟურნალში: «Звезда»,193

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

Так хитро сказок и стихов,
Как прозорливый и крилатый
Поэт той чудной стороны,
Где мужи грозны и косматы,
А жены гуриам ровны.

ლექსში არ არის მითითებული უცნობი პოეტის სამშობლო მხარე, მაგრამ, უდავოა, რომ ამგვარი ხატებით ალ. პუშკინი კავკასიას წარმოსახავდა. მ. აზადოვსკის აზრით, ამის დასტურად თუნდაც „კავკასიელი ტყვე“ კმარა.

მ. აზადოვსკი ასკვნის, რომ შეუძლებელია ალ. პუშკინს არ სცოდნოდა რუსთველისა და მისი პოემის არსებობის შესახებ და რომ ჩანახატში მითითებული პოეტი უთუოდ რუსთველია.

რუსთველის შემოქმედებას საგანგებო შრომა უძღვნა ვიქტორ გოლცევმა,[1] რომელიც პირველად მოსკოვში დაიბეჭდა 1940 წელს სათაურით „შოთა რუსთველი და მისი პოემა“. პირველ თავში მკვლევარი მიმოიხილავს რუს მეცნიერთა ცნობებს რუსთველისა და მისი პოემის შესახებ, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ რუსულენოვან თარგმანებს. ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია XI-XII საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება. მომდევნო თავში ავტორი წარმოადგენს ლეგენდებს და ქართველ მკვლევართა მოსაზრებებს პოეტის დაბადების, წარმოშობის, განათლების, მოღვაწეობის და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობის შესახებ.

ვ. გოლცევის ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია რუსთველის მიერ წარმოსახული სოციალურ–პოლიტიკური ბრძოლა. ავტორს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხატოვნად და მკვეთრადაა გამჟღავნებული პოეტის სოციალურ–პოლიტიკური შეხედულებანი და XI-XII საუკუნეების საქართველოს განვითარების ძირითადი ტენდენციები. ვ. გოლცევის აზრით, რუსთველი შუა საუკუნეების საქართველოს იმ პროგრესულ მოღვაწეთაგანად იკვეთება, რომლებიც მხარს უჭერდნენ ქართველ მეფეთა სწრაფვას, შეექმნათ ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ კუთხით ვ. გოლცევი პარალელს ავლებს „იგორის ლაშქრობის“ უცნობ ავტორთან. მკვლევარი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს სამთავროთა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამორჩილების იდეას, მასში გაკიცხულია დიდ ფეოდალთა ამბოხებები, რომლებიც ქვეყნის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია ორი დიდი სახელმწიფო – ინდოეთი და არაბეთი. ძნელი არაა დარწმუნება იმაში, რომ ორივე შემთხვევაში პოეტი თავის თანამედროვე საქართველოს სოციალურ–პოლიტიკურ წყობას ასახავს, როდესაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაჯაბნა ურჩი ფეოდალები. შემდეგ მკვლევარი წარმოაჩენს პოემაში ასახულ XII საუკუნის საქართველოს ყოფის თანმხვედრ სოციალურ–პოლიტიკურ ვითარებას.

ნაშრომის მეხუთე თავში ვ. გოლცევი განიხილავს ჰუმანიზმის საკითხს რუსთველის შემოქმედებაში. ავტორი მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამსჭვალულია ნათელი და სიცოცხლის დამამკვიდრებელი მსოფლაღქმით, ადამიანის გონიერების ზეიმით. მკვლევარი იმეორებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ რუსთველი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე იყო წინამორბედი ჰუმანური მოძრაობისა, რომელიც შემდგომ ფართოდ გავრცელდა დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპაში. რუსთველის პოემა არის მხატვრული ასახვა ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა, რითაც ხასიათდებოდა XII საუკუნის საქართველო. ვ. გოლცევი მიუთითებს, რომ რუსთველის ჰუმანიზმი,

[1] იხ. Гольцев В., Шота Руставели и его поэма, Москва, 1940, გვ. 339-376.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი გაძლიერებულ ინტერესშია და რომ ეს პიროვნების კეთილშობილებაში, სილამაზესა და მაღალ ღირსებაში ვლინდება.

ვ. გოლცევი ასევე აღნიშნავს, რომ ავთანდილისა და ტარიელის თაყვანისცემა ქალისადმი თვისობრივად განსხვავებულია როგორც აღმოსავლური წარმოდგენისაგან სიყვარულზე, ასევე დასავლეთევროპული რაინდული ქალის კულტისაგან. რუსთველი ქალის კულტს ქართული თავისებურებით ასახავს. მისი აზრით, პოემაში სრულიად ახალი, ჰუმანიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის სისტემაა წარმოდგენილი.

ვ. გოლცევი ყურადღებას ამახვილებს რუსთველის პოემაში წერილების ფუნქციაზე, რომელიც ჰუმანიზმის ეპოქის იტალიურ ეპისტოლარულ ლიტერატურას ეხმიანება.

ვ. გოლცევი მიუთითებს, რომ რუსთველი ავლენს როგორც აღმოსავლური ლიტერატურის, ასევე ანტიკური ფილოსოფიის ღრმა ცოდნას. ამასთანავე არ ირღვევა მისი მსოფლმხედველობის მთლიანობა. მკვლევარი იზიარებს იმ მეცნიერთა თვალსაზრისს, რომელნიც აღიარებდნენ, რომ ღმერთის გაგება პოეტისათვის არის არა ეკლესიურ-ქრისტიანული, არამედ წარმართულ-ფილოსოფიური; რუსთველის ფილოსოფიის საფუძვლად კი ნეოპლატონიკოსთა, მათ შორის პროკლე დიადოხოსის ნააზრევს მიიჩნევენ.

ვ. გოლცევის ნაშრომის მეექვსე თავში განხილულია გმირობის, სიყვარულის და მეგობრობის რუსთველისეული გააზრება. მკვლევრის აზრით, რუსთველისეული ცნება გმირობისა უფრო რთულია და დახვეწილი, ვიდრე აღმოსავლეთის პოეტების, თუნდაც ფირდოუსის გმირული პოემის „შაჰნამესი“. აღმოსავლური პოემების გმირები გამანადგურებელ, დაუძლეველ, ჰიპერბოლურ ძალას წარმოადგენენ, ამასთანავე მარტივს. რუსთველი კი წარმოაჩენს თავისი გმირების მოარულ ძალას, პატიოსნებას განსაზღვრავს, როგორც ადამიანის ყოფაქცევის აუცილებელ ნორმას. რუსთველური სიყვარული ერთგულებას ეფუძნება. მან შექმნა მიჯნურთა შესანიშნავი გალერეა. რუსთველი სიყვარულის სხვადასხვა სახეს გვიჩვენებს. ტარიელისა და ნესტანის სიყვარული დაძაბულია. ვ. გოლცევი პარალელს ავლებს ტარიელსა და ნიზამის ყაისს შორის და ასკვნის, რომ მათი მსგავსება გარეგნულია. რუსთველური შმაგობის ცნება განსხვავებულია ნიზამისეულისაგან. ნაზიმი იცავდა ირანული პოეზიის ტრადიციებს. ყაისი გიჟდება, როცა ბედი გაუღიმებს და ლეილთან შეერთების შესაძლებლობა მიეცემა, ხოლო ლეილი დარდისგან კვდება. რუსთველის გაგებით კი მიჯნურთა უბედურება წარმავალი მოვლენაა. ყაისს გმირობა სულაც არ მოსდგამს. გადამწყვეტი ბრძოლების დროს ტარიელი ყველაზე წინაა, ყაისი კი შორსაა ბრძოლისაგან, უმოქმედოდ ოხრავს და ლოცულობს. ასევე მსგავსებას ხედავს ვ. გოლცევი ავთანდილის და ტარიელის და ყაისისა და მოხეტიალე არაბი რაინდის ნოფალის მეგობრობას შორის. რუსთველი ისწრაფვის მიჯნურთა მორალური სიმაღლის წარმოჩენისაკენ. შეყვარებულ წყვილთა სახეების შექმნით პოეტმა ფეოდალური საქართველოს განზოგადებული, იდეალიზირებული ტიპები წარმოსახა. იქვე მკვლევარი მიუთითებს ფატმანის განსხვავებულ ბუნებაზე.

ვ. გოლცევის აზრით, რუსთველი მეგობრობას ადამიანურ თვისებათა გამოვლინებად მიიჩნევს. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა თვისებაა სწრაფვა იმისკენ, რომ ყოველგვარი პირადი ინტერესი და თვით სიცოცხლეც კი გაწირონ მეგობრისთვის.

ნაშრომის მეშვიდე თავს ვ. გოლცევი რუსთველის პოეტური ოსტატობის განხილვას უთმობს. იგი თავდაპირველად მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოწოდებულ რუსთველის თვალსაზრისზე

nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რომელიც შემდეგ ხორცშესხმულია პოემაში. მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ პოემა შაირითაა დაწერილი და მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად პოეტი მაღალ და დაბალ შაირს ანაცვლებს. ვ. გოლცევი ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ მდიდარ ეპითეტებსა და პოემის მეტაფორულობაზე, რუსთველის ლექსის საოცარ მუსიკალურობაზე, რაც ალიტერაციებით, ანაფორებითა და ეპიფორებით მიიღწევა.

ვ. გოლცევი „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ზოგიერთ სიუჟეტურ შეუსაბამობას ტექსტის გვერდების დაკარგვით ხსნის. მაგალითად, ასეთად მიაჩნია ის, თუ საიდან შეიძლება სცოდნოდა ნესტანს ინდოეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება სამშობლოს დატოვების შემდეგ. რაც შეეხება ნაწარმოების ენას, მას ზეპირსიტყვაობასთან დაახლოებულად მიიჩნევს. იგი ამ განცხადებას, რასაკვირველია, ქართულ წყაროებზე დაყრდნობით აკეთებს. მკვლევარი ასევე მიუთითებს, რომ პოემის ავტორი უხვად სარგებლობდა ფოლკლორით. რუსთველის პოეტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. მაგალითად, მაგიურია ტარიელის მათრახი, მისი შავი ცხენი შედარებულია ფრთოსან მერანთან; ფატმანი ფლობს ძალას ორ ჯადოქარზე, მონა მფრინავი ხალიჩისმაგვარი ჯადოსნური მოსასხამით დაფრინავს. ამასთანავე ავტორი პარალელს ავლებს „ვეფხისტყაოსანსა“ და ხალხურ „ტარიელიანს“ შორის, რომელსაც რუსთველის პოემის ხალხურ ინტერპრეტაციად მიიჩნევს. ვ. გოლცევის აზრით, ვეფხისტყაოსნის გმირები ეროვნული ძლიერების, გმირობის, სილამაზისა და კეთილშობილების პერსონიფიცირებული სახეებია.

ვ. გოლცევი მიუთითებს აკაკი წერეთლის თვალსაზრისზე იმის შესახებ, რომ რუსთველმა პოემის გმირთა ხასიათების დახატვით საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ხასიათები წარმოაჩინა. მკვლევარს მართებულად მიაჩნია აკაკი წერეთლის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გამოთქმული ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველმა ზოგადსაკაცობრიო იდეები და ხასიათები წარმოსახა.

როგორც ცნობილია, შალვა ნუცუბიძემ დაამკვიდრა ტერმინი – აღმოსავლური რენესანსი და რუსთველი მის წარმომადგენლად მიიჩნია. შემდეგ ამ პრობლემით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა. მათ შორის მ. კონრადი. რენესანსული კულტურის კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის ნაშრომს „დასავლეთი და აღმოსავლეთი“.[1] აღნიშნულ გამოკვლევაში წარმოდგენილი ნ. კონრადის პოზიცია განხილულია ე. ხინთიბიძის ნაშრომის „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“[2] იმ მონაკვეთში, სადაც ავტორი მიმოიხილავს და გარკვეულ შეფასებას აძლევს XX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში დამუშავებულ მსოფლიო კულტურათა აღორძინების თეორიებს.

ნ. კონრადი იზიარებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ რენესანსი მსოფლიო ისტორიული პროცესის ნაწილია. აქედან გამომდინარე, მან აღმოსავლური რენესანსის იდეა გაავრცელა მთელ რიგ ქვეყნებზე, კერძოდ, ჩინეთზე, შუა აზიასა და კავკასიაზე.

ნ. კონრადის ზემოთ დასახელებული ნაშრომის ერთი თავი „ვეფხისტყაოსანი“ და რენესანსული რომანტიზმის საკითხი“ ეთმობა რუსთველის პოემას. ნ. კონრადი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ჭრილში ჩამოთვლის იმ თხზულებათა რიგს, რომელშიც, მისი აზრით, თავსდება „ვეფხისტყაოსანი“.

---

[1] იხ. Конрад Н., Запад и Восток, Москва, 1972.

[2] იხ. ხინთიბიძე ე. შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“ [illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ესენია: ფირდოუსის „შაჰ–ნამე“ (XIს.), გურგანის „ვისი და რამინი“ (XI ს.), ნიზამის „ხოსროვი და შირინი“ და „ლეილი და მეჯნუნი“ (XII ს.), ნავოის „ფარხადი და შირინი“ და „ლეილი და მეჯნუნი“ (XV ს.) (XV ს.), ბოიარდოს „შეყვარებული როლანდი“ (XVI ს.), არიოსტოს „შმაგი როლანდი“ (XVI ს.), ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი“ (XVI ს.). ნ. კონრადი ზემოთ ჩამოთვლილ რიგში რუსთველს ნიზამის შემდეგ მიუჩენს ადგილს. ამასთანავე, მკვლევრის აზრით, რადგან რუსთველის ჰუმანიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები ნიზამისა და ნავოის პოემებსაც მიესადაგება, „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ რენესანს განეკუთვნება.

ნ. კონრადი თვლის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ რიგში „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა საშუალებას იძლევა ვისაუბროთ რენესანსულ ლიტერატურაში რომანტიკული ხაზის არსებობის შესახებ, რომელსაც იგი „რომანტიკულ რენესანსს“ უწოდებს. ის, რასაკვირველია, განსხვავდება XIX საუკუნის დასაწყისის ევროპული რომანტიზმისაგან. ამ შემთხვევაში რომანტიზმი ნ. კონრადისათვის გარკვეული თვისებების აღმნიშვნელი ცნებაა, რომელიც მის მიერ ჩამოთვლილ ნაწარმოებებს განასხვავებს სხვა რენესანსული თხზულებებისაგან.

რომანტიკული რენესანსის ყველაზე ტიპურ გმირად ნ. კონრადი მიჯნურს – შლეგს, ანუ სიყვარულისაგან გახელებულ ადამიანს მიიჩნევს. აღნიშნულის დასტურად მკვლევარი თვლის ამ ტიპის გმირის არსებობას ნიზამის „ლეილსა და მეჯნუნში“, რუსთველის „ვეფხისტყაოსანსა“ და არიოსტოს „შმაგ როლანდში“. ნ. კონრადს საინტერესოდ მიაჩნია მიჯნური გმირების შედარებითი შესწავლა, ვინაიდან რუსთველის ტარიელი იგივე არ არის, რაც ნიზამის ყაისი, ორივენი კი განსხვავდებიან არიოსტოს როლანდისაგან.

ნ. კონრადი ასევე მიუთითებს რენესანსის ეპოქის სარაინდო პოემების შუასაუკუნეების რაინდულ თქმულებათაგან განმასხვავებელ ზოგიერთ ნიშანზე. შუასაუკუნეების რაინდულ თქმულებებსა და რენესანსის ეპოქის სარაინდო პოემებში ერთი და იგივე გმირია. ერთნაირია ამ გმირთა სახეებიც: ისინი „გმირული“ საწყისის მატარებელნი არიან. განსხვავება ისაა, რომ შუასაუკუნეების რაინდულ თქმულებებში ნაჩვენებია თვით ეს საწყისი, რენესანსულ სარაინდო პოემებში კი – ამ საწყისის მატარებელი ადამიანები.

ნ. კონრადს რენესანსის ეპოქის სარაინდო პოემების შუასაუკუნეების რაინდული თქმულებებისაგან განმასხვავებლად სახეთა გასაოცარი პლასტიურობა, პერსონაჟის ხასიათის ცალკეული თვისებების ჰარმონიული შერწყმა მიაჩნია. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსული არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზღაპრულობა გარეგნულია, პირობითია. რაც ზღაპრულად აღიქმება, არის ის „რომანტიზმი“, რომელიც განსაზღვრავს პოეტის შემოქმედებითი მეთოდის არსს. რუსთველის პოემის გმირთა სახეები ზღაპრული კი არ არის, არამედ რეალური, ოღონდ მათი რეალურობა მოწოდებულია არა ყოფით, მიწიერ პლანში, არამედ იდეალურ–გარდასახვით'ში. ყოველივე ეს არ გულისხმობს იმას, რომ რენესანსული პოემები გაცილებით მაღლა დგანან შუასაუკუნეობრივზე. შუასაუკუნეების სამყარო არ არის პრიმიტიული, უმეცარი, როგორც ამას ცდილობდნენ ჩაენერგათ საკუთარი თავისა და თანამედროვეთათვის რენესანსის ეპოქის ჰუმანისტები. შუასაუკუნეების ეპოქა არის გრანდიოზული ხანა კულტურისა, რომელმაც შექმნა განუმეორებელი ფასეულობანი. შუასაუკუნეებისათვის მნიშვნელოვანი იყო, უპირველეს ყოვლისა, „ქმედობა“, რენესანსის ეპოქისთვის „მოქმედი“.

ნ. კონრადს რენესანსული პოემების მახასიათებლად მკაფიო კომპოზიცია მიაჩნია, რაც ეპოქის თვისებიდან – აზროვნების რაციონალურობიდან გამომდინარეობს. „ვეფხისტყაოსანში“ ყოველი სიუჟეტური გადახვევა მოტივირებულია და ექვემდებარება ჩანაფიქრს.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

1966 წელს „Литературная Грузия “-ში გამოქვეყნდა რუსი მეცნიერის პ. ბერკოვის სტატია „О композиции Витязя в тигровой шкуре“.[1] მეცნიერის აზრით, რუსთველმა, ერთი მხრივ, ექვსას ორმოცდაათი წლით ადრე თავისებურად განჭვრიტა თ. დოსტოევსკის „დანაშაულისა და სასჯელის“ იდეა, ხოლო მეორე მხრივ, მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით, „ვეფხის ტყავის“ ხატის შექმნით წინ უსწრო ბალზაკის „შაგრენის ტყავს“.

პ. ბერკოვი მიიჩნევს, რომ ტარიელი ჩადის დანაშაულს – ფარულად კლავს ხვარაზმშას ძეს. მაგრამ იგი თავად მორალურად უდანაშაულოა. ის მხოლოდ შეყვარებულის ბრძანებას ასრულებს. მაგრამ, მკვლევრის აზრით, არც ნესტანია დამნაშავე. ნესტანის დანაშაულებრივი ქმედება ჯადოქარ დავარ-ქაჯის ბრალია. დავარის ავი განზრახვა, სამაგალითოდ დაესაჯა ძმისწული, პოემის სიუჟეტის კომპოზიციურ რგოლად იქცა. ნესტან-დარეჯანმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და გადაწყვიტა ტანჯვით გამოესყიდა იგი. საკუთარი გადაწყვეტილების შესრულების მიზნით ის ნებაყოფლობით მიემართება ქაჯთა ქვეყანაში, რათა დაიტყვევოს თავი, ეწამოს და განიწმინდოს. საბოლოოდ ნესტანისა და ტარიელის ტანჯვა, მონანიება და ცრემლები გამოისყიდის მათ დანაშაულს.

პ. ბერკოვის ეს მოსაზრება გააკრიტიკა ალ. ბარამიძემ.[2] იგი მიიჩნევს, რომ რუსი მეცნიერი შეცდომაში შეიყვანა პოემის რუსულმა თარგმანმა. ორიგინალში არაფერი მსგავსი თვითგვემისა და თვითიზოლაციისა, ასევე ცოდვათა მონანიებისა არ არსებობს. ალ. ბარამიძე ასევე მიუთითებს, რომ არასწორია პ. ბერკოვის მიერ შემოთავაზებული პოემის სათაურის ვარიაციები: „Барсова кожа“, „Шкура тигрицы“. მას მხედველობიდან გამორჩა ქართული ენის ბრწყინვალე მცოდნისა და შესანიშნავი რუსთველოლოგის ნიკო მარის მოწოდებული რამდენიმე ვარიანტი. თითოეული მათგანი აუცილებლად გულისხმობს ადამიანს, შემოსილს ვეფხის ტყავით.

ამგვარად, ასეთია საკითხთა ის წრე, რომლებიც რუსმა მკვლევრებმა წარმოაჩინეს რუსთველისა და მისი პოემის გარშემო.

თქმულება დინარაზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „თქმულება დინარაზე“, რომელიც მკვლევართა აზრით, XVI საუკუნეში შეიქმნა მოსკოვში, მნიშვნელოვანი ძეგლია ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით.

ქართულ და რუსულ ისტორიულ და ლიტერატურულ მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ „თქმულება დინარაზე“ ასახავს ერთ ეპიზოდს თამარ მეფის ცხოვრებიდან. არსებობს მეორე თვალსაზრისიც: დინარა ჰერეთის დედოფალია. დებულება, რომ დინარა თამარ მეფეა პირველად მარი ბროსემ წამოაყენა 1853 წელს.[3] ფრანგმა მეცნიერმა ამ თხზულების კვლევისას მიმართა ქართულ მატიანეებს და აღნიშნა, რომ მათში მხოლოდ ორჯერ არის მოხსენიებული დინარა. იგი, წარმოშობით ბაგრატიონთა გვარიდან, ჰერეთის ერისთავის მეუღლე ყოფილა. მან თავისი ვაჟის დახმარებით X საუკუნეში

---

[1] იხ. Берков П., О композиции Витязя в тигровой шкуре. ჟურნალში: „Литературная Грузия“, 1966, №9, გვ. 70.

[2] იხ. Барамидзе А., Реплика по поводу статьи проф. П. Н. Беркова. ჟურნალში: „Литературная Грузия“, 1967, №2, გვ. 74.

[3] იხ. М. Броссе, Сведения о грузинской царевне Тамаре в древней [illegible] записки имр. Академии Наук по первому и третьему отделениям, т.I, вы

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მართლმადიდებლობაზე მოაქცია ჰერეთი. (ამასთან დაკავშირებით თ. ბუაჩიძე შენიშნავს, რომ აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ დინარამ ჰერეთი მონოფიზიტობიდან დიოფიზიტობაზე მოაქცია).[1] ასი წლის შემდეგ ბაგრატ IV-მ დაიპყრო ჰერეთი და ხელთ იგდო დედოფალ დინარას ნეშტი. (თ. ბუაჩიძე მიუთითებს, რომ უნდა იყოს ბაგრატ III). შემდგომდროინდელ მატიანეებში არსად არ არის ნახსენები დედოფალი დინარა. მარი ბროსეს აზრით, საქართველოს ისტორიაში დაწვრილებით არის მოთხრობილი თამარის მეფობისდროინდელ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებაზე, კერძოდ, ათაბაგ ილღუზის ერთ-ერთ შვილიშვილთან ბრძოლაზე, მეფის მიერ დიდებულების გასამხნევებლად წარმოთქმულ სიტყვასა და ბრძოლის შედეგებზე. მარი ბროსე მიიჩნევს, რომ ქართული მატიანისა და რუსული ძეგლის გამოთქმები თანხვედრია, ასევე აღნიშნავს, რომ დინარას მეტოქედ რუსულ ძეგლში სპარსეთის მეფე ადრამელეხია გამოყვანილი და მიიჩნევს, რომ ეს იყო აზერბაიჯანის ათაბაგი აბუბექრი.

მარი ბროსე მიუთითებს რუსულ ძეგლში მოხსენებული „შაბრენის მონასტრის“ შესახებაც და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ხელნაწერში მის ნაცვლად წერია „ბერსკი მონასტერი“. აქედან კი შეიძლება მივიღოთ სახელწოდება “ვერსკი“. ასეთად კი მკვლევარი ქალაქ გორთან ახლოს მდებარე ვერეს ღვთისმშობლის მონასტერს მიაჩნევს და იქვე შენიშნავს, რომ ტექსტის ბოლოს ნათქვამია, რომ შაბრენის მონასტერში დაიმარხა დედოფალი თამარი. ეს გარემოება კი ვარძიაზე ან გელათზე უნდა მიგვითითებდესო.

მარი ბროსეს აზრით, თამარ მეფესა და დინარას შორის დამთხვევები შემდეგში მდგომარეობს: დინარა, რომელიც მეფის ერთადერთი ქალიშვილია, ომის წინ გამამხნეველი სიტყვით მიმართავს დიდებულებს, ფეხშიშველი მიდის სალოცავად, ომის შემდეგ დიდ ნადავლს იგდებს ხელთ და მონასტრებს შესწირავს.

მარი ბროსეს ვარაუდით, რუსეთში საქართველოს შესახებ ცნობები ნახევრად განსწავლულმა ქართველებმა შემოიტანეს, რომლებიც ივანე III-სთან ჩამოდიოდნენ, ანდა ეს ამბავი რუსებს იმ ბერძენმა ბერებმა უამბეს, რომლებიც რუსებსა და ქართველებს შორის შუამავლობდნენ, რადგან ქართველებს ცუდად ესმოდათ რუსული, ხოლო რუსებს ქართული.

მარი ბროსეს აზრით, ადვილი ასახსნელია სახელების აღრევა, რომლებიც რუსულ ნაწაროებში შეინიშნება, ვინაიდან რუსების სმენას უცნაურად ეჩვენებოდა, როცა პირველად ესმოდათ. როგორც ოდესღაც ბერძნები ექცეოდნენ ბარბაროსულ სახელებს, ასევე რუსებმაც გადააკეთეს ქართული სახელები.

ა. პიპინი,[2] ავტორი ნარკვევისა რუსული მოთხრობებისა და ზღაპრების შესახებ, განიხილავს რა „მოთხრობა დინარასთან“ დაკავშირებულ საკითხებს, იზიარებს მარი ბროსეს თვალსაზრისს, რომ დინარა თამარ მეფეა.

მარი ბროსეს მიერ წამოყენებული დებულების წინააღმდეგ გამოვიდა ეპისკოპოსი კირიონი თავის ცნობილ წიგნში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. მას მიაჩნდა, რომ ნაწარმოებში ასახულია X საუკუნეში მოღვაწე ჰერეთის დედოფალი დინარა, „ქართლის ცხოვრებაში“ კი დაწვრილებითი ცნობები დინარაზე იმიტომ არ მოგვეპოვება, რომ ჰერეთის სამეფოს თავისი მატიანე ჰქონდა, რომელიც ჯერეჯერობით უცნობია.

ეპისკოპოს კირიონის აზრით,[1] მარი ბროსეს შეხედულება გასაზიარებელი იმ შემთხვევაში იქნებოდა, დინარას სახელი საერთოდ რომ არ გვხვდებოდეს

---

[1] იხ. ბუაჩიძე თ., „დინარას პრობლემისათვის“. წიგნში: „ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან“, გვ. 131.

[2] Пипин А., Очерк литературной истории старинных повестей и сказок [illegible] записки второго отделения Академии наук, ტ. IV, 1858, გვ. 218.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საქართველოს ისტორიაში. თამარი გათხოვილი იყო რუს მთავარ გიორგიზე, ანდრეი ბოგოლუბსკის ვაჟზე და ამდენად იგი ცნობილი უნდა ყოფილიყო რუსებისთვის.

ეპისკოპოს კირიონის ვარაუდით, 1639 წელს კახეთში რუსეთის ელჩს თავად თ. ვოლკონსკის ალავერდის არქიეპისკოპოსი ზებედე აცნობებდა, რომ ალავერდის მონასტერი სპარსეთის მეფეზე გამარჯვებული ქართველი დედოფლის დინარას შვილის დაარსებულია, რომლის ნეშტიც მონასტრის ეკლესიაშია დაკრძალური. ხოლო მემატიანეები დინარას მეფობისა და მისი სპარსეთის მეფეზე გამარჯვების თხრობის დროს დუმილით უვლიან გვერდს იმას, გათხოვილი იყო იგი თუ არა და ჰყავდა თუ არა შვილებიო.

კირიონის აზრით, დინარაში რომ თამარ მეფე იგულისხმებოდეს, ქართველი არქიეპისკოპოსი, წიგნიერი კაცი, არ იტყოდა, რომ მემატიანე დინარას გათხოვებასა და შვილების ყოლა-არყოლაზე არაფერს ამბობსო, რადგან „ქართლის ცხოვრება“ დაწვრილებით მოგვითხრობს თამარის ორ ქორწინებაზე და გვამცნობს: მას ჰყავდა ვაჟი გიორგი და ქალი რუსუდანი. თამარიცა და გიორგიც ალავერდში კი არა, გელათში არიან დაკრძალულნი.

„მოთხრობა დინარაზე“ მრავალმხრივ გამოიკვლია რუსმა მეცნიერმა მ. სპერანსკიმ.[2] ნაწარმოების წარმომავლობაზე მსჯელობისას მკვლევარი ძირითადად მარი ბროსეს დებულებებს იზიარებს. ი. ცინცაძე[3] თავის გამოკვლევაში მიუთითებს იმ შეცდომებზე, რომელსაც მ. სპერანსკი საქართველოს ისტორიაზე მსჯელობისას უშვებს, კერძოდ, ჰერეთს დასავლეთ საქართველოს მიაკუთვნებს, ძეგლში აღწერილი ბრძოლის ანალოგად შამქორის ომს მიიჩნევს, დინარას მოწინააღმდეგედ – რუქნადინს, „შაბრენის მონასტერს“ კი შატბერდის მონასტრად, რომელიც სვანეთში მდებარეობს. მ. სპერანსკის თამარ მეფის შესახებ მატიანეში არსებული ცნობები მიაჩნია ლეგენდად; იგი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ საფუძვლად ლეგენდები უდევსო. შემდეგ მ. სპერანსკი ჩამოთვლის იმ დამთხვევებსა და განსხვავებებს, რაც „მოთხრობა დინარასა“ და თამარ მეფის ისტორიას შორის არსებობს. განსხვევებს წვრილმანად მიიჩნევს, კერძოდ, დინარა არ გათხოვილა და სიკვდილის წინ ძალაუფლება ნათესავს გადასცა, თამარი კი ორჯერ იყო გათხოვილი და ტახტი შვილს გადასცა. ასევე სპერანსკი ახსენებს თამარისა და დინარას წლოვანებას ტახტზე ასვლისას, დინარას მიერ თავრიზის აღებას.

„მოთხრობა დინარაზე“ ვრცლად გამოიკვლია იასე ცინცაძემ ნაშრომში ი. ცინცაძის აზრით, სავსებით ბუნებრივია, რომ მ. ბროსემ თხზულებაში თამარის მეფობის ანალოგია დაინახა. ასევე მართებულად მიაჩნია მოსაზრება თამარის დინარად გადაკეთების შესახებ, მაგრამ მარი ბროსეს არგუმენტაციას არ მიიჩნევს საკმარისად.

ი. ცინცაძე ნაშრომში განიხილავს და აკრიტიკებს ეპისკოპოს კირიონის მოსაზრებებს. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ დედოფალ დინარას რუსული თხზულების პერსონაჟ დინარასთან გაიგივება მხოლოდ სახელების მსგავსებით ვერ დამტკიცდება; ამასთანავე რუსულ თხზულებაში აღწერილი დინარა არაფრით არ ჰგავს დედოფალ დინარას, რომლის შესახებაც „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობის გარდა მის მოღვაწეობაზე ჯერჯერობით სხვა არავითარი მონაცემი არ არსებობს. ამასთანავე მაშინ ერთმეფობა არ იყო საქართველოში. ი. ცინცაძე ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ

---

[1] იხ. Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910, გვ. 18-19, 110, 113.

[2] იხ. Сперанский, Повесть о Динаре в русской письменности: Известия отделения русского языка и словесности Академии наук СССР, т. XXXI, Ленинград, 1926, გვ. 43.

[3] იხ. ცინცაძე ი., რუსული თქმულების დინარას საკითხისათვის, თსუ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დინარას თქმულებას საფუძვლად უდევს არა მარტო შამქორის ომის ბატალიები, არამედ თამარ მეფის მოღვაწეობის მთელი ისტორია, თამარის მეორე ისტორიკოსის რედაქციით დამუშავებული. მკვლევარი იქვე მიუთითებს, საბოლოო დასკვნისთვის გასათვალისწინებელია, რომ მტერთან მიწერ-მოწერის ფაქტი თხზულებაში სახეზეა, რაც რუქნადინთან ურთიერთობის ანალოგად უნდა ჩაითვალოსო.

1948 წელს გამოიცა კრებული „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ". ამ კრებულში ვანო შადური შეეხო დინარას საკითხს.[1] იგიც მიიჩნევს, რომ თხზულების სიუჟეტს საფუძვლად უდევს ქართული მატიანეების ცნობები და ხალხური თქმულებები თამარ მეფის შესახებ, რომელიც მოთხრობაში შეცდომით დინარადაა წოდებული, თამარის მამა გიორგი კი – ალექსანდრედ, ასევე არასწორადაა გადმოცემული სპარსეთის მეფის სახელი.

რუსი მეცნიერი კ. ბაზილევიჩი „მოთხრობას დინარაზე" მიიჩნევს XV საუკუნის დასასრულს რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაახლოების შედეგად შექმნილ ნაწარმოებად. ამასთანავე თვლის, რომ ზღაპრულ სიუჟეტთან ერთად მასში ბევრია საერთო თამარის მეფობის ისტორიასთან.[2]

რუსი მეცნიერის ლ. შეპელოვას აზრით,[3] თამარის დინარად გადაქცევა სახელის დამახინჯება კი არა, არამედ კონტამინაციაა. რუსული მოთხრობის ავტორმა ერთმანეთში აურია იმ ორი დედოფლის ამბავი, რომლებზეც მას უამბობდნენ. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დინარას მამად მოხსენიებულია მეფე ალექსანდრე თამარის მამის გიორგის ნაცვლად. ლ. შეპელოვა იზიარებს ეპისკოპოს კირიონის აზრს, რომ ალექსანდრე დედოფალ დინარას მამის სახელის ადარნერსეს დამახინჯებაა. ლ. შეპელოვა რუსულ თხზულებაში სახელთა აღრევას იმით ხსნის, რომ ქართველმა ელჩებმა რუსეთში, როდესაც საქართველოს გაქრისტიანებაზე ყვებოდნენ, დინარას შესახებაც უამბეს რუსებს. დინარას სახელი აღიბეჭდა მათ მეხსიერებაში. ქართველები თამარის მეფობის ამბავზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, როცა რუსებს აცნობდნენ საქართველოს. მოთხრობის ავტორის გონებაში თამარის გმირობის ამბავთა თხრობა უნებურად შეიძლებოდა შერწყმულიყო დედოფალ დინარას სახელთან.

ლ. შეპელოვას აზრით, ნაწარმოები შეთხზულია ქართველი ელჩების საშუალებით შექმნილი ჩანაწერების საფუძველზე. მკვლევარის ვარაუდით, ნაწარმოების ზოგიერთი წვრილმანი აშკარად მიუთითებს, რომ ელჩების ნაამბობს იწერდნენ, ხოლო ჩანაწერებსა და მათ ლიტერატურულ დამუშავებას შორის დიდი დრო უნდა გასულიყო.

ტრიფონ რუხაძე ნაშრომში „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან",[4] (რომელზეც ვრცლად შემდგომ ვისაუბრებთ), რასაკვირველია, განიხილავს „მოთხრობას დინარაზე". იგი იცავს თვალსაზრისს, რომ დინარა თამარ მეფეა. თხზულების ძირითადი სიუჟეტური წყარო კი, როგორც ი. ცინცაძის მიერაა დადგენილი და გაზიარებულია რუსი მეცნიერების მიერ, თამარ მეფის ისტორიკოს-ბიოგრაფების ნაწარმოებებშია საძიებელი. მკვლევარი არ ეთანხმება იმ რუს მეცნიერთა თვალსაზრისს (მ. სკრიპილი და კ. ბაზილევიჩი), რომელნიც დინარას თქმულების არაქართულ წყაროებს ასახელებენ. ტრ. რუხაძე თხზულების პირდაპირ წყაროდ თამარის ისტორიკოსს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორს მიიჩნევს, ხოლო თხზულების

---

[1] იხ. Шадури В., Грузия в русской литературе. კრებულში: «Русские писатели о Грузии»თბ., 1948. გვ.ЮX.

[2] ix. Базилевич К., Внешняя политика русского централизованного государства, Вторая половина XV века, Москва, 1952, gv. 412.

[3] ix. Шепелова Л., Культурные связи Грузии с Россией в X-XVII веках: «Труды отдела древнерусской литературы, IX, М. Л., 1953, gv. 305.

[4] ix. ruxaZe t r., dasax. naSromi, gv. 122.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

erTi bundovani adgili, sadac TiTqos cxenis nalzea laparaki, Tamaris meore isტორიkosTan poulobs axsnas.[1] tr. ruxaZes miaCnia, rom qarTuli wyaroebis mixedviT SesaZlebelia moTxrobis frazebi Caswordes.

mkvlevaris azriT, nawarmoebSi Serwymulia sami elementi: xalxuri, literaturuli da istoriuli.[2]

sagangebod gamoikvlia ‘moTxroba dinaraze~ Tengiz buaCiZem.[3] mis naSromSi kritikuladaa ganxiluli am TxzulebasTan dakavSirebuli TiTqmis yvela manamde arsebuli naSromi da sabolood daaskvna: 1. Txzuleba ‘ar emyareba Tamarze arsebul qarTul istoriul qronikebs, es qronikebi araa misi Seqmnis uSualo wyaro. 2. dinaras gaigiveba TamarTan SeuZlebelia. Tamaris istoriuli pirovneba da moTxrobaSi mocemuli dinaras mxatvruli saxe mTavarsa da gadamwyvetSi erTmaneTs ver uTavsdeba, miuxedavad imisa, rom maT Soris aris damTxvevebic.

garda amisa, T. buaCiZe hipoTezis saxiT ayenebs Semdeg debulebebs:

bizantiaSi an trapizonis samefoSi XIII saukuneSi Seiqmna poeturi nawarmoebi iveriis dedofal dinaraze, romelSic, SesaZloa, ramdenadme aisaxa Tamar mefis cxovrebis zogierTi epizodi. nawarmoebi sasuliero wreSi unda Seqmniliyo. misi mTavari gmiri ganwmendilia yovelgvari miwierisgan da warmosaxulia, rogorc idealuri, ubiwo, RvTismosavi da RvTismSobels mindobili mmarTveli.

ruseTSi albaT nawarmoebi Semoitana berZeni berebis emigrantulma talRam, romelic konstantinepolis dacemis Semdeg miawyda moskovis samefos. aq ki Txzuleba iTargmna im sasuliero wreSi, romelic axlos idga mefis garemocvasTan, rogorc ruseTis saxelmwifoebrivi interesebisaTvis sasargeblo aqtualuri nawarmoebi.

‘Tqmulebas dinaraze~ berZnuli warmomavlobis nawarmoebad miiCnevda a. sobolevski. i. saxarovi ki mas serbebisa da bulgarelebisgan Semotanil nawarmoebad Tvlida. mkvlevarTa umetesoba ki amtkicebs, rom dinaraSi igulisxmeba Tamari da rom is rusuli originaluri nawarmoebia. garda zemoT dasaxelebul mecnierTa, am Tvalsazriss iziareben agreTve a. zimini[4] da g. paiWaZe.[5]

darejan menabde ‘moTxrobas dinaraze~ ganixilavs, rogorc wyaros saqarTvelos RvTismSobliSadmi wilxvdomilobis Sesaxeb.[6] igi miuTiTebs, miuTiTebs, rom rwmena saqarTvelos RvTismSobliSadmi wilxvdomilobis Sesaxeb mtkiced iyo fexmokidebuli aTonur qarTul tradiciaSi. mkvlevari eyrdnoba mecnierTa Tvalsazriss, rom swored aTonis mTis monastridan gavrcelda ruseTSi es nawarmoebi da rom masSi xazgasmulia centralizebuli saxelmwifos ideologia. TxzulebaSi asaxulia ara marto saqarTvelos warsulis ambebi, aramed ruseTis garkveuli epoqis sulic. amdenad, darejan menabde am Txzulebas

---

[1] ix. iqve, gv.126.

[2] ix. iqve, gv. 127.

[3] ix. buaCiZe T., dasax. naSromi, gv. 190.

[4] ix. Зимин А., И.С. Пересветов и его современники. «Очерки по истории русской общественно-политической мысли середины XVI века», Москва, 1958, gv.102.

[5] ix. Паичадзе Г., Повесть о Динаре (Критический обзор истории изучения памятника), Юбилейный сборник, посвященний 100-летию со дня рождения И. А. Джавахишвили, Тбилиси, 1976, gv. 260.

[6] ix. menabde d., ‘moTxroba dinaraze _ rogorc wyaro saqarTvelos RvTismSobliSadmi wilxvdomilobis Sesaxeb. I saerTaSoriso simpoziumi, [illegible] Tanamedrove problemebi (masalebi), Tbilisi, 2007, gv. 193.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

istoriul-politikuri xasiaTis nawarmoebad miiCnevs. ruseTSi damkvidrebuli centralizebuli saxelmwifos ideam ki _ ganagrZobs mkvlevari _ gansazRvra XV-XVI saaukuneebSi Seqmnili mravali literaturuli Zeglis Sinaarsi. maT Sorisaa ‘Txzuleba dinaraze~, aseve ‘Tqmuleba babilonis samefoze~ (XV s.), romelSic bizantiis ukve dasustebuli imperiis ambebia gadmocemuli da romlis memkvidredac ruseTi cxaddeba.

‘TqmulebaSi babilonis samefoze~ mocemulia erTgvari ierarqiuli kibe, romelzec sami erovnebaa warmodgenili _ rusi, berZeni da qarTveli. avtoris azriT, marTlmadideblur ruseTs sWirdeboda marTlmadidebluri saqarTvelo, romelsac XV saukunidan mokavSired moiazrebda. imdroindel ruseTs aranakleb sWirdeboda magaliTi centralizebuli, RvTivkurTxeuli mefis Zalauflebis qveS moqceuli qveynisa, romelmac sZlia muslimanTa winaaRmdegobas. RvismSoblis saxe uxilavad Tan sdevs ‘moTxrobaSi dinaraze~ ganviTarebul ambebs. rogorc d. menabde aRniSnavs, Txzulebis religiuri aspeqti mkvlevarTa sagangebo yuradRebis miRma darCa. ‘moTxroba dinaraze~ erT-erTi umniSvnelovanesi wyaroa saqarTvelos RvTismSoblisadmi wilxvdomilobis Sesaswavlad. problema rTulia, mravalplaniania da Semdgom kvleva-Ziebas moiTxovs.

qarTul-rusuli literaturuli urTierTobebi misi warmoSobidan XIX saukunis 30-ian wlebamde ganxilulia trifon ruxaZis monografiaSi ‘qarTul-rusuli literaturuli urTierTobis istoriidan~.[1] naSromis pirvel TavSi aRwerilia qarTvelTa da rusTa uZvelesi Sexvedrebi samxedro-politikursa da kultrul-istoriuli moqmedebis asparezze. mkvlevari istoriul wyaroebze dayrdnobiT saubrobs qarTvelTa da rusTa urTierTobaze jer kidev kievis ruseTis epoqaSi. miuTiTebs, rom qarTvelebi da rusebi Tavdapirveliad istoriul arenaze X-XI saukuneebSi xvdebodnen erTmaneTs kulturul kerebSi (mTawmindaze bizantiaSi, jvris monasterSi ierusalimSi, kievo-peCoris lavrasa da sxv.). es urTierToba sistematur xasiaTs aRorZinebis xanidan _ XVI-XVII _ saukuneebidan iRebs. amdroidan iwyeba ukve amori qveynis kulturaTa urTierTgavlena. naSromSi naCvenebia, Turawvlili miuZRvis qarTuli literaturasa da kulturas rogorc Zveli, aseve XVIII saukunis rusuli kulturis winaSe. gamovlenilia rusulidan qarTulad Targmnili nawarmoebebi.

naSromis III TavSi ganxilulia Zvel rusul literaturaSi arsebuli qarTuli istoriuli siuJetebi, Tqmulebebi da legendebi.[2] tr. ruxaZe aRniSnavs, rom rusebs gaaCndaT RrmaSinaarsiani saistorio-sagmiro eposi, magram, miuxedavad amisa, rusma mwerlebma gamoiyenes berZnen-bizantielTa da qarTvelTa mxatvrul-sagmiro warsuli. naSromSi yovelive es damtkicebulia konkretul-istoriuli faqtebiT, ris Sedegadac gairkva rusuli mwerlobis zogi ucnobi qarTuli wyaro. imTxzulebaTa didi nawili, romlebic rusebma qarTulidan an qarTvelebma rusulidan Targmnes, religiuri Sinaarsisaa.

rusma piligrimma egnatem (XIV s) Seqmna TxzulebaTa cikli ‘ierusalimSi mogzauroba~ (1389 w.), masSi aRniSnulia, rom ierusalims jvris monasterSi qarTvelebi aRavlenen wirva-locvas.[3]

---

[1] ix. tr. ruxaZe, dasax. naSromi.
[2] ix. tr. ruxaZe, dasax. naSromi, gv.102.
[3] ix. iqve, gv.19.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

saqarTveloSi miCneulia, rom mariam RvTismSobelia Cveni qveynis mfarveli, xolo saqarTvelo misi wilxvedria. aseve bizantielebi Tvlidnen, rom RvTismSobeli iyo konstantinepolis mfarveli. XII-XVIII saukuneebSi rusi mwignobrebi emxrobodnen qarTvelTa Tvalsazriss. mogvianebiT iveriis RvTismSoblis xati ruseTis mfarvelad aRiares. amis dasturad saWiro iyo saTanado literaturuli da ikonografiuli masalis Seqmna.

Zvel rusul literaturaSi moipoveba xuTi redaqcia saerTo Temaze: ‘Tqmuleba wminda mariam RvTismSoblis xatze~. zogierTi maTgani Semdeg aRorZinebis xanaSi iTargmna qarTul enaze. naSromSi erT-erTi maTgani Sepirispirebulia qarTul TargmanTan.[1] meore TxzulebaSi, romelic ganxilulia naSromSi da romelic aseve iTargmna qarTul enaze, moTxrobilia, Tu uRvTo Temur lengma rogor daipyro rusuli miwa da rogor daamarcxes igi.[2] wminda ninos cxovrebis anu ‘tyve qalis~ (ase ewodeba wminda ninos cxovrebis berZnul da zog qarTul wyaroebs) rusul redaqcias safuZvlad daedo berZnuli da qarTuli wyaroebi.[3]

XVII saukunis Zveli rusuli literatura icnobs legendas qristes kvarTis Sesaxeb. rusuli gadmocemiT es saswaulTmoqmedi kvarTi gautacia Sah-abas I-s da daubrunebia mefe fiodor filaret romanovisa da misi Svilis mefe mixeil Teodores ZisTvis rusanbek qarTvelis xeliT.

kvarTis Semdgomi istoria ierusalimSi sarwmuno pirTagan Cauweria moskovis macxovris eklesiis kelersa da metrapezes ioanikes. tr. ruxaZe SeniSnavs, rom es aris imave ninos cxovrebaSi CarTuli siuJeti, romelsac ucnobi apokrifuli wyaro udevs safuZvlad. mariamis, ninos da aTonel qarTvelTa cxovrebas kompleqsurad ganixilavs stefane aToneli (XVI-XVII ss.), romlis ‘Рай мысленный~ anu ‘sulieri samoTxe~ daibeWda valdais iveriis monastris stambaSi. es Txzuleba, trifon ruxaZis TvalsazrisiT, Tavdapirvelad berZnulad yofila dawerili stefane aTonelis mier, saidanac uTargmniaT rusebs. amas mkvlevars afiqrebinebs Txzulebis is monakveTi, sadac naTqvamia, rom eqvTime aTonelma gadaiRo Cveni wignebio. mas stefanes wyarod aTonis iverTa monastris aqtebi, aTonuri qarTuli mwerloba miaCnia.[4]

trifon ruxaZis monografiaSi gamokvleulia ‘moTxroba dinaraze~. mkvlevaris TvalsazrisiT zemoT ukve ganvixileT, rodesac am Txzulebis Seswavlis istoria warmovaCineT.

naSromSi calke Tavi eTmoba dramatul nawarmoebebs. mkvlevaris varaudiT, misteriis ‘usuli~ anu moxdenili ‘sityva sisxlis dasaTxeveli myofi ebraelTa qristes zeda macxovrisa soflisa zeda~ ucilobel kavSirSia dimitri rostovelis analogiur nawarmoebTan.[5]

trifon ruxaZe miiCnevs, rom XVIII saukunis miwurulsa da XIX saukunis dasawyisSi moRvawe qarTvelma dramaturgebma icodnen normebi da kanonebi frangul-rusuli klasicizmisa da igi kritikulad aiTvises; aseve dadgenilia, rom g. avaliSvilis piesa ‘mkvdarTa ubnoba~, romelsac qarTveli literatorebi originalur piesad miiCnevdnen, gadmoRebuli yofila a. sumorokovis piesa-dialog ‘mkvdarTa saubridan~. naSromSi

---

[1] ix. iqve, gv. 108.
[2] ix. iqve, gv. 110.
[3] ix. iqve, gv. 113.
[4] ix. iqve, gv. 115.
[5] ix. ruxaZe tr. dasaxelebuli naSromi, gv. 215.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

aseve mikvleulia, rom qarTuli ‘oidiposi aTonze~, romelic kornelis an volteris nawarmoebis Targmanad miaCndaT, prototipia rusi klasicistis v. ozerovis piesisa ‘oidiposi aTenSi~.

